



საქართველოს უნივერსიტეტი



კულტურა და ცივილიზაცია სამყაროს ხატის ჭრილში

ფიქრია ჭულუხაძე

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა სკოლაში
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია ჩხეიძე

თბილისი

2017

შესავალი

სხვადასხვა ენისა და კულტურის მატარებელი ერები სხვადასხვაგვარად ანაწევრებენ აზროვნების უფორმო მასას. კატეგორიათა გამოხატვის კონკრეტული საშუალებები შეიძლება, სხვაობდეს იმ კულტურებშიც კი, რომელთათვისაც ეს კატეგორიები უნივერსალურია. რადგანაც სამყაროს აღქმასა და შემეცნებას საფუძვლად უდევს კონკრეტული ერისათვის დამახასიათებელი საგნობრივი მნიშვნელობის, სოციალური სტერეოტიპებისა და კოგნიტური სქემების სისტემა, ადამიანის ცნობიერება ეთნიკურადაა დეტერმინირებული. ეთნიკური თავისებურება განაპირობებს აზრის ჩამოყალიბებისა და ფორმულირების საშუალებების სპეციფიკასაც. ერთა დიფერენცილური ფსიქოლოგია „ლაგდება“ სამყაროს დიფერენციალურ ხატებში.

სხვადასხვა ერი სხვადასხვაგვარად აღნიშნავს, ანაწილებს და აერთიანებს საგანთა სინამდვილეს და არცერთი ერი არ მიჰყვება საყოველთაო სქემას იმ უზრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი უნივერსალური სქემა არ არსებობს.

სამყაროს სტრუქტურირება ქმნის იმ პრიზმას, რომელშიც ერი ხედავს რეალურ სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა სახელდების, სამყაროში მათი ადგილის განსაზღვრის მეშვეობით, ერი „სახლდება“ რეალურ სამყაროში. ასე იქმნება სამყაროს ხატი - კონკრეტული ერის შეხედულება საკუთარ ყოფიერებაზე.

ყოველი ენა და კულტურა წარმოადგენს საგანთა სინამდვილის თავისებურ კლასიფიკაციას და ამიტომ სამყაროს იმდენი კლასიფიკაცია აქვს, რამდენი ენა და კულტურაცაა.

ამ საკლასიფიკაციო სისტემებს შორის მსგავსებაც დიდია, მაგრამ მათ შორის განსხვავებებიც შეინიშნება. ამიტომ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სხვადასხვა ენასა და კულტურაში წარმოდგენილი საკლასიფიკაციო სისტემები ერთი უნივერსალური სისტემის სხვადასხვა ვარიანტებია, თუმცა ასეთი სისტემა წარმოდგენილია მხოლოდ ვარიანტების სახით და ის საერთო, რაც ვარიანტებს შორის არსებობ, არის სწორედ უნივერსალური მოდელი სამყაროსი, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტების სახით რეალიზდება.

აღნიშნული სისტემის ათვისების პროცესში ერი ითვისებს ენაში განზოგადებულ დაკულტურაში ფიქსირებულ გამოცდილებას, სხვა სიტყვებით, ხდება უკვე მზა, დროსა და სივრცეში დადგენილ ღირებულებათა სისტემის - „ხატთა სისტემის“ ათვისება.

სამყაროს მოდელს ადამიანი გამოსახავს და აცნობიერებს როგორც ხატს - სამყარო გარდაისახება ხატად. სამყაროს ხატთა რაოდენობა ემთხვევა სამყაროში არსებული ერების, ენებისა და კულტურების რაოდენობას. სამყაროს ხატთა რაოდენობა ემთხვევა ერთა მსოფლხედვის პრიზმათა რაოდენობას. სამყაროს ხატთა რაოდენობა ემთხვევა იმ სამყაროთა რაოდენობას, რომელსაც არსებობს ერი.

წარმოადგენს რა იმ აქტის საფუძველს, რომელსაც ადამიანი ეყრდნობა სამყაროში ორიენტირებისას და არის რა ისტორიულად განპირობებული, სხვა სიტყვებით, გულისხმობს სამყაროს ხატისა და მის სუბიექტთა მუდმივ ცვლილებას, „სამყაროს ხატი“ სრულად განაპირობებს მოვლენათა აქტისა და ინტერპრეტაციის თავისებურებას. აღნიშნულ დებულებათა გაზოგადების შედეგად იკვეთება შემდეგი დასკვნა: სამყაროს ხატიდან მომდინარეობს ღირებულებები, იერარქიისა და სააზროვნო პარადიგმათა ტიპები, ადამიანის ქმედებათა არბიტრალურობა.

სამყაროს ხატის აგება გულისხმობს არა მხოლოდ ობიექტის დესკრიფციას, არამედ სუბიექტის პოზიციას, მის დამოკიდებულებასაც ობიექტის მიმართ. პოზიციათა სისტემები ასახვას პოულობს სამყაროს ხატში.

ადამიანის მიერ სამყაროს ასახვა არწარმოადგენს პასიურ პროცესს - ობიექტთან მიმართება გულისხმობს მასზე ზემოქმედების, შედეგად კი, მისი შევცლის შესაძლებლობასაც. სამყაროს ხატი, როგორც გარემოსა და ადამიანის შესახებ ინფორმაციის გადამუშავების შედეგი, წარმოადგენს მის კავშირს ადამიანთან.

სამყაროს ხატი კომპლექსური ფენომენია - მასში თანაარსებობს ენობრივი, კულტურული და კონცეპტუალური ელემენტები, სხვა სიტყვებით, სამყაროს ხატი წარმოადგენს ენის, კულტურისა და კონცეპტების პრიზმაში გარდატეხილ მთლიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ლინგვისტური ლიტერატურა არ განიცდის „სამყაროს ხატის“ შესწავლაზე ორიენტირებულ ნაშრომთა სიმცირეს, დღემდე,

უწინდებურად, შეიმჩნევა ის სიცარიელე, რომელიც უნდა ამოავსოს კოგნიტური ლინგვისტიკის პერსპექტივიდან დანახული ტრიადის (ენა - კულტურა - ცივილიზაცია) კვლევამ. სწორედ ეს ფაქტი განსაზღვრავს ნაშრომის აქტუალობას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს „ქორწინების“ კონცეპტში კულტურისა და ცივილიზაციის ელემენტთა იდენტიფიცირება, რაც უზრუნველყოფს საკვლევი კონცეპტის სტრუქტურულ და შინაარსობრივ თავისებურებათა გამოვლენას თანამედროვე ინგლისურ ენაში.

დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება კვლევის ისეთი ეტაპების განხორციელება, როგორცაა:

1. სპეციალური ტერატურის მოძიება და ანალიზი;
2. იმ კონცეპტთა ძიება, რომლებიც ერთიანდებიან ერთი ნიშნის გარშემო და განსაზღვრავენ ამ ნიშნის, როგორც კოგნიტური სტრუქტურის, არსებობას;
3. „ქორწინების“ კონცეპტში დიფერენციალურ კოგნიტურ ნიშანთა განსაზღვრა;
4. კოგნიტური ნიშნების ენობრივ ობიექტივატორთა იდენტიფიცირება ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის დეკომპოზიციის მეშვეობით;
5. „ქორწინების“ სცენარის კონსტრუირება;
6. სცენარში კულტურისა და ცივილიზაციის ვექტორთა იდენტიფიცირება;
7. სცენარის კონფიგურაციის განსაზღვრა;
8. სცენარის ანალიზის შედეგად კონკრეტული თეორიული დასკვნების გამოტანა.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგ ნაირად ჟღერს: სავარაუდოდ, სცენარი წარმოადგენს კონცეპტის შინაარსის შემანარჩუნებელ ძალთა, კერძოდ, კულტურისა და ცივილიზაციის შინაარსობრივ ვექტორთა შეთანხმებული მოქმედების სივრცეს.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს ექსპანსიონიზმი, რომელიც გულისხმობს ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიას, კონკრეტულ შემთხვევაში კი, იმ ფაქტს, რომ კვლევა განხორციელებულია ლინგვისტიკის, კულტუროლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიისა და ფილოსოფიის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

რადგანაც ენა წარმოადგენს ადამიანის კოგნიტური სისტემის მხოლოდ ერთ-ერთ კომპონენტს, მისი ადეკვატური აღწერისთვის აუცილებელია ინფორმაციის სხვა სფეროებიდან მოპოვება.

ენობრივი განზოგადება იპყრობს სულ უფრო ფართოსფეროებს, ლინგვისტიკა უკავშირდება ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას, სოციოლოგიას, ანთროპოლოგიას. დღეს ლინგვისტიკა უკვე ფლობს შემეცნების პროცესთან დაკავშირებულ ისეთ ინფორმაციას, რომელსაც ძალუძს სხვა დისციპლინათა სააზროვნო სივრცის გამდიდრება.

ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს კვლევის ფარგლებში გენერირებული ცოდნის რაციონალურობას, კერძოდ, ლოგიკურობას (არაწინააღმდეგობრიობას, სისრულეს), სისტემურობას (დასაბუთებულობას, რომელიც განპირობებულია სცენარის ელემენტთაშორის კოორდინაციისა და სუბორდინაციის მიმართებათა განსაზღვრით) და ექსტრალოგიკურობას (სიმარტივეს, ევრისტიკულობას, კოჰერენტულობას).

მეთოდოლოგიურმა ფუნქციამ, რომელიც პასუხისმგებელია კვლევისათვის ვალიდური მეთოდებისა და პრინციპების შერჩევასა და შემუშავებაზე, განსაზღვრა პრინციპებისა და მეთოდების რეპერტუარის შემადგენლობა, რომელიც ასე გამოიყურება:

1. სინთეზი, რომლის მეშვეობითაც მეცნიერული ცოდნის ფრაგმენტები გაერთიანდა ერთიან სისტემაში;
2. ექსპლონატორულობა, რომელმაც უზრუნველყო საკვლევი ფენომენის მნიშვნელოვანი მარკერების გამოვლენა და საკვლევი ფენომენის სხვა ფენომენებთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დაფიქსირება;

3. რაციონალურობა, რომელიც წარმოადგენს ცოდნის დასაბუთებადობის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას და რომელმაც დაგვისახა კვლევის გარკვეული ნორმები და მეცნიერულობის იდეალები;

4. მეცნიერული ცოდნის სტრუქტურირება, რომელიც უზრუნველყოფს სამყაროს მეცნიერული ხატის - ძირითადი მეცნიერული პრინციპების, ცნებებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების განზოგადებისა და სინთეზირების შედეგის - გამოვლენას.

კვლევისათვის ერთ-ერთ დომინანტურ პრინციპს წარმოადგენს ანთროპოცენტრიზმი, როგორც ენობრივი ფენომენის ანალიზი ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით. ნაშრომში ანთროპოლოგიური პრინციპი გააზრებულია როგორც მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის მიხედვითაც ენა არის შემეცნების სხვადასხვა სფეროთა კონგლომერატი ანალიზის საკუთარი ობიექტებით.

ნაშრომში დომინანტური პრინციპის სტატუსით სარგებლობს კატეგორიზაციის პრინციპიც. ობიექტებისა და მოვლენების კლასიფიცირება, მათი განაწილება სხვადასხვა კლასის, ასპექტის, ხარისხის და კატეგორიის მიხედვით მოწმობს იმას, რომ სამყაროს გაგების პროცესში ადამიანი აკეთებს დასკვნებს ობიექტთა ინდენტურობა/არაიდენტურობის თაობაზე.

კვლევისათვის ასევე მნიშვნელოვანია ფუნქციონალიზმი, რომლის თანახმადაც, ენა არის ინტენციათა რეალიზაციის საშუალება შემეცნებისა და ინტერაქციის პროცესში.

ყოველი კონკრეტული ლინგვისტური კვლევისთვის კვლევის მეთოდი ან მეთოდთა კომბინაცია ინდივიდუალურია, თუმცა არსებობს შემეცნების ორი უნივერსალური გზა, რომელიც გამოყენებულია ნაშრომში:

1. ინდუქციური მეთოდი, რომელიც ეფუძნება მსჯელობის იმ ტიპს, რომლის დროსაც ზოგადი დასკვნა კეთდება კერძო, კონკრეტულ დებულებათა განზოგადების გზით;

2. დედუქციის, მეთოდი, რომლის მეშვეობითაც მარტივი და ცხადი ჭეშმარიტებებიდან შესაძლებელია რთული და კომპლექსური ცოდნის მიღება.

უნდა აღინიშნოს ინდუქციურ და დედუქციურ მიდგომებში მნიშვნელოვანი ხარვეზის არსებობის ფაქტი: საქმე ისაა, რომ აღნიშნულ მიდგომებში გამოირიცხება იმ ტიპის ცოდნა, რომელიც ხასიათდება ალბათობით. მეცნიერული ცოდნის აღნიშნული მარკერი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელია მსჯელობა ისეთ ფენომენზე, როგორცაა „სამყაროს ალბათური ხატი“.

ნაშრომში რეალიზებულია პოლიპარადიგმული კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც ცენტრირებულია როგორც სტრუქტურულ ლინგვისტიკაზე, ისე კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ლინგვოკულტუროლოგიაზე. შესაბამისად, ნაშრომისათვის თანაბრად რელევანტურია როგორც სისტემურ-სტრუქტურულ, ისე ანთროპოცენტრისტულ თეორიათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდები, კერძოდ, სემანტიკური დეკომპოზიციისა და სცენარის კონსტრუირების მეთოდები.

ჩნდება კითხვა: ხომ არ არის ენისადმი იმანენტურ და არაიმანენტურ მიდგომათა სინთეზი ხელოვნური? - არა, ვინაიდან:

1. ენა არის სამყაროს კონცეპტუალიზაციის და კატეგორიზაციის აქტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი - კონცეპტუალური სისტემის არსის კვლევა შეუძლებელია ენობრივი მოღვაწეობის არსის ანალიზის გარეშე, ვინაიდან სწორედ ენის მეშვეობით არის შესაძლებელი კონცეპტუალური სისტემის შინაარსის რეპრეზენტაცია;
2. ენა უზრუნველყოფს კონცეპტის ხელმისაწვდომობას - ენა წარმოადგენს ადამიანის აზროვნებაში ნკონცეპტის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ეფექტურ შესაძლებლობას. ადამიანის კონცეპტოსფეროში შედგება მხოლოდ ენობრივ ნიშანთა სემანტიკის შესწავლის გზითაა შესაძლებელი;
3. ენის სემანტიკური სივრცის ელემენტთა შორის არსებული კავშირები ასახავს კონცეპტუალურ სფეროში შემავალ კონცეპტთა მიმართებებს;
4. ენის სემანტიკური სივრცე კონცეპტოსფეროს ის ნაწილია, რომელშიც იღებს გამოხატულებას ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით.

კვლევისათვის ფუძემდებელია შემდეგი დებულებები:

1. ენობრივი მოღვაწეობა უნდა იქნეს გააზრებული აზრს, ენასა და სამყაროს შორის არსებულ მიმართებათა კონტექსტში;
2. გაგების პროცესი წარმოადგენს მნიშვნელობების ან კონცეპტების წარმოქმნის პროცესს;
3. ენის გაგების პრობლემა აზრს მოკლებულია სამყაროს გაგების პრობლემის გარეშე;
4. გაგების პრობლემა ასოცირდება აღქმის პრობლემასთან - აღქმა ეფუძნება ობიექტის დისტინქციას სხვა ობიექტებისაგან ამ ობიექტისთვის დიფერენციალური მარკერების მინიჭების გზით;
5. კოგნიცია წარმოადგენს იმ ძალას, რომლის მეშვეობითაც ორგანიზდება აზრთა წარმოქმნის პროცესი - კოგნიცია არეგულირებს მნიშვნელობათა გამოყენებას კონკრეტული კულტურის ფარგლებში;
6. მნიშვნელობათა რეგულაცია გულისხმობს მნიშვნელობისათვის ცნობადობის მინიჭებას კონკრეტული კულტურის ყველა წარმომადგენლისათვის. მნიშვნელობის ცნობადობა დაკავშირებულია ადამიანის სოციალურ და კულტურულ გამოცდილებასთან;
7. განიცდის რა ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების განუწყვეტელ ზემოქმედებას, ენობრივი ნიშნის შინაასობრივი მხარე დინამიური და მუდმივად ცვალებადია.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ ენაში „ქორწინების“ კონცეპტის სტრუქტურაცია სისტემურ-სტრუქტურული, ლინგვოკოგნიტური, ლინგვოკულტუროლოგიური და აქსიოლოგიური პერსპექტივებიდან.

ნაშრომში ლექსიკური დონის ერთეულების ანთროპოცენტრიული ინტერპრეტაცია გულისხმობს ლექსიკური დონის ობიექტების მოდელირებას - ობიექტების ხარისხობრივ გარდაქმნის, რომელიც ეფუძნება ენობრივი და მეტაენობრივი ობიექტების ველში ინტეგრირებულობის იდეას.

ანთროპოცენტრისტულ პარადიგმაში ადამიანი და ენა ერთ განუყოფელ ნაწილად გვევლინება, სადაც ენის მთავარფუნქციას წარმოადგენს სამყაროს შესახებ ცოდნის თავმოყრა ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულების გამოყენებით.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტით: მოძიებული მასალა და კვლევის შედეგები ვალიდურია როგორც კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვიკულტუროლოგიისათვის, ისე სტრუქტურული ლინგვისტიკისა და ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის სალექციო კურსებისათვის.

აღნიშნულ პერსპექტივათა კომბინაცია იძლევა როგორც ნიშანთა ცალკეული სისტემების, ისე ცალკეული კულტურების სოციალური და ისტორიული მარკერების დისტინქციის შესაძლებლობას. სისტემურ-სტრუქტურულ, ლინგვიკოკოგნიტურ, ლინგვიკულტუროლოგიურ და აქსიოლოგიურ პერსპექტივათა სინთეზმა უზრუნველყო მრავალგანზომილებიანი ფენომენის ადეკვატური ინტერპრეტაცია. სწორედ ეს ფაქტი განსაზღვრავს ნაშრომის თეორიულ ღირებულებას.

კვლევის მასალა მოპოვებულია ორენოვანი და განმარტებითი ლექსიკონებიდან, ასევე ბერკლის ფრეიმთა ქსელიდან.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

სარჩევი

შესავალი -----	2
სარჩევი -----	10
I თავი -----	11
1.1 სამყაროს ხატი - რეალობის სეგმენტაციის შედეგი -----	11
1.2 კულტურა და ცივილიზაცია - ისტორიული ექსკურსი -----	25
II თავი -----	40
2.1 კულტურა და პიროვნება -----	52
III თავი -----	59
3.1. წეს-ჩვეულებები -----	59
3.2 მთის კუთხეების საქორწინო ტრადიციები -----	73
3.3 ინდოეთი -----	126
3.4 იაპონური ქორწილი -----	128
3.5. „ქორწინების“ კონცეპტი და მისი ნომინაციური ველი თანამედროვე ინგლისურ ენაში -----	149
დასკვნა -----	169
გამოყენებული ლიტერატურა -----	172

თავი I. კულტურა, ცივილიზაცია და სამყაროს ხატი

1.1. სამყაროს ხატი - რეალობის სეგმენტაციის შედეგი

წარმოადგენს რა იმ აღქმის საფუძველს, რომელსაც ადამიანი ეყრდნობა სამყაროში ორიენტირებისას, სამყაროს ხატი სრულად განაპირობებს მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის თავისებურებას, შესაბამისად, სამყაროს ხატი მოიცავს მსოფლმხედველობას, მსოფლადქმასა და მსოფლგანცდას. Money-Kyrle/მანი-კირლი, 1961.

სამყაროს ხატის აღნიშნული ელემენტები წარმოადგენს ფუძემდებლური პრინციპებისა და სამყაროს შესახებ არსებული წარმოდგენების კრებულს, რომელიც რელევანტურია კონკრეტული დროისა და სივრიცისათვის. Thompson, William Erwin /თომსონი უილიამ ერვინი, 1964. აღნიშნული პრინციპები და წარმოდგენები „ჩაშენებულია“ სამყაროს ხატში და გამოიყენება კონკრეტული სიტუაციის ინტერპრეტაციისათვის - სიტუაციის აღქმისა და შეფასებისათვის. Kearney, Michael/კერლი მაიკლი, 1975.

საზოგადოების განვითარების სტატიათა ცვლა, ჩვეულებრივ, იწვევს სამყაროს ხატის ტრანსფორმაციას - სამყაროს ფენომენის ახსნის ახალ ეტალონთა დამკვიდრებას. Berger, Peter L. and Thomas Luckmann/ბერგერი პიტერი და ტომას ლაკმანი, 1967. ახალი მსოფლმხედველობა აყალიბებს ახალი ტიპის მსოფლადქმასა და მსოფლგანცდას, რაც, საბოლოო ჯამში, ხდება სამყაროს ახალი ხატის შექმნის საკმარისი პირობა. Thompson, John/თომპსონი ჯონი, 1990.

აქედან გამომდინარე, სწორედ სამყაროს ხატიდან მომდინარეობს ღირებულებები, იერარქიისა და სააზროვნო პარადიგმათა ტიპები, ადამიანის ქმედებათა არბიტრალურობა. Walters, Kerry S./ვოლტერს კერი, 1989. შესაბამისად, სამყაროს ხატის, როგორც კულტურის ინტეგრალური ტიპოლოგიური მახასიათებლის, განხილვა სრულიად ლოგიკურია. Smart, Ninian./სმარტ ნინიანი, 1995.

რეალურ სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა სახელდების, სამყაროში მათი ადგილის განსაზღვრის მეშვეობით, ადამიანი „ერგება“ რეალურ სამყაროს. ასე იქმნება

სამყაროს ხატი - კონკრეტული ეთნოსის წარმომადგენელთა შეხედულება საკუთარ ყოფიერებაზე. Johnson, Don Hanlon/ჯონსონ დონ ჰენლონ, 1994.

მ. ჰაიდეგერისათვის სამყაროს ხატის ჩამოყალიბების პრობლემა უშუალო კავშირიშია მსოფლმხედველობასთან, რამდენადაც, თუ „სამყარო გარდაიქმნება სურათად (ხატად), ადამიანის პოზოცია განიხილება როგორც მსოფლმხედველობა. Хайдеггер М./ჰაიდეგერი მარტინი, 1985.

სამყაროს ხატი წარმოადგენს სამყაროს ფუძემდებლურ, გლობალურ ხატს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის მსოფლმხედველობა სწორედ სამყაროს ხატის მეშვეობით ხორციელდება ადამიანის - სამყაროს ხატის მატარებლის - ცნობიერებაში სამყაროს არსებით თვისებათა რეპრეზენტაცია. Molcar, Carol C./მორკარ, კეროლ გ, 1988.

უზოგადესი სახით, სამყაროს მოდელი განისაზღვრება როგორც სამყაროს შესახებ კონკრეტული ტრადიციის ფარგლებში არსებულ წარმოდგენათა ჯამის შეკუმშული და გამარტივებული ანარეკლი ... სამყაროს მოდელი არ განეკუთვნება ემპირიული დონის ცნებათა რიცხვს (კონკრეტული ტრადიციის წარმომადგენლებს, შესაძლოა, არ ჰქონდეთ სრულად გაცნობიერებული სამყაროს მოდელი). Middlebrook, Pearl H./მიდელბროუკ ფერლ ჰ., 1950.

სამყაროს ხატი წარმოადგენს „კოორდინატთა ბადეს“, რომლის მეშვეობითაც ადამიანი აღიქვამს რეალობას და ქმნის საკუთარ ცნობიერებაში არსებულ სამყაროს „სახეს“. სამყაროს ყოველ მოდელში იკვეთება ეთნიკური თავისებურებები. ისეთი უნივერსალური კატეგორიები და ცნებებიც კი, როგორცაა: დრო, სივრცე, მთელისა და ნაწილის მიმართება და ა.შ. Myers, L. J./მეიერს ლ.ჯ., 1991. ეროვნულობის ნიშნითაა აღბეჭდილი ენობრივი გამოხატულების თვალსაზრისით, უნივერსალური კატეგორიები და ცნებებიც კი ასახავენ კონკრეტული ენის მატარებელი ადამიანის აზროვნების თავისებურ სტილს. Corson, D. /ქორსონ დ., 1995.

სიტყვის „სამყარო“ სინონიმს წარმოადგენს რეალობა (ობიექტური), ყოფიერება, ბუნება, ადამიანი. Серебренников Б.В. /სერებრენიკოვ ბ. ვ., 1990.

თითოეულ ეროვნულ ენაში სამყაროს ხატი იძენს თავისებურ ეროვნულ „იერს“. სამყაროს სეგმენტაციის, რეალური სამყაროს თავისებური ასახვის შედეგს წარმოადგენს კონკრეტულ ენებში არსებულ სამყაროს ხატთა ეროვნული სპეციფიკა. Jones, W. T./ჯონსი ვ.თ., 1972. აღიქვამს რა რეალურ სამყაროს, თითოეული ენა აკონსტრუირებს სამყაროს ხატს საკუთარი სისტემის თავისებურებათა გათვალისწინებით. Kearney M./კერნი მ., 1975. სწორედ ამიტომაც თითოეული ენა ორიგინალური რეალური სამყაროს ასახვისას. „სამყაროს ხედვის“ ეროვნულ საფუძველს წარმოადგენს:

1. სტერეოტიპები, რომელიც საერთოა კონკრეტული ენის მატარებელთათვის და განსაზღვრავს კონკრეტული ენის მატარებელთა მიერ ობიექტური სინამდვილის სეგმენტაციის სტილის იდენტურობას. Humboldt, W. /ჰუმბოლდტ ვ., 1988.
2. საგანთა და მოვლენათა ის თვისებები, რომელიც პირველ რიგში აღიქმება კონკრეტული ენის მატარებელთა მიერ და წარმოადგენს კონკრეტულ საგანთა და მოვლენათა სახელდების საფუძველს. Humboldt, W. /ჰუმბოლდტ ვ., 1985.

ენა ნებისმიერი ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილია. ენის თავისებურების სრული წვდომა აუცილებლობით გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული კულტურის მატერიალურ შემადგენელთა შესწავლას, არა მხოლოდ კულტურის ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და სხვა ტიპის დეტერმინატთა სპეციფიკის გაცნობიერებას, არამედ კონკრეტული ერის აზროვნების მანერის გაცნობიერება, კონკრეტული კულტურის წარმომადგენელთა „თვლით“, მათი თვალსაზრისის პერსპექტივიდან სამყაროს „ხედვის“ მცდელობა. Huttar, G. L./ჰატერ გ.ლ., 1977. აღნიშნული მცდელობის წარმატებულობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კონკრეტული კულტურის წარმომადგენელთა ენის, სხვა სიტყვებით, სხვა ენის სამყაროს ხატის წვდომა. Keesing, R. /კისინგ რ., 1976.

მეცნიერთა უმრავლესობა აკავშირებს სამყაროს ენობრივ ხატს კონცეპტუალურ ხატთან. ეს უკანასკნელი პირველზე ბევრად „მდიდარია“ - იგი ასოცირდება ენისა და აზროვნების, ენისა და სინამდვილის, ინვარიანტულისა და იდიომატურის მიმართებათა საკითხთან ადამიანის მიერ სინამდვილის ასახვის, სამყაროს ინტერპრეტაციის რთულ პროცესში. Jackendoff, R. /ჯეკენდოფ რ., 1992.

სამყაროს კონცეპტუალური ხატის პრობლემა რთული და მრავალ წახნაგოვანია, შესაბამისად, სხვადასხვაგვარად განიხილება სხვადასხვა მკვლევარის მიერ.

სამყაროს კონცეპტუალური ხატი არ დაიყვანება ცნებათა ერთობლიობაზე - სამყაროს კონცეპტუალური ხატი მოიცავს „ემოციურ-შეფასებით“, მოტივაციურ და ცნობიერების სხვა ასპექტებს და შედგება კონცეპტებისაგან. Tomasello, Z./ტომასელო ზ., 2006. ამასთანავე, სამყაროს კონცეპტუალური ხატი ყალიბდება ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგად და სოციუმის ტექსტობრივი მოღვაწეობის საფუძველზე, რომელშიც აღბეჭდილია სამყაროს „სახის“ მრავალრიცხოვანი დესკრიფცია. Павиленис Р.И./პავილენის რ.ი., 1986.

განიხილავს რა პრობლემას ადამიანის ცოდნისა სამყაროს შესახებ, ჯ. ლაკოფი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, თუ როგორ გაიაზრებს ადამიანი სამყაროს, სხვა სიტყვებით, როგორ გარდატყდება რეალობა ადამიანის ცნობიერების, აზროვნებისა და აღქმის მეშვეობით. Lakoff Dj. /ლაკოფ დ. ჯ., 1988.

ზოგი ლინგვისტი თვლის, რომ სამყაროს კონცეპტუალური ხატის საფუძველს წარმოადგენს ცოდნის ბაზა, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. ენობრივი ცოდნა;
2. ექსტრა ლინგვისტური ცოდნა (ცოდნა სიტუაციის კონტექსტისა და ადრესატის შესახებ);
3. ზოგადი ფონური ცოდნა. Fauconnier G./ფოკონიე გ., 1994.

ცოდნის აღნიშნულ სახეობათაგან, არც ერთი არ წარმოადგენს დომინანტს - მხოლოდ მათი უერთიერთქმედება და ინტეგრირებულობაა ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნებისა და გააზრების აუცილებელი პირობა. Lakoff Dj./ლაკოფ დ.ჯ., 1988. Palmer G. B. /პალმერ გ. ბ., 1996. Duranti, A./დურანტი ა., 2013. Caverni J, Fabre J., & Gonzalez M.,/კავერნე ჯ. ფაბრე ჯ. გონსალეს მ., 1990. Wierzbicka, A. /ვიერზბიკა ა., 1992.

ამრიგად, ცოდნის აღნიშნულ სახეობათა ერთიანობა, ადამიანის ცნობიერების ყველა ასპექტის ინტეგრირება ჯამში ქმნის სამყაროს კონცეპტუალურ სურათს, რომელიც ერთდროულად პიროვნულ-ინდივიდუალურიცაა და საზოგადოებრივ-სოციალურიც. Toulmin S./ტოლმინ ს., 1972.

ჭეშმარიტია სამყაროს კონცეპტუალური და ენობრივი ხატის განუყოფლობის თეზისი - სამყაროს ენობრივი ხატი ჩართულია სამყაროს კონცეპტუალურ ხატში და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. Evans, V./ევანს ვ., 2013.

ამრიგად, სამყაროს ენობრივი ხატის შესწავლის პრობლემა მჭიდროკავშირშია სამყაროს კონცეპტუალური ხატის პრობლემასთან. სამყაროს ენის მიერი ხატი ახდენს ადამიანის სამყაროს სხვადასხვა ხატის ექსპლიცირებას და ასახავს სამყაროს ზოგად ხატს. Naess, A /ნესის ე., 1964.

შეიმეცნება რა გარესამყაროს, ადამიანი ვერ ახერხებს სინამდვილის სრულად „მოცვას“. კონცეპტუალიზაციის პროცესის შედეგად ხდება მიღებული ინფორმაციის გააზრება, აზრის ფორმირება და მიღებული ცოდნის (კონცეპტების) სტრუქტურირება. Spradley J., McCurdy D./სპარდლი ჯ. მაკარდი დ., 1975. ენა წარმოადგენს კოდურ (ნიშნობრივ) ორგანიზატორს, ადამიანის შინაგანი სამყაროსა და გარესამყაროს მაკავშირებელ რგოლს - შეიმეცნება რა სამყაროს მოღვაწეობის პროცესში, ადამიანი ენაში აფიქსირებს შემეცნების შედეგებს. ცოდნა, რომელიც ფიქსირებულია „შემეცნებელი სუბიექტის ცნებობრივ აპარატში, წარმოადგენს აზროვნების მოდელს, ხოლო სიტყვების მეშვეობით გამოხატული ცოდნა კი სამყაროს ენობრივ ხატს. Lucy J. A./ლუსი ჯ.ა., 1997.

სამყაროს ენისმიერი ხატი ასახავს სინამდვილეს სამყაროს კულტურული ხატის პრიზმაში. სამყაროს კულტურული (ცნებობრივი, კონცეპტუალური) და ენისმიერი ხატის მიმართების საკითხი რთული და მრავალპლანიანია. Whorf B. L./ვორფ ბ.ლ., 1956. აღნიშნული პრობლემის არსი გულისხმობს ენასა და კულტურაში სინამდვილის გარდატყდომის პროცესის სხვაობას. არსებობს მოსაზრება, რომ სამყაროს ენისმიერი ხატი კულტურული (კონცეპტუალური) ხატის ნაწილია. სამყაროს კულტურული და ენისმიერი ხატები მჭიდროკავშირშია ერთმანეთთან და იმყოფებიან მუდმივ ურთიერთქმედებაში. Molcar C./მოლკარ ქ., 1986.

ლინგვისტურ სკოლათა ყველა მცდელობამ, მოეწყვიტათ ენა სინამდვილისაგან, მარცხი განიცადა ერთი უბრალო მიზეზის გამო: უნდა იქნეს გათვალისწინებული არა მხოლოდ ენობრივი ფორმა, არამედ შინაარსიც. მხოლოდ ეს არის ნებისმიერი მოვლენის სიღრმისეული კვლევის ერთადერთი შესაძლო გზა.

გზა ექსტრალინგვისტური სინამდვილიდან ცნებამდე და შემდეგ სიტყვიერ გამოხატულებამდე სხვაობს სხვადასხვა ხალხებში. Keesing R./კისინგ რ., 1976. ეს ფაქტი განპირობებულია ხალხთა ისტორიისა და განვითარების თავისებურებით. შესაბამისად, სამყაროს ენისმიერი ხატი სხვაობს სხვადასხვა ხალხებში. Miller L./მილერ ლ., 1997.

ამგვარად, სამყაროსა და ენას შორის არსებული მიმართება შემდეგ სახეს იღებს:

1. რეალური სამყარო (საგანი, მოვლენა) = აზროვნება (წარმოადგენა, ცნება) = ენა/მეტყველება (სიტყვა), ან
2. რეალური სამყარო = აზროვნება = სამყაროს ენისმიერი ხატი

ყველაზე ეფექტურ ილუსტრაციას წარმოადგენს სიტყვა, რომელიც წარმოადგენს არა უბრალოდ საგნისა თუ მოვლენის დასახელებას, სამყაროს „ნაწილს“. სინამდვილის აღნიშვნა „ნაწილმა“ გაიარა ადამიანის ცნობიერება და სამყაროს ასახვის პროცესში შეიძინა განსაკუთრებული თვისებები. Markham Ian S./მარკემ იან ს., 1989. ეს თვისებები რელევანტურია კონკრეტული ეროვნული ცნობიერებისათვის და დეტერმინირებულია კონკრეტული ერის კულტურით.

სიტყვა, შესაძლოა, შევადაროთ მოზაიკის ფრაგმენტს. სახვადასხვა ენაში ეს ფრაგმენტები სამყაროს სხვადასხვა ხატებად იკვრებიან. ენა თავს ახვევს ადამიანს სამყაროს ხედვის თავისებურებას.

თითოეულ ენას კონცეპტუალიზაციის საკუთარი სტილი აქვს. შესაბამისად, თითოეული ენა ქმნის სამყაროს საკუთარ ხატს და ენის მატარებელი სწორედ ამ ხატის შესაბამისად ახდენს გამონათქვამის შინაარსის ორგანიზებას. Stigen Anfing./სტაიგენ ენფინგ, 1972. ენა წარმოადგენს სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის ფორმირებისა და არსებობის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. ასახავს რა რეალობას, ადამიანი სწორედ სიტყვაში აფიქსირებს შემეცნების შედეგებს. ენობრივი ფორმით დაფიქსირებული ცოდნის ჯამი წარმოადგენს იმ ფენომენს, რასაც ეწოდება „სამყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია“, „სამყაროს ენობრივი მოდელი“, „სამყაროს ენისმიერი ხატი“. Sire James W./საიერ ჯეიმზ ვ., 1997.

სამყაროს ენისმიერ ხატთან დაკავშირებით ვ. ფონჰუმბოლდტი წერდა: „ენა წარმოადგენს ერის ორიგინალური აზროვნებისა და აღქმის ორგანოს. ენაში ყოველთვის

ხილულია წმინდა ენობრივისა და ენისმიერ ერის ხასიათის აღქმულის ნაერთი. ენის, როგორც ერის აზრებისა და გრძნობების, განხილვა წარმოადგენს ენის ჭეშმარიტი კვლევის საფუძველს ... ენა არის ენის მატარებლის მსფლხედვისა და სულის ნაერთი. Гумнольдт В.О./ჰუმბოლდტ .ო., 1984.

ჰუმბოლდტი განიხილავდა ენას როგორც სამყაროს ხედვისა და გაცნობიერების საშუალებას. მისი თვალსაზრისით, კონკრეტული ენა, რომელსაც შობს ადამიანის სულიერი ენერგია, ქმნის სინამდვილის განსაკუთრებულ - მთლიანობრივ და ინდივიდუალურ მოდელებს. ჰუმბოლდტის მიხედვით, ყოველ ენას აქვს თავისი შიდაფორმა, თავისებური სტრუქტურა, რომელიც განპირობებულია „ხალხის სულის თვითმყოფადობით“. ჰუმბოლდტი აღნიშნავს ენის მიმართებას აზროვნებასთან და აზროვნების განპირობებულობას კონკრეტული ენით. ყოველი ენა წარმოადგენს კლასიფიკაციის თვითმყოფად, ეროვნულ სისტემას, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული ენის მატარებელთა მსფლხედვას და ქმნის მათ სამყაროს ხატს. განიხილავდა რა ადამიანის მიერ მეორე ენის ათვისებას როგორც „ადამიანის არსებობის დიაპაზონის გაფართოებას“, ჰუმბოლდტს მხედველობაში ჰქონდა სხვა ერის სამყაროს ხატის წვდომა ენის - „ენისმიერი მსფლხედვის“ - მეშვეობით. Гумнольдт В.О /ჰუმბოლდტ ვ. ო., 1984.

ვ. ფონ ჰუმბოლდტი ენას ეროვნული ცნობიერების გამოვლინებად მიიჩნევს. ენა თა სხვაობა არის მანიფესტაცია ერებს შორის არსებული იმ განსხვავებებისა, რომლითაც ხასიათდება მათი აზროვნება და სამყაროს შემეცნების ტიპი. ჰუმბოლდტი ერს განიხილავს კაცობრიობის ინდივიდუალიზაციის ფორმად, თუმცა იქვე დასძენს, რომ იგი ენობრივი განსაზღვრულობის მქონეა. კაცობრიობის დაყოფა ხალხებად და ტომებად ვ. ფონჰუმბოლდტმა დააკავშირა ენებად და დიალექტებად დაყოფასთან. კაცობრიობის ენებად დაყოფის მცდელობაში ნათლად იკვეთება ენის წარმმართველი როლი კულტურასა და საზოგადოებასთან მიმართებაში.

ა. პოტებნიამ განავითარა ჰუმბოლდტის კონცეფცია. განიხილა რა სემანტიკური თვალსაზრისით სხვადასხვა ენობრივი მასალა, პოტებნიამ გაანალიზა მნიშვნელობათა ევოლუციის ფენომენი ენის ისტორიის, მითოლოგიისა და მხატვრული ლიტერატურის

პრიზმაში. მასვე ეკუთვნის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მითოლოგიური ცნობიერება განიცდის ენის გავლენას. Потебня А.А./პოტებნია ა.ა., 1997.

სამყაროს ენისმიერი ხატის კვლევაში იკვეთება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, სამყაროს ენისმიერი ხატი, რომელიც ყალიბდება აზროვნებაში, მოითხოვს ადეკვატურ გამოხატულებას ენაში. მეორე მიმართულების მიხედვით, ენის სტრუქტურა განსაზღვრავს აზროვნების სტრუქტურასა და სამყაროს შემცნების სტილს. აღნიშნულმა მიმართულებამ განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება სეპირ-უორფის კონცეფციაში შეიძინა. ლინგვისტური ფარდობითობის ჰიპოთეზაში პირველ პლანზე ენა გამოდის. მას სეპირი განიხილავს სოციალურ ურთიერთობათა კომპლექსური სისტემის ჭრილში: ენა დაკავშირებულია კულტურასთან, ხოლო ნებისმიერი კულტურის გამოხატვა შესაძლებელია ენის მეშვეობით. Corson David/კორსონ დევიდ, 1995. D'Andrade Roy G./დანდრე როი ჯ., 1984, Keesing, Roger/კისინგ როჯერ, 1976. ენას შეუძლია, გავლენა მოახდინოს ჩვენს სოციოკულტურულ ცნობიერებაზე და უფრო მეტი - ზოგ შემთხვევაში სავსებითაც განსაზღვროს იგი.

ენის ფარდობითობის ჰიპოთეზა ემყარება შემდეგ პოსტულატებს:

1. ენა განაპირობებს მისი მატარებლის აზროვნების ტიპს, სამყაროს აღქმის ხერხი დამოკიდებულია ენაზე, რომლის მეშვეობითაც აზროვნება ხორციელდება;
2. ყოველი ხალხის მსოფლხედვის საფუძველი საგნობრივ მნიშვნელობათა საკუთარი სისტემა, სოციალური სტერეოტიპები, კოგნიტური სქემებია - ადამიანის ცნობიერება ეთნიკურად დეტერმინირებულია;
3. ეთნოსოციოკულტურული ფაქტორი ვლინდება ნაციონალურ-ეთნიკურ თავისებურებებში.

ამ ზოგადდებულებებში იკვეთება ენის როლი ადამიანის შემცნებით მოღვაწეობაში.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში სამყაროს ენისმიერი ხატისა და სეპირ-უორფის ლინგვისტური ფარდობითობის თეორიის პრობლემატიკა იქცა გ. ბრუტიანის კვლევის საგნად. მისი თვალსაზრისით, ენობრივ წარმოდგენათა სამყარო ჩნდება და ფორმირდება

შემეცნების პროცესში. არის რა განპირობებული კონკრეტული ენის იმანენტური კანონებით, იგი რელატიური დამოუკიდებლობით ხასიათდება. Брутян Г.А./ბრუტიან გ.ა., 1988.

შემეცნების პროცესში სამყაროს ცნებობრივი ხატი ერწყმის სამყაროს ვერბალურ ხატს. ენა თავისებურად გარდაქმნის აზროვნების შედეგებს, თუმცა სიტყვიერი ხატი, როგორც ილუზორულიც არ უნდა იყოს იგი, ვერ უზნევს ადამიანს გზას შემეცნებისაკენ. სამყაროს ვერბალური მოდელი ადამიანის გამოცდილების მხოლოდ ერთი ნაწილია, რომელიც რეალიზდება აზროვნების გამოცდილების კონტროლის მეშვეობით. ეს უკანასკნელი კი საერთოა ადამიანებისათვის - მთლიანობაში, იგი ემთხვევა ადამიანის ცნობიერებაში არსებულ ლოგიკურ „ანაბეჭდს“. ამასთანავე, სამყაროს ენისმიერ ხატში ინახება პერიფერიული სეგმენტები, რომელნიც რჩებიან ლოგიკური „ანაბეჭდს“ მიღმა. ენებში ისინი სხვაობენ საგანთა სიტყვიერი ხატებისა და საგანთაშორის არსებულ მიმართებათა ლინგვისტური მოდელების თავისებურებათა მიხედვით.

ენაში, გარკვეულწილად, „მარტივდება“ შემეცნება - მასში ფიქსირდება ცნების ზოგიერთი მხარე. კოგნიტურისა და ენობრივი ცნობიერების არსებობა და მთლიანობა მიუთითებს შემეცნების პროცესთა აბსტრაქციის სხვადსხვა დონის არსებობის ფაქტზე. Woodhouse, Mark B./ვუდჰაუსი, მარკ ბ., 1996, Fleischmann, Michael F. /ფლაიშმანი, მაიკლ ფ., 1996.

ვერბალური ხატებისა და ენობრივი მოდელების მეშვეობით ხდება სამყაროს უფრო დეტალიზირებული ხედვა. აღნიშნული მოდელები წარმოადგენს შემეცნების ე.წ. „გვერდით წყაროს“, რომელის მეშვეობითაც ხდება ცოდნის ზოგადი სურათის შევსება და კორექტირება.

XX საუკუნის მიწურულს გამოჩნდა აღნიშნული პრობლემის კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომთა საკმაოდ დიდი რაოდენობა. Wetzel, Janice Wood/ვეტცელ, ჯენის ვუდ, 1986. Castaneda H./კასტანედა ჰ., 1989. D'Andrade R. დანდრად რ., 1985. Dierks A. J./დიერკს ა.ჯ., 1983.

სამყაროს ენისმიერი ხატის კონსტრუირება წარმოადგენს რეალური სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის სტრუქტურირების ერთ-ერთ საშუალებას. ენა, როგორც რეალური სამყაროს „სასიგნალო სისტემა“, იძლევა ცნებებით ოპერირების საშუალებას; ენა

წარმოადგენს შემეცნების, გამოცდილების შენახვისა და გადაცემის, ადამიანი სქცევის მართვის საშუალებას. სამყაროს ხატი ანტროპომორფულია - ეს არის ადამიანის თვალით დანახული სურათი. სამყაროს ხატი ადამიანის სულიერი მოღვაწეობის შედეგის ვერბალური გამოხატულებაა.

რაც შეეხება სამყაროს ეროვნულ ხატს, გ. გაჩევი მიიჩნევს, რომ მის შინაარსს წარმოადგენს არა ეროვნული ხასიათი, არამედ „ერის მოსაზრებები სამყაროზე“. სამყაროს ეროვნული ხატის შინაარსს განსაზღვრავს არა ფსიქოლოგია, არამედ გნოსეოლოგია, „ეროვნული ლოგიკა“, აზროვნების სტილი. ამ უკანასკნელში მკვლევარი გულისხმობს „კოორდინატთა ბადეს“, რომლის მეშვეობითაც კონკრეტული ერი შეიმეცნებს სამყაროს და კოსმოსს, რომელიც სთვაზობს კონკრეტულ ერს სამყაროს კონკრეტულ წყობას. Гацев Г.Д./გაჩევი გ.დ., 1998.

ენის სემანტიკაში ეროვნული სპეციფიკა განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, ექსტრალინგვისტური ფაქტორებით - ისტორიისა და კულტურის განვითარების თავისებურებებით, ერის ცხოვრების წესით, ქცევის ნორმებითა და ა.შ.

ამდენად, კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში ჩამოყალიბებული და ენაში ასახული სამყაროს ენისმიერი ხატი წარმოადგენს სამყაროს შესახებ არსებულ მოსაზრებათა ჯამს - სინამდვილის კონცეპტუალიზაციის საშუალებას. Jackson H., Zé Amvela, E. /ჯეკსონ ჰ. და ზიმველა ი., 2000. Johnson M. /ჯონსონ მ., 1992.

შემეცნების ემოციურ სფეროში სამყაროს ხატი „ახალ ფერებს“ იძენს. სამყაროს ემოციური ხატის გამოყოფის შესაძლებლობას სამყაროს სხვა ტიპის ხატთაგან, იძლევა სინამდვილის ემოციური აღქმის ფაქტი. სამყაროს ემოციური ხატი წარმოადგენს მსოფლხედვას, რომელიც დეტერმინირებულია შემეცნების ემოციური სფეროთი და ასახავს სამყაროს ეროვნულ ხატში არსებულ აქსიოლოგიურ პრიორიტეტებს. სამყაროს ემოციურ ხატში ობიექტური სამყარო აირეკლება ადამიანურ ემოციათა პრიზმაში. სამყაროს ემოციურ ხატში დომინანტურია თავად ემოცია, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკის ემოციურ მხარეს.

ადამიანის განვითარების ისტორია ნათელყოფს ემოციათა მნიშვნელოვნებას ადამიანის ევოლუციის პროცესში. ადამიანად ქცევის პროცესი, ფაქტიურად, წარმოუდგენელია ემოციის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე.

ადამიანის განვითარების ისტორიის ყველა მკვლევარი თანხმდება შემდეგ მოსაზრებაზე: ნადირობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადამიანის ევოლუციის პროცესში. წარმატებული მონადირის მახასიათებელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ნადირობის ფენომენი მჭიდროკავშირშია ემოციათა ევოლუციის მნიშვნელოვან ასპექტებთან. შესაძლოა, ჩვენ წინაპართ თავი გაეტანათ ნადირობის გარეშე - გამოეკვებათ საკუთარი თავი მხოლოდ მცენარეული საკვებით. თავიდან, მამაკაცი ნადირობდა არა შიმშილის მოკვლის მიზნით, არამედ მამაკაცი სიამოვნებას იღებდა თავად ნადირობის პროცესიდან - ეს იყო აზარტი! სამყაროდან მომდინარე სხვადასხვა საფთხე ჩვეული იყო ჩვენ წინაპართათვის. წარმატებული მონადირე განიცდიდა შიშს, რომელიც იძულებულს ხდიდა მას მოეფიქრებინა, ერთი მხრივ, საფრთხის დაძლევის, მეორე მხრივ კი, შიშის კონტროლირების, შიშის მართვის საშუალებები. ადამიანმა დაიწყო შიშით ოპერირება, რამაც უზრუნველყო ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობათა განვითარება. მონადირემ შეძლო შიშის განცდის „გვერდზე გადაგება“, რაც წარმოადგენს წმინდა ადამიანურ უნარს.

როგორც ცნობილია, სამყაროს მითოლოგიური ხატი ადამიანის მიერ სამყაროს ევოლუციური აღქმის ყველაზე ადრეული ფორმაა. სამყაროს მითოლოგიურ ხატთა კვლევა მითებისა და ლეგენდების საფუძველზე იძლევა კოგნიტურ პროცესთა ყველაზე ადრეულ ფორმათა წვდომის შესაძლებლობას. უძველესი ხანის ადამიანის სამყაროს ხატის მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ ადამიანს ვერ წარმოედგინა საკუთარი თავი ბუნებისაგან განცალკევებით, მისი დაბუნების არსებობა წარმოადგენდა ერთ განუყოფელ მთლიანობას. ბუნების ძალებთან შერწყმისაკენ სწრაფვაში, რომელიც საკუთარი თავის რწმენას მატებდა ადამიანს, საკუთარი თავისათვის ბუნების „მპყრობლის“ სტატუსის მინიჭებაში, რომელიც ამთლიანებდა პირველყოფილ ადამიანთა კოლექტივს, გამოსჭვივის ის მუდმივი შიში, რომელსაც განიცდიდა ადამიანი. შიში იჩენდა თავს უძველესი ხანის ადამიანის კრძალვით აღსავსე დამოკიდებულებაშიც ისეთი ფენომენისადმი, როგორცაა „ტაბუ“. სამყაროს აღქმასთან დაკავშირებული აღფრთოვანება ასოცირდება ცეცხლისა და

მათრობელი სასამელის კულტების გაჩენასთან. უძველესი ხანის ადამიანის აღფრთოვანება წარმოადგენს გაცეებისა და კრძალვის გრძნობას, რომელიც უკავშირდება ცეცხლისა და ხის მიუწვდომელი საიდუმლოს ფენომენს.

სხვადასხვა კულტურას სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვს ემოციებისადმი. კონკრეტული კულტურის წარმომდგენლები ანიჭებენ განცდებსა და ცალკეულ ემოციების გამოხატვის ფორმას სოციალურ კონოტაციას, რაც ზემოქმედებს სოციალიზაციის პროცესზე. თავის მხრივ, აღნიშნული პროცესი ზეგავლენას ახდენს სამყაროს შესახებ არსებულ წარმოდგენათა სისტემაზე, ემოციური ლექსიკის სტრუქტურაში არსებულ ამათუიმ ელემენტთა სოციალური ორგანიზაციისა და ასემანტიკური ხორცშესხმის პროცესზე. Ивара Э./იზარდ ე., 2003.

სამყაროს მოდელის განსაზღვრა შესაძლებელია სამი სფეროს ურთიერთქმედების გათვალისწინებით: სამყარო (სამყაროები), ენა, მომხმარებელი (ის, ვინც ენას იყენებს). იგი ამტკიცებს რომ, „ერთ კონკრეტულ სამყაროს შეიძლება, შეესაბამებოდეს მხოლოდ ერთი ენა“: ენის კონფიგურაციას შეესაბამება სამყაროს კონფიგურაცია. ამასთანავე, თითოეული ენის შინაგანი ლოგიკა ასახავს და გამოხატავს მის მიერვე აღწერილი სამყაროს ბუნებრივ ლოგიკასა და ონტოლოგიას (თვისებების, სტრუქტურის, ორგანიზების პრინციპის, ობიექტთა კონფიგურაციის, ელემენტთა ფუნქციის ა.შ. ჩათვლით), სხვა სიტყვებით, ენა სამყაროსთან იმყოფება სიმეტრიულ, იზომორფულ მიმართებაში. Jones, W. T./ჯონს ვ.თ., 1971. Fedoseyev P. N./ ფედოსიევ ფ.ნ., 1978.

ენა აბსტრაქტული, განზოგადებული აზროვნებისა და ადამიანის შემეცნების რაციონალურ საფეხურია. ამდენად, ენის როლის საკითხი შემეცნების პროცესში წარმოადგენს ნებისმიერი ფილოსოფიური სისტემისგან ოსეოლოგიის შემადგენელ ნაწილს. Hiebert G./ჰაიბერტ გ., 1997, Holmes A./ჰოლმს ა., 1967.

ლინგვისტიკაში ენის სისტემის განმსაზღვრელ იროლის კვლევა აზროვნების სისტემის მიმართ დაკავშირებულია ბ. ჰერდერისა და ვ. ფონ ჰუმბოლდტის სახელებთან. ჰერდერი ენას „ხალხის სარკედ“ მიიჩნევს, ხოლო ჰუმბოლდტი და მისი მიმდევრები თვლიან, რომ ენაში ვლინდება „ერის სულის“ მოღვაწეობა, ენაში ძვეს განსაკუთრებული მსოფლხედვა და აზროვნების თავისებური სტილი.

ენაში ვ. ფონ ჰუმბოლდტი ხედავს ძალას, რომელიც აყალიბებს ერის აზროვნებას. ერის აზროვნებაში ვლინდება მისი ეროვნული სულის თავისებურება. ენა თავად ქმნი სსამყაროს ხატს, შესაბამისად, ენათა შორის არსებული სხვაობა წარმოშობს სამყაროზე არსებულ თვალსაზრისთა სხვაობას. ენა წარმოადგენს ერის სულის გამოხატულებას. Гумбольдт /ჰუმბოლდტი, 1984.

ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფიქსირდება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში. აღნიშნული სისტემის ათვისების პროცესში, ადამიანი ითვისებს ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებას. იგი ითვისებს უკვე მზა, დროსა და სივრცეში დადგენილ მნიშვნელობათა სისტემას. სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო ძალუძს ენას ადამიანის შემეცნებისა და მოღვაწეობის პროცესზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა.

რაც შეეხება სამყაროს ენისმიერი ხატის ლექსიკურ ასპექტს, განიხილავს რა „ენის შინაარსობრივ ელემენტებს“, სეპირი წერს: „ლექსიკა ერის კუთურის მეტად მგრძობიარე მაჩვენებელია, ხოლო მნიშვნელობათა ცვლილება, ძველ სიტყვათა დაკარგვა, ახალთა შექმნა ან სესხება დამოკიდებულია თავად კულტურის ისტორიის თავისებურებაზე. ენები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ლექსიკის თავისებურებით. სხვაობა, რომელიც, გვეჩვენება გარდაუვლად, შეიძლება, უგულებელყოფილ იქნას იმ ენებისმიერ, რომლებიც ასახავენ აბსოლუტურად სხვა ტიპის კულტურას. ამასთანავე, ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, შესაძლოა, ყურადღება მიაქციოს იმ სხვაობას, რომელიც ჩვენთვის გაუგებარია.“ Звегинцев/ზვეგინცევი, 1960.

ენის ლექსიკური შემადგენლობა წარმოადგენს იმ საკლასიფიკაციო სისტემას, მხოლოდ და ამხოლოდ რომლის მეშვეობითაც გვძალუძს სამყაროს აღქმა.

ენათა შორის არსებულ მნიშვნელოვან სემანტიკურ სხვაობებზე ნეოჰუმბოლდტიანელები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ენა განსაზღვრავს ადამიანის აზროვნებას და მთლიანად შემეცნებით პროცესს, ჯამში კი, მსოფლხედვასა და სამყაროს მთლიანობრივ სურათს, რომელიც ჩნდება შემეცნებაში. შესაბამისად, სხვადასხვა ენის მატარებელი ადამიანების ხვადსხვაგვარად აღიქვამენ სამყაროს, ქმნიან სამყაროს სხვადასხვა

სურათს. ენა არა მხოლოდ განაპირობებს, არამედ ზღუდავს კიდევ ადამიანის შემეცნებით შესაძლებლობებს.

„სამყაროს ენისმიერი ხატის“ ცნების განხილვისას ინტერესს იწვევს მოძღვრება სამყაროს სტატიკური და დინამიური სურათების შესახებ. სამყაროს სტატიკური სურათი განპირობებულია ენის წყობით და ფიქსირებულია ლექსიკონში, დინამიური სურათი კი ვლინდება მეტყველებაში, ტექსტებში, მხატვრულ ნაწარმოებებში. „სამყაროს სტატიკური ენისმიერი სურათი (მოდელი) იცვლება ისტორიულად იმ ცვლილებებთან შესაბამისობაში, რომელსაც ადგილი აქვს ენის სისტემაში. Long J. L./ლონგ ჯ. ლ., 1989. მაგარამ ყოველ კონკრეტულ პერიოდში იგი მდგრადია, როგორც ენობრივი სისტემა. Erll A., Nünning A & Young S.B./ერლ ა., ნიუნინგ ა., იანგ ს.ბ., 2008. სამყაროს დინამიური ენისმიერი სურათის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ენობრივ სისტემათა, ყველაზე ხშირ შემთხვევაში კი, ლექსიკური სისტემის, გარკვეულ ნაკლთან, რაც გულისხმობს თითოეული მოვლენისათვის მთლიანობრივი, დაუნაწევრებელი ცნების „მიმაგრების“ შეუძლებლობას. რამდენადაც განვითარებული და სრულყოფილი არ უნდა იყოს ამათუიმ ენის სისტემა, მასში არსებული საშუალებები ვერ აკმაყოფილებს შემეცნების პროცესის მუდმივად განვითარებად და ზრდად მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ, ცოცხალ კომუნიკაციურ და აზროვნების აქტებში, ენობრივ სისტემაში დაფიქსირებული ელემენტები, მათი უსაზღვრო კომბინატორული შესაძლებლობების წყალობით, ქმნიან კონკრეტულ ენობრივ კონსტრუქტთა იმ ტიპის მრავალფეროვნებას, რომელსაც ძალუმს შემეცნებისა და ადამიანის მოღვაწეობის თანამედროვე დონისათვის ხელმისაწვდომი იდეალური შინაარსის, როგორც ობიექტური რეალობის ანარეკლის“, გამოხატვა. Mohanty J./მოჰანტი ჯ., 1989. სწორედ ეს წარმოადგენს სამყაროს დინამიური სურათის არსს. სამყაროს დინამიური სურათის რეალიზაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენობრივი პიროვნების (სუბიექტის) ფაქტორს - მისი ცოდნის მარაგსა და პრაგმატიკურ მიზანს. Le Goff J. /ლეგოფ ჯ., 1992.

სამყაროს მოდელის კლასიფიკაციაში გამიჯნულია ადამიანის შემეცნების მიერ ასახული სამყაროს კონცეპტუალური სურათი - „ობიექტური სინამდვილის სუბიექტური ხატი (სახე) და სამყაროს სურათი, როგორც იმ ცოდნის ერთობლიობა, რომელიც „ლექსიკონისა და გრამატიკის ოპოზიციების სახითაა დაფიქსირებული“. გამოიყოფა

ენობრივი სუბიექტის კონცეპტოსფეროები. ენობრივი სუბიექტის როლში გვევლინება „წარმოსახვითი“ სამყაროს სუბიექტი, როგორც ინდივიდუალური და ტექსტის კონცეპტოსფეროს ერთობლიობა. ტექსტის კონცეპტოსფერო კი განიხილება ტექსტში რეპრეზენტირებულ ურთიერთ დაკავშირებულ კონცეპტთა ერთობლიობა.

მთლიანობაში, სამყაროს სურათი მოიცავს ენის მეშვეობით ასახული ობიექტური რეალობის არა მხოლოდ კონცეპტუალურ (ლოგიკურ) ანაბეჭდს, არამედ ობიექტური რეალობის გრძნობით, ხატობრივ ანაბეჭდსაც, რომელიც გენერირებულია უშუალო შეგრძნებების, წარმოდგენებისა და განზოგადებული ანარეკლის (სქემების) მეშვეობით.

1.2. კულტურა და ცივილიზაცია - ისტორიული ექსკურსი

მოდით, კულტურისა და ცივილიზაციის არსის განხილვა დავიწყოთ ისტორიული ექსკურსით. სიტყვა „კულტურა“ თავდაპირველად არ ატარებდა თავის დღევანდელ მნიშვნელობას. იგი ნაწარმოებია ლათინური ზმნისგან *colo, colui, culltur* იხმარებოდა სამიწათმოქმედო, აგრარულ სფეროში და ნიშნავდა დამუშავებას. ამ სიტყვას ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, შეიძლება ლაპარაკი ყოფილიყო მიწის, ნიადაგის დამუშავებაზე ან მცენარეულის ისეთ მოვლაზე, როცა შესაძლებელი იქნებოდა მას მიეღო ახალი, თავდაპირველი საგან განსხვავებული სახე.

ამ ზმნის სემანტიკაში ნაგულისხმევ სამ ძირითად მომენტს შენიშნავს გურამ ლებანიძე:

1. ამ ზმნით ნაგულისხმევი ქმედების შედეგად ქმედების ობიექტს უნდა მიეღო მისი ბუნებრივი სახისაგა განსხვავებული სახე;
2. ამ ქმედების ავტორი უნდა აყოფილიყო ადამიანი, რომელიც ერთი მხრივ ეყრდნობოდა ბუნებას, ხოლო მეორე ხრივ უპირისპირდებოდა კიდეც მას მისი მონაცემების არსებითი გარდაქმნის გზით;
3. ამგვარი გარდაქმნა გულისხმობდა ადროის მომენტს, ადამიანის არსებობის ფარგლებში მიმდინარე დროს, რომლის გარეშეც შეუძლებელია რაიმეს გარდაქმნა.

თანდათან ამომავალი სემანტიკა გაიშალა, გაფართოვდა და შეიძინა „დახვეწის“ მნიშვნელობა. ციცერონის და ჰორაციუსის ეპოქაში გვხვდება კულტურისა და ბუნებრივის დაპირისპირება. მათ მნიშვნელობაში უკვე დაისახა „დახვეწისა“ და „განვითარების“ შინაარსობრივი მომენტი. იგი უკვე გულისხმობს ადამიანის საკუთარ თავზე ზემოქმედებას ბუნებისმიერ მინიჭებული მონაცემების დახვეწისა და განვითარების მნიშვნელობით. ციცერონი და ჰორაციუსი ხმარობდნენ გამოთქმას „Cultura animae“ ე. ი. სულის, გონის კულტურად აქედან ჩნდება ბუნებრივისა და კულტურის ის სემანტიკური დაპირისპირება, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი კულტუროლოგიური ღირსება.

თანამედროვე მნიშვნელობით ტერმინი კულტურა XVII საუკუნიდან იხმარება. იგი დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის სახით პირველად გამოიყენა გერმანელმა იურისტმა და ისტორიკოსმა სემუელ პუფენდორფმა და ერთმანეთს ადამიანის კულტურული და ბუნებრივი მდგომარეობა დაუპირისპირა. მომდევნო საუკუნეში ეს ტერმინი ინარჩუნებს მიმართულებას ინდივიდთან პიროვნებასთან, ამავე დროს ამ სიტყვა - ტერმინის სემანტიკურ ისტორიაში ახალი მომენტიც ისახება - ჩნდება სინონიმური ტერმინები და მათთან ერთად იგი ქმნის გარკვეულ ლექსიკურ-სემანტიკურ ველს ანუ ემანტიკურად ურთიერთდაკავშირებულ სიტყვათა ჯგუფს. ეს სიტყვებია „erudition“ (გულისხმობს ცოდნის შეძენის გზით გონების განვითარებას), „civilite“ (იგი ერთმანეთს უპირისპირებს ქალაქის და სოფლის მცხოვრებს) და „police“ (გულისხმობს სოციალური ქცევის და ხვეწილობას).

ამავე საუკუნეში ეს სიტყვა შედის ფილოსოფიურ სიტყვათხმარებაში და 1773 წელს გამოსულ ვალჰის ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში მოცემულია ამ ტერმინის ფილოსოფიური განმარტების პირველი ცდა.

XIX ს-ში კრუგის ენციკლოპედიურ - ფილოსოფიურ ლექსიკონში ხვდება ტერმინი კულტურა. ლექსიკონის ავტორმა კულტურის სახეობები გამიჯნა ერთმანეთისგან. ავტორი საუბრობს ინტელექტუალურ, მორალურ, ესთეტიკურ კულტურაზე და ხმარობს ნახევარკულტურის ცნებას. ეს საუკუნე იმითაც არის მნიშვნელოვანი ტერმინ „კულტურას“ (ისტორიისათვის), რომ იგი დაუკავშირდ აკულტუროლოგიური აზროვნების განვითარებას, თუმცა, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა კულტუროლოგია თანამედროვე მნიშვნელობით.

ამავე საუკუნეში გერმანული რომანტიზმის და ჰეგელის ფილოსოფიის პირდაპირი გავლენით წინა პლანზე გამოდის სიტყვა - ტერმინი „გონი“, რომლის შინაარსშიც შედის ტერმინი კულტურისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა. ჰეგელი განასხვავებს ობიექტურ, სუბიექტურ და აბსოლუტურ გონს. აქედან მოყოლებული ეს ორი სიტყვა, შემდგომში კი სულ უფრო და უფრო კულტურა იხმარება არა მარტო ინდივიდთან დაკავშირებით, შესაძლებელი და აუცილებელი ხდება მათი გადატანა ინდივიდუალურ სფეროებზე.

შევხებით იმ ძირითად მნიშვნელობებსაც, რომლითაც კულტურა გამოიყენება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამერიკელმა სოციოლოგებმაა. კრიობურმა და კ. კლაკოჰნმა 1952 წ. ჩატარებული გამოკვლევის თანახმად კულტურას 1871 წ-დან 1919 წლამდე არსებული 7 დეფინიცია დათვალეს, 1920 წლიდან 1950 წლამდე კი კულტურის განსაზღვრებათ არიცხვმა 157-ს მიაღწია. დღესდღეობით კი კულტურის 200-ზე მეტი დეფინიცია არსებობს.

„დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა კულტურის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია: ისტორიული, სტრუქტურული, სტრუქტურულ - ფუნქციური, სისტემური და სხვა“ (გ. ლორთქიფანიძე, ლ. გორდეზიანი, 2001, გვ. 21)

ფართო აზრით, კულტურის ცნება განასხვავებს ადამიანს სხვა ბიოლოგიური არსებებისაგან. კულტურაში იგულისხმება შემოქმედის როგორც ადამიანის დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომლის მეშვეობით იგი ქმნის ახალ სამყაროს და საკუთარ თავს.

კულტურის ცნების დეფინიციები შემდეგი სახისაა: 1. აღწერილობითი ხასიათის განსაზღვრებანი, 2. ისტორიული განსაზღვრებანი, 3. ნორმატიული განსაზღვრებანი, 4. ფსიქოლოგიური განსაზღვრებანი, 5. სტრუქტურული განსაზღვრებანი, 6. გენეტიკური განსაზღვრებანი.

კულტურას სხვადასხვაგვარად განმარტავენ, მაგრამ ძირითადად მისი განმარტება ასეთია: „კულტურა განსაზღვრავს როგორც რწმენათა, ფასეულობათა და გამომსახველობით საშუალებათა ერთობლიობას, რომლებიც საერთოა რაღაც ჯგუფისათვის და ემსახურება ამ ჯგუფის წევრთა გამოცდილების მოწესრიგებასა და ქცევის რეგულირებას. კულტურის

ძირითად ელემენტებად გვევლინება ცნებები, რომელთაც შეიცავს ენა, აგრეთვე ურთიერთობანი, კავშირები, ფასეულობები, რომელთა მიხედვით ადამიანები აყალიბებენ საკუთარ მიზნებს და წესებს, განსაზღვრავენ, რა შეიძლება და რა არ შეიძლება. კულტურა გაგებულია როგორც ფასეულობათა, ქცევის ნორმათა და სტანდარტთა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობებს ერთმანეთთან, საზოგადოებასა და ბუნებასთან.” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001, 23) კულტურა მოიცავს ცალკეული ჯგუფების შექმნილ ფასეულობებს, ნორმებს, რომელთაც ისინი იცავენ და მათ მიერ წარმოებულ მატერიალურ საგნებს. ფასეულობათა როლში გამოდის აბსტრაქტული იდეალები, ნორმები კი, რომლებიც განსაზღვრავენ ნებადართულსა და აკრძალულს. წარმოადგენენ პრინციპებს ან წესებს, რომლებიც ადამიანებმა უნდა დაიცვან ცხოვრების მანძილზე.

ხოლო ყოველდღიურ სიტყვათხმარებაში ვხვდებით გამოთქმებს: „ჩაისკულტურა“, „მეტყველების კულტურა“, „ქრისტიანული კულტურა“, „ანტიკური კულტურა“ და სხვა.

კულტურის ცნებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ცივილიზაციის ცნებაზე საუბარს. კულტურის არსის მნიშვნელობა და მისი ხაზგასმა განსაკუთრებით გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც გამოვიდა ოლსვალდ შპენგლერის წიგნი „დასავლეთის დასასრული“ XX ს-ის 20-იან წლებში აქედან იწყება კულტურის გაგება როგორც ცივილიზაციის ანტონიმისა. ეს ტენდენცია არ არის უნივერსალური და მის საპირისპიროდ არსებობს მეორე შეხედულებაც, რომლის თანახმადაც კულტურა და ცივილიზაცია არათუ გამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ ერთი ფენომენის სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ. კულტურის და ცივილიზაციის დაპირისპირება პირველ რიგში რუსული და გერმანული ენობრივ-კულტურული სივრცისთვისაა დამახასიათებელი. ინგლისურენოვანი ისტორიოსოფები, მაგ: ა. ტონინი, დას. ჰანთინგტონი ამ ტერმინებს თითქმის სინონიმებადაც ხმარობენ. დაახლოებით იმავეს თქმა შეიძლება ფრანგულენოვან ისტორიოსოფოსებზეც.

მიმოვიხილოთ ცივილიზაციის ისტორია, ვნახოთ თანთან როგორ გამოიკვეთა კულტურა როგორც ცივილიზაციის არა მსგავსი, უფრომეტყვე, საპირისპირო ფენომენი და განვსაზღვროთ მათი არსი, ჩამოვაყალიბოთ მათი დეფინიცია. ამისათვის კი უნდა

განვიხილოთ ამ ორი ფენომენის, კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთმიმართების შესახებ არსებული სამი ძირითადი კონცეფცია:

1. კულტურა ონტოლოგიურად წინ უსწრებს ცივილიზაციას, ხოლო შემდეგ ამ კულტურის ისტორიის რომელიღაც ეტაპზე კულტურა გარდუვალად იქცევა ცივილიზაციად;
2. ცივილიზაცია გაგებულია როგორც კულტურის გადაგვარების, დეგრადაციის პროექტი;
3. კულტურა და ცივილიზაცია წარმოადგენენ ერთი და იმავე ფენომენის ორ შინაგან და გარეგან პროექტს: კულტურა აგებულია როგორც ცივილიზაციის შიდა (სულიერი) ასპექტი და პირიქით, ცივილიზაცია როგორც კულტურის გარე (სოციალურ - სამართლებრივ-პოლიტიკური) ასპექტი. ასეთი მიდგომა თანდათან იკიდებს ფეხს თანამედროვე კულტურებში.

ახლა ცივილიზაციის ფენომენის დაბადებას, მის მიერ განვლილ გზას გადავხედოთ.

ცნება *Civilite* დასავლური საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი იმ ეპოქაში გახდა, როცა რაინდული საზოგადოება და კათოლიკური ეკლესიის ერთიანობა ირღვეოდა. თანდათან ეს ცნება მნიშვნელოვნად აქტუალური გახდა ჯერ ე. წ. „ახალი ხანის დასაწყისში“, განსაკუთრებით კი მე-16, მე-17 სს-ში. ამ დროს ტერმინი ცივილიზაცია იძენს დაახლოებით იმ მნიშვნელობას, რომელიც დღეს აქვს. ეს მნიშვნელობა კი სამი მომენტის ურთიერთგადაკვეთამ შექმნა. პირველი მომენტი იყო ფეოდალური წეს-წყობილების ბურჟუაზიული ურთიერთმიმართებებით ჩანაცვლება. როცა ეს ცნება აქტუალური გახდა, საზოგადოებაში, ადამიანურ სინამდვილეში ხდებოდა ფეოდალურ ურთიერთობათა, ფეოდალურ ურთიერთ მიმართებათა მსხვრევად. მათ ადგილს იკავებდა ადამიანთა შორის სულ სხვა ურთიერთმიმართება, რომელიც ბურჟუაზიული იყო. ბურჟუაზია ნიშნავს ქალაქის მცხოვრებს, ე. ი. ქალაქი უპირისპირდებოდა სოფელს, რადგანაც იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ფეოდალიზმით განპირობებული ურთიერთმიმართულებები. ანუ ცივილიზებული იყო ქალაქის მცხოვრები და არასოფლის. ქალაქი დანახული იყო ცივილიზებულად, სოფელი კი - არა.

მეორე მომენტი ატარებდა მსოფლმხედველურ ხასიათს. მანამდე გაბატონებულმა ანთროპოცენტრიზმმა ადგილი დაუთმო თეოცენტრიზმს. შუასაუკუნეები იყო თეოცენტრისტული მსოფლმხედველობის ეპოქა, ე. ი. ამ მსოფლმხედველობის მიხედვით სამყაროს ცენტრში იმყოფებოდა ღმერთი - სამყაროს შემოქმედი და არამარტო შემოქმედი, არამედ მმართველიც. სამყაროც აღიქმებოდა სიმბოლურად, სამყაროც და მისი რომელიმე ნებისმიერი ცალკე აღებული საგანიც, ფენომენიც თუ ასპექტიც სიმბოლურად მიუთითებდნენ ღმერთზე, როგორც სამყაროს შემოქმედზე და გამგებელზე. მსოფლმხედველური გადატრიალება იმაში მდგომარეობდა, რომ თეოცენტრიზმი ადგილს უთმობდა ანთროპოცენტრიზმს. სამყაროს ცენტრში მოექცა ადამიანი და დღევანდელი სამყაროც უნდა მივიჩნიოთ ამ მსოფლმხედველური გადატრიალების შედეგად კონსტიტუირებული ევროპული სამყაროს მემკვიდრედ.

მესამე მომენტი მდგომარეობდა ცივილიზებულობაში, ევროპულობაში. სწორედ იმ ეპოქაში ევროპამ დაინახა თავისი განსხვავება დანარჩენი სამყაროსაგან, პირველ რიგში, კი აღმოსავლეთისგან. ცივილიზებული იყო ევროპელი და არა აზიელი, ცივილიზებული იყო დასავლეთის წარმომადგენელი და არა აღმოსავლეთის.

შარლ ფურიეს ცივილიზაციის შესახებ საკუთარი თეორია ჰქონდა. მანკაცობრიობის ისტორია 7 საფეხურად დაჰყო: „1) ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა: ადამიანები თავისუფალნი დ თანასწორნი იყვნენ, საკვები უხვად ჰქონდათ, ცხოვრობდნენ ჯგუფებად, არ იცნობდნენ მონოგამიას. 2) ველურობის საფეხური: მოსახლეობის რიცხვი იზრდება. მას თავს ატყდება წინა საფეხურისათვის უცნობი უბედურებანი. 3) პატრიარქატი: ძლიერები ბატონობენ სუსტებზე, მამაკაცები - ქალებზე. გაჩნდა კერძო საკუთრება. 4) ბარბაროსობა: ჩნდება ცივილიზაციის ჩანასახები, პირველ რიგში ხელოსნობა და ვაჭრობა. 5) ცივილიზაცია: პირადი ინტერესები უპირისპირდება საზოგადოებრივს, ქრება სამართლიანობის გრძნობა. თუმცა ცივილიზაციას დადებით მომენტებიც აქვს: სტიმულს აძლევს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, იზრდება შრომის ნაყოფიერება. 6) გარანტიზმი. 7) სოციენტიზმი, რომლის ფარგლებში მიიღწევა კაცობრიობის ბედნიერება და ჰარმონია” (გ. ლორთქიფანიძე, ლ. გორდეზიანი, 2001, 29-30).

ფურიე ცივილიზაციური წყობის სამეურნეო წესრიგს საზოგადოებრივ ბედურებად თვლიდა, რომელიც ღმერთმა კაცობრიობას დასასჯელად მოუვლინა. აქ პირადი და საზოგადოებრივი ინტერესი ერთმანეთს უპირისპირდება, ბატონობს სილატაკე, ტყუილი, ომი. მაგრამ ფურიეს აზრით ამ ყველაფერს წარმავალი ხასიათი აქვს, რადგან ცივილიზაცია ყრმისათვის კბილების ამოჭრას ედარება. იგი გადის განვითარების ოთხ ფაზას: ბავშვობის, სიჭაბუკის, სიმწიფის და ამოხუცებულობის და საბოლოოდ გაივლის როგორც ერთგვარი ავადმყოფობა.

ტ. ჰ. ბოკლი ცივილიზაციის განვითარების წყაროდ ცოდნის პროგრესს სთვლიდა. იგი ოთხ ფაქტორს ასახელებს, რომლებიც განმსაზღვრელ ზეგავლენას ახდენენ კაცობრიობის ისტორიაზე. ეს ოთხი ფაქტორია: კლიმატი, საკვები, ნიადაგი და ბუნებრივი წესრიგი. „ცივილიზაცია ბოკლს ესმოდა როგორც ხელოვნების შექმნის, ქალაქების მშენებლობის, სკოლების, ბიბლიოთეკების შექმნის უნარი“. შესაბამისად, ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ სიმდიდრის შექმნის შემდეგ. ე. ი. ხალხები, რომელთაც არ გააჩნიათ სიმდიდრე, ვერ გახდებიან ცივილიზებული.

საზოგადოების განვითარების სტიმულს ბოკლი ხედავდა არა ცვალებად და წარმავალ რელიგიებში, არამედ „გონებით ჭეშმარიტებებში“.

რუსი მეცნიერის ბერდიაევის თანახმად, ცივილიზაცია უპირისპირდება კულტურას. იგი არ არის სიმბოლური, იერარქიული. იგი არის რეალისტური, დემოკრატიული, მექანიკური. მას არასიმბოლისტური, არამედ რეალისტური მიღწევები სჭირდება. ცივილიზაცია ადამიანებს ჰუმანურობისგან ცლის. ცივილიზაცია იწყება მანქანების გაჩენიდან ადამიანთა ცხოვრებაში. ეს წყვეტს ადამიანებს ბუნებას.

თანამედროვე კულტუროლოგიური კვლევები კი ირწმუნებიან, რომ ცივილიზაცია უნდა გავიგოთ როგორც ეტაპი ადამიანთა გამოცდილებისა. ეს ფაზა დაიწყო მიწათმოქმედების განვითარებით, გაიარა ინდუსტრიული რევოლუციის ხანა და გრძელდება მასმედიამდე, რაც გლობალური კულტურის განვითარებას უწყობს ხელს.

კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთობა რთული და კომპლექსურია და აქამდე მეცნიერები არ მისულან კონსესუსამდე.

ტერმინი „ცივილიზაცია“ ტერმინს „კულტურა“ მოგვიანებით XVII ს-ში შეუერთდა, შოტლანდიელი მეცნიერი ფერგიუსონი კაცობრიობის ისტორიის ბარბარიზმად და ცივილიზაციად ყოფს. მეორე ვერსიის მიხედვით ტერმინი „ცივილიზაციათა,, შექმნეს ფრანგმა განმანათლებელმა ფილოსოფოსებმა და მას ჰქონდა ორი - ვიწრო და ფართო მნიშვნელობა. ერთმხრივ იგი გულისხმობს მაღალგანვითარებულ საზოგადოებას რომელიც პრინციპებს, გონების სამართლიანობის და რელიგიურ შემწყნარებლობას ემყარება. მეორე მნიშვნელობა მჭიდროდაა დაკავშირებული „კულტურის“ ცნებასთან და გულისხმობს კონკრეტულად ამიანურ თვისებებს - არაორდინალურ ინტელექტს, განათლებას, მანერების დახვეწილობას, ზრდილობას და ა. შ. ერთ-ერთმა პირველმა ტერმინი „ცივილიზაცია“ იხმარა მირაბომ. მან ახსნა, რომ ცივილიზაცია არის მანერების დახვეწილობა და თავაზიანობა.

თვითონ ტერმინი წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგან „civis“, რაც ნიშნავს „მცხოვრებს“ ან „მოქალაქეს“. შემდეგ მისი მნიშვნელობა გაიზარდა და ცივილიზებულად ითვლებოდა ადამიანი, რომელმაც იცოდა როგორ მოქცეულიყო. ცივილიზებული ნიშნავდა კარგად აღზრდილს და ზრდილობიანს. სიტყვა „ცივილიზებული“ და „მოქალაქეობა“ პოპულარული გახდა ასაფრანგეთის არისტოკრატიულ წრეებში.

ბრიტანეთში სიტყვა „ცივილიზაცია“ პირველად გამოიყენეს 1767 წელს. იგი გამოიყენებოდა ტერმინებთან „განათლებული ხალხი და ცივილიზაცია“, „ბნელი ეპოქა“, „ფეოდალიზმი“ ერთად.

დღეს სიტყვა „ცივილიზაცია“ ისევ ინარჩუნებს ძველ ღირებულებას და განათლების ცნებას უკავშირდება.

ტრადიციულად ტერმინი „ცივილიზაცია“ მიემართება ხალხების დაქვეყნების განვითარებულობის, ხოლო ტერმინი „კულტურა“, პირველ რიგში, სულიერების ფორმას და ხარისხს აღნიშნავს, რომელიც ამჟღავნებს ცივილიზაციის მიღწევებს.

XIX ს-ის დასაწყისში სიტყვა „ცივილიზაცია“ მრავლობით რიცხვში გვხვდება, რაც აღნიშნავს სხვადასხვა ისტორიული ეპოქების ხალხების ცივილიზაციის განსხვავებულობას.

საყურადღებოა გიზოს „ცივილიზაციის ისტორია საფრანგეთში“, რომელშიც ავტორი ავითარებს აზრს, რომ ადამიანთა ისტორია შეიძლება განვიხილოთ როგორც მატერიალური

რესურსების დაგროვების ისტორია საერთო საკაცობრიო ცივილიზაციის მსვლელობაში. მას სჯეროდა, რომ კაცობრიობას საერთო ბედისწერა აქვს და რომ დაგროვებული ცოდნის გადაცემა კაცობრიობის საერთო ისტორიაში ეს არის ცივილიზაცია. ცივილიზაცია გიზოსთან მიემართება ორ ელემენტს: სოციალური განვითარებისა და ინტელექტუალური განვითარების დონეს.

ჰერდერმა ცნებას „ცივილიზაცია“ რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭა. მათ შორის: ცხოველების მოშინაურების შესაძლებლობა, ახალი მიწების შესწავლა, ტყეების შემცირება, მეცნიერების, ხელოვნების, ვაჭრობის და პოლიტიკის განვითარება.

ცივილიზაციის თეორიებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია არნოლდ ტოინბის და ოსვალდ შპენგლერის თეორიები.

შპენგლერი ევროპის ცივილიზაციის ბედისადმი ძალიან პესიმისტურად იყო განწყობილი. მისი თეორიის მიხედვით, ცივილიზაცია უპირისპირდება კულტურას. კულტურა არის სიცოცხლე, ხოლო ცივილიზაცია გახევება, უძრაობა. შპენგლერს კულტურები ორგანიზმებად მიაჩნდა. ისტორიის ასპარეზზე გამოდიან სრულყოფილების დონეს მიღწეული კულტურები: ჩინური, ბაბილონური, ეგვიპტური, ანტიკური, ევროპული ... და ისინი არიან ორგანიზმები, ყველა ცოცხალი არსების მსგავსი. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ისინი სიცოცხლის სხვადასხვა ფაზას გადიან: ჩნდებიან, იზრდებიან, აღწევენ განვითარების უმაღლეს წერტილს და კვდებიან. შპენგლერის მტკიცებით სახეზეა ევროპის აღსასრული.

შპენგლერი უარს ამბობს „გამაანალიზებელ მსჯელობაზე“. ირჩევს „გრძნობისა და ჭკრეტის“ გზას. ყველა კულტურა წარმოგვიდგება როგორც სრული გრძნობადი სინამდვილე, რომელშიც გამოვლენილია სული ამ კულტურისა. ის სული კი პოტენციებით აღსავსე, შემოქმედებითი სულია, ძალა, ენერჯია, მისწრაფება რეალიზაციისაკენ. თავდაპირველი სულიერი მდგომარეობიდან წარმოიშობა ყოველი კულტურა. იგი „დამაგრებულია“ მკაცრად ლოკალიზებულ სივრცეში. მას შემდეგ რაც სული ამოწურავს თავის შემოქმედებით ძალებს, კულტურა იყინება, ქვავდება.

შპენგლერი თვლის, რომ კულტურის უკანასკნელი სტადია არის ცივილიზაცია და კულტურის გაფურჩქვნას მოსდევს ძალთა გამოფიტვა. იგი ასკვნის, რომ ცივილიზაცია არის კულტურის გარდუვალი ბედი.

ევროპულ კულტურას შპენგლერი ფაუსტური სულის გამოვლენად თვლის, მიაჩნია, რომ ფაუსტი ბერდება და დასავლური კულტურა შედის ცივილიზაციის სტადიაში.

შპენგლერი თვლის, რომ კულტურის სტადიაზე დიდი სულიერი გადაწყვეტილებების ასპარეზია მთელი ქვეყანა, ცივილიზაციის სტადიაზე კი ამგვარ ამოცანებს წყვეტს სამი ან ოთხი მსოფლიო ქალაქი. ისინი უპირისპირდებიან დანარჩენ სამყაროს, როგორც პასიურს, პროვინციულს.

ცივილიზაცია, ახალი ტიპის ადამიანსაც წარმოქმნის. კულტურის ეპოქაში ადამიანი მდიდარია ტრადიციებით, მიწასთან არის შეზრდილი, ცივილიზაციის ეტაპზე კი ჩნდება ადამიანი - ქალაქელი, მომთაბარე პარაზიტი, მასში გათქვეფილი, რელიგიურ რწმენასა და ტრადიციებს მოკლებული.

განსხვავებულია ტონზის მსოფლმხედველობა, რომელსაც „კოსმიური ოპტიმიზმიც“ კი უწოდეს.

შპენგლერის მსგავსად, ტონზიც საუბრობს ლოკალურ ცივილიზაციებზე, ადამიანთა მასებზე და ბარბაროსად ქცეულ ადამიანებზე, მაგრამ განსხვავებით შპენგლერისაგან არ განიხილავს კულტურას როგორც ბიოლოგიურ ორგანიზმს. ტონზი ასევე არ უპირისპირებს ერთმანეთს კულტურასა და ცივილიზაციას, არამედ მათ ერთი მთლიანის მხარეებად მოიაზრებს.

მეოცე საუკუნის მიერ წარმოშობილი ახალი საფრთხის - ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, ტონზის აზრით, ცივილიზაციებმა უარი უნდა თქვან ომებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის პოლიტიკური მიზნებით გამოყენებასა და თანამედროვეობის იდეოლოგიებზე. რაც შეეხება მომავლის პოლიტიკურ - ადმინისტრაციულ ერთეულს, ასეთად მას მსოფლიო ქალაქი ესახება, ხოლო სულიერ სფეროში რელიგიური საფუძვლებისაკენ მიბრუნების საჭიროებას ხედავდა.

ტონზი ცივილიზაციას განმარტავდა როგორც თვით იდენტიფიკაციის უმაღლეს დონეს მიღწეულ კულტურას. ტონზი ფიქრობს, რომ ყოველ ცივილიზაციაში კაცობრიობა არსებობის პრიმიტიული ფორმის დამლევას და გონით რეალობის სფეროსთან მიახლოებას ცდილობს, ხოლო ცივილიზაციას ქმნის საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც „შემოქმედებით უმცირესობას“, ელიტას უწოდებენ, ხოლო ცივილიზაციას საფრთხეს უქმნის ელიტის შემოქმედებითი ძალების დაკარგვა და მისი მხრიდან თვითკმაყოფილებისათვის თავის მიცემა.

ტონზი სხვადასხვა ეპოქათა ცივილიზაციებს თანამედროვე ერთობებად მოიაზრებს. ამასთანავე მიიჩნევს, რომ, თუმცა წარმოშობითა და ზრდა - განვითარებით, აღზევებითა და დაცემით ყველა ცივილიზაცია ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ ამის მიუხედავად ისტორია არ არის ცივილური ბუნების.

ტონზის აზრით ცივილიზაციები არის პასუხი გამოწვევაზე. ამგვარივე „გამოწვევა - პასუხის“ შედეგია რელიგიებიც. რელიგია მას ესმის როგორც სამყაროში არსებული უმაღლესი გონით რეალობის ძიება, ადამიანის მიზანიც ჭეშმარიტების წვდომა და მასთან თანშერწყმა წარმოადგენს. ისტორიის მიზანიც და საზრისიც ეს არის. ტონზი იქვე დასძენს, რომ ცივილიზაციებს უმაღლესი მიზნისთვის არასოდეს მიულწევიათ, რადგან ცივილიზაცია არის მოძრაობა და არა მდგომარეობა, ეს არის მოგზაურობა და არა თავშესაფარი” (ფიფია, 2005, 17).

ტონზი უარყოფს ადამიანური ბუნების პროგრესს, მაგრამ შესაძლებლად ესახება ადამიანის სულიერი ზრდა, თითოეულ პიროვნებაში სათნოები სსრულყოფა, რაც რელიგიური პროგრესია.

ტონზი გამოყოფს პროგრესს ისტორიული დროის ფარგლებში და ტექნიკურ პროგრესს. პირველი კულტურული, სულიერი მემკვიდრეობის სრულყოფას გულისხმობს, მეორის დასტური კი მეცნიერული ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენებაა. ინგლისელი მეცნიერი უპირატესობას პროგრესის პირველ ტიპს ანიჭებს, რადგან, თუ სულიერება დაიკარგება, ტექნიკის პროგრესი შეიძლება კატასტროფად შემობრუნდეს. მისი აზრით დასავლური ცივილიზაცია საფრთხის წინაშე ქრისტიანული ფუნდამენტის დაკარგვამ

დააყენა. მას სულიერი მთლიანობის აღდგენა რელიგიისკენ მიბრუნებით მიაჩნია შესაძლებლად.

ტონზის კონცეფცია მნიშვნელოვანი იყო დასავლეთისათვის, რადგან მან ევროპელებს გადარჩენის გზა უჩვენა და ევროპული კულტურა გარდუვალობის „განაჩენისგან“ იხსნა.

დღეს საუბრობენ ცივილიზაციის სამ ძირითად ინტერპრეტაციაზე:

1. ლოკალურ ისტორიული, როცა სხვადასხვა რაოდენობისა და სახელწოდების ცივილიზაციებს ითვლიან. სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ მათი ურთიერთობაც;
2. ისტორიულ-სტადიური ამა თუ იმ კრიტერიუმზე დაყრდნობით სხვადასხვა ტიპის ცივილიზაციებს განარჩევს. მაგ: ზეპირს, კოსმოგონურს, ევოლუციურს, ინფატიურს და ა. შ.;
3. მსოფლიო - ისტორიული. ამ უკანასკნელის თანახმად ცივილიზაცია გაიგეს, როგორც კაცობრიობის ისტორიული განვითარების საფეხური, რომელიც მოსდევს ველურობისა და ბარბაროსობის საფეხურებს.

დღესდღეობით ცნება ცივილიზაცია სრულიად განსხვავებულ ფაქტებს, ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მიესადაგება. იგი შეიძლება „ტექნიკის მდგომარეობას, მანერების სახეს, მეცნიერული ცოდნის განვითარებას, რელიგიურ იდეებს და ჩვევებს: ქალისა და მამაკაცის ცხოვრების ან თანაცხოვრების წესს, სამართლებრივ დასჯის ფორმებს თუ საჭმლის მომზადებას ეხებოდეს. კარგად რომ დავაკვირდეთ, თითქმის ვერაფერს ვიპოვით, რაც არ შეიძლება „ცივილიზებულ“ ან „არაცივილიზებულ“ ფორმაში მოვაქციოთ, ამდენად, რთულია, რამდენიმე სიტყვაში ჩავტიოთ ყველაფერი, რასაც შეიძლება „ცივილიზაცია“ ეწოდოს”.

ცივილიზაციის ცნება განსაკუთრებით ახლობელია დასავლეთის ადამიანისათვის. ნორბერტ ელიასი მას „ნაციონალურ ცნობიერებას“ უწოდებს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ერის წარმომადგენელს სხვადასხვაგვარად ესმის ეს ცნება. მაგალითად, ინგლისელისთვის და ფრანგისთვის ეს ცნება აერთიანებს როგორც საკუთარი ერის

მნიშვნელობას, ასევე სიამაყეს დასავლური სამყაროს და კაცობრიობის პროგრესით. გერმანელისთვის კი ცივილიზაცია არაღაც ძალიან საჭიროს, მაგრამ მაინც მეორე რანგის ღირებულებებს აღნიშნავს, იგი ადამიანური არსებობის ზედაპირულ შრეს მოიცავს, ხოლო იმას, რისი საშუალებითაც გერმანელები საკუთარი მიღწევებით ამაყობენ და თავსმოიწონებენ და ასევე გამოხატავენ საკუთარ არსს კულტურა უწოდეს.

„ცივილიზაციის ფრანგული და ინგლისური ცნება ეხება პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ან ტექნიკურ, მორალურ თუ საზოგადოების ფაქტებს. კულტურის გერმანული ცნება კი მიმართებაშია გონის, ხელოვნების, რელიგიის ფაქტებთან და მასში ვლინდება ძლიერი ტენდენცია, აღმართის გამყოფი კედელი ერთის მხრივ, ამ სახის ფაქტებსა და მეორეს მხრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტებს შორის.“ ცივილიზაციის ინგლისური და ფრანგული ცნება მხედველობაში იღებს ქცევას, ბიჰევიორს, მიუხედავად იმისა მიღწეულ იქნა ამქვევით რაიმე თუარა. კულტურის გერმანულ ცნებაში კი მიმართება ბიჰევიორთან უკანა პლანზე გადადის.

ორივე შეხედულებას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, მაგრამ ნათელია, რომ კულტურა და ცივილიზაცია არ არის იდენტური და მათ შორის განსხვავება ნათელი და საგრძნობია.

მაინც რა არის ის ფენომენი, რომელიც სხვადასხვა ფესვიდან აღმოცენებას უწყობს ხელს? მეცნიერთა ერთი ნაწილი და მათ შორის გურამ ლებანიძეც თვლის, რომ ასეთი ფენომენი არის კულტი. კულტი როგორც კულტურის წარმომშობი და საფუძველთა საფუძველი.

მივედით კულტურის დეფინიციამდე. თუმცა ვიდრე კულტურის დეფინიციაზე გადავალთ შევეხებით კვლევის მეთოდებსაც.

ეს დეფინიცია ასე ჟღერს: „კულტურა არის მოცემული სოციუმის ის შინაგანი ანუ ინტერეგზისტენციალური განზომილება, რომელიც მას (ამ სოციუმს) ისტორიული დროის მისთვის გადამწყვეტ ეტაპზე შეუქმნა მის მიერ მიღებულმა და გათავისებულმა მსოფლხედვამ“ (ლებანიძე, ელ. ვერსია, 12).

შინაგანი გულისხმობს იმას, რაც ამ სოციუმს განასხვავებს სხვა სოციუმებისაგან იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბევრი აქვს მათთან საერთო, ეს საერთო კი როგორც წესი, არის ხოლმე ცივილიზაციური ელემენტი ჩვენს არსებობაში. „მაგილათად“ ქართულ სოციუმს ბევრი რამ აქვს საერთო სხვა სოციუმებთან: სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, ტექნიკა, რომელსაც ვიყენებთ და ა. შ. მაგრამ არის ისეთიც, რაც მხოლოდ ჩვენია და გვეერთიანებს როგორც ქართველებს - ჩვენი წარსული, ჩვენი ფოლკლორი, ჩვენი ხელოვნება დამწერლობა, ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება, ჩვენი დამოკიდებულება ადამიანური არსებობის ისეთ მომენტებისადმი, როგორცაა სიკვდილ-სიცოცხლე, სიყვარულ-სიძულვილი და ა. შ.

რაც შეეხება ტერმინს „ინტერეგზისტენციალური“. ეგზისტენცია არსებობას ნიშნავს, მაგრამ „თანამედროვე აზროვნებაში ამ ტერმინით აღინიშნება არა არსებობა ზოგადად, არამედ არსებობის მხოლოდ და ტიპურად ადამიანური ფორმა და შინაარსი - არსებობა იმ სიღმისეული გაგებით, რომელიც ნიშნავს არა უბრალოდ აქ ქვეყნად ყოფნას, არამედ თვით ამ ყოფნის ფაქტისადმი დამოკიდებულებასაც... ასე რომ „ეგზისტენციალურიც“ ნიშნავს „შინაგანს“, მაგრამ უკვე „სიღმისეულად შინაგანს“.

ამგვარი მსჯელობა უკვე განსაზღვრავს ცივილიზაციის არსსაც. „თუ კულტურა არის სოციუმის სიღმისეულად შინაგანი ანუ ეგზისტენციალური განზომილება, მაშინ ცივილიზაცია უნდა ნიშნავდეს იმავე სოციუმის გარეგან, სოციუმის წევრთან პრაგმატული თვალსაზრისით დაკავშირებულ განზომილებას. ცივილიზაციას - თუ ჩვენ მას ამგვარად გავიგებთ - აქვს არსებობის ორი პოლუსი: სოციუმის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის (სტრუქტურა) და ტექნიკა, ყოველივე დანარჩენი კი, რაც აგრეთვე ცივილიზაციას ეკუთვნის, ასე თუ ისე მოქცეულია ამ ორ პოლუსს შორის“.

ამგვარად, კულტურა და ცივილიზაცია მოგვევლინენ როგორც ორი განსხვავებული გენეზისის ფენომენი, მაგრამ მათ შორის მიჯნა შეიძლება შესუსტდეს, გაილიოს და გაქრეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოციუმი კარგავს თავის შინაგან სიღმისეულ განზომილებას და ის, რაც აქამდე იყო კულტურა, გადაიზრდება ცივილიზაციაში და შესაბამისად სოციუმი იქცევა ერთგანზომილებიან ფენომენად, მაგრამ ერთგანზომილებიანი სოციუმი აღარ არის სოციუმი ამ ტერმინის სრული მნიშვნელობით, ამგვარად, მეორე ოპოზიციის ნეიტრალიზაციას ისევე მიყვართ სოციუმის აღარ არსებობამდე, გაქრობამდე, როგორც პირველისას.

თბილისის უნივერსიტეტის მიერ გამოპცემულ წიგნში „კულტუროლოგია“ კულტურის რამდენიმე სახეობად დაყოფას წააწყდებით. ლაპარაკია მატერიალურ კულტურაზე, სულიერ კულტურაზე და ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი ზნე-ჩვეულებანი.

მატერიალურ კულტურას ზოგჯერ უწოდებენ „კულტურას საგნობრივ სამოსელში“, რადგან იგი უშუალოდაა დაკავშირებული მატერიალურ რესურსებთან, რომელთაც ადამიანი იყენებს როგორც მასალას. მატერიალურ კულტურაში შედის არქიტექტურული ძეგლები, შენობა-ნაგებობანი, კომუნიკაციისა და სატრანსპორტო საშუალებანი, პარკები, ადამიანის მიერ სახეცვლილი ლანდშაფტი და ა. შ. მატერიალური კულტურა მოიცავს ასევე წარსულის ძეგლებს, არქეოლოგიურ ობიექტებს და სხვა.

თავი II. ეპოქა, ღირებულებები, ნორმები, სიმბოლოები

სულიერ კულტურას მიაკუთვნებენ სულიერი კულტურის არტეფაქტებს: ზნე - ჩვეულებებს, ადამიანთა ქცევის ნორმებს, ზნეობრივ, ესთეტიკურ, რელიგიურ და პოლიტიკურ იდეალებს. ესაა ინტელექტუალური, სულიერი მოღვაწეობის შედეგები.

ზნე - ჩვეულებანი სულიერი კულტურის ერთ - ერთი უძველესი ელემენტია. ისინი ქცევის ძირითადი რეგულირების როლს ასრულებენ არქაულ საზოგადოებებში. ისინი თანამედროვე, დინამიურ საზოგადოებებში თანდათან მცირდება, თუმცა არსებობენ ყველა განვითარებულ კულტურაში.

წიგნში, რომელზეც ვსაუბრობთ ასევე ნახავთ კულტურის არა სპეციფიკურ და სპეციალიზებულ ფორმებად დაყოფას. „არა სპეციფიკური ფორმებია პირადი ცხოვრება, საოჯახო და არაფორმალური ჯგუფური ურთიერთობანი, მორალი, პრაქტიკული ცოდნა, ყოფილი ესთეტიკა, ცრურწმენანი და სხვა ... კულტურის სპეციალიზებულ ფორმებს წარმოადგენს საზოგადოების ფუნქციონირების ინსტიტუირებული სფეროები. მათი ნაწილი უზრუნველყოფს საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას, სოციალურ წესრიგს, ურთიერთობებს მის წევრთა შორის.“

შემდეგ ავტორები კულტურის ფუნქციებზე საუბრობენ და რამდენიმე მათგანს გამოყოფენ: მიუთითებენ, რომ კულტურის უმთავრესი ფუნქციაა კაცობრიობის სულიერი გამოცდილების შენახვა და კვლავ წარმოება, მისი გადაცემა თაობებისათვის და მისი გამდიდრება.

კულტურა ასევე შემეცნებით ფუნქციას ასრულებს, რომელიც ერთი მხრივ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების შემცნებას ნიშნავს, მეორე მხრივ კი ადამიანისმიერ საკუთარი თავის თვითშემცნებას.

კულტურის ინფორმატიული ფუნქცია უზრუნველყოფს ისტორიულ მემკვიდრეობას და სოციალური გამოცდილების გადაცემას.

სოციალიზაციის ფუნქცია მდგომარეობს „ინდივიდის მიერ ცოდნის, ნორმებისა და ფასეულობათა გარკვეული სისტემის ათვისებაში, რაც მას საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აქცევს.“

კომუნიკაციური ფუნქციის განხორციელებად გვევლინება „სამეტყველო ენა, ხელოვნების სპეციფიკური „ენები“, აგრეთვე მეცნიერების ენა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და სხვა სიმბოლოებითა და ფორმულებით“.

რეგულაციის ფუნქციის მეშვეობით შენარჩუნებულია სოციალური წონასწორობა ამათუიმ საზოგადოებაში.

ჩემთვის ყურადსაღებია ერთი მომენტი: რომ მითი, რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება, კულტურის ფუძემდებლური ინსტიტუტებია. ამაზე მოგვიანებითაც გვექნება საუბარი.

კულტურა მითოსიდან ვითარდება. მართალია მითი თანამედროვე კულტურაში არქაულ, რუდიმენტულ როლს ასრულებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მითმა ამოწურა თავისი თავი.

მითის შემდეგ კულტურაში დომინირებს რელიგია. კულტურაც, თავის მხრივ, ზემოქმედებს რელიგიაზე. ეს ორი ერთმანეთს განსაზღვრავს.

მითისა და რელიგიის პარალელურად კულტურის ისტორიაში არსებობს ხელოვნება და მეცნიერება, რომელიც შედარებით ახალი ინსტიტუტია.

ჩვენთვის ტერმინი სამყაროს კულტურული ხატი მოიცავს უფროზუსტ კონცეფციას, ვიდრე მსოფლიოს სურათს. კონცეფცია კულტურათაშორისი ნიშნავს თუ რამდენად ვისწავლეთ და ვადასტურებთ საკუთარ თავს და სხვებს კულტურის მეშვეობით. სტუდენტი ფორმულირებას ახდენს სამიზნე ენის კულტურის, რაც შეიძლება იყოს აზრების, ცრუ რწმენების, დამოკიდებულებების და სტერეოტიპების ჯგუფი. სტუდენტი აყალიბებს ე. წ. ინტერკულტურას.

სტერეოტიპები ხშირად განისაზღვრება როგორც განზოგადება გარკვეული ჯგუფის ხალხისა. ისინი არიან ცალმხრივი და სქემატური ანარეკლი ადამიანთა ჯგუფისა, სოციალურ

მოვლენების და ბუნების სტერეოტიპებს გარკვეული სიმათლევ გააჩნია, რადგან შეიძლება ემყარებოდნენ ნათელ აღქმას. სტერეოტიპების გამოყენებით შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ და ახსნან ადამიანის საქციელი და ახალი, უცნობი ფენომენი.

რუსი სტუდენტების ბუნება არის მეგობრული, დახმარებისათვის მზადყოფი, სტუმართმოყვარე.

ეროვნული ხასიათის შესახებ კითხვა შეიქნა ევროპასა და რუსეთში XIX ს-ში. რუსეთში ეს ეროვნული მითის ნაწილია. კარმაინი აცხადებს, რომ არარსებობს ეროვნული ხასიათი, თუ იგი გაიგება როგორც ადამიანის პიროვნული, მენტალური და მორალური თვისებების ბუნებრივი სისტემა. ხასიათი არსებობს, თუ იგი გაიგეს როგორც კონკრეტულის სტაბილური კომპლექტი კულტურულ ღირებულებებში, დამოკიდებულებასა და საქციელში.

რათა ახალი ენის და კულტურის შესწავლაში უფრო ღმად შევიდეთ, კარგი იქნებოდა განგვეხილა ღირებულებები, რომლებიც სტერეოტიპებია. უცხო კულტურის იდეა, დაფუძნებული სტერეოტიპებზე კარგი იქნებოდა განგვეხილა ღირებულებები, რომლებიც სტერეოტიპებია. უცხო კულტურის იდეა, დაფუძნებული სტერეოტიპებზე, შეზღუდულია და ხშირად გადმოგვცემს უცხოური კულტურის დამახინჯებულ სახეს.

კულტურის წარმოშობის შესახებ ჯერაც ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა.

ფსიქოანალიზის მამამთავარი, ფროიდი თავის წიგნში „ტოტემა და ტაბუ“ გვაძლევს გასაღებს კულტურული გენეზისისა. რიტუალური მკვლევლობა გვიჩვენებს, რომ ეს იყო კაცობრიობის ისტორიის დასაწყისი, ხოლო წუხილმა დასაბამი მისცა სინდიდის ფენომენს და აღმოაცენა კულტურა, როგორც საშუალება სულიერი აქტის დაძლევისა. ასეთია ფროიდის ვერსია, თუმცა იგი არ არის განმტკიცებული.

კულტურის წარმოშობის თეორიიდან ასევე საყურადღებოა თამაშის თეორია. იგი დიდად განვითარებულია ჰოლანდიელი კულტურის ისტორიკოსის ჰაიზინგას ნაშრომებში. მას სჯერა, რომ კულტურა ჩნდება თამაშის სახით. მისი პირველი სახეებია: სანადიროდ წასვლა, როცა პრიმიტივი ადამიანი გაითამაშებდა ნადირობის მომავალს. ამ თამაშებში ხალხმა გამოხატა სიცოცხლის და სამყაროს მათეული გაგება. მაგრამ არსებობს კითხვა: ყველა

ცხოველს ძაულძს ითამაშოს, მაშინ რაში მდგომარეობს სახეობების თამაშით მოჯადოება? ადამიანი არა მხოლოდ თამაშობს, არამედ ქმნის კულტურას. რატომ არ იქცევა ასე არცერთი სხვა ცოცხალი არსება? კულტურული გენეზისის სიმბოლური კონცეპტისა და მისი შემოქმედის კასირელის მიხედვით ამ როლის ბუნებამ აღმოაცენა სოციო-კულტურული პროგრამა და შემდეგ განავითარა საგანგებო სისტემა. ადამიანი გახდა შემოქმედი და ხასიათის შემოქმედი, რამაც შექმნა კულტურის საფუძველი.

ადამიანის ცნობიერება კარს უღებს მის შემოქმედებით საქმიანობას. აქედან დიდი მნიშვნელობა აქვს წერის, ბეჭდვის, რადიოსი, ტელევიზიის და ა. შ. ასე დაიწყო სამყაროს ხატისკ ულტურული ასპექტის ჩამოყალიბება - იდეოლოგიური მოდელისა, რომელიც იღებს განსაზღვრას ადამიანის ურთიერთობისა სამყაროსთან, ადამიანთა სამყაროსთან, რათა გაიგოს სამყარო, მხედველობაში მიიღოს ადამიანის როლი და ადგილი და განსაზღვრა იმ ძირითადი პრინციპებისა რომლებიც განსაზღვრავენ კულტურულ ბიჰევიორს.

ენის კულტურა. ენის კულტურა ეს არის რეალობის შეცნობის უნივერსალური ფორმა, ენის კულტურა არის ნიშნები, ფორმები, სიმბოლოები. ენის კულტურა, საშუალებები, ცოდნა, ტექსტები რომლებიც ადამიანებს საშუალებას აძლევენ ერთმანეთთან კომუნიკაციაში შევიდნენ, რომ გზა გაიგონ კულტურის სივრცეში.

თავდაპირველად მოგვიწევს კულტურის შესწავლა. სისტემის ღირსებების შეფასება შეუძლებელია ენის დაუფლების გარეშე. მეორეც, ენის საშუალებითაა, რომ ადამიანი სწავლობს შეფასებას, დაფასებას ყველაფრისა, რაც განსაზღვრავს სამყაროს კულტურულ ხედვას. კულტურის ენა - ეს არის გზა შეინახო და გადასცე თაობიდან თაობას. მესამეც, ენის და კულტურის გაგება და დაუფლება იძლევა ადამიანის თავისუფლებას. იგი ეხმარება გაიგოს თავისი ადგილი კულტურაში.

ენა სოციალური მოვლენაა. მათ ვერ დაეუფლები სოციალური ინტერაქტის გარეშე, სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის გარეშე.

ადამიანური კომუნიკაცია მოითხოვს დახელოვნებას. ყოველ ხელოვნების ფორმას აქვს თავისი საკუთარი ენა, ხელოვნება ატარებს ინფორმაციის ნიშნებს სისტემის სახით.

ღირებულებების გამოხატვის მეთოდსა და სემანტიკური ტვირთის ბუნებაზე დაყრდნობით ჩარლ პირსმა მოგვცა შემდეგი ტიპების კლასიფიკაცია.

1. ხატისებური ნიშნები - ხატისებური არქიტექტურის მაგალითებია სვეტები ქალის ფიგურით, ატლანტა;
2. ნიშნები-ინდექსები, რომლებიც მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობას ეფუძნება. მაგალითად გუმბათის არქიტექტურა, ჭიშკარი - ნიშანი პარკის, ეზოსი, ბაღის;
3. ნიშნები-სიმბოლოები საგნებისა, რომლებიც შეთანხმებას ეფუძნება. (კონვენციური ნიშნები). იარაღის ტიპი, ჰერალდიკური სიმბოლოები, ნუმისმატიკა და სხვა;
4. მითი - ეს არის სოციალური ცნობიერების ყველაზე ძველი ფორმა და სამყაროს გაგების საშუალება. იგი დამახასიათებელია არქაული კულტურისთვის და ჩასახულია ქვეცნობიერში. მითი რელობაა, მხოლოდ სხვადასხვა დონეზე და არაობიექტური რელობა.

მითოლოგიური ხედვის ძირითადი თვისებებია შემდეგი:

1. ანთროპომორფიზმი ანუ ადამიანური სამყაროს თავისებური ტრანსფერი;
2. გაპიროვნება - გაპიროვნება ბუნებრივი ძალების და ადამიანური აქტივობის მეთოდები;
3. ხელოვნების მითოლოგიური აზროვნება, ქმედები სხატი მაგრამ არაკონცეპტი;
4. გამართლება იმისა რაც ემართება სხეულს;
5. მითიური სურათი სიცოცხლისა ყველაზე მეტად წარმოუდგენელ ეგზისტენციალურ ფანტაზიებში. რომელიც დაკავშირებულია შინაგან რეალიზმთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუს ფილოსოფოსმა ლინმა მითი ასე განსაზღვრა: ეს ის სოციალური სიბრძნის გზაა, რომელიც ბავშვს და ბრძენს აერთიანებს.

შუა საუკუნეებში ტერმინი „მითი“ მიემართება მხოლოდ წარმართულ რელიგიებს და ფოლკლორის ფორმებს. განმანათლებლობის ხანაში იგი არის ფანტაზია, სუბიექტური წარმოსახვა და როგორც წესი მოიცავს ზებუნებრივ მოქმედებებს და მოვლენებს.

ასეთი მიდგომა არსებობდა XIX ს-მდე. XX ს-მ ამ ტერმინის პოლისემანტიზაცია გამოიწვია.

სხვადასხვა ფილოსოფიის სხვადასხვაგვარად უდგებოდა მითებს:

სოკრატესთვის მითი პოეზიასთან ასოცირდებოდა და მას ფილოსოფიისთვის მიუღებლად თვლიდა.

პლატონისთვის მითი სიცრუეა, ოღონდ ჭეშმარიტი სიცრუე. არისტოტელე კი მითებს დიდ ყურადღებას არ უთმობდა.

სტოიციზმმა მითოლოგია სულიერ, ცოცხალ ორგანიზმად და კოსმოსის ნაწილად აქცია. პოსეიდონი მთლიანად სამყაროს ელემენტებს გამოხატავს.

მარქსი მიუთითებდა, რომ მითოლოგია არაფერია.

კიდევ ერთი საყურადღებო მიდგომა ეკუთვნის კიკოს და ნიცშეს. ისინი იცავენ იმ აზრს, რომ კულტურულ - ისტორიული პროცესი ციკლურად უბრუნდება მითებს. მითი იყო რეალობა და ისევ იქნება, როდესაც მთელი ინტელექტუალური შესაძლებლობები ამოიწურება.

ასე, რომ მითოლოგიური, გულუბრყვილო, სპონტანური რეალისტური სამყაროს ხატის შრეები ბუნებრივი ეტაპია ეროვნული ცნობიერების განვითარებაში.

რელიგიურ სიმბოლურ მოდული ერთმანეთში არ ურევს მიწიერს და წმინდას. რელიგიურმა ხედვამ სამყაროსი განავითარა ევროპული კულტურული ტრადიცია შუასაუკუნეების. მონოთეისტურ რელიგიებში (ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) ხელოვნება თაყვანისცემის ელემენტია.

არისტოტელეს აზრით კი, ხელოვნება არა მხოლოდ ქმნის ობიექტის და მოვლენების სახეს ასევე ქმნის იმპულსს რომ შევადაროთ ისინი.

ზოგ მკვლევარს კი სჯერა (დარვინი, გროსი და სხვები) რომ ხელოვნება სექსუალურ მიმზიდველობას წააგავს და ეს ერთ-ერთი შესაძლებელი პასუხია ხელოვნების წარმოშობის შესახებ კითხვაზე.

კულტურისგან გაუმიჯნავია ენა. ენა, კულტურა და აზროვნება ურთიერთდაკავშირებულია, რომელთაგან არცერთს არ შეუძლია იფუნქციონიროს სხვების გარეშე. ერთად ისინი ასახავენ რეალურ სამყაროს.

ასე რომ, ადამიანთა სამყარო წარმოდგენილია სამი ფორმით:

1. სამყაროს ნამდვილი სურათი;
2. სამყაროს კულტურული ხატი;
3. სამყაროს ენობრივი ხატი.

რეალური სურათი ის სამყაროა, რომელიც ადამიანს გარს აკრავს.

კულტურული ხატი არის ასახვა ნამდვილი სურათისა გარდატეხილი კონცეპტების პრიზმაში, რომლებიც განვითარდა ადამიანური გრძნობების რეპრეზენტაციების საფუძველზე და გაიარა ადამიანის გონება კოლექტიურად და ინდივიდუალურად.

სამყაროს კულტურული სურათი სპეციფიკურია და სხვადასხვა ერის მიხედვით განსხვავებული. ეს რამდენიმე ფაქტორის გამოა. ესენია: გეოგრაფია, ისტორია, კლიმატი, ბუნებრივი პირობები, სოციალური სისტემები, რწმენა, ტრადიციები, ცხოვრების სტილი და ა. შ. ევროპელები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ კულტურულ სცენას. მაგ: დიდ ბრიტანეთთან ასოციაციებია: ნისლი, წვიმა, შექსპირი, ჩაის დრო, რობინჰუდი, ფეხბურთი და სხვა. გერმანიასთან: ლუდი და ძეხვი, პუნქტუალობა, ჰიტლერი, მერსედესი, კინდერი და სხვა საბერძნეთთან: მითები და ღმერთები, პართენონი, ზეთისხილი, ძველი საბერძნეთი.

კულტურული ანთროპოლოგია განიხილავს კულტურას როგორც ხალხის ერთიანი ცხოვრების პროდუქტს. მაგრამ იგი არ არის ყველა ადამიანური აქტივობის უბრალო ჯამი. მის გულში არის „თამაშის წესების“ წყება, რომელიც შეიძინება კოლექტიური არსებობის მსვლელობისას, ისინი არ არიან გენეტიკურად ბოძებული და ნასწავლი, ამიტომ შეუძლებელია უნივერსალური კულტურის არსებობა, რომელიც ახლოებს ყველა ხალხს დედამიწაზე. ლოკალური კულტურები შეადგენენ მთლიანად ამიანურ კულტურას. ლოკალურსა და ეთნიკურ კულტურებს შორის ურთიერთქმედების შედეგად კომუნიკაციური სისტემა იძლევა სტილისა და ქცევის მრავალფეროვნებას.

კულტურული იდენტურობა შეიძლება წარმოჩნდეს ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში: რათა დაემთხვეს ბიოლოგიურ მოთხოვნებს, ბიჰევიორის ბუნებრივ ჩვევას, საცხოვრებლის და ტანსაცმლის ტიპს და ა. შ. მაგალითად ანთროპოლოგებმა დიდი ხნის წინ შენიშნეს, რომ მეზობელი ხალხები ერთმანეთისგან განსხვავებულ სახლებს აშენებენ. რუსეთის ჩრდილოეთში სახლებს ქუჩის ბოლოს აშენებენ, სამხრეთში კი ქუჩის გასწვრივ. XIX ს-ში შესაძლებელი იყო გლეხის ჩაცმულობის მიხედვით გვეთქვა საიდან იყო იგი. ასე რომ საკაცობრიო კულტურა სხვადასხვა ადგილობრივი კულტურებისგან შედგება. მსოფლიოს კულტურული სურათი არის შედეგი იმ ფაქტისა, რომ ხალხი სხვადასხვა კულტურაში აღიქვამს, შეიგრძნობს და გამოცდის სამყაროს თავისებურად და ამგვარად ქმნის უნიკალურ ხატს სამყაროსი.

სამყაროს კულტურული ხატის ხვადასხვა კულტურულ ფენომენში აისახება. განსხვავებაა მაგალითად ერთიმხრივ მადაგასკარულ დაკრძალვებსა და ამერიკულ ან რუსულ დაკრძალვებს შორის. პირველი ზოგჯერ რამდენიმე კვირა გრძელდება, მაშინ როდესაც უკანასკნელი რამდენიმე საათში სრულდება.

ენა აირეკლავს სამყაროს ჩვენ ირგვლივ. ყოველი სიტყვა არის ობიექტური ან ფენომენი რეალურ სამყაროში. ენა ასახავს გეოგრაფიას, ჰავას, ისტორიას, ცხოვრებისეულ პირობებს. ესკიმოსებს არაერთი სიტყვა აქვთ თოვლის ამსახველი.

უეჭველია ასევე ენასა და მასზე მოლაპარაკებებს შორის კავშირები და ურთიერთდამოკიდებულება. ენა არის კომუნიკაციის საშუალება ადამიანებს შორის და მჭიდროდ უკავშირდება ცხოვრებას და სიტყვის განვითარებას საზოგადოებაში, რომელიც მას კომუნიკაციის საშუალებად იყენებს. ადამიანი აღიქვამს და იგებს სამყაროს გრძნობების მეშვეობით და ამ საფუძველზე აყალიბებს იდეების სისტემას სამყაროში და გადასცემს მას საზოგადოების სხვა წევრებს. უეჭველია ენისა და აზრის ახლო ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება და მათი კავშირი კულტურასა და რეალობასთან. ამათგან არც ერთს არ შეუძლია ფუნქციონირება მეორეს გარეშე.

ასე რომ ადამიანთა სამყარო ამ ფორმით არის წარმოდგენილი:

1. სამყაროს ნამდვილი სურათი;

2. სამყაროს კულტურული ხატი;
3. სამყაროს ენობრივი ხატი.

ახალი, უცხოენის გაცნობისას ადამიანი ამავე დროს ახალი, უცხო სამყაროს შესახებ სწავლობს. მან უნდა აგადაიტანოს თავისი ცნობიერება, სამყაროს აღქმა სხვა სამყაროში, სხვა კულტურაში. ამგვარად ენის სწავლასთან ახლავს გახლეჩილი პიროვნება. ეს იმიტომ ხდება, რომ ერთსა და იმავე ცნებას, რეალობის ერთსა და იმავე ნაწილს აქვს ლინგვისტური გამოთქმების სხვადასხვა ფორმა - მეტად სრული ან ნაკლებად სრული. სამყაროს ძირითად და მეორეხარისხოვან ხატებთან ურთიერთობა რთული ფსიქოლოგიური პროცესია, რაც გარკვეულწილად „მე“-ზე უარის თქმას და სხვა მზერის ათვისებას ნიშნავს.

თანდათანობით ჩამოყალიბდა კულტურული სოციალიზაციის ფაქტი. ახალგაზრდობაზე ზეგავლენას ახდენს ახალი საკომუნიკაციო წყაროები. ვითარდება გლობალური საკომუნიკაციო სისტემები და სუსტდება წინათაობებიდან მომავალ თაობებზე გამოცდილების გადაცემის პროცესი. უფროს თაობას არ სურს მიიღოს გლობალური საკომუნიკაციო სისტემების უპირატესობა, რაც სოციალური კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

გლობალური საკომუნიკაციო სისტემა გავლენას მოახდენს ახალგაზრდობის კულტურულ საზოგადოებაზე და საგრძნობი იქნება პატარა ძვრები, რომლებიც ვითარდება სამყაროს ხატში. კულტურული სოციალიზაცია ორმხრივი პროცესია ენის ტრანსფერისა და სოციალური გამოცდილების თარგმანის საშუალებისა და მოიცავს ადამიანებს მატერიალური და სულიერი აქტივობების სხვადასხვა ფორმით, კულტურის კონცეპტებს, მის ღირებულებებს და ნებას აძლევს ინდივიდს იაქტიურად საზოგადოებისა და კულტურის სფეროში. ახალგაზრდობის კულტურული სოციალიზაციის ტრანსფორმაციას აქვს შემდეგი მთავარი მიმართულებები: 1) იზრდება სოციალიზაციის სტანდარტების წყაროთა რიცხვი, 2) ინსტიტუტების მნიშვნელობის სტრუქტურისა და შემადგენლობის გავლენა, 3) ახალგაზრდების ინტერაქტიური პროცესის ზრდა. მაშინ როდესაც ახალგაზრდების კულტურულ სოციალიზაციაზე გავლენას ახდენს გლობალური კომუნიკაციური სისტემა ყოველდღიური სოციო-კულტურული პრაქტიკის მეშვეობით მათი გავლენის „სამყაროს ხატის“ მთავარი შინაარსი ნაკლებად შესამჩნევია.

სიტყვით ხმარებაში მკვიდრდება „პოლიტიკური სოციალიზაცია“, „ეროვნული სოციალიზაცია“, „ოჯახური სოციალიზაცია“, „ფსიქოლოგიური სოციალიზაცია“, „გენდერული სოციალიზაცია“ და სხვა.

სამყაროს კულტურული ხატი აისახება კულტურული ფენომენების მრავალფეროვნებაში, მათ შორის იდენტობის იდეაში, საზოგადოებაში, თავისუფლებაში, თანასწორობაში, ღირსებაში, კეთილსა და ბოროტში, ოჯახსა და სექსუალურ ურთიერთობებში, ისტორიის პროგრესში და დროის ღირებულებაში, ახლისა და ძველის ურთიერთობაში, სიკვდილსა და სულში. სამყაროს კულტურული ხატი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და საზოგადოების განვითარების მიმდინარეობაში აისახება არის ამოუწურავი შინაარსი და ითვლება ადამიანური ბიჰევიორის საფუძველად.

ხალხის კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები შეიძლება გამოიხატოს ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში: რომ დავიკმაყოფილოთ ბიოლოგიური, ფიზიკური და სულიერი საჭიროებები, ბიჰევიორის ბუნებრივი ჩვევები თავშესაფარსა და სამოსთან დაკავშირებული, იარაღების, მეთოდების, სამუშაოს ტიპის და სხვა.

ასევე შესამჩნევია ენასა და მასზე მოსაუბრეებს შორის მჭიდრო კავშირი და ურთიერთ დამოკიდებულება. ენა მჭიდროდაა დაკავშირებული ცხოვრებასთან და მეტყველების განვითარებასთან საზოგადოებაში, რომელიც იყენებს მას როგორც კომუნიკაციის საშუალებას. ადამიანი იღებს და აღიქვამს სამყაროს გრძნობების მეშვეობით და ამ საფუძველზე ამყარებს იდეების სისტემას და ადარებს მას საზოგადოების სხვა წევრებს მათ ენაზე მეტყველებით.

ენა როგორც იდეების გამოხატვის და ადამიანის მიერ მეორესთვის გადაცემის საშუალება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნებასთან. ჭეშმარიტი სამყაროს კონცეპტი და მისი გამოხატვა განსხვავებულია სხვადასხვა ერში, ეს გამოწვეულია ისტორიის, გეოგრაფიის, ადამიანთა ცხოვრების წესის და სოციალურ ცნობიერებაში არსებული განსხვავებით. კულტურული და ლინგვისტური ხატი სამყაროსთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ისინი განუწყვეტლივ ურთიერთქმედებენ. მაგრამ ენა არ არის კულტურული ხატის ერთადერთი კომპონენტი, მან ასევე წარმოქმნა თემატურად ელვარე, ნათელი და უდაო არტეფაქტებიდან შინაარსი არცნობიერისა.

მე-20 საუკუნეში ხალხები და ქვეყნები იწყებენ აზროვნებისა და ცხოვრების გაერთიანებას, მაგრამ სამყაროს კულტურული ხატი ინარჩუნებს უნიკალურობას საყოველთაო კულტურის წარმოქმნის პროცესში. ოციან წლებში წარმოიქმნა მენტალიტეტის კონცეპტი. მის წარმოქმნაში მონაწილეობდა ისტორიული, ფსიქოლოგიური, კულტურული და ანთროპოლოგიური ფაქტორები. ამჟამად მენტალიტეტის არსის გაგების ორი მიმდინარეობა არსებობს: ერთი მხრივ ცხოვრების მენტალიტეტი განსაკუთრებით რეალობაში, რიტუალებში, ქცევის სტილში, ხალხის მორალში მდგომარეობს. მკაცრად რომ ვთქვათ, მენტალიტეტი ეს არის ის, რაც საშუალებას გაძლევს განუწყვეტლივ აღიქვა არსებული რეალობა, შეაფასო და იმუშაო მასზე. დააწესო სპეციფიკური სოციალური ნორმები და ქცევის ნიმუშები. მენტალიტეტი განსხვავდება საჯარო განწყობისაგან. მენტალიტეტი ყოველთვის არის გარკვეული ერთიანობა ანტიბუნებრივის და ანტიკულტურულის, ემოციურის და არაციონალურის, ირაციონალურის, ინდივიდის და საზოგადოების. მენტალიტეტი არის სიმბოლოების წყება, რომელიც ჩამოყალიბდა ერთა არა ერთ ისტორიულ და კულტურულ ერაში. მენტალიტეტი მოიცავს ადამიანის ძირითად კონცეპტს, მის ადგილს ბუნებაში და საზოგადოებაში და იმას, თუ როგორ ესმის ამ საზოგადოებას ღმერთის, ყოველივეს შემოქმედის ბუნება. მენტალიტეტი როგორც ხალხის ფსიქოლოგიური ცხოვრების სპეციფიკა მჟღავნდება შემდეგში: 1) აზრების, შეფასებების, ნორმების, დამოკიდებულებების სისტემაში, რაც ხალხის ცოდნას და რწმენას ემყარება; 2) ენაში - ენის ანალიზი საშუალებას გაძლევთ ძალიან ზუსტად გამოავლინოთ ხალხის და ადამიანის შიდასამყაროს თავისებურებები. თქვენ შეგიძლიათ ისწავლოთ აზროვნების ენა; 3) ჯგუფის დომინანტურ თემაში, რომელშიც არის ფასეულობათა იერარქია, რაც გამოიხატება რწმენაში, იდეალებსა და ინტერესებში. ყოველივე ეს გვიჩვენებს დამოკიდებულებას, რაც უზრუნველყოფს მზაობას მოიქცე ამგვარად და არა სხვანაირად; 4) ემოციურ სფეროში.

მენტალიტეტი კავშირშია ფრომის, იუნგის, ფროიდის და სხვების ფსიქოლოგიურ კონცეპტებთან. შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა და ფსიქიატრმა იუნგმა გამოიყენა ტერმინი „არქეტიპი“, როცა ეცადა გაეგო კოლექტიური ფსიქოლოგიის საფუძვლების სიღრმე. არქეტიპი ეს არის სამყაროს გაგების გზა, რომელმაც ჩამოაყალიბა ადამიანთა გრძნობები და აზრები. იუნგიც თანდათან მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს ადამიანური სულის უფრო

ღრმა შრე - „კოლექტიური არაცნობიერი“, რაც არის წინათაობების გამოცდილების ანარეკლი ასახული გონებაში.

კულტურული ნორმების სახეობებია ტრადიცია და ჩვეულება. ტრადიციაა, მაგალითად, მეგობრების სადილზე მიწვევა ევროპასა და აზიაში. აზიაში, შესაძლებელია, მეგობარი დარჩეს სადილზე, თუ ის ჯერ კიდევ მშიერია, ევროპაში კი ეს უზრდელობად ითვლება.

რაც შეეხება ჩვეულებას, ჩვეულება არის სიმბოლური სტერეოტიპული კოლექტიური მოქმედებების ერთობლიობა, რომლებიც შეიცავენ რაღაც სოციალურ იდეას, რწმენას, ღირებულებებს. მას საქმე აქვს რიტუალებთან, დაბადებასთან, ქორწინებასთან, გარდაცვალებასთან და მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტად ცნობილი რელიგიური პრაქტიკა დაკავშირებულია საკვებთან. მაგალითად, ქრისტიანულმა ჩვეულებამ წმინდა ჰყო პური და ღვინო. ეს შემთხვევითი არ არის, რადგანაც პური ადამიანის ფიზიკური არსებობის ფუნდამენტური პრინციპია. თითქმის ყველა კულტურაში მას აქვს მისტიური და სიმბოლური ღირებულება. ამ მნიშვნელობას ადრეულ ეტაპზე ატარებდა პური, იგი ნიშნავდა არა მხოლოდ შიმშილის მოკვლას, არამედ იყო წარდგომა სამყაროს წინაშე. ასევე მაგალითად, შეჭმული ცხოველის ძალები გადაეცემოდა ადამიანს, რომელმაც ის შეჭამა, ხოლო კენკრის მარცვლეულის ჭამა მიწის ძალებთან ზიარებას ნიშნავდა. ასევე ინდიელების მშვიდობის ჩიბუხი, რომელიც არწივის ბუმბულებით იყო შემკული, ბუმბულები სიმბოლურად ნიშნავდა აყვავებას და კეთილდღეობას.

უმეტესობა ანტიკური ჩვეულება ნაყოფიერების კულტთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, იგივე ჩიბუხის გაბოლება, რომელსაც იწყებდა მეთაური და ჯარისკაციდან ჯარისკაცს გადაეცემოდა. ითვლებოდა, რომ ჩიბუხიდან ასული კვამლი იყო საავდრო ღრუბელი და რიტუალის მონაწილენი მას წვიმას სთხოვდნენ. წვიმა, კეთილდღეობა და მშვიდობა მჭიდროდ დაკავშირებული ცნებები იყო.

ჩინეთში კი დაქვრივებულ მამაკაცს უფლება ჰქონდა მოეყვანა ცოლისდა თუმცა ჩვეულება ამბობდა, რომ გარდაცვალების შემდეგ მას მეორე ცოლი სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეს წაართმევდა, ეს წესი მაინც შემორჩა.

ამგვარად კულტურული ნორმები მოიცავს ადამიანური აქტივობის ყველა სფეროს, ისინი მრავალმხრივი, დაწყებული ელემენტარულიდან დამთავრებული სოციალური ინსტიტუტების ურთულესი სისტემით.

კულტუროლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა იდენტობის პრობლემა. ტრადიციულად ადამიანი გაიგება როგორც ინდივიდი, რომელიც აერთიანებს ინტელექტუალურ, სოციალურ და ჰუმანურ თვისებებს.

თავდაპირველი მნიშვნელობით „პერსონა“ განმარტეს როგორც ნიღაბი ან როლი ბერძნულ თეატრში. იგი არის სიმბოლო „სახის დაკარგვისა“, რაც ნიშნავს ადგილისა და სტატუსის იერარქიის დაკარგვას. ორივე, აღმოსავლურ და დასავლურ აზროვნებაში იგი გაიგეს როგორც კლირსების დაკარგვა, რის გარეშეც ჩვენი ცივილიზაცია დაკარგავს უფლებას იწოდებოდეს ჰუმანურად. მე-20 ს-ის დასასრულს იგი ნამდვილ პრობლემად იქცა ასეულობით მილიონი ადამიანისათვის სოციალური კონფლიქტების სისასტიკისა და გლობალური პრობლემების გამო, რასაც ძალუძს აღგავოს ადამიანური სახე პირისაგან მიწისა.

2.1 კულტურა და პიროვნება

პირველი სერიოზული კვლევა პიროვნებისა და კულტურის ურთიერთობაზე 30-იან წლებს მიეკუთვნება. იმაში, რომ ეს ურთიერთობა მეცნიერული კვლევის საგანი გახდა, დიდი წვლილი მიუძღვით ეთნოგრაფებს და ფსიქოლოგებს. მათ სკოლაც კი დააარსეს, რომელსაც ჰქვია „კულტურა და პიროვნება“. ამ სკოლის დამფუძნებლებმა დაიწყეს სხვადასხვა კულტურის ხალხების ტრადიციების, რიტუალების და რწმენის შესწავლა, რათა გამოეკლინათ მათი იდენტობის სტრუქტურული თავისებურებები. მათ დაასკვნეს რომ პიროვნება გავლენას ახდენს კულტურაზე. ლინტონის თანახმად პიროვნება არის ადამიანური კულტურული გარემოს ინტეგრაციის განსაკუთრებული სახეობა. ის, თუ როგორია პიროვნების ძირითადი სტრუქტურა, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა, განსაზღვრავს ხალხის ბედს. მაგალითად, ტანანას ტომის კულტურა. ბელადები ხელს

უმლიან დამოუკიდებლობის ყოველგვარ გამოვლენას და დაუნდობლად დევნიან მათ, ვინც წესებს დაარღვევს.

პიროვნების შესახებ საყურადღებოა ბიჰევიონისტი და ჰუმანისტი მეცნიერების აზრი. ბიჰევიონისტების მიხედვით პიროვნება უდრის მის გამოცდილებას, რაც განისაზღვრება იმით, რაც მან ისწავლა, სახეების რეაქციით თავის საქციელზე.

ჰუმანისტების პიროვნება - ეს არის ძირითადად „მე“-ს თავისუფალი არჩევანი. მათი აზრით შედეგი დამოკიდებულია ადამიანზე. მიუხედავად დიდი გამოცდილებისა და სხვებთან ურთიერთობისა.

ჰუმანისტური მიდგომის ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა წარმომადგენელმა მასლოუმ შეიმუშავა მოთხოვნილებათა იერარქია, რომელთაგან პირველ ადგილზეა ფსიქოლოგიური ფაქტორები (ვიტალური: სუნთქვა, სასმელი, საჭმელი, სითბო და სხვა), მეორე ადგილზეა უსაფრთხოების მოთხოვნილება, მესამე ადგილი უკავია სიყვარულის, სითბოს, მიკუთვნებულობის მოთხოვნილებას; მეოთხე ადგილზეა პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილება; მეხუთე ადგილზე კი არის თვითრეალიზაციის მოთხოვნილება, რომელიც არის იერარქიის ყველაზე მაღალი საფეხური.

ამ კვლევის მიზანია სრულად განვითარებული პიროვნება, რომელიც სრულყოფისაკენ მიილტვის. ადამიანი უნდა გახდეს, რაც შეიძლება იყოს. ეს არის „პოზიტიური ფსიქონალიზის“ მიზანი.

პიროვნების სხვა თეორიებიც არსებობს. მაგალითად, არისტოტელე ხმარობდა ტერმინს „homo politicus“, რომელიც თანამედროვეობაში რამდენადმე შეიცვალა დაშემდეგი სახე მიიღო: homo faber _ ადამიანი მუშა, ფერმერი, ჯარისკაცი, პოლიტიკოსი; 2) homo consumer _ მომხმარებელი, რომელმაც შექმნა მასობრივი საზოგადოება; 3) homo universal _ ადამიანი, რომელსაც სხვადასხვა საქმიანობისთვის თავის გართმევა შეუძლია „homo soveticus“ - ადამიანები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან სახელმწიფოზე.

მკვლევარები, მაგალითად, ადორნო, ჰორნი და სხვა ნეომარქსისტები და ნეოფროიდიანელები მივიდნენ პარადოქსულ დასკვნამდე, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ნორმალური ადამიანი ეს ნერვიული ადამიანია. ძველი სისტემა ჩამოიშალა

და ახალ სისტემაში ადამიანს უწევს „როლის თამაში“, ეს არის ახალი სისტემა ღირებულებების და სრტერეოტიპების. სხვებს სჯერათ, რომ თანამედროვე ადამიანი უარს ამბობს როლზე. ის ხდება მსახიობი და თამაშობს ბევრ როლს ისე, რომ ამას სერიოზულად არ მიიჩნევს. ისინი ვინც როლს ეჩვევიან, ნერვიულები ხდებიან, რადგან ვერ შეძლეს გარდაქმნის მოთხოვნებს აპყლოდნენ.

ეროვნული ხასიათი და განსაკუთრებით სამყაროს აღქმის ეროვნული თავისებურებები ჩართულია ეთნიკურ ფსიქოლოგიაში-სოციალურ ფსიქოლოგიაში. ეთნო ფსიქოლოგია ჩანს ეთნიკური ჯგუფის ხასიათსა და ტემპერამენტში, მენტალურდ ამორალურ ნორმებში, ესთეტიკურ იდეებში, ფოლკლორში.

XIX საუკუნის დასასრულს ვუნდტი თვლიდა, რომ ადამიანთა სული არ არის უბრალოდ ინდივიდთა და მათ ურთიერთობათა ჯამი. „ეროვნული სული“ ვუნდტის აზრით, წარმოსდგება მრავალი ინდივიდის საერთო ცხოვრებიდან, აღქმებიდან, გრძნობებიდან, მისწრაფებებიდან. ხალხის ისტორიული პროდუქტის ანალიზისთვის ვუნდტი მიმართავს ენას, მითებს, ჩვეულებებს, რომელიც, მისიაზრით, მთავარი სახალხო ფსიქოლოგიაა.

ეროვნული ხასიათის შესწავლა პიროვნებაზე დაყრდნობით სცადეს, მაგრამ დასკვნა ასეთი იყო: „ცოდნასა და კვლევის ტექნიკაზე დაყრდნობით შეუძლებელია იმის თქმა, რომ ნებისმიერ ერს აქვს ეროვნული ხასიათი“. ასე რომ „მოდალურ პიროვნულ სტრუქტურას“ მომავალი არ აქვს. „ეროვნული ხასიათის“ გამოყენებამ დაგვანახა მნიშვნელოვანი და ზოგჯერ დრამატული განსხვავებები კულტურაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ვერ ხსნის შიდა მექანიზმს, რომელიც ამ განსხვავებებს იწვევს.

ჰონიგმანის აზრით, მკვლევარს საქმე აქვს კულტურის ნიმუშებთან. ნიმუში აღნიშნავს მოქმედების თანმიმდევრობას, რომელიც მეორდება ერთი ადამიანიდან მეორემდე. მაგალითად, ის, რომ ამერიკელები კბილებს ქვემოდან ზემოთ მიმართულებით იხეხავენ არის ნიმუში. შეიძლება ითქვას, რომ ნიმუში არის მოქმედება, რომელიც საერთოა ორი ან მეტი ადამიანისთვის. თითოეული ამათგან საკუთარ ნიმუშს წარმოადგენს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მკვლევარი რობერტ ლევინი თავის წიგნში „კულტურა, ბიჰევიორი და პიროვნება“ აცხადებს, რომ პიროვნული მოდელი არ არის სპეციფიკური თითოეული

კულტურისათვის, არამედ არის ინტეგრალური ნაწილი ზოგადად კულტურული კონფიგურაციისა, რაც ნიშნავს, რომ მისგარეშე ისინი ადეკვატურად ვერ იქნებიან გაგებული. კულტურის ასპექტში მოქცეულ ადამიანში ემოციური და შემეცნებითი შესაძლებლობები ჩაპროგრამებულია მისი კულტურის ზოგადი ნიმუშის თანახმად. სოციალური ურთიერთობები, რელიგია, პოლიტიკა, ხელოვნება პროგრამირებულია ამავე ნიმუშის მიხედვით.

რედფილდი მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეროვნული „სამყაროს ხატი“. მან შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნის გლეხთა ცხოვრება და ამის საფუძველზე აცხადებდა, რომ არსებობს გლეხური „ცხოვრების სტილი“, რაც საერთოა პოლონელი, ჩინელი, ჰაიტელი და გვატემალელი გლეხისთვის, მაგრამ განსხვავება მათ შორის მდგომარეობს იდეოლოგიაში, მათ დამოკიდებულებაში მიწასთან. რედფილდი „სამყაროს ხატს“ უწოდებდა ტექნიკას რომლიდანაც ეთნოლოგი ისე უყურებს სამყაროს თითქოს ადგილობრივთა თვალთ იყურება.

კულტურული ფსიქოლოგია დიდად განვითარდა კულტურულ-ისტორიული ფსიქოლოგიის რუსული სკოლის გავლენის ქვეშ, რომელიც დაარსეს ვიგოდსკიმ, ლურია და ლეონტიევმა. მათ კულტურის ნიმუშად მიაჩნდათ არტეფაქტები - ადამიანის აქტივობის მატერიალური ან სულიერი შედეგები.

რობერტ რედფილდის განსაზღვრებით სამყაროს ხატი ეს არის სამყაროს ხედვა დამახასიათებელი ხალხისთვის, ეს არის წევრების საჯარო პრეზენტაცია საკუთარი თავისა და საკუთარი ქმედებისა, საკუთარი საქმიანობის სამყაროში. მაგრამ თუ „ეროვნული ხასიათის“ ცნება მოითხოვს შევხედოთ კულტურას გარედამკვირვებლის თვალთ, კოგნიტური ანთროპოლოგია ცდილობს შეხედოს სამყაროს ხატს შიგნიდან, გაიგოს და აღწეროს ხალხი და მათი საზოგადოება მათი ტერმინებით, აღწეროს ის, თუ როგორ აღიქვამენ და განიცდიან ისინი სამყაროს.

ანთროპოლოგია ობიექტის შესწავლაა, კოგნიტური სისტემის, მენტალური და კულტურული ელემენტების უფრო მეტად ვიდრე საკუთარი კულტურის ელემენტებისა. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ერს აქვს აღქმის, აზროვნების, საქციელის, ემოციების სისტემა, რომელიც განსხვავებულია.

თუ კოგნიტური ანთროპოლოგიას წავლობს აღქმას სემიოტიკის ტერმინებით, კულტურის ფსიქოლოგიის შესწავლის საგანია აღქმის ფსიქოლოგიური მახასიათებლები, დაკავშირებული კულტურულ სისტემასთან, რომელსაც პიროვნება ეკუთვნის.

კულტურის ფსიქოლოგიას საქმე არ აქვს მხოლოდ სამყაროს ხატთან, არამედ იგი ასევე წამოჭრის კითხვას, თუ როგორ განისაზღვრება კულტურა ადამიანური აღქმის იერ, რომელიც აღიქვამს სამყაროს და მოქმედებებს მასში. იგი პირდაპირ კავშირშია იმ განსხვავებული მატერიის პრობლემებთან, რომლებიც დგას სამეცნიერო სკოლის წინაშე.

კიდევ ერთი მეცნიერება, რომელიც დაუკავშირდა სამყაროს ეთნიკური ხატის შესწავლას არის რუსული კულტუროლოგია და ეთნიკური ეკოლოგია. რუსული კულტუროლოგია მხარს არ უჭერს იმ აზრს, რომ მენტალიტეტის კონცეპტი იქნა შექმნილი, არამედ სრულიად განსხვავებულ მიდგომას ემხრობა, რომელიც ამერიკულ კულტუროლოგიურ ანთროპოლოგიაში განვითარდა. ამერიკაში ამ მიდგომას კულტუროლოგიური ეკოლოგია ეწოდება. რუსეთში 70-იანი წლების შემდეგ იგი აქტიურად ვითარდება ეთნიკური ეკოლოგიის სახელით. მნიშვნელოვანი აქცენტი დასმულია კულტურის ზოგადი თეორიის განვითარებაზე და ასევე ბუნებრივი, კულტურული და პოლიტიკური გარემოს ადამიანურ ადაპტაციაზე, ადამიანთა საზოგადოებაზე.

ამ ნაშრომის ავტორებმა წამოჭრეს საკითხი კულტუროლოგიური და სოციალური სისტემებისა, რამდენადაც ადამიანურ მოქმედებას განსაზღვრავენ. სამყაროს ეთნიკური სურათი დანახულია როგორც შემადგენლობა და როგორც შედეგი ეთნიკური ჯგუფის ადაპტაციისა საკუთარი მიწის ბუნებრივი და სოციო-კულტურული გარემოს მიმართ. სამყაროს ეთნიკური ხატი დანახულია როგორც შესამღებლობა და როგორც ეთნიკური ჯგუფის ადაპტაცია თავისი მშობლიური მიწის ბუნებრივი და სოციო-კულტურული გარემოს მიმართ. ეს არის გზა შევასწოროთ სამყაროს აღქმა, რომელიც აშორებს არა საჭირო დისკომფორტს და რომელსაც ადამიანის პარალიზება შეუძლია სამყაროში.

კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ გარდავექმნათ ტრადიცია და არა როგორ ავხსნათ მისი შინაგანი მობილურობა და მოქნილობა ვერ დარჩება ყურადღების მიღმა, ამგვარმა კითხვებმა გავლენა მოახდინა ეთნიკურობის შემსწავლელ მეცნიერებებზე. ეს კვლევა განუყოფლადაა დაკავშირებული ანთროპოლოგიის განშტოებასთან ეთნიკურობის

შემსწავლელი მთელი რიგი მეცნიერებები სვამენ კითხვებს ეთნიკური საზღვრების ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით. ზოგჯერ პასუხი სოციალური ჯგუფის რთულ სტრუქტურებში უნდა ვეძებოთ, ზოგჯერ მისი წევრების ურთიერთქმედების მექანიზმებში.

XX საუკუნეში განავრცეს ჰუმბოლდტის აზრი და დაასკვნეს, რომ ენა გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე და ისტორიულ განვითარებაზე.

მეორე მხრივ კი, სეპირი ამბობდა, რომ ადამიანებს დიდი გავლენა აქვთ ენაზე და რომ ყოველი ენა სამყაროს განსაკუთრებული ხედვაა. საპირისთვის ენა არის სიმბოლური სისტემა, რომელიც არა მხოლოდ უკავშირდება ჩვენს გამოცდილებას ემპირიულთან მიმართებით, არამედ რაღაც ხარისხით განსაზღვრავს ჩვენი გამოცდილების ფორმას.

უორფი წერს, რომ ენა აიძულებს მოსაუბრეს განასხვა ვოსფორმა და შინაარსი და ამგვარად აყალიბებს სამყაროს კონკრეტულ ხატს. მაგალითად გამოთქმებში ერთი ჭიქა წყალი, ერთი ვედრო წყალი, წყლის გუბე _ ერთი სიტყვა _ მიემართება რიცხვს (ფორმას), მეორე კი ნივთიერებას (შინაარსს).

სეპირის და უორფის მიხედვით აზროვნება და აღქმა არ შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული თუ რა ენაზე ლაპარაკობს მოსაუბრე. ესკიმოსების თანამედროვე ენას დაახლოებით ოცი სიტყვა აქვს „თოვლის“ აღმნიშვნელი. აცტეკების ენაში ერთი სიტყვაა „თოვლისა“ და „ცივისთვის“. ინუიტების ენაში მხოლოდ ერთი სიტყვაა აყვავებული მცენარეების აღმნიშვნელი, მაშინ როცა იგივე სხვა ენებში ათობით და ასობითაა. არაბებს სხვადასხვა ჯიშის აქლემებისთვის სხვადასხვა სახელწოდება აქვთ, რაც მათ ჯიშზე, ასაკზე და ა. შ. არის დამოკიდებული. ინგლისელები და გერმანელები განასხვავებენ ხელის ფეხის თითების სახელწოდებებს. მაგ: ინგლისურად ხელის თითი არის finger, ხოლო ფეხის _toe. ასევე განსხვავებულად აღიქვამენ ლურჯს რუსები და ინგლისელები.

რა თქმა უნდა არ შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რომელი ენაა სიმართლესთან ახლო. ყოველ ენას თავისი „სამყაროს ხატი“ აქვს.

თანამედროვეობამ წამოაყენა საკითხი, რომ დღევანდელ სამყაროში საკმარისი არ არის ენის მხოლოდ ცოდნა. შეიძლება ენის სტრუქტურა, წესები, ფონეტიკა, გრამატიკა, სემანტიკა, ვიყენებდეთ სიტყვებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი სრული, წარმატებული

ურთიერთობისთვის. ინტერ-კულტურული დიალოგის მარცხის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი არის სხვისი კულტურის არასაკმარისი ცოდნა. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველი ერი რეალობას სხვადასხვაგვარად უყურებს და ეს რეალობა აისახება სიტყვებში, რომლებსაც ყოველთვის არა აქვთ ზუსტი შესატყვისები სხვა ენებში. იმისათვის რომ კულტურათ შორის დიალოგი წარმატებული იყოს, საჭიროა რაღაცნაირად შევასწოროთ სხვა კულტურის ეროვნული იდენტობა, რათა ხელი შევუწყოთ კულტურებს შორის კავშირს. ურთიერთგაგებას რომ მივაღწიოთ, საჭიროა კომუნიკანტებს ჰქონდეთ სამყაროს ცოდნა ცნობიერების ხატების ფორმით.

რაც შეეხება ენის გენდერულ მხარეს, მამაკაცთა და ქალთა განსხვავებული თვისებების შედარებითმა ანალიზებმა სამყაროს ენობრივ ხატთან დაკავშირებით აჩვენა, რომ: ქალები, რომლებიც ორივე რუსულ და ინგლისურ ენაზე საუბრობენ არიან გადაჭარბებულად ემოციურები; კაცები რომლებიც ინგლისურად ლაპარაკობენ უფრო მიდრეკილებია ობიექტების და მათი განსაზღვრებების აღწერისკენ, ვიდრე რუსულად მოლაპარაკე მამაკაცები; ქალთა სამყაროს ხატები უფრო ფართოა ვიდრე მამაკაცების.

ობიექტური რეალობა აისახება ჩვენს გონებაში სიტყვებისა და ცნებების საშუალებით. ის ქმნის ჯაჭვს: რეალობა - ცნება - სიტყვები. ამ წრედში პირველადი რეალობა, ხოლო ცნება და სიტყვები მეორეული. სამყაროს ეროვნულ ხატს ქმნის სამყაროს ეთნიკური ხატის ენა. მიუხედავად ამისა არსებობს დამამტკიცებელი საბუთი, რომ ენობრივი აღქმისა და აზროვნების გავლენა არ არის ისე მნიშვნელოვანი როგორც საპირი და უორფი თვლიდნენ. ფსიქოლოგებმა დაასკვნეს, რომ ერთი მხრივ, ენა განსაზღვრავს სამყაროს ჩვენეულ კონცეპტს, რომელიც არის უფრო მეტი, ვიდრე ველით და ჩვენს გამოცდილებას ემყარება, მეორე მხრივ კი, თითოეული ქმნის თავის საკუთარ ენას ანუ სტრუქტურულ რეალობას. სამყაროს ენობრივი ხატი ეს არის სამყაროს კოლექტიური აღქმის სპეციფიკური სქემა.

თავი III. „ქორწინების“ სცენარი

3.1. წეს-ჩვეულებები

სამყაროს კულტურული ხატის ცნება პირდაპირ კავშირშია ეთნოგრაფიულ მასალასთან. ნაშრომში განხილულია „ქორწინების“ კონცეპტი და ქორწინებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები.

კ. ქურიძე სტატიაში „ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობის ქართული ტრადიციების ზნეობრივი ღირებულება“ აღნიშნავს, რომ „საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის მეცნიერული შესწავლა XIX_XX საუკუნიდან იწყება.“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977, 221).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმდროის მეცნიერებს დიდი წვლილი მიუძღვით საქორწინო_საოჯახო ურთიერთობების კვლევაში.

ისტორიულად ქორწინებას სხვადასხვაგვარი ხასიათი ჰქონდა და საზოგადოებრივ შეგნებაზე იყო დამოკიდებული. ჩვენ შევეცდებით თვალი გავადევნოთ ამ ფენომენის განვითარებას უძველესი დროიდან დღემდე.

აღმოჩნდა, რომ საქართველოში ქორწინებას მატერიალური ინტერესიც სდევდა თან. ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობოდა იაკობ ხუცესის ცნობას, რომელშიც ვარსკენ პიტიახში შუმანიკისგან მის მიერ მირთმეულ სამკაულებს და სხვა ნივთებს უკან ითხოვს. ამგვარი ცნობები დასტურდება ვახტანგ ბატონიშვილთანაც და ივ. ჯავახიშვილთანაც.

ივანე ჯავახიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ „ქართული ქორწინების წესი პირველად სწორედ სადმროს ავალეზდა საცოლისათვის ქონების მიტანას“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977, 223).

ამ გარემოებას ადასტურებს არქანჯელო ლამბერტიც სამეგრელოს მაგალითზე: იგი აქაურ წესს ევროპულს ადარებს და წერს: „კოლხიდაში ასე როდია, იქ ქალს არავითარი მზიოვი ქმრისთვის არ მიაქვს. სამაგიეროდ სასიძომ უნდა მოუტანოს ქალის მშობლებს დიდი საჩუქრები და მდიდრული ძღვენი... ეს ვალდებულებაა სასიძოსი, რომ მშობლებს მოუტანოს იმდენი საჩუქარი, თითქოს სარძლო მონა არისო და მის ფასს იხდის“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977, 223-224).

ეს წესი შეინიშნება მოხვეურ ჩვეულებაშიც, რომელიც ფულად გამოსაღებთან ერთად საქმელ-სასმელის მიტანასაც გულისხმობდა. საქორწინო ურთიერთობების მოგვარებაში დიდ როლს თამაშობდა „მაჭანკლობა“ და „აკვანში დანიშვნა“. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ხევი. თუმცა ეს წესი დიდ ხანს მოქმედებდა ხევსურეთშიც და მთიულეებშიც. მსგავსი ვითარება შეინიშნება სვანეთშიც. ბავშვის დაბადებამდე დანიშვნაზე შეთანხმებას ჰქონდა ადგილი სვანეთსა და აფხაზეთში. ასევე გავრცელებული წესი იყო მცირეწლოვანთა დანიშვნა. მაგალითად, ქვემო სვანეთში ქალ-ვაჟს 4-5 წლის ასაკში ნიშნავდნენ, ზემო სვანეთში კი 10-11 წლის ასაკში. მცირეწლოვანთა დანიშვნა და გათხოვება გავრცელებული ყოფილა გურიაშიც. ივ. შილაკაძეს მოჰყავს ფაქტები 10-14 წლის ასაკში ქალის გათხოვებისა. მსგავსი ვითარება იყო აჭარაშიც. საქორწინო ტრადიციებში უმნიშვნელოვანესი იყო ქალის პატიოსნება და ოჯახის სახელი. საზოგადოებრივი ფორმაციის შეცვლასთან ერთად ეს წესები რამდენადმე შეიცვალა და ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას საფუძვლად სიყვარული დაედო. ასევე ნაკლებად სამარცხვინო გახდა გაყრა, რაც დიდ სირცხვილად ითვლებოდა ძველი ქართული ტრადიციების მიხედვით.

ქართული საქორწინო ცერემონიალი არც მაგიისგან ყოფილა შორს: „საქორწინო ცერემონიალში, დიდი ადგილი უკავია ნაყოფიერება - ბარაქიანობასთან დაკავშირებულ რიტუალებს. მათი უმრავლესობა მცენარეულთა, ცხოველთა, ფრინველთა და ასტრალური კულტურებისადმი თაყვანისცემას განასახიერებს და ქართული ტომების წარმართული სარწმუნოების გადმონაშთს წარმოადგენს“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979, 117).

ქრისტიანულმა ეკლესიამ ბევრი რამ გაითვისაგწარმართობიდან. ასეთია, მაგალითად, ჯვრისწერის დროს გამოყენებული ჯვარი, ქართული ოთხ ტოტიანი გვირგვინი და მეფე-დედოფლის კურთხევა „წმინდა ხის წვენის“ - ღვინის საშუალებით.

ნ. მაჩაბელი წერს, რომ, „ქართული ჩიჩილაკისა და გვერგვის შესწავლისას ვ. ბარდაველიძე პარალელს ავლებს ქართულ გვირგვინთან და ადგენს, რომ რადგან ქართლ-კახური გვირგვინი თავისი გარეგნული ფორმით მზის გარეგნულ გამოსახულებას ასახავს, მზის ემბლემას უნდა აწარმოადგენდეს. მისი ნეფე-დედოფლისთავზე დახურვა ჯვრისწერის დროს უნდა მიმდინარეობდეს შეხებითი მაგიიდან იმ სურვილით, რომ ასტრალური ღვთაების თვისება _ შვილიერება და ნაყოფიერება თვით ნეფე-დედოფალზე გადასულიყო“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979, 117).

ჯ. სონლულაშვილი გვირგვინს ვაზის კულტს უკავშირებს. ამის საფუძვლად მას ის აქტი მიაჩნია, რომ ვაზს და მისი ნაყოფისაგან დამზადებულ სასმელს დიდი ადგილი უკავია ქართველთა საქორწინო რიტუალში. კახეთში დასტურდება ფაქტი, როცა პატარძალს მარანში შეიყვანდნენ და ქვევრის თავის მოხდის რიტუალის დასაწყისს ანდობდნენ, შემდეგ კი ამ ღვინით ლოცავდნენ ნეფე – დედოფალს.

ის, რომ ფოჩებთან გვირგვინი ქრისტიანული ეკლესიის მიერ შემოღებული რიტუალია, იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მთიან რაიონებში (ფშავში, თუშეთში და ხევსურეთში) ასეთი გვირგვინის გამოყენების ფაქტი არ დასტურდება (ე. ი. იმ რაიონებში, სადაც ვაზის კულტურა გავრცელებული არ არის). ამგვარ გვირგვინთან დაკავშირებით დეტალი – ჯვარი, რომელიც მიმაგრებულია მხოლოდ მამაკაცის გვირგვინზე, ასევე წარმართობიდან უნდა მომდინარეობდეს და, ავტორის ვარაუდით, იგი ხარის კულტთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ავტორი აცხადებს, რომ: „ჯვარი თავისი წარმოშობით წინ უსწრებდა ქრისტიანულ რელიგიას და წარმართული სარწმუნოებისათვის დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს. იგი თავისი გამოსახულებით ხარის კულტიდან მომდინარეობს და მაგიურ - აპოთროპული მნიშვნელობით გამოიყენებოდა” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1979, 118).

ჯვრის მაგიურ - აპოთროპულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ასევე ნეფე-პატარძლის სახლში შესვლის წინ გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ გატარება, კარის თავზე დაკრული ცომისაგან გაკეთებული ჯვარი; კერის გარშემო ჯვრის პურით შემოვლა; ნეფისა და პატარძლისათვის თითო ტოტის ჯვარედინად ერთ ხელში დაჭერა მდადეს მიერ და „ჯვარი წინა და ჯვარი უკანა” სიმღერის თქმა. ასევე გვირგვინის მოხდა გადაჯვარედინებული ხანჯლის წვერებით. საყურადღებოა ასევე ტერმინი მეჯვარე, რომლის მოვალეობაა ნეფე-პატარძლისთვის გვირგვინის დადგმა და მოხდა და რომელიც ხდება ოჯახის ნათესავი და პატივსაცემი პიროვნება.

ავტორი ჯვრის შესახებ აგრძელებს საუბარს: „მამაკაცის გვირგვინში რომ ჯვარი ხარის კულტიდან უნდა იღებდეს სათავეს, გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ როგორც წესი, იგი მხოლოდ ნეფის (და არა პატარძლის) გვირგვინის დეტალს წარმოადგენს. ისიც, რომ საქორწინო რიტუალში წესად იყო დასაკლავად მომზადებული ხარის გარშემო ნეფის ცეკვა-თამაში, მის მიერ ხარზე დანის ჯვარედინად დასმა და მხოლოდ ქორწილის დღეს მისი

გახსნა. აღნიშნული შეხედულების დამადასტურებელია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ნეფისათვის ქორწილზე უნდა მიერთმიათ ხარის ბეჭი (მოხარშული)” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1979, 119).

მხოლოდ მას შემდეგ, რაც „მცენარეული და ცხოველური კულტები შეცვალა ასტრალური რეგლიგიისთვის დამახასიათებელმა მნათობთა თაყვანისცემამ, საქორწილო გვირგვინი მზისა და მთვარის ფუნქციებს იძენს და ამ მნათობთა მარადიული შეუღლების სიმბოლიზაციას გამოხატავს. (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1979, 119).

ერწო - თიანეთსა და ქართლში ქორწინებისათვის ცხვებოდა ჯვრის პურები, რომელსაც ჩიტების გამოსახულებებით და სხვადასხვა ხილით ამკობდნენ. ჯვრის პურს მცხობელები მიჰყიდდნენ მეჯვარეს ქორწილის დაწყებისას და იგი მის საკუთრებას წარმოადგენდა.

ეს ტრადიცია დასტურდება მთიულეთშიც. აქ ვაშლები ნეფე-დედოფალსა და ნათლიას შორის ნაწილდება. ჯვრის პური დასტურდება ფშავშიც, სადაც მეჯვარეს აძლევენ ჯვრის პურს, რომელიც მას ხელში უჭირავს ქალის წამოყვანისა და მისი ვაჟის ოჯახში მოყვანისას. ამავე ჯვრით მიუძღვება ნეფე - დედოფალს კერის გარშემო შემოვლის დროს. მძივებით და წითელი ნაჭრებით მორთული პურის ჯვარიიდებოდა ნეფის ტაბლაზე.

ხევსურეთში დიასახლისი აწყობდა მძივებით ჯვარედინად მორთულ ან ჯვრის ფორმის საჭრელით დაჭრელებულ 3 მოხანთოს, რომელზეც სანთელი ინთებოდა და დეკანოზი ამწყალობებს.

ავტორის მტკიცებით „სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედულების მიხედვით, ჯვრის სახის ან ჯვრის ნიშნით აღბეჭდილი მრგვალი კვერები (რომელიც თავისი გამოსახულებით ხარის კულტიდან მომდინარეობს) მზის კულტთან ერთად დიდი ღმერთის კულტშია გადასული და იგი მზისა და ხარის კულტის შერწყმის შედეგად არის მიღებული” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1979, 119-120).

იგი აგრძელებს: „მზის ემბლემა - კვერი ნეფის ტაბლაზე იდება, მესამე დღეს კი ნეფე - პატარძლისაგან ამ კვერის მირთმევა (შეჭმა) წარმოადგენს თეოლოგიის (ღვთაებრივ ძალთან ზიარებს) გამომხატველ მოქმედების გადმონაშთას, რომელიც ხდებოდა იმისათვის, რომ მზის ცხოველმყოფელი ძალა და ნაყოფიერების თვისება ნეფე - დედოფალზე გადმოსულიყო. რელიგიის შემდგომ საფეხურებზე - დიდი ღმერთის ემბლემა - კვერის მეჯვარისათვის

მირთმევა (ნეფე - პატარძლის წინ მისი მოთავსება და ამ კვერით კერის გარშემო შემოვლა), მის წინ ფულით გარჭობილი ვაშლების დაწყობა, სრულდება დიდი ღმერთის გულის მოგების მიზნით, რათა მან უზრუნველყოს ახლად შეუღლებულ წყვილსა და, საერთოდ, მთელი ოჯახის კეთილდღეობა” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979, 120).

ავტორს კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი მოჰყავს: „საინტერესოა აგრეთვე ნეფის კვერისა და ჯვრის პურის კომპლექტში მოქმედი სანთლებით გაჩირაღდებული ვაშლებით მორთული ხის ჯვარი, რომელიც თავისი გარეგნობითა და შინაარსით ძალიან ახლოს დგას საახალწლო ჩიჩილაკთან და საქორწილო რიტუალში მოქმედ ჩხასთან – მაშხალასთან, ამდენად ის სიცოცხლის ხეს ასახავს და ჩვენში დიდად გავრცელებულ ხის კულტს უკავშირდება” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979, 120).

ეს ყოველივე უზენაესი ღმერთის წარმოქმნის ადრეული პერიოდისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

ქართული ქორწილი დიდი საზეიმო ცერემონიალით, გართობა-თამაშობებით და სიმღერებით გამოირჩეოდა. საქორწილო რიტუალი „თავისი მრავალფეროვნებით ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს – სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობას, საოჯახო ყოფას, სამეურნეო საქმიანობას და სულიერ კულტურას (ფოლკლორი, ხელოვნება, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები) – პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 108).

ასეთი რიტუალი იყო, მაგალითად, „ნეფის განადირება”. ეს ტრადიცია შედარებით სრული სახით შემორჩენილი იყო სამცხე-ჯავახეთში, იგი აქ 70-იან წლებამდე სრულდებოდა, შემდეგ კი ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. ეს ტრადიცია ამგვარი იყო: „ქორწილის მეორე დღეს, საღამოსპირს, ნეფე-დედოფალი მაყრებისა და ყველა სტუმრის თანხლებით ეზოში გავიდოდნენ და ცეკვა-თამაშით ერთობოდნენ. ამ დროს ნეფის დედა ბანიდან ქათამს გადააფრენდა, რომლის ცოცხლად დაჭერას ყველა ცდილობდა. ვინც ქათამს დაიჭერდა, მის საკუთრებად ითვლებოდა. ხშირად ამ საქმეს დედოფლის მაყრებს მიანდობდნენ, რომელთაც დაჭერილი ქათამი დედოფლის სახლში წასვლისას თან მიჰქონდათ” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 108).

ეს ცერემონია ნებისმიერ ამინდში სრულდებოდა. მის სანახავად საზეიმოდ ჩაცმულ-დახურული მთელი სოფლის მოსახლეობა იყრიდა თავს. უფრო ადრინდელ პერიოდში

მთელი ქორწილის ხალხი ცეკვა-თამაშით ჩამოივლიდნენ ნათესავ-მეზობლების ოჯახებს, რომლებიც მათ სახელდახელოდ გაშლილ სუფრას ახვედრებდნენ.

რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ, წასვლისას, დიასახლისი მათ ქათამს ან სხვა სახის საჭმელ-სასმელს ჩუქნიდა. ამ ჩამოვლისას ზოგჯერ საკმაო რაოდენობის ქათამი გროვდებოდა, რომლებისგანაც ნეფის ოჯახი კერძეს ამზადებდა.

„ნადირობიდან“ დაბრუნების შემდეგ სახლში შესვლამდე ბანზე ან ეზოში იცეკვებდნენ, შემდეგ კი „ფერხულს დააბამდნენ“. უფერხულოდ სახლში არ შევიდოდნენ. იცოდნენ როგორც ერთსართულიანი და ორსართულიანი (მხოლოდ მამაკაცები), ისე შერეული (მამაკაცებისა და ქალების მონაწილეობით) ფერხულები. სახლში შესვლისას მამაკაცები ამ „ნადირობისადმი“ მიძღვნილ სიმღებებს მღეროდნენ.

ამგვარი ტრადიცია დასტურდება ქართლშიც, სადაც „ნადირობა“ სასაფლაოზე გასვლის შემდეგ ეწყობოდა. „განადირების“ ჩვეულება უცხო არ ყოფილა კახეთისთვისაც. იმერეთის მოსახლეობაში მაყრების ამგვარ „განადირებას“ ჩამოვლას უწოდებდნენ. „ალილოდან“ მაყრებს ნეფის ოჯახი ეზოში თხას ან ძროხას უკლავდა. ამ ხნის განმავლობაში მაყრები ცეკვა-თამაშით ერთობოდნენ. გურიაში მაყრების მეზობლებში ჩამოვლა არ ფიქსირდება, მაგრამ გასტუმრებისას მაყრების მიერ მასპინძლის ეზოში ქათმისა თუ პირუტყვის (გოჭი, ხბო) მოკვლა აღნიშნული ჩვეულების ფრაგმენტული, სახემეცვლილი ანარეკლია. მეზობლების მიერ ნეფის ოჯახის სტუმრებისა და ქალის მაყრების მიპატიჟების წესი სრულდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობაშიც. ფშავში მაყრების მიერ ქათმის მოპარვა სრულიად ჩვეულებრივი ამბავი იყო და, უფრო მეტიც, ვინც ამ წესს არ შეასრულებდა „ქალაჩუნას“ დაუძახებდნენ.

ნეფის განადირების რიტუალისათვის დამახასიათებელი ბევრი ელემენტი გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ძველ ქართულ ხალხურ სანახაობასთან „ბერიკაობა-ყენობასთან“. ორივე სანახაობა საერთო სასოფლო იყო, ორივესთვის ძირითადად და მთავარს წარმოადგენდა მთელი სოფლის მოვლა თითქმის ყველა ოჯახში შესვლა, რაც ამ ცერემონიალის მონაწილეთა სურვილზე არ იყო დამოკიდებული.

ბერიკაობაში მთავარ მოქმედ პირებს წარმოადგენდნენ ნეფე ანუ თაბერიკა, დედოფალი, ამალა, მესტვირე, ნათლია. ასეთივე შემადგენლობა იყო „განადირების“

ცერემონიალშიც, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში მოქმედი პირები ნიღბების გარეშე ასახიერებდნენ თავიანთ როლებს.

ბერიკაობა-ყენობისთვისაც და „ნეფის განადგურებისთვისაც“ სავალდებულო იყო გარკვეული რიგი სიმღერებისა და ცეკვების შესრულება. ორივე ცერემონიალისათვის აუცილებელი იყო მუსიკოსების მონაწილეობა, რომელთა რეპერტუარი მხოლოდ და მხოლოდ სამხიარულო - გასართობი უნდა ყოფილიყო. ბერიკაობის მსგავსად, „განადირებისთვისაც“ დამახასიათებელი იყო ოჯახების მიერ მონაწილეთათვის ძღვენის მირთმევა ქათმისა და ხილის სახით, თუმცა წარსულში სხვა სახის საჭმელ-სასმელის მირთმევაც არ უნდა ყოფილიყო გამორიცხული. ორივე ცერემონიას ახლდა ფერხული. როგორც ბერიკაობა მთავრდებოდა „საბერიკო სუფრით“, ასევე „განადირების“ დასასრულს თან ახლდა სუფრა და ღვინო.

ასევე მნიშვნელოვანია წყლის ფაქტორი საქორწინო რიტუალებში. წყალს ძველი ხალხების წარმოდგენაში ოდითგანვე გამანაყოფიერებელი ძალა მიეწერებოდა. ამგვარი რწმენა მსოფლიოს მრავალი ხალხისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, „ძველ რუსეთში ქორწინება ხდებოდა წყალთან: ვაჟი ქალის მოტაცების შემდეგ წმინდა ტბას სამჯერ შემოატარებს გარშემო და ეს ითვლება ქორწინებად. ჩეხეთში კი ქორწინდებოდნენ ჭის თავზე (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, 51).

ზოგადად ფოლკლორში „წყალში გაყვანა“ ქორწილის სიმბოლოა. ამ წესის მიზანი იყო ქალის ზიარება ქმრის ოჯახის მეურნეობასთან. ზოგიერთ შემთხვევაში პატარძალი ამ რიტუალის შემდეგ ხდება ქმრის ოჯახის სრულუფლებიანი წევრი. მაგალითად ჩეჩენეთში ასეთი წესი არსებობს: „პატარძალი შემოიტანს წყალს და კარებში გაჩერდება. ოთახში მყოფი მოხუცები (ქალები და კაცები) პატარძალს ეპატიჟებიან, სთხოვენ შემოსვლას, მაგრამ ის მოკრძალებით დგას კარებში. ბოლოს შეიყვანენ ოთახში, მამამთილი მიმართავს: „დაგვალევინე წყალი, ჩვენ ხორცი ვჭამეთ და გვწყურია“. პატარძალი დიდხანს არის ჩუმად. ბოლოს ჩამოასხამს წყალს და ყველას დაალევინებს რიგრიგობით. როდესაც მამამთილს მიაწვდის, ის ეუბნება: „შენ გაძღვევთ ბიჭს, ძროხას, ჭურჭელს...“ და ჩამოთვლის ყველაფერს იმას, რაც ახალ ოჯახს ეკუთვნის და საქონლის გარკვეულ რაოდენობას უწილადებს, ხოლო მათი გამოყოფა ოჯახიდან ხდება მომდევნო ვაჟის ქორწილის შემდეგ“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, 51).

ოსეთში ასეთი ტრადიცია არსებობს: „ქორწილიდან ერთი კვირის შემდეგ, პატარძალი წყალზე მიდის, მოტანილ წყალს ჯამში ჩაასხამენ და დედამთილს გადასცემენ. ამ წყლით ის აცხობს სამ ღვეზელს, რომელსაც ურიგებს ოჯახის წევრებს, პატარძალს დალოცავენ და უსურვებენ 7 ბიჭს და ერთ გოგოს” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1986, 51-52).

ხევსურეთში პატარძალი სამი დღის შემდეგ მარტო მიდიოდა წყალზე. ვინც წყალს ვერ მიაგნებდა, მათზე საყვედურს იტყოდნენ. რძალი სახლში შესვლისთანავე თულუხს გაკრავდა, შეამოწმებდა იყო თუ არა წყალი.

თუშეთში წყლის მოტანის შემდეგ პატარძალი თავისუფლად საქმიანობდა ოჯახში.

ფშავში, მათურის თემში სრულდებოდა წესი „წყალში გორება”, როდესაც პატარძალს წყალში აგდებდნენ. ზოგჯერ ამგვარ შემთხვევას ოსეთშიც ჰქონდა ადგილი.

ქართველ ებრაელებში პატარძლის წყალთან ზიარების რიტუალი ქორწინების წინა დღეს, საღამოს, მზის გადახრის ჟამს სრულდებოდა: „წინდაწინ დაბანილი და ხელფეხზე ფრჩხილებდაჭრილი პატარძალი დადეს ან სხვა უახლოეს ნათესავს მიჰყავდა „ნიკბეში” გასავლებად. „ნიკბე” წვიმის წყლით სავსე აუზია და დგას სინაგოგაში. მასში ჩასული პატარძალი თავზე ხელებს დაიფარებდა, წყალს აკურთხებდა და სამჯერ მთლიანად ჩაიმალებოდა შიგ, შემდეგ შეუმშრალეზლად ჩაიცმევდა და მოკრძალებით გამოვიდოდა სალოცავიდან. იქ მყოფნი სამჯერ მიაძახებდნენ: ვაჟის დედა, ვაჟის დედა, ვაჟის დედა. სახლში მობრუნებულ პატარძალს და ახლო ნათესავებს სუფრას გაუშლიდნენ, დალოცავდნენ და მრავალშვილიანობას უსურვებდნენ” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1987, 115).

ამ ღამეს აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელები „ფაფიჭამობა” ღამესაც ეძახდნენ. ეს შემდეგში მდგომარეობდა: „ნიკბედან პატარძლის დაბრუნებამდე ოჯახში გააკეთებდნენ პურის ფქვილის ფაფას, მოიწვევდნენ უახლოეს ნათესავებს და პატარძლის ახლო მეგობრებს, ზოგჯერ ნეფესაც. სახლში მობრძანებულ პატარძალს ფაფას შეაგებებდნენ, საყოველთაო მხიარულებაში სახე-პირს მოუთხუპნიდნენ და დალოცავდნენ; ასევე მოექცეოდნენ ნეფეს და იქ მყოფ ყველა დასაქორწინებელ ქალ-ვაჟს” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1987, 115).

ფშავში და ერწოში პატარძალს მდინარეში აგდებდნენ „მზის გადასვლის ჟამს პატარძალს ხელს მოჰკიდებდა მდადე ან სოფლის რძალი (ადგილობრივი ქალი არ შეიძლებოდა), შეიყვანდა მდინარეში და სათანადო ლოცვას წარმოსთქვამდა, შემდეგ სამჯერ შემოატრიალებდა და შიგ წყალში ჩააწვენდა... როდესაც პატარძალი წყლიდან ამოვიდოდა, არ შეიძლებოდა ხატისკენ პირი მოებრუნებინა, არც ტანისამოსის გაწურვის უფლება ჰქონდა, არც ცეცხლთან მისვლისა _ ისევე სველს უნდა დაეძინა” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1987, 116).

წყალი როგორც დასაბამი ყოველივე არსებულისა შუმერულ მითოლოგიაშიც დასტურდება და ენათესავება ებრაულ-სემიტურ ენებს ფონეტიკურად, მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდებით.

წყალს ნაყოფიერებასთან ერთად სიწმინდის მომნიჭებელი ძალაც ჰქონდა. ფერეიდნელ ქართველებში პატარძლის აბანოში წაყვანა აუცილებელი იყო, რადგან „განუბანელ ქალს წმინდა საგნებთან არ მიესვლება, პურს ვერ მოხელს, ფქვილს ვერ გაცრის, ხორბალს ვერ მიეკარება, სახლს ვერ დაალაგებს” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1987, 117).

შევეცდებით, განვიხილოთ ქართველი მთიელების საქორწინო ტრადიციები.

ქორწილს მთიელთა შორის მრავალი ეტაპი უძლოდა წინ. ხოლო, როცა საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგებისათვის ყველა წესი შესრულდებოდა, ორივე მხარე დათქმულ დღეს ქორწილს მართავდა. ქორწილებს ძირითადად შემოდგომაზე გამართავდნენ. სუფრის გაშლამდე ნეფეს სასიდედროს მიერ ნაჩუქარ „სანეფო ტარავალში” გამოაწყობდნენ, წელზე შემოარტყამდნენ ვერცხლისბალთებიან ქამარს, რომელზეც თასმით ხმალი იყო მიმაგრებული. ქამრის შემორტყმა, ხმლით აღჭურვა და დალოცვა გვარის უფროსის მოვალეობა იყო. მასვე ევალეობდა ნეფის თანმხლები ეჯიბის და მაყრების დალოცვა-გასტუმრება.

მაყრების ხელმძღვანელობა ხელისმომკიდეს ჰქონდა დაკისრებული. იგი ნეფეს მარცხნივ მიჰყვებოდა და ასევე ხმლით იყო შეირალებული. მათ შემდეგ მოდიოდნენ ე. წ. „ნეფის წინდამჩოქე მაყრები”, რომელთა რიცხვი 4-5 კაცს აღწევდა და ნეფეს პირად დაცვასავით სულ თან ახლდა. დანარჩენი მაყრები შორიახლო მიჰყვებოდნენ სიმღერითა და დამბაჩების სროლით. ყველა მათგანი ხანჯლებითა და დამბაჩებით იყვნენ

შეიარაღებულნი. ამ ამაღას მისდევდა ცხენშებმული ორი ურემი (ზამთარში ორი მარხილი), რომელთაგან ერთი გამოიყენებოდა მზითვის წამოსაღებად, ხოლო მეორე - პატარძლის წამოსაყვანად.

როდესაც ქალის სოფელს მიუახლოვდებოდნენ, მაყრები დამბაჩებს გაისროდნენ. მათ სოფლის მისადგომებთან ცხენოსნები ეგებებოდნენ. ერთად შეყრილი სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს არყით უმასპინძლდებოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კი შეიჭრებოდნენ სოფელში ყიყინითა და დამბაჩების სროლით.. სახლთან მისულებს რომელიმე მასპინძელი ხმამაღლა შესძახებდა: „ეჯიბევ შენს ნეფეს გაუმარჯოს! ეჯიბევ შენს მაყრებს გაუმარჯოს!“ ყველა ერთხმად გაიმეორებდა გაუმარჯოსო და ამ სიტყვების სამჯერ გამეორების შემდეგ ყველანი სამყოფისაკენ გაემართებოდნენ, სადაც მათ უფროსები ჯვარულით შეხვდებოდნენ, სტუმრებს კერის ირგვლივ შემოატარებდნენ (ეს ოჯახში მათ მიღებას ნიშნავდა) და სუფრაზე მიიწვევდნენ.

თუ ქალის სოფელში ქორწილის წინა ხანებში სიკვდილიანობით გამოწვეული მგლოვიარება სუფევდა, მაყრები მოკრძალებას იჩენდნენ. ერთ-ერთ მაყარს ჭირისუფალთან გზავნიდნენ და სამძიმარს უთვლიდნენ. ჭირისუფალი მას არყით უმასპინძლდებოდა „წალმართის“ დაულოცავად. შემდეგ კი მაყრებს წინ თვითონვე წაუძღვებოდა და მექორწილეს ოჯახში მიიყვანდა. მგლოვიარეს სუფრის თავში სვამდნენ, ხოლო სმურების დამთავრების შემდეგ ჭირისუფალივე იწყებდა ცეკვა - სიმღერას, რომ მოქეიფენი გაემხიარულებინა და უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანა.

სუფრასთან გარკვეული წესით სხდებოდნენ, რომელზეც აღარ შევჭერდებით, სადღეგრძელოებსაც გარკვეული თანმიმდევრობით ამბობდნენ.

როდესაც ლხინი დასასრულს მიუახლოვდებოდა და თენება მოაწევდა, ეჯიბი საქორწილოდ გამოწყობილ პატარძალს მოითხოვდა. ოჯახის დიასახლისი შემოიყვანდა პირბადეჩამოფარებულ პატარძალს სპეციალურ ოთახში, სადაც ახალგაზრდებს ტაშ-ფანდურა ჰქონდათ გაჩაღებული. იქვე იდგა ქალის გვარის ან სახლის უფროსი, რომელიც დიასახლისთან ერთად რჩევა-დარიგებას აძლევდა პატარძალს.

ამ ცერემონიის შემდეგ ეჯიბი პატარძალს სამყოფისკენ წაიყვანდა, სადაც მათ ნეფე ელოდებოდა. ეჯიბი მას პატარძალს გადასცემდა და გვარის უფროსის მითითებით კერის

გარშემო იწყებდნენ შემოვლას. ასე პატარძალი თავის სახლსა და სამშობლოს ემშვიდობებოდა. ასეთივე მომენტისათვის კერაზე აუცილებლად დეკის ცეცხლს აჩაღებდნენ, მაგრამ თუ კერა მოშლილი იყო, მაშინ სამფეხა სკამზე ხმობდნენ (პურს) დებდნენ, ზედ სამ სანთელს აანთებდნენ და მის გარშემო ასრულებდნენ კერაზე შემოვლის წესს.

ამ პროცესში ყველაზე წინ იდგა ხმალამოწვდილი ეჯიბი, შემდეგ ასევე ხმალშემართული მეფე, ხელი ჰქონდა ჩავლებული პატარძლის „ჩოფრასტანზე“ გამონასკვნულ მერდინში და ასე მიჰყავდა თავის უკან. პატარძალს მისდევდა ძმადნაფიცი (თუ ასეთი ეყოლებოდა), ძმადნაფიცს ქალის მაყარი და ბოლოს „ნეფის წინ დამჩოქი მაყარი“. ძმადნაფიცსა და მაყრებს ასევე ხანჯლები ჰქონდათ აღმართული. კერას სამჯერ ნელი ნაბიჯით შემოვლის შემდეგ მათ წინ გაუძღვებოდათ „დოვლათიანი“ (ბედნიერი) კაცი, რომელსაც მისდევდნენ ქუდმოხდილი მოხუცები, შემდეგ ეჯიბი, ნეფე-დედოფალი და ა. შ. „ყისმათიანი“ (იბლიანი) კაცის წინამძღოლობით ისინი კარებისაკენ იბრუნებდნენ პირს, მოხუცები კი ჯვარულს მღეროდნენ. ამის შემდეგ ნეფე კარგავდა პატარძლის გვერდით ყოფნის უფლებას და ჯვარის დაწერამდე ქალი კვლავ ეჯიბის მფარველობაში ექცეოდა.

თუ სოფელს ეკლესია ჰქონდა, მისვლისთანავე ჯვრისწერა შედგებოდა, თუ არა, ჯვრისწერა გადაიდებოდა ან მეზობელი სოფლის ეკლესიაში შესრულდებოდა ან მხოლოდ კერის გარშემო შემოტარებითა და გვირგვინების სახლში კურთხევით დაკმაყოფილდებოდნენ. ამ უკანასკნელი წესის შესრულებისას ნეფე-დედოფლის გვირგვინებს ხევისბერი ან დეკანოზი ლოცავდა. ამ შემთხვევაში ეკლესიურ ჯვრისწერას ზედმეტად თვლიდნენ.

ჯვარდაწერილ ნეფე-დედოფალს ისევ ეჯიბი გაუძღვებოდა წინ. სახლის კარებში ნეფის ორი მაყარი დგებოდა კარის თავთან ჯვარედინად ერთმანეთზე წვერებით მიბჯენილი ხანჯლების თაღს აკეთებდნენ, რათა სამყოფოში შესულთ ეშმაკი და „მავნე“ არ შეყოლოდათ ახლად შეუღლებულთა შორის სიძულვილი არ ჩამოვარდნილიყო. მოხუცები ისევ ჯვარულის სიმღერას იწყებდნენ. ზღურბლთან ნეფე დაპირქვავებულ თეფშს ფეხით ამსხვრევდა, ხოლო სადედამთილო ახლად მიღებულ რძალს ლოცავდა და თაფლნარევ ერბოს აჭმევდა, რითაც ბარაქიან და ტკბილ ცხოვრებას უსურვებდა. ამის

შემდეგ ისევ კერას შემოუვლიდნენ იმ განსხვავებით, რომ კერის ირგვლივ ყოველი შემოვლისას ქალის მაყრები საკიდელს (კერიის ჯაჭვს) თითოჯერ დაარტყამდნენ ხანჯლებს. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ქალის მხარე მძახლებს „ედიდგულებოდა“ ქალის მიცემის გამო.

ქორწილის მეორე დღეს ლხინი ეჯიბის სახლში გადაინაცვლებდა. აქ თავს იჩენდა კიდევ ერთი ფენომენი: კერძოდ, ნეფე-ეჯიბის წინ კარაჩხას დგამდნენ. იგი ქორწილამდე მზადდებოდა, რადგან დიდი დრო სჭირდებოდა. კარაჩხა შედგებოდა ფესისა, გამოჩარხული ტანისა და ტოტებისაგან. კარაჩხას ნამძვის ხის მოყვანილობა აქვს. ტანისა და ზოგიერთ ტოტის წვერზე მიმაგრებულია ხის ჯვრები. ამ ჯვრებზე დანთებულია სამ - სამი ღერი სანთელი, ტოტებზე ჩამოცმულია ვაშლები და მსხლები, ხოლო ტოტებს შორის გაბმულ ბაწრებზე კიდებდნენ საქორწილოდ წინასწარ შეძენილ კანფეტებსა, შაქრის ხატებსა და ხილეულს.

ამგვარი დანიშნულებისაა მთიულური „ჩირადანი“ და ფშაური „მაშხალაც“. იმ განსხვავებით, რომ მაშხალას ნეფის და ან მისი ბიძაშვილი მიართმევს ნეფე-დედოფალს. მაშხალის წვერზე ჯვარია გამოსახული, ტოტებზე წამოცმულია წითელი კვერცხები და ვაშლები, ზედ ჰკიდია ფერადი აბრეშუმის ძაფი, ჭრელი წინდები, თეთრი თავსაკრავი და სხვა. მაშხალის სუფრაზე აწყვია საკაბე ფართალი და ხინკლები.

ქორწილის დღეს მოჰყვებოდა „პატიობა“ დღე, „ხინკლაობა“ და ა. შ. ლხინი გრძელდებოდა, საქორწილო რიტუალის ხანგრძლივობა ხევში ოთხი დღით განისაზღვრებოდა, მაგრამ ლხინი ხშირად ერთ კვირასაც გასტანდა.

პატიობა დღეს ნეფის დედას აიძულებდნენ, რომ ეცეკვა. ამ ცეკვის დროს მისთვის ტანსაცმელი უნდა შემოეხიათ, რადგან ითვლებოდა, რომ ოჯახის ახალ წევრს დედამთილი ტანთმიუკარებელ „ტარავალში“ გამოწყობილი უნდა დახვედროდა. შემდეგ ეს წესი იმით შეიცვალა, რომ ტანსაცმლის შემოხვევის ნაცვლად, ცეკვის დამთავრების შემდეგ ნეფის დედას აკავებდნენ (იჭერდნენ) მანამდე არ უშვებდნენ, სანამ ახლობელი ახალგაზრდები დამკავებლებისაგან საჭმელ-სასმელით არ „გამოისყიდდნენ“!

მთიელთა ქორწილში ასევე იყო შესაწევრის აკრეფის ჩვეულება, რომლის ინიციატორადაც ეჯიბი გამოდიოდა. შესაწევრის სახით გამოყენებული ყოფილა ცხვარი,

ჭოჭყი (1 წლის ხბო), მატყლი, ტყავეული, ნაბად-ქსოვილი, პური, თივა; გამონაკლის შემთხვევაში ძროხა, ხოლო ბოლო დროს ფული.

ამის შემდეგ ჩამოატარებდნენ ღვინით სავსე „ჯიხვებს“ (ჯიხვის რქა), რომელთაგან ერთს ერქვა „გამახარე“ (მასში ჩადიოდა 1 ლიტრი და ერთი ჩაის ჭიქა სასმელი), ხოლო მეორეს - „გამაგორე“ (მასში ჩადიოდა 1 ლიტრი და 2 ჩაის ჭიქა). „გამახარეს“ გამოცდა ყველას ევალებოდა, „გამაგორეს“ გამოცდა კი შემსმელის ნებაზე იყო დამოკიდებული.

„გამახარესა“ და „გამაგორეს“ ჩამოტარება ქორწილის მეორე დღის დასრულების მაუწყებელი იყო და ღვინით დაღლილი ხალხიც დროებით ისვენებდა.

ქორწილის მესამე დღეს ქეიფი გრძელდებოდა, ხოლო რამდენიმე სადღეგრძელოს ჩამოტარების შემდეგ გვირგვინების მოხდის ცერემონია იწყებოდა.

გვირგვინების მოხდა იგივე პირს ევალებოდა, ვინც დახურა, მაგრამ მას არაიშვიათად ვაჟის დედისძმა ენაცვლებოდა, რომელიც აუცილებლად ორ საკლავს მირეკავდა: „ორივე ყურშეტრუსულ საკლავს ნეფე-დედოფლის წინ დააყენებდნენ. გვარის უფროსი „დარიფნიდან“ სახლში შესასვლელი კარის თაღზე სამ ღერ სანთელს მიაკრავდა, სათანადო ლოცვას წარმოსთქვამდა, იქვე მდგომ მეკოდებს ჭედილებს დააკვლევინებდა და გვირგვინების მოხდის უფლებით აღჭურვილი პირიც (გვირგვინების დამხურავი ან ვაჟის დედისძმა) თავის მოვალეობას შეასრულებდა“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960, 286).

ამ ცერემონიის დამთავრების შემდეგ მოხუცები ჯვარულს დაიძახებდნენ და კვლავ სუფრისკენ გაემართებოდნენ, ახალგაზრდები კი „კარაჩხალის გატაცებისათვის“ ემზადებოდნენ. ეს ცერემონია ასე სრულდებოდა: „ეზოში თავს მოიყრიდა რამდენიმე თავნაჩენი მხედარი. ერთ-ერთ ცხენოსანთაგან მიაწვდიდნენ ტკბილეულით მორთულ კარაჩხას, ყველანი ერთ ხაზზე განლაგდებოდნენ და სათანადო ნიშნის მიცემისთანავე (დაკივლების ან სროლის შემდეგ) ცხენებს გააჭენებდნენ. ცხენოსნები ცდილობდნენ, რომ „კარაჩხალის“ მფლობელს წამოსწოდნენ და ამით თვითონ გამხდარიყვნენ მისი მესაკუთრენი. იმ შემთხვევაში, თუ ის მიჯნამდე პირველი მივიდოდა და მიჯნიდან უკან გამობრუნების დროსაც ვერავინ წამოეწეოდა, გამარჯვება მას ხვდებოდა წილად. ხოლო თუ მიჯნამდე ან მიჯნიდან დოღის დაწყების ადგილამდე მას რომელიმე ცხენოსანი დაეწეოდა და მკლავში ხელს წაავლებდა, კარაჩხა მეორე მხედრის ხელში

გადადიოდა. ამ ჩვეულების მეორენაირად „კარაჩხაის გათამაშება“ ერქვა (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960, 286-287).

კარაჩხაის გატაცებაში გამარჯვებული კარაჩხას ქალებს მიართმევდა, რომლებიც მას გამარცხავდნენ და გამარჯვებული ცხენოსნის ან ფეხოსნის (კარაჩხას ზოგჯერ ფეხითაც მისდევდნენ) საპატივსაცემოდ ხინკალს მოხარშავდნენ.

ამის შემდეგ კი იმართებოდა „კაჩაის ტეხვაჩი“ (წვივის ძვალი) ცერემონია.

ქორწილის მეოთხე დღეს „ხინკლაობა“ ეწოდებოდა. ამავე დღეს იცოდნენ ნეფის ჭერში ჩამოკიდება, რაც სიცილს და მხიარულებას იწვევდა. ნეფის ასეთი მდგომარეობიდან დახსნა ეჯიბს ევალებოდა, რომელიც მეკოდებებს უნდა შეხვეწნოდა, რომ ნეფის დამსჯელი ბიჭებისათვის სასმელი და ხინკალი მოეტანა. თუ ახალგაზრდების მოთხოვნა სრულად არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, ისინი ეჯიბსაც ნეფის მდგომარეობაში აყენებდნენ. ამავე მიზანს ემსახურებოდა ნეფის დედის თუ სხვა ქალების საცეკვაო წრეში „დატყვევება“ მანამდე, სანამ მათ თავიანთი შვილები ან დამძმები ხინკალ-სასმელით არ დაიხსნიდნენ.

ამავე დღეს მიღებული იყო თავ-დუმის, ღვიძლის და მკერდის ჭამაც. თავების ჭამისას განსაკუთრებულ წესს იცავდნენ. გვარის უფროსი საკლავების თავებს შუაში გააპობდა და ტვინს თანაბრად ანაწილებდა, რაც ერთობისა და თანასწორობის მაუწყებელი ჩანს.

ამ ლხინის გათავების შემდეგ „იღბლიანი“ ქალი ნეფე-დედოფალს ლოგინს გაუშლიდა, რისთვისაც მას ეჯიბი ფულით ასაჩუქრებდა. ამის შემდეგ ეჯიბი ნეფეს, ხოლო ქალები დედოფალს საწოლ ოთახში შეიყვანდნენ და გარეთ გამოვიდოდნენ. ეჯიბი კვლავ შევიდოდა, ერთად მწოლარე ცოლ-ქმარს „ჯვარს გადასწერდა; (მათ თავს დაადგებოდა და ჰაერს ხმლით ჯვარედინად გადასერავდა), ხმალს ბალიშის ქვეშ შედებდა, რომ მათ „ემშაკი და მავნე არ მიჰკარებიყო“, გამობრუნდებოდა და გამოკეტავდა კარებს. ამით მთავრდებოდა ეჯიბის მოვალეობაც და ქორწილიც.

3.2 მთის კუთხეების საქორწინო ტრადიციები:

ქორწილი ფშავში - ფშავში მაყრების რაოდენობა 10 - 20 კაცს შეადგენდა. გათვალისწინებული იყო, რომ ქალის ოჯახს დიდი ხარჯები არ ჰქონდა. მაყრიონი შედგებოდა მეჯვარის, ნეფის დის და სხვა ახლო ნათესავებისაგან - ნეფის მამისა და

დედის ბიძაშვილებისაგან. მთელი ეს ამაღლა შემდეგ წესს იცავდა: „დილით ცხენებზე ამხედრებული შეიარაღებული მაცრიონი გაეშურებოდა ქალის სოფლისაკენ. სახლს მიახლოვებულეს თოფის სროლით შეხვდებოდნენ და ოჯახის უფროსი გარეთ გამოეგებებოდა. ქალის ოჯახში დიდი ცერემონიალი არ სრულდებოდა. მოსულ სტუმრებს სუფრასთან მიიპატიჟებდნენ, ცოტაოდენი დანაყრების შემდეგ ხალხი წამოიშლებოდა და ვაჟის სახლში მიიჩქაროდა. გამოიყვანენ პატარძალს. ქალის მაცრები ერთ მწკრივად მიჰყვებიან ქალს და „ქალის ძმები ვართ“ ყვირიან. მაცრიონს წინ მიუძღვის ეჯიბი, რომელსაც ჩაბარებული ჰყავს პატარძალი, თუ ამ უკანასკნელს თავისი ცხენი ჰყავს, ხომ კარგი, თუ არა იგი ეჯიბთან ერთად ზის ცხენზე. ეჯიბსავე აბარია მზითვეი სათაუნო“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 26-27).

სანამ ვაჟის სახლში მივიდოდნენ, აუცილებლად იწერდნენ ჯვარს. მღვდელი გაფრთხილებული იყო ჯვრის დასაწერად „საჯვრისწერო ფულს“ იხდიდნენ (6 -10 მან).

ჯვრისწერის შემდეგ ვაჟის სახლისკენ გაემართებოდნენ. თან თოფებს ისროდნენ და ყიჟინებდნენ, ამასთანავე „ამალას ყველაზე უფრო მარდი ახალგაზრდა გამოეყოფა და ვაჟის ოჯახში მისვლისთანავე, გარეთ გამოსულ ხალხს მიმართავს: „მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელი, მიჭამია ძალი, შემიხვიეთ მხარი“. მას მარჯვენა მკლავზე შემოახვევდნენ ცხვირსახოცს. სახლს მიახლოებულ მაცრიონს წინ ნეფე - დედოფალი გამოეყოფოდა და სახლის კარებში გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ გაივლიდნენ. როდესაც ნეფე-დედოფალი სახლის ზღურბლს გადააბიჯებდნენ, მათ კარებში მიეგებობდა „ნეფის დედა“. ეს უკანასკნელი ნამდვილი დედა კი არაა, არამედ საგანგებოდ მოწვეული ფეხბედიერი ქალია, რომელიც ნამდვილი დედის ასაკისა უნდა იყოს და ამავე დროს ნეფის ნათესავიც. მას თავზე ქუდი ახურავს და ხელში უჭირავს ერბოგარეული თაფლიანი ჯამი. რიგრიგობით შეაჭმევს ამ თაფლს ხან ნეფეს, ხან დედოფალს და დალოცავს „ღმერთმა ტკბილად დაგაბეროთ, ერთმანეთს შეგაბეროსთ“. „ნეფის დედა“ მოიხდის ქუდს და ნეფე-პატარძალს შეიპატიჟებს შინ. წინ მიდის მეჯვარე, რომელსაც ჯვრიანი მრგვალი პურით და ერბოიანი ჯამით ხონჩა მიაქვს“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 27).

ეჯიბის ჯვარი ვაშლებითაცაა შემკული. დედოფალს ხელი უკიდია ნეფის წელზე შემოკრული ცხვირსახოცის წვერზე და როდესაც ეჯიბი ნეფე - დედოფალს სამჯერ შემოატრიალებს, ნეფიონის სახლის კერიისკენ გაემართება.

მონაწილე პირები შემდეგ წესს იცავენ: „წინ ჯვრიანი ხონჩით მეჯვარე იდის; მას მისდევს ნეფე - დედოფალი, შემდეგ ეჯიბი, მდადი, ქალის ძმა და ქალის და, ვაჟის მაყრები. ყველანი მეჯვარის მეთაურობით შემოუვლიან შუაკერას. უფრო გვიან კი, როდესაც ოჯახში შუაკერა აღარ ჰქონდათ, მაშინ „საკიდელს“ სპეციალურად ჩამოჰკიდებდნენ ოთახის შუაში, რათა მის გარშემო შესრულებულიყო ეს ცერემონიალი. ოთახის ორ მხარეს, კერის მარჯვნივ და მარცხნივ მომღერალთა ორი ჯგუფია ჩამწკრივებული. როდესაც ნეფე - დედოფალი კერას ან „საკიდელს“ გარს უვლიან, გაისმის სიმღერა „ფერხისა“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 28).

ლ. მელიქიშვილის გადმოცემით „ამ სიმღერას მრეროდნენ იმდენ ხანს, სანამ ნეფე-დედოფალი კერას სამჯერ არ შემოუვლიდა. შემოვლისას ქალის მაყრები საკიდელს ხანჯალს სცემდნენ და ბოლოს „ქალის ძმამ“ უნდა ჩამოაგდოს. ჩამოგდებულ საკიდელს ქალის მაყრები ეპატრონებიან და მანამდე არ დაუბრუნებენ ოჯახს, სანამ გამოსახსნელად ერთ ხელადა არაყს არ მიიღებენ, რასაც „საკიდელის დახსნას“ უწოდებენ“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 28).

ამ ცერემონიის შემდეგ „ყველა ნაბადზე მოთავსდებოდა. ჯერ ნეფე დაჯდებოდა, მარცხნივ დაუჯდებოდა პატარძალი, მის გვერდით მდადე, შემდეგ „ქალის ძმა“. ნეფის მარჯვენა მხარეს თავსდებოდა მეჯვარე, შემდეგ ეჯიბი. ვაჟისა და ქალის მაყრები ორპირად დასხდებოდნენ, დანარჩენები კი კერის თავსა და ბოლოში მოთავსდებოდნენ. ყველას წინ საკუთარი ხონჩები ედგათ. სანამ დაიწყებოდა საჭმლის ჩამორიგება, პატარძალს კალთაში პატარა ბიჭს ჩაუსვამდნენ და დალოცავდნენ: „ღმერთმა მრავალი ასეთი გიბედოთ. „ვაჟიანი იქნებიო“. დედოფალი პატარა ბიჭს წინდით ასაჩუქრებდა. ამის შემდეგ იწყებოდა ნადიმი“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 28-29).

ნადიმსაც თავისი წესი ჰქონდა: „პირველად „ქალის ძმას“ და ეჯიბს მიაწოდებდნენ ღვინით სავსე ჯიხვის ყანწებს. ისინი ორივე ერთად ილოცებიან... დაიწყებოდა საჭმლის ჩამორიგება. ჩამოატარებდნენ პურს, ყველს, ხორცს და სხვა საჭმელს რიგრიგობით. ჯერ

ერთ-ერთ წყებად, შემდეგ მეორე და ა. შ. იმართებოდა ლხინი, ცეკვა - თამაში, შაირობა” (გამომცემლობა „მეცნიერება” 1986, 29).

შაირობაში ერთმანეთს ეჯიბრებიან ვაჟის და ქალის მაყრები. ზოგჯერ ეს მხიარული შაირობა ჩხუბში გადადიოდა და ერთმანეთს ხანჯლებითაც კი დაერეოდნენ ხოლმე.

ამასობაში ღამდებოდა. ხალხი აიშლებოდა და მეზობლებში დანაწილდებოდნენ დასაძინებლად. პატარძალს მდადთან ერთად ეძინა. ზოგიერთები სუფრასთან რჩებოდნენ და დილამდე ქეიფობდნენ.

დილით „ამ სოფლის რამდენიმე ოჯახი ხინკალზე მიიწვევს სტუმრებს. ამასობაში ნეფის სახლში ისევ დაიწყებოდა მზადება, ასუფთავებდნენ ყველაფერს, რეცხავენ ჯამ-ჭურჭელს და კვლავ იწყება ქორწილისთვის თადარიგის დაჭერა. შუადღისას მექორწინე ხალხი ისევ თავს იყრის. ხევისბერი დაამწყალობებს საგანგებოდ შერჩეულ ჭედილას და დაკლავს. გამოიტანენ ღვინით სავსე ტაგანს, რომელზეც ანთებულ სანთელს მიაკრავს. ხევისბერი ტაგნიდან იღებდა ღვინოს ყანწებით და ანთებულ სანთლებთან ერთად გადასცემდა ვაჟისა და ქალის მახარობლებს” (გამომცემლობა „მეცნიერება” 1986, 30).

ხევისბერი ლოცავდა მათ. შუადღისას მექორწილე ხალხი ისევ თავს იყრიდა. გაშლილ ნაბადზე თავსდებოდნენ ნეფე-პატარძალი, მდადე, ქალის ძმა, მეჯვარე და ეჯიბი. მათ წინ იშლებოდა თეთრი სუფრა, რასაც „სანაწეო სუფრა” ეწოდებოდა. სანაწეოს შემდეგ „მრიგე” ჩამოურიგებს ყველას საჭმელს და იწყება დიდი მხიარულება და ნადიმი.

მანამდე კი, დილით, „ქალის მაყრები ჩამოივლიდნენ სოფლებში და იწყებდნენ „ქათმებზე ნადირობას”. მივლენ ყველა ოჯახში, მიიტანენ არაყს, დალოცავდნენ ნეფე-დედოფალს. შემდეგ იტყვიან - ქათამი გვინდაო, - რომელიც გსურთ, ის მოკალითო - დართავდნენ ნებას. მაყრები ესვრიან ჯოხს და მოკლავენ ქათამს. ზოგ მასპინძელს თავიდანვე თადარიგი აქვს დაჭერილი, იცის, რომ სოფელში ქორწილია და უნდა ინადირონ, ამიტომ თავიდანვე აქვთ გამზადებული ქათამი” (გამომცემლობა „მეცნიერება” 1986, 30-31).

მაყრები მოგროვილ ქათმებს სანდო ოჯახს ჩააბარებდნენ, რომელიც დაკლავდა მათ, მოხარშავდა და ქალის მაყრებს საგზლად გააყოლებდა გზაში.

მესამე დღეს შუადღისას ხდებოდა „გვირგვინების ახდა“: „ნეფე-დედოფალს დასვამდნენ სახლის ბანზე, მეჯვარეს მარჯვენა ხელში უჭირავს ხმალი, მარცხენაში კი ხანჯალი და მათი წვერით ნელ-ნელა ხდის გვირგვინს ჯერ ნეფეს, შემდეგ დედოფალს. გვირგვინის ახდის შემდეგ უნდა უშველოს ნეფემ თავს გაქცევით, თორემ ახალგაზრდები მას დაიჭერენ და სცემენ ან ამოსვრიან ტალახში. ამ ცერემონიალს ხალხი მხიარულებით და სიცილით ხვდებოდა. თუ ეს გვირგვინი ნათხოვარი არ არის, მაშინ ნეფე-პატარძალი მას ხატობაში თამარ მეფის სალოცავს შესწირავს. საერთოდ კი წესად ყოფილა, რომ საქორწილო ტანსაცმლის რაიმე ნაწილი უნდა შეეწირათ თამარ მეფის ხატისთვის” (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 31).

ამის შემდეგ „ვაჟის ოჯახი სახლიდან მოშორებით გაიტანს ღვინით სავსე ტაგანს და პურმარილს, აქვეა ქალის მაყრების მიერ „ნანადირევი“ ქათმებიც. ტაგანთან ქალის მაყრები გავლენ და კიდევ ერთხელ დალოცავენ ნეფე-დედოფალს. აქვე ხდება რომელიმე ახალგაზრდა ქალის შეთვალეობა „მოსატაცებლად“. მოტაცების ცერემონიალი აუცილებლად უნდა ჩატარდეს. ვაჟის სოფლის ქალები, იციან რა ეს წესი, იმალებიან, ეშინიათ მოტაცების მსხვერპლი არ გახდნენ. ქალის მაყრები კი ცდილობენ რაღაც არ უნდა დაუჯდეთ წამოიყვანონ მოტაცებული, ხანდისხან ახალგაზრდა ქალს რომ ვერ დაიჭერენ, პატარა გოგონებს დაერევიან და ტაგანთან გაიყვანენ. ამას ეწოდება „სალილედ“ ქალის მოტაცება. მაყრები მანამ არ დაუბრუნებენ მოტაცებულს, სანამ არ მიიღებენ „სალილე სახსარს“ - ერთ ხელადა არაყს ან ღვინოს” (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 31).

ნეფის დედა ქალის მაყრებს გზაში ატანდა ღვინოს, პურს, ყველს და ნანადირევ ქათმებს.

ამით ქორწილი დამთავრებულად ითვლებოდა. მხოლოდ შინაურები თავისთვის აკეთებდნენ ხინკალს, რაც ქორწილის დამთავრების ნიშანი იყო.

ქორწილი ხევსურეთში - როდესაც ქალის მოყვანის დრო დადგებოდა, ხევსურეთში ვაჟის მამა ან ნათესავი მიდიოდა ქალის წამოსაყვანად. ვაჟი ხევსურეთში, ისევე როგორც სხვა რაიონებში პასიურ როლში გვევლინება, იგი სახლში რჩება.

წამსვლელებს თან მიაქვთ სასმელი და სამი ცხვარი დასაკლავად. ერთს „ღვთისთვის“ კლავენ, მეორეს იმ სოფლის თემის ხატისთვის, საიდანაც სარძლოა,

მესამეს კი ნეფე-დედოფლის დამწყალობების ანუ ღმერთისთვის შევედრების შემდეგ კლავენ. ნეფის მამა მუჭში მოიგროვებს სისხლს და ხევისბერი პატარძლის მამას გულზე, შუბლსა და მხარზე ჯვარედინად წაუსვამს სისხლს. თუ სოფელში ერთი წლის გარდაცვლილია ვინმე და მისი ტალავარიც გაშლილია, ნეფე ჯვრისწერამდე ტალავარზე ერთ არშინ ფარჩას და ერთ ბოთლ არაყს მოიტანს. ამას „ტალავრის პატივი“ ეწოდება.

ქალის მოსაყვანად წასულ პირს ვინც გზაში შეხვდება, ყველას „ნეფე-ახალზალს“ დაალოცვინებს. შემდეგ მივა ქალის სახლში, ქალის ოჯახის წევრები გამოეგებებიან: ქალის მამა, დედა, ძმები, დები და სხვა. თვით ქალი კი დამალულია ბოსელში ან მეზობლებთან. მასპინძლები პირველად ცხენს მოუვლიან, ხურჯინს მოხდიან, დააბამენ, თივას დაუყრიან. შემდეგ „დამკითხავს“ სახლში შეიყვანენ. იგი მოითხოვს საკლავის დაკვლას. მოიყვანენ ხუცესს. ის „იხუცებს“ და საკლავიც დაიკვლება. ტყავი და ხორცი ოჯახს ეკუთვნის, ხოლო თავი ხუცესს რჩებოდა” (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 32).

პატარძალს სამგზავროდ მისი შინში ამზადებდა: „ზოგი პატარძალი ტანსაცმელს არ იცვამდა, რომ მისთვის არ დაეცინათ „როგორ გამოწყობილავ, თავი უნდა, რომ მოაწონოსო“. დედა ქადას გამოუცხოვდა „საგზაოს“. გზაში მყოფები გაჰყვებოდნენ. მათი რაოდენობა დამოკიდებული იყო ვაჟის სახლში გამოხდილი არყისა და ლუდის სიჭარბეზე. თუ ეს უკანასკნელი ბევრი ჰქონდათ გამოხდილი, მაშინ მყოფების რიცხვი არ იყო განსაზღვრული. ქალი ყველას პატიუებდა „მყოლად“. მათ რიცხვში იყვნენ როგორც ახალგაზრდები, ასევე ხნიერები და ქალებიც. „მყოლებს“ ჰყავდათ თავისი თავკაცი - „მყოლთ უფროსი“, რომელსაც ებარა „მყოლები“. „მყოლთ - უფროსი“ იყო მოხუცი კაცი. მის მოვალეობაში შედიოდა მყოლების თვალყურისდევნება, რომ მათ ბევრი არ დაეღლიათ და არ ეჩხუბათ” (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 32).

ქალის ამხანაგები ადრევე ემზადებოდნენ ქორწილისათვის. იკერავდნენ ახალ ტანსაცმელს, იყვითლებდნენ თმებს და ახალ სიმღერებსა და ლექსებს სწავლობდნენ.

პატარძალს სოფლიდან ყველა აცილებდა, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა. სოფელს რომ გასცდებოდნენ, ერთ მოხერხებულ ადგილზე შეჩერდებოდნენ, „მყოლსა“ და პატარძალს გაისტუმრებდნენ და რომელიმე მოხუცი ქალი, მოწმინდარი, რომელსაც „საგზაო“ ქადა ებარა, დაილოცებოდა. ამის შემდეგ ქადას დაჭრიდა იმდენ ნაწილად, რომ ყველა გამცილებელს შეხვედროდა სულ პატარა ნაწილი მაინც. ამის გამო „საგზაო“

ქადა რაც შეიძლება დიდი ზომისა ცხვებოდა (დაახლოებით 30 სმ დიამეტრის). ქადა პირველად ჯვარედინად იჭრებოდა და შემდეგ გრძელდებოდა ასევე: ამ ოთხ ნაჭერს ისევ ჯვარედინად გადასერავდნენ და 8 ნაჭერს მიიღებდნენ და ა.შ.

პატარძალი ისეთ დროს მიჰყავდათ სახლიდან, რომ ბიჭის სოფელთან საღამო ხანს ყოფილიყვნენ, რადგან იგი მხოლოდ დაბინდების შემდეგ უნდა შესულიყო ვაჟის სოფელში. სოფელს რომ მიუახლოვდებოდნენ, მყოლები ატეხავდნენ ყიჟინას და თოფის სროლას. ამით სოფელი გაიგებდა, რომ „ახალზალი“ მოჰყავთ. ბიჭები გზაში ცეცხლს ანთებდნენ. ყველა, ვისაც სოფლიდან წასვლა შეეძლო, მათ შესახვედრად გარბოდა დოლითა და გარმონით, არყითა და ლუდით. პატარძალი სოფელში ღამე უნდა შეეყვანათ, ამიტომ იმ ადგილზე, სადაც ცეცხლს დაანთებდნენ, დიდი მხიარულება იმართებოდა. იყო ვეკვა-თამაში, სმა და ხუმრობა. ხშირად ისევ ხდებოდა, რომ ქალის მყოლნი პატარძალს დამალავდნენ და სხვა ქალს უჩვენებდნენ. ქმრეულები შეცდომაში შედიოდნენ და ამ სხვა ქალს კოცნიდნენ და უაღერსებდნენ. შემდეგ გამოაჩენდნენ ნამდვილ პატარძალს და ატყდებოდა სიცილ-ხარხარი და ხუმრობა.

ამის შემდეგ რომელიმე მოხუცი, ბედნიერი ქალი, ხელს მოკიდებს პატარძალს და წაიყვანს. პატარძალი „ზღის მომგებლებთან“ შუაში დგას და ასე მიჰყავთ სიმღერით. მიუახლოვდებიან თუ არა სახლს, მასპინძლები გამოეგებებიან, მყოლებს ცხენებს ჩამოართმევენ, იარაღს მოახსნევენ. პატარძალს დედამთილი და სხვა ხნიერი ქალები მიეგებებიან და დალოცავენ.

როდესაც „მყოლები“ ბანზე ავიდოდნენ, მათ 3 ბაკან ლუდს მიაართმევენ, რომელშიც გაუმდნარი ერბოა ჩაყრილი. მყოლთ უფროსი დაილოცება და შესვამს ლუდს. ამის შემდეგ ყველა დალევს და ისე შედიან ჭერხოში.

„ახალზალს“ დედამთილი მოჰკიდებდა ხელს მარჯვენა ხელზე, მარჯვენა ფეხით ზღურბლზე გადაიყვანდა და დალოცავდა. შემდეგ კერასთან მიიყვანდნენ და იქ დააყენებდნენ ან შემოატარებდნენ სამჯერ. შემდეგ პატარძალს კარების უკან დასვამდნენ და კალთაში პატარა ბიჭს (1 წლისას) ჩაუსვამდნენ. პატარძალი უბიდან ხავიწიან ქადას ამოიღებდა და მისცემდა ამ ბავშვს. ქალები დალოცავდნენ. ქალებს პატარძალი გაჰყავდათ „შინა სახლში“, სადაც მასთან სოფლის ახალგაზრდები იკრიბებიან და ართობენ სიმღერითა და ცეკვით.

ჭერხობი „მყოლთ ჯარს“ ცალკე დასვამდნენ. თვითონ დალაგდებოდნენ უმცროს-უფროსობის რიგით. მათ ქმრის სოფლელი არავინ დაუჯდებოდა. სუფრა პატარა ტაბლაზე ეწყობოდა, რომელსაც 3-4 კაცი მიუჯდებოდა. ერთი ჯამიდან 2-3 კაცი ჭამდა.

როდესაც დეკანოზი სუფრას დალოცავდა, ქალის „მყოლებიდან“ რომელიმე მოხუცი კაცი სუფრაზე დადებდა სამ ქადას „მასანთოს“, რომლებშიც ანთებულ სანთლებს ჩაარჭობდნენ. „მასანთოები“ ქალის ოჯახიდან მიჰქონდათ. მას ქალის დედა ან მისი ოჯახის წევრები გამოაცხობდნენ. ესაა სამი ცალი პატარა ხავიწიანი ქადა და სამი სანთელი. შემდეგ ამ „მასანთოს“ დაჭრიდნენ და ყველა მიირთმევდა” (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 34).

ქალის მყოლები ძალიან ამაყად იქცევიან. მასპინძლები მიართმევენ ლუდს და ისინიც განუწყვეტილივ სვამდნენ. თუ ლუდი გამოელეოდათ, „მყოლნი“ ატეხავდნენ ჩხუბს და აყალმაყალს. ამიტომ მათ ლუდით სავსე „საწდეები“ (ქვაბები) სულ წინ ედგათ.

ნეფე ამ დროს არ ჩანდა. იგი დამალული იყო მეზობლის სახლში.

„სოფლის ჯარს“ ცალკე მეზობლის სახლში დასვამდნენ. მყოლთ არ შეურევდნენ. სიძესაც სოფლის ჯარში მიიყვანდნენ და იქ ლუდს ასმევდნენ. სოფლის ჯარი და მათთან ერთად სტუმრები წყნარად ისხდნენ და ლუდ-არაყს სვამდნენ.

ქალის მყოლნი რასაც დაინახავდნენ, ყველაფერს ამტვრევდნენ, „თანაც ყვიროდნენ, ეჩხუბებოდნენ მასპინძლებს. მასპინძელი ყოველთვის უთმობდა მათ და არაფერს ეტყოდა. მასპინძელს რომ ეწყენინებინა რაიმე, ქალის „მყოლნი“ გაწყრებოდნენ, შინ წასვლას დააპირებდნენ და თუ ძალიან გაბრაზდებოდნენ, ქალის წაყვანითაც იმუქრებოდნენ. ამით ვაჟის ოჯახი შეწუხდებოდა, მიუტანდა ლუდიან „საწდეებს“, შეახვეწებდნენ უფროს მამაკაცებს და ყველა ქუდს მოუხდიდა და ქუდმოხდილები „დასხდებოდნენ მუხლით“ (ე. ი. დაუჩოქებდნენ). თუ ამით ვერ დააბრუნებდნენ „მყოლებს“ და ვერც პატარძალს დაატოვებინებდნენ, მერე საკლავსაც მოუყვანდნენ, ძლივს შეირიგებდნენ. ასეთ ხასიათს „მყოლთ“ გაწყრომა, გაბრაზება მაშინ მიიღებდა, როცა სასიძო ან სიძის ოჯახის წევრებიდან მამა ან ძმა აწყენინებდა. დანარჩენი ხალხის წყენინებას არ აქცევდნენ ყურადღებას“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 35).

როდესაც ყველა დალაგდებოდა და დამშვიდდებოდა, მყოფნი სიძეს მოიკითხავდნენ. მყოფებიდან ორი კაცი წავიდოდა, მივიდოდნენ სოფლის ჯართან და სიძეს წამოიყვანდნენ. აქედანაც ორი კაცი გამოყვებოდა სიძეს.

ქალის მყოფნი ცდილობდნენ, რომ როგორმე სიძე ეცემათ. სიძეს მისი გამცილებლები იცავდნენ და მყოფთ ამშვიდებდნენ მაგრამ სიძეს ისე არ გაუშვებდნენ, რომ „სასიძლო სილა“ არ შემოეკრათ. ამას ქალის ძმა აკეთებდა (შეიძლება არა ნამდვილი, არამედ ბიძაშვილი ან სხვა ახლობელი). ატყდებოდა ალიაქოთი, ჩოჩქოლი, ჩხუბი და ყაყანი. სიძე - ქალის „მყოფები“ ერთმანეთს დაერეოდნენ. ამ ჩხუბის გარეშე ქორწილი არ შეიძლებოდა ჩატარებულიყო.

ქორწილის პირველ დღეს, დაახლოებით შუალამისას, დადგამდნენ „ნეფიოეთ ტაბლას“. მექორწილეთაგან ერთი შუახნის კაცი, კარგი მოუბარი, იტყოდა ნეფის ტაბლა უნდა დაიდგასო. დადგამდნენ ნეფის ტაბლას და იქ დასხდებოდნენ: ნეფე, ცოლის ძმა, ცოლის და, ბიძაშვილები, შინშები, ახალგაზრდები, იმის მიხედვით, თუ რამხელა იყო ტაბლა.

როდესაც ნეფეს შემოიყვანდნენ, ხალხი ფეხზე ადგებოდა, გარდა ქალის ძმისა. სამივეს, ორ მყოფსა და ნეფეს დასვამდნენ ცალკე ტაბლაზე - „ნეფის ტაბლაზე“. სანთლებს ანთებდა ვინმე ხუცესი და შეავედრებდა უფალს.

„ნეფის ტაბლას“ ჰყავს „დამცველი“. ის უვლის გარშემო და იცავს მას, რომ ვინმე ახლოს არ მიეკაროს და ხელი არ ახლოს რამეს.

ნეფის დაჯდომის შემდეგ ტაბლაზე „იცინ ბოთლებისა და კვერების გადაცემა. არყით სავსე თითო ბოთლი ახალგაზრდა ქალებს მიაქვთ. კვერებიც მათი გამოცხობილია. ბოთლებსა და კვერებს შემოხვეული აქვს ლამაზად დაჭრილი და მძივებით მოქარგული ქსოვილი. ამას „ნეფის კვერას“ უწოდებენ. ტაბლაზე იდგმებოდა ბოთლები ხატებთან ერთად (ზოგი მასალის მიხედვით კი ერთი ხატი უნდა ყოფილიყო ტაბლაზე“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 36).

ხატებს ახალგაზრდა გოგოები თავიანთ ნაცნობ ბიჭებს აკეთებინებდნენ. ყველაზე ლამაზ ხატს არაყთან ერთად ქალის ძმას მიართმევდნენ. „ნეფის ტაბლიდან“ იცოდნენ არყის პარვა და ამიტომაც მცველი ჰყავდა. ხშირად ამ ნიადაგზე ჩხუბიც ატყდებოდა. აღებულ ბოთლებს ქალებს ჩააბარებდნენ და მეორე დღეს მოსთხოვდნენ. თუ ვერ

მიიღებდნენ ბოთლებს, ჩხუბს ატეხდნენ. ამიტომ ბოთლების შემნახველი ქალები ცდილობდნენ კარგად დაემალათ, რომ არავის მოეპარა. ვისაც ეს ხატი შეხვდებოდა, წაიღებდა და თავის სახლში ინახავდა. ამ ხატის გამოყენება სხვა ქორწილშიც შეიძლებოდა.

ზოგჯერ ქორწილის მეორე დღეს იცოდნენ ხალხის გამხიარულების მიზნით „მორთვა“ (ქორწილში და ახალ წელს): „კაცები ჯიხვის ან დათვის ტყავით ირთვებოდნენ და ისე ცეკვავდნენ. ქალები ჩაიცვამდნენ კაცის ტანსაცმელს და ქამარ - ხანჯალს შემოირტყამდნენ. შემდეგ ხელის დაკვრით ნიშნობის სცენას გაითამაშებდნენ. შემდეგ ამ დანიშნულის ნათესავები ჩხუბს ატეხდნენ და ამას დიდი სიცილი და მხიარულება მოჰყვებოდა“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 37).

კიდევ იცოდნენ „ჯილდის დაყენება“ (ნიშნის დაყენება). ფიცარზე ნახშირით შემოხაზავდნენ რაიმე ნიშანს და ესროდნენ თოფს.

ქორწილი სამ დღეს მიმდინარეობდა. ხევსურები მექორწილე ოჯახს უშუალოდ არ ეხმარებოდნენ, მაგრამ როდესაც სოფელში ქორწილი იყო მოსალოდნელი, ყველა ოჯახი ემზადებოდა, ხდიდნენ არაყს, აცხობდნენ პურს, ამზადებდნენ ყველს. საკლავს არ კლავდნენ. ეს ყველაფერი იმისთვის მზადდებოდა, რომ მექორწილე სტუმრები მიეპატიჟებინათ. „მყოლებს“ აუცილებლად მიიპატიჟებდა ვაჟის მამის ძმა, სიძის ძმა (თუ ცალკე ცხოვრობდა), ბიძაშვილები და ა. შ. ეს ოჯახები „მწევარს“ (მოპატიჟეს) გაუგზავნიდნენ მათ. მყოლები მთელი დღე ქეიფობდნენ და საღამოს ისევ ნეფის ოჯახში ბრუნდებოდნენ. ღამე დიდი მხიარულება იმართებოდა, მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ამის შემდეგ იმართებოდა სწორფრობა (ერთად წოლა), ქალ-ვაჟთა გაცნობა.

მესამე დღეს, როცა ქალის მყოლები მოისურვებდნენ, მაშინ დაბრუნდებოდნენ თავიანთ სოფელში. მათ არყსა და ლუდს ატანდნენ. ქალის ძმას სთხოვდნენ მეოთხე დღესაც დარჩენილიყო. ზოგი რჩებოდა და მასვე დააბარებდნენ დღეს, როდესაც ზალს წაიყვანდნენ მამის სახლში. ქალი ქმრის სახლში ერთი კვირა მაინც უნდა დარჩენილიყო. მოყვანის დღის სწორზე წაყვანა არ შეიძლებოდა - უბედურებას მოუტანსო - ამბობდნენ.

ამ დღეების შემდეგ ქალი ქმრის სახლში ისევე მუშაობს, როგორც სხვა წევრები, ოღონდ ოჯახის წევრებთან „უძრახად“ არის მამაკაცებს ემალება და არც ქმარს ეჩვენება. ამ ხნის მანძილზე ქმართან დაწოლა არ შეიძლება.

ქალის ოჯახში კი საქორწილო მზადებაა. არაყს ხდიან, ლუდს ხარშავენ, პურებს აცხობენ, ხავიწს ადუღებენ. სუფრა ეწყობა იმავე დონეზე, როგორც ვაჟის ოჯახში.

ახალ ზალს ქმრის ოჯახიდან მყოლად წაჰყვება ყველა, ვისაც სურვილი აქვს. ქმარი სახლში რჩება.

მისულ ზალის მყოლებს სახლთან ახლოს შეხვდებიან სიმღერითა და დოღ-გარმონით. ზლის მყოლები მორიდებულნი და თავშეკავებულნი არიან. მყოლებს ცალკე სვამენ და სოფლის ხალხს ცალკე. პატარძალი ორივე ჯგუფს უთმობს დროს. მეორე დღეს სოფლელები პატიჟებენ მყოლებს. მესამე დღეს ბრუნდებიან სახლში. მათ მთელი სოფელი აცილებდა და ლუდსა და არაყს ატანდნენ საგზლად.

ქორწილის შემდეგ ქალი 1 წელი მაინც რჩებოდა მამის ოჯახში, ზოგჯერ 2 – 3 წელიც. ამ ხნის მანძილზე ცოლ-ქმარი ერთმანეთთან არ დადიოდნენ გარდა ახალი წლისა. ახალ წელს ზალი მიჰყავდათ ქმრის ოჯახში „ბედის კვერის“ საჭმელად. ამ დროს მას ქმართან აწვენდნენ. სამი დღის შემდეგ ზალი უკანვე მიჰყავდათ. ამის შემდეგ ქალს უფლება ეძლეოდა თავისუფლად მისულიყო ქმრის ოჯახში. ეხმარებოდა მათ თიბვასა და მკაში. ქმარი კი მასთან არ დადიოდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში წავიდოდა, თუ მუშა ხელი დასჭირდებოდათ.

ერთი წლის შემდეგ, გაზაფხულზე „ქმრეულები“ რძალს წაიყვანდნენ.

ქორწილი თუშეთში - თუშეთში ქორწილის დღეს ვაჟის მხრიდან იკრიბებოდა მაყრიონი 20 – 25 კაცის შემადგენლობით. წოვებში მაყართა რიცხვი 50 – 60-ს შეადგენდა. მაყრიონში მონაწილეობდნენ ვაჟის ნათესავები მამისა და დედის მხრიდან, აგრეთვე მისი ამხანაგები, ახლო მეზობლები, ახალგაზრდები და ხნიერები.

გზაში მაყრიონს „მახარობელი“ გამოეყოფოდა, დაწინაურდებოდა და ქალის ოჯახს ატყობინებდა მაყრიონის მოახლოებას. მას წინდებით აჯილდოებდნენ. მაყრიონის მოახლოებისას თამაშდებოდა შემდეგი სცენა: „ქალის მხარე კეტებით შეიარაღებული გამოვარდებოდა და ვაჟის მაყრიონს დაერეოდა, ეზოში არ უშვებდა. მაყრები კი ცდილობდნენ ძალით შევარდნას. ამ დროს უფროსები გამოვიდოდნენ და

დაამოშმინებდნენ. პატარძალი სახლში ჰყავდათ დამალული. მასთან იყვნენ მისი „მომრთავი“ ქალები. ვაჟის მაცრები მოიკითხავდნენ პატარძალს. მათ მიუთითებდნენ ადგილს, სადაც იგი იმალებოდა. მეჯვარე გაემართებოდა მის გამოსაყვანად, მაგრამ კარებში ხვდებოდა რომელიმე ახალგაზრდა და ფულს სთხოვდა. ფულის გადახდის შემდეგ მეჯვარე გამოიყვანდა პატარძალს, რომელსაც პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული” (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 38 - 39).

ამის შემდეგ მექორწილე ხალხი ფარდაგზე სხდებოდა. შუაში ნეფე-პატარძალი ისხდნენ, ნეფის მხრიდან სხდებოდნენ მამაკაცები, ქალის მხრიდან ქალები. მოხუცებს ცალ-ცალკე ჰქონდათ სუფრა გაშლილი. ისინი შორიდან უყურებდნენ ამ ცერემონიალს.

ქორწილში „ქვის ჯამებს“ ჩამოარიგებდნენ (ამ ჯამებს მეზობლებშიც თხოულობდნენ). ასევე „კლავდნენ საკლავს, ხარშავენ ფაფას. უფრო შეძლებულნი ბრინჯისას, ზოგი პურის ფქვილისას. სასმელად არაყსა და ლუდს ხმარობდნენ. თამადად (თამანდა) ვინც უფრო კარგი მოსაუბრე იქნებოდა, იმას აირჩევდნენ ქალის ნათესავებიდან, მხოლოდ ის პატარძლის ოჯახის წევრი არ უნდა ყოფილიყო. პირველად ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს შესვამდნენ, შემდეგ მშობლების, ნათესავებისა და ა. შ. (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 39).

შემდეგ ასეთ წესს იცავდნენ: „დაახლოებით შუა ქეიფში მეჯვარე მოითხოვდა „ჯვრის“ შემოტანას. ქალის დედის ძმას შემოჰქონდა ჯვარი. „ჯვარი“ („ხატი“) წარმოადგენდა დაახლოებით 75 სანტიმეტრის სიმაღლის ხის ჯვარს, რომელიც პურში იყო ჩამაგრებული, ხოლო პურის ქვემოდან ხაჭაპურს უდებდნენ. ყველაფერი ეს დიდ ლანგარზე იდო და გარშემო ეწყო ქათამი, ხაშლამა, ტოლმა და სხვა. საკვების ასეთი ნაირსახეობა მოგვიანო პერიოდს ეკუთვნის და თუშების ალვანში (ბარად) ჩამოსახლების შედეგია. ჯვარს სამ წვერზე ჩამოცმული ჰქონდა ვაშლები, რომლებშიც ჩასმული იყო 3 სანთელი და ბაფთებით იყო შეკრული. შუაში კიდებდნენ პირსახოცს. ჯვარის (ხატის) შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე ხილით სავსე 15 სინი, რომლებიც ქალის დედის ძმის ოჯახის წევრებს მოაქვთ რიგრიგობით. ეს ხილი დედის ძმის ოჯახიდან გამოდის. ასეთივე ჯვრის მირთმევა იცოდა ვაჟის სახლში ქორწილისას ნეფის დედის ძმამ“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 39).

ავტორი აგრძელებს ამ ჩვეულების აღწერას: „იგი თვითონ თლის და რთავს ამ „ჯვარს“. ქორწილის მესამე დღეს ამ „ჯვარს“ მეჯვარე „გამარცვავს“. ეს ჯვრები ადგილზე რჩება: ქალის - ქალის სახლში, ვაჟის - ვაჟის სახლში. ჯვარს ოჯახში, ჭერში ჩამოჰკიდებდნენ (კოჭებში გაურჭობდნენ), სადაც 3-დან 5 წლამდე ეკიდა. იყო ოჯახები, სადაც რამდენიმე ჯვარი ჰქონდათ, ვაჟისაც და ქალისაც. ამით მიხვდებოდით, თუ რამდენი ქორწილი იყო ამ ოჯახში“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1986, 39-40).

მას შემდეგ რაც ამ ჯვარს ქალის დედის ძმა ნეფე-პატარძალს წინ დაუდებდა, ყველა გასცემდა თავის „გადასალოცს“ (საჩუქარს), ფული იქნებოდა თუ სხვა. საჩუქრის მირთმევისას წესი იყო, რომ ვაჟის მეჯვარეს და ქალის ეჯიბს დაესახელებინათ საჩუქრის მიმტანი და ეყვირათ „ააშენოს, ააშენოსო“. საბოლოოდ ჯვარი მთლიანად იფარებოდა „გადასალოცით“. ამის შემდეგ ცალკე ოთახში გადათვლიდნენ ძღვენს და ყველაფერს ოჯახის პატრონს ჩააბარებდნენ და როცა პატარძალი „ფეხსაბრუნებლად“ მოვიდოდა მაშინ ყველაფერს მას მისცემდნენ.

თუშებში ქორწინებისა და წინასაქორწილო ტრადიციებს აღწერს გიორგი ცოცანიძე თავის წიგნში „გიორგობიდან გიორგობამდე“. თუშეთში მარიამობის თვე ნიშნობა - ქორწილების დრო ყოფილა. „მარიამობის თვე, მარიამობის მარხვა და მარხვის შემდეგი ორი კვირა თიბა - მკობასთან ერთად ნიშნობა - ქორწილობათა დროც იყო თუშეთში. მარხვაში ხდებოდა ქალ-ვაჟთა დანიშვნა, ხოლო „გახსნის შემდეგ, ე. ი. მარიამობის თვის მეორე ნახევარში ქორწილები იმართებოდა“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1990, 179).

აღსანიშნავია, რომ თუშებში ქორწინების ასაკი მკაცრად განსაზღვრული არ იყო, ყველაფერი მომავალი ნეფისა და დედოფლის თვისებებზე იყო დამოკიდებული: „ვაჟისა და ქალის საქორწილო ასაკი მკაცრად განსაზღვრული არასოდეს ყოფილა, იგი საკმაოდ დიდ ინტერვალს შორის მერყეობდა: თექვსმეტ - ჩვიდმეტიდან ოცდაათ - ოცდათხუთმეტი წლებით შემოიფარგლებოდა. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როდიდან იქნებოდა ვაჟი „კაცად ნაქნარი“, ხოლო ქალი „ქალად ნაქნარი“, ე. ი. რამდენად იყვნენ ისინი სოციალურად მომწიფებულნი: ვაჟი - ოჯახის უფროსად, ხოლო ქალი - ოჯახის დედად“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1990, 179).

ქალ-ვაჟის შეუღლების საკითხი მათ დაუკითხავად, მათი სურვილის და თანხმობის გარეშე წყდება - შეიძლება საცოლე და საქმრო არც კი იცნობდნენ ერთმანეთს, შეიძლება არც კი ენახოთ ერთმანეთი.

საცოლის არჩევანში მონაწილეობას იღებდნენ ვაჟის უახლოესი ნათესავები: „ინიციატივას ვაჟის მხარე იღებს ყოველთვის. ვაჟის მამა, თუ მამა არა ჰყავს დედა ან ის, ვისაც უფროსობის სიტყვა ეთქმის ოჯახში, მოეთათბირება ნათესაობას, ძირითადად მამაკაცებს: ბიძებს, სრულფასოვან ბიძაშვილებს, დედისძმას ან დედის მხრიდან უახლოეს ნათესავებს. ბჭობენ, განსჯიან, არჩევენ სარძლოებს. ბოლოს ვინმეზე შეაჩერებენ არჩევანს და შეუდგებიან საქმის არსებითად მოგვარებას: გაიკითხავენ ქალის ასავალ-დასავალს, პირველ ყოვლისა დაადგენენ, „ერგებიან“ თუ არა ვაჟი და ქალი ერთმანეთს. გამორიცხულია სისხლით ნათესავთა ცოლ-ქმრობა, რაც უნდა შორეული ფესვები ჰქონდეს მას. გადამწყვეტი სიტყვა ამ შემთხვევაში გვარის უხუცეს კაცებსა და ქალებს ეკუთვნის. გაიკითხავენ ჯიშსა და ჯილაგს - შთამომავლობას როგორც მამის, ისე დედის მხრისას. მაინც კი უპირველესად იმას იკითხავენ, თუ როგორ საქმის ქალიაო, როგორი ხელისა, როგორი მეოჯახე“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1990, 184).

იწუნებდნენ უსაქმურებს, უსუფთაოებს და ზედმეტად თამამებს, გარეგნულ სილამაზეს ყურადღებას არ აძლევდნენ. საძრახისი იყო ასევე ქალის სიკოჭლის გამო დაწუნება.

მთელ ამ პროცესში არ ერევა ვაჟი. მან ზოგჯერ არც კი იცის, რომ დაქორწინებას უპირებენ. ის ცხვარშია და თვეები ისე გაივლის, სოფლიდან ამბავს არავინ მოუტანს.

როცა აარჩევენ საპატარძლოს, ჯერი შაუამავალზე - „მარჯაკალზე“ მიდგება: „როცა საბოლოოდ შეაჩერებენ არჩევანს გარკვეულ ქალზე, სთხოვენ რომელსამე საპატაო პირს, ღირსეულ კაცს გვარბიძაშვილობაში ან სოფელ - მეზობლებში „მარჯაკლობას“ - შუამავლობას სარძლოდ ამორჩეული ქალის ოჯახიდან“ (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1990, 184).

ამის შემდეგ „მარჯაკალი გაიკითხავს, დაადგენს, თუ როდის იქნება ქალის ოჯახის უფროსი სახლში და აი, მარიამობის მარხვის ერთ შაბათ დღეს, მზის დახრის ხანს, იმ ანგარიშით, რომ შებინდებისას შევიდეს საპატარძლოს სოფელში. ერთი ცხენ-კაცი დინჯად გავა ვაჟის სოფლიდან. „ღმერთმა ხელი მოგიმართოსო“, გააყოლებენ

შინაურები: ვინმე კერიდან მუგუზხალს გამოიღებს და ესვრის მიმავალს. ეს ვითომ ერთგვარი მაგიაა, საქმის კეთილი ბოლოს ხელშემწყობი” (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1990, 184).

მარჯაკალი მთელ თავის მჭერმეტყველურ შესაძლებლობებს ავლენს. აქებს სასიძოს და მის ქონებას. მასპინძლები უსიტყვოდ უსმენენ. ბოლოს ეტყვიან, რომ ნათესავეებს უნდა დაეკითხონ და ასე მთავრდება მარჯაკლობის პირველი ეტაპი - „პირის ხილვა“.

ამის შემდეგ იწყება მეორე ეტაპი: „მეორედ უკვე წინასწარ დანიშნულ დღეს მიდის მარჯაკალი. მან იცის, რომ გადაწყვეტილ პასუხს ვერც ახლა მიიღებს, მაგრამ შეეტყობა კი, როგორი პირი უჩანს საქმეს: თუ ქალის პატრონს განზრახული აქვს, რომ მთხოვნელს უარი შეუთვალოს, თავაზიანად მოიცილებს მარჯაკალს: ჯერ ვერ გავათხოვებთო, ხელი არ გვეწყობა, ქორწილის დრო და საშუალება არა გვაქვს, სხვაგან ეცადენითო და სხვა, ხოლო თუ სასიძო მასაც ჭკუაში დაუჯდება და ფიქრობს, საბოლოოდ დადებითად გადაწყვიტოს საქმე, უკვე იწყებს მარჯაკალის „ხელით ხვევას“. დღეისთვის გადაწყვეტილს ვერაფერს გეტყვიო, მავანი და მავანი ნათესავი ვერა ვნახე და თუ გეჩქარება, წადი, იმათი პ[ირიც იხილეო. ესენი და ესენი ნახე, ამა და ამ დღისთვის აქ მომიყვანე და საბოლოო პასუხსაც მაშინ გეტყვითო. თან მარჯაკალს სუფრასთან მიიწვევს, პურს გატეხენ, არაყსაც გადაჰკრავენ. ეს უკვე იმის ნიშანია, რომ ქალიანები „ჰობაზე არიან“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990, 186).

იმედმოცემული მარჯაკალი, რადგან ხედავს, რომ საქმე მის სასიკეთოდაა, ცხენს ქალის ნათესავეებს შორის დააქროლებს, ეძებს, უთანხმდება მათ.

ბოლოს დგება დანიშნული დღე „ხელმიცემისა“. „ქალის ოჯახში თავს მოიყრის ქალის ახაო ნათესაობა. ელიან მარჯაკალს. იგი კვლავ დაბინდების ხანს გამოჩნდება სოფელში. რაკი დარწმუნებულია, რომ საქმეს კეთილი დასასრული ექნება, მას ახლა უკვე პატარა ხურჯინით თან მოაქვს ე. წ. „საწესო“ - მცირე პურ-მარილი, ტიკჭორით არაყი და ერთი სანთელი. ყოველივე ამას გარეთ დატოვებს ცხენზე გადაკიდებულს, ან მიაბარებს ვინმე თავისიანს, თუკი ასეთი არის იმ სოფელში” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990, 187).

ამის შემდეგ ფორმალურად ქალსაც ჰკითხავენ აზრს. ითვლება, რომ კარგმა პატარძალმა უნდა თქვას: „ჩემი პატრონები თქვენა ხართ და თქვენი ნებაა, თუნდა წყალშიც გადამაგდეო“. სასიძოს დაწუნება საპატარძლოს მხრიდან სამრახისადაა მიჩნეული. შემდეგ იმართება ლხინი, რომელიც გათენებამდე გრძელდება. ლხინი მეზობელ ოჯახებშიც გადაინაცვლებს. ამას „ახია“ ეწოდება. ბოლოს, როგორც იქნება, მარჯაკალი ხელიდან უსხლტება მასპინძლებს და გამარჯვების მაუწყებელი თოფის ქუხილითა და სიმღერით მიაჭენებს ცხენს თავისი სოფლისკენ. ასევე ყიჟინითა და თოფის სროლით შედის იგი თავის სოფელში. დამხვდურები ცხენს ჩამოართმევენ, „გამოეფინებიან მეზობლებიც. კიო ეტყვიან, გვჯერა, რომ შენ უერთოდ არ მოგვიხვიდოდი, მაგრამ მაინც წინდები გვაჩვენეო. ისიც თავმოწონებით დაადრობს უბიდან „ზალოს“ ნაჩუქარ ჭრელ წინდებს, მისი გამარჯვების უტყუარ ნივთიერ დასტურს. ვაჟის დედასაც მზადა აქვს ამ დღისთვის გადანახული ჩითები და მიართმევს მარჯაკალს. ესაა სამახარობლო საჩუქარი და ჯილდო თავდადებული მცდელობისთვის, რაც მან გასწია მთელი მარჯაკლობის განმავლობაში. სხვა გასამრჯელო მას არა აქვს“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990, 189).

„ხელმიცემის“ შემდეგ იმართება მოლაპარაკება ნიშნობა - ქორწილთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებზე. „ხელმიცემას“ მოჰყვება „ლიშნობა“: „ლიშანი“ ქალისთვის ვაჟის ოჯახის მიერ მიტანილი საქორწილო საწინდარია, რომელშიც ცოტაოდენი ფულის გარდა, შედის ტანსაცმელი და სამკაულები. ვაჟისანი წინასწარ ჰკითხავენ ქალის მშობლებს, თუ რა სჭირდება ქალს ქორწილის დღისათვის აუცილებლად, რა აქვს და რა არა აქვს. „ლიშანის“ მიტანისას ამას აუცილებლად გაითვალისწინებენ. ლიშნობაში წავლენ ვაჟის უახლოესი ნათესავები, ძირითადად მამაკაცები, ასწე, ხუთ-ექვს კაცამდის. ყველა თავ-თავისი წილი საჩუქრით ხელდამშვენებული. საჩუქრად შეიძლება ტანსაცმელიც მიიტანონ და სამკაულიც, ცხადია, შესაკერი ნაჭრებიც ტანსაცმლისათვის. ძალიან ფასობს ვერცხლეული - გულ-მკერდის სამშვენისი სამკაულები და საყურეები“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990, 190).

„ლიშნობაში“ მისულებს, ყველას „საპატარძლო თავისი ნაქსოვი წინდებით, ჩითებით, ქუროებით, ნაქარგი ცხვირსახოცებით და სხვა ამგვარი რამეებით

დაასაჩუქრებს. თუ „მეღლიშნობებს“ მამამთილი ან მამამთილის ძმა ახლავს, მას რძლის ხელით მოქსოვილ ხურჯინს მიართმევენ, ახალგაზრდა მაზლს კი ჩულებს – ცხენის უნაგირსა და თიქალთოზე გადასაფარებელ პატარა ლამაზ ხალებს აჩუქებს” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990, 190).

„ღლიშნობის“ ღამეს დათქვამენ ქორწილის დღეს. მხოლოდ ამის შემდეგ იგებს მომავალი ნეფე, რომ იგი დანიშნულია.

ქორწილის დღეს, შუადღის ხანს მორთულ - მოკაზმული მაყრები ვაჟის ოჯახში იყრიან თავს. მზის გადახრისას ოცი - ოცდახუთი ცხენოსნისაგან შემდგარი მაყრიონი გზას დაადგება. ერთი, ყველაზე დარბაისელი, „ბიჭის ეჯიფია“. იგი მაყრიონის მეთაურია და საქორწინო ცერემონიალის წესრიგიანად ჩატარება ევალება. მაყრიონს მიჰყვება ერთი ქალიც - „ბიჭის დადი“. იგი პატივსაცემი მანდილოსანია ვაჟის ახლობლებიდან და აუცილებლად გათხოვილი. მას მთელი ქორწილის განმავლობაში პატარძლის პატრონობა ევალება.

სოფელს მიახლოებულები ცხენებს გააფიცებენ, თოფებს დაცლიან. სოფლის მისადგომებთან ხვდებთ სახრეებითა და ხელკეტებით შეიარაღებული ახალგაზრდების ჯგუფი. ისინი ცდილობენ მოსულები სოფელში არ შეუშვან. ამასობაში რომელიმე მაყრიონიდან ალყას გაარღვევს ან გვერდ აუქცევს დამხვდურებს და სოფელში შევარდება. ამის შემდეგ სოფელი „გატეხილად“ ითვლება და დანარჩენ მაყრიონსაც გზას უთმობენ.

მაყრიონი სხდება ქალის ოჯახში, ეჯიფი კი ფეხზე დგას. იგი გაეშურება პატარძლის სამყოფისკენ, რომელიც თავის მხრივ დადებთან და ეჯიფთან ერთად ელოდება მას. ქალის ოთახთან იმართება ვაჭრობა, ქალის მხრის ხალხი ითხოვს „კარგასამდლოს“ - გარკვეულ თანხას პატარძლის სანაცვლოდ. არის დიდი მხიარულება, ეჯიფი იხდის სიმბოლურ თანხას, რომელსაც პატარძალს დადი სხვა „გადასალოცთან“ ერთად ჯვართან დებს. ეჯიფს აცეკვებენ და ატანენ პატარძალს. იმართება ლხინი, რომელიც შემდეგ მეზობელთა ოჯახებშიც გადაინაცვლებს. პატარძალი თავის დადთან ერთად იძინებს, ნეფე - თავის ეჯიფთან ერთად.

ლხინი მეორე დღის შუადღიდან გრძელდება. ძირითადი სალხინო მუსიკა ზურნაა, გომეწრიუსა და პირიქითის თემებში კი გარმონი.

სადამოს წასასვლელად აიშლებიან.. პატარძალს დადები წაიყვანენ, პურს აჭმევენ, იგი ხომ მთელი ქორწილის განმავლობაში უჭმელია, პირბადეჩამოფარებული ზის. გაემზადებიან ქალის მაყრებიც: ქალის ძმა აუცილებლად, ქალის ეჯიფი, დადი და რამდენიმე სხვა.

გაემარტებოდნენ ჯვრის დასაწერად: „ეკლესიაში მღვდელი ნეფე-პატარძალს გვირგვინებს დაადგამდა თავზე და აკურთხებინებდა. გვირგვინის კურთხევის დროს მეუღლეთა ფეხებთან შიშველი ხანჯალი ან ხმალი იდო ისე, რომ მათი ფეხის წვერები იარაღს ეხებოდა” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1990, 197).

ზოგჯერ რაიმე მიზეზით ჯვრისწერა არ შედგებოდა, მაგრამ ეს წესი არ იყო. ჯვარდაუწერილი ცოლ-ქმარი სამღვდელოებას უკანონოდ მიაჩნდა.

სოფელს მიახლოებულებს მახარობელი გამოეყოფათ: „მახარობელი რომ მოვარდება და მოახლოებული მაყრიონის ყიჟინა და თოფის შილინგი გაახშიანებს მიდამოს, სოფლის „ქალ-ზალი” საჯარეში მოიყრის თავს. ბიჭიანები სოფლის მისასვლელთან აღმართავენ გრძელ, ნედლ ხეზე დამაგრებულ ცეცხლმოკიდებულ ბუკვინის ქოჯოს - მაშხალას. დამხვდურები აქ ჩაეგებებიან მაყრიონს და სანამ ქალის მაყრები თოფით მაშხალას არ ჩამოაგდებენ, მანამ სოფელში არ შეუშვებენ. ის, ვისი ნასროლითაც მაშხალა ჩამოვარდება, ვაჟის დედისაგან წინდებს მიიღებს ჯილდოდ” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1990, 197).

სოფლის შესასვლელთან ეჯიფი პატარძალს ნეფის გვერდით დააყენებს. მოიკითხავს სანთლებს . მიუტანენ სამ სანთელს. ეჯიფი ერთს აანთებს და მეფეს მიაწვდის, შემდეგ მის სანთელზე მეორეს მოუკიდებს და პატარძალს მიაწვდის. მესამეს თვითონ დაიჭერს და წავლენ ნეფის სახლისკენ. „წინ ეჯიფი მიდის. მას ნეფე მიჰყვება. ნეფეს მარჯვენა ხელში რომ ანთებული სანთელი უჭირავს, მარცხენა ბაღდადის ერთ ბოლოზე უვლია, ბაღდადის მეორე ბოლოზე მარჯვენა ხელი აქვს მოკიდებული პატარძალს, მარცხენაში სანთელი უჭირავს და ასე მიჰყვება ნეფეს. ამ ბაღდადის დანიშნულება ისაა, რომ მათ შორის არავინ გაიაროს, ეს თურმე გაყრას მოასწავებს. პირდაპირ შიშველ ხელს კი ვერ მოჰკიდებენ ერთმანეთს, სხვათა თანდასწრებით ეს დიდი სირცხვილია. ნეფე-დედოფალს დადი მიჰყვება და მერე ჯგუფი მოლხინარი ახალგაზრდებისა დაკვრითა და სიმღერით” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1990, 197-198).

სახლის კარებთან დედამთილი შემოეგებებათ და თაფლს აჭმევს ნეფე-პატარძალსაც და ეჯიფსაც. ოთახის შუაში ფეხიან ტაბლაზე სუფრაა გაშლილი. ამ ტაბლას ნეფე-პატარძალი და ეჯიფი სამჯერ შემოუვლიან. ახალგაზრდები კედლების გასწვრივ ჩამწკრივდებიან. ეჯიფი წინ მიუძღვის ნეფე-პატარძალს. ერთ ხელში სანთელი უჭირავს, მეორეში ამოღებული ხანჯალი. ყოველ შემოვლაზე ჭერის კოჭს ხანჯალს დაჰკრავს და იტყვის: „ჯვარ წინა და ჯვარ უკვენა, ანგელოზო შინ შემოდი, ეშმაკებო გარეთ გედიოთ“. ეჯიფს სასმელიან ყანწს მიაწვდიან. იგი ილოცავს. ჯერ პატარძლის ოჯახში ფეხბედნიერ შემოსვლად დალოცავს, მერე იმათ, ვინც მას კეთილი გულით დახვდა, მესამე ყანწით იმათ ადღეგრძელებს, ვინც პატარძალი დედუღეთიდან გამოსტუმრა და კეთილი თვალი გამოაყოლა. ამ სადღეგრძელოებს სვამს ყველა ოთახში მყოფი. ამის შემდეგ გამოდიან საჯარეში და ლხინს მართავენ ჭამა - სმის გარეშე.

პატარძალს და დადს რომელიმე მეზობლის სახლში წაიყვანენ დასაძინებლად. ქალის მაყრებს სოფლელები გადაიპატიჟებენ.

ლხინი გრძელდება მეორე დღესაც: „საქორწილო სუფრა სასოფლო საჯარეში გაიშლება. მოამზადებენ ნეფე-პატარძლის დასაჯდომ ოდნავ შემალღებულ ადგილს, რომლის უკან ფარდაგია გაკრული, ქვეშაც ფარდაგს დააფენენ. ზედ ნეფე-დედოფლის დასასხდომად ბალიშებს დადებენ. „კახურაით“ - ფეხმორთხმით დასხდებიან, სუფრის გასაწყობად ჯირკვბზე ერთი ან ორი ფიცრის სიგანეზე გაურანდავი ფიცრებისაგან დაბალ მაგიდას გამართავენ. ხან ფიცრების მაგივრად შინნაქსოვ შეუღებავ საშარვლე და საჩიხე ტოლებს - შალებს დააფენენ. ხალხის დასასხდომად იქით და აქეთ გრძელ მორებსა და ჯირკვბს შემოუწყობენ“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990, 1999).

ქორწილის დაწყებამდე ნეფე-პატარძალს საფურში წაიყვანენ. საფურის კარებში ცხვარს დაკლავენ და სისხლიან ხანჯალს ნეფე-პატარძალს ფეხებთან დაუდებენ ტარით მათკენ. ნეფე და პატარძალი ხანჯალს ფეხის წვერებით უნდა შეეხონ. ვინც პირველი შეახებს ხანჯალს ფეხს, ის იქნება ოჯახში უფროსი. დაკლული ცხვრის გაკეტებას განსაკუთრებით სანდო პირს ავალებენ. შიგნეულის ამოღებისას ცხვრის ნაწლავი არ უნდა გაიკვანძოს ან არ გაიჭრას. პირველ შემთხვევაში ცოლ - ქმარი შეიკვრებიან,

ცოლქმრული კავშირი არ მოხდება, მეორე შემთხვევა კი მათ გაყრას მოასწავებს. პატარძალს ისევ ლოცავენ და გამოდიან საქორწილოდ მომზადებულ საჯარეში.

ნეფე-დედოფლის ადგილზე ვიღაც წამოწოლილა და სძინავს სანამ ეჯიფი ფულს არ მისცემს, არ გაიღვიძებს. მერე დაილოცება, არაყს გადაჰკრავს და ნეფე-დედოფალს ადგილს გაუთავისუფლებს. მარჯვნივ მეფე ჯდება, მარცხნივ - პატარძალი. ვაჟის მხარეს - ეჯიფი, ქალის მხარეს - დადი. ეჯიფის მიყოლებით ქალის მაყრები დასხდებიან, ხოლო დადის მიყოლებით - ქალის დადები.

არაყს ძროხის რქის ყანწებით ასმევენ სტუმრებს. ლუდი სპილენძის ან ხის საწდით დგას შუა საჯარეში, გვერდით უხის „მეალუდე“ და „ზედამდექებს,, ლუდს უსხამს ხის ტასებში ან ჯიხვის და ნიამორის რქის ყანწებში - „ჯიხურაებში“.

თუ სოფელში ახალგარდაცვლილია ვინმე (ერთი წელი არ არის გასული), ქორწილის პატრონი მის ოჯახში სუფრას მიიტანს. თავის მხრივ „ახალსულის პატრონიც“ გზავნის სუფრას. მასში არის საჩუქარიც პატარძლისათვის. თამადა სანტელს აანთებს, ყანწში იმ ხელადიდან ჩამოასხამს არაყს და სუფრის პატრონის შესანდობარს იტყვის.

საერთოდ, თუშთა სუფრაზე გარდაცვლილთა მოსაგონრები სჭარბობს ცოცხალთა სადღეგრძელოებს. ხალხს სწამს, რომ გარდაცვლილის სული ყველგანაა და შესანდობარს ელოდება.

ამის შემდეგ ცერემონიაში ერთვებიან დედის ძმები. მათი იმ ოჯახიდან გამოსვლა, რომელშიც ჯვარი და გადასალოცი აქვთ წინასწარ გამზადებული, თოფის სროლით აღნიშნავს: „წინ მიმავალ მთავარ დედისძმას, ე. ი. დედისძმებში უფროს პირს, ხელში სპილენძის დიდი ლანგარი უჭირავს, რომელზედაც ამისთვის საგანგებოდ გამომცხვარ დიდ პურში ჩარჭობილი ხის ჯვარი დგას. ჯვრის განივ ტოტებზე ორი სანთელი ანთია. ჯვრის წაწვეტილ ბოლოებზე ვაშლებია წამოცმული, ზედვე არის ჩამოკიდებული ერთი წყვილი წინდა. ლანგარზე სამი კოტორი და ერთი სანთელი დევს, დგას ზედაშეც. დედისძმას მოჰყვებიან მისი ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები. თითოეულს ხელში ლანგარები უჭირავს კოტრებითა და ხილეულით. თანვე მოჰყვებიან ახალგაზრდა ქალები დაკვრითა და სიმღერით. ერთ ყმაწვილთაგანს ხელში

თოფი უკავია და დროდადრო ისვრის: მოდიან, მოდიან, დედისძმები მოდიანო - ისმის შეძახილები” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990, 197201-202).

ჯვარს ნეფე-პატარძალს წინ უდგამენ. ისმის დედისძმების სადღეგრძლო. შემდეგ უკრავენ მუსიკას და დედისძმა ყველა თავის მომყოლს თითოჯერ აცეკვებს. ამის შემდეგ ახლობლებს უფლება აქვთ საჩუქრები მიართვან ნეფე-დედოფალს. ყველაფერს ჯვარზე ჰკიდებენ. ფულს სპილენძის ჯამში ჰყრიან. ვინმე პატარა ბავშვს, აუცილებლად ვაჟს მოიყვანს და პატარძალს კალთაში ჩაუსვამს. პატარძალი ბავშვს წინასწარ მომზადებულ წინდებს ჩუქნის.

საცუქრებს ეჯიფი იღებს და ხმამაღლა ასახელებს საჩუქრის მომტანს. იმართება ცეკვა - თამაში. ვაჟმა შეიძლება აარციოს „ბადალი” ქალი. არჩეულ „ბადალს” ვაჟი რაიმე ტკბილეულს მისცემს ან ტკბილ არაყს შეასმევს. ეს არაყი საგანგებოდ მოაქვთ ქალის მაყრებს.

სადამოსპირს ქორწილი დასასრულს მიუახლოვდება. ეჯიფი თამადისგან ნებას ითხოვს, ჯვარს იმავე ლანგრით აიღებს, რომელზეც იგი დგას და ნეფე-პატარძალს სახლში შეუძღვება. აქაც სუფრაა გაშლილი. მათვე გაჰყვებიან ქალის მაყრები და დადები, ქალის მომყოლნი, მისი ნათესავები. სიძის მხრიდან იქ შესვლის უფლება არავის აქვს რამდენიმე „ზედამდექის” გარდა. ეჯიფი ხანჯლის წვერით გვირგვინებს ახდის ნეფე-პატარძალს. ამით ქორწილი თავდება. სიძე უცბად წამოხტება და გარეთ გავარდება. ქალის მაყრები ცდილობენ მათრახი მოარტყან, ზედამდექები და ეჯიფი კი მის დაცვას ცდილობენ. სიძე შეიძლება კარგად გაიტყვიპოს, მაგრამ წყენა საძრახისია.

გარეთ სუფრაა გაშლილი. პირბადეახდილი პატარძალიც თავისიანებში ზის. ქალის მაყრები „საკერაოს” ითხოივენ, შუა კერასთან დადგებიან და ფეხებს აბრაგუნებენ. მოაქვთ ერბოიანი დურკი და ტიკჭორა. მაყრები დურკის გარშემო ცეკვავენ. შემდეგ ითხოვენ პირუტყვს. მასპინძლები აძლევენ დეკეულს ან შიშაქს, რომელსაც ყურს აუხევენ. ითვლება, რომ ასეთი პირუტყვი კარგად ნაშენობს.

პატარძალი მაყრების წასვლის შემდეგ მდადეს მიჰყავს ოთახში. ეჯიფი კი ნეფეს მიაცილებს კართან. უნდა ერიდონ, რომ ოთახში ნივრის თავები არავინ შეყაროს ან სიძეს მგლის ქონი არ ჩამოუსვას ვინმემ.

მეორე დღეს პატარძალი გარმონის თანხლებით წყალზე მიჰყავთ. მესამე დღეს ეჯიფი ჯვარს შლის. ერთი კვირის შემდეგ პატარძალი დედულეთში მიჰყავთ „ფეხბრუნებად“. მას მიჰყავს მამამთილი ან უფროსი მამა. სადამოს შეიძლება სიმეც მოვიდეს.

„ფეხბრუნებად“ მისულები იმ დამეს იქ ატევენ. მეორე დღეს ცეკვა-სიმღერითა და გარმონით აცილებენ. ამის შემდეგ კი ქალი მშობლიურ ოჯახთან კავშირს წყვეტს და სტუმრადლა თუ მივა ხოლმე, ისიც არცთუ ისე ხშირად.

ქალს ოჯახიდან ატანენ „პატარძლის კოტორს“, რომელსაც შინდაბრუნებული ჭრის და მთელ სოფელს უგზავნი. ქმრის ახლობელ უფროს მამაკაცებს კი კოტორს ნაჭრებთან ერთად უგზავნი თითო წყვილ წინდას ან ხელთათმანს. ეს ნიშნავს, რომ პატარძალი ამ საჩუქრების მიმღებებს არ დაელაპარაკება. თავის მხრივ საჩუქრის მიმღებები თადარიგს იჭერენ „აჭკვავებად“ ანუ შესარიგებლად - თავიანთ ოჯახში მიიწვევენ პატარძალს. პატარძალი ამ ადამიანებთან „აჭკვდომის“ შემდეგაც მორიდებულად არის. უფრო ადრეულ პერიოდში კი ახალი რძალი ოჯახის წევრებსაც არ უნდა დალაპარაკებოდა.

პატარძალი მალე იცვლის საგარეო სამოსს, მხოლოდ „კუჭურა“ - ქორწილისდროინდელი მანდილი რჩება თავზე, რომელიც შრომისას ერთგვარ უხერხულობას ქმნის. ამიტომ ვინმე უფროსთაგანი ხდის მას, მაგრამ ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ მოულოდნელი იყოს. თავის მხრივ პატარძალი „კუჭურას“ შენარჩუნებას ცდილობს, რადგან ითვლება, რომ მასთან მალე შელევს საჩოთიროა. ამის შემდეგ პატარძალი ატარებს ჩვეულებრივ მანდილს, რომელსაც არ მოიხდის, განსაკუთრებით კი ხნიერ ქალებთან და ქმრის ნათესავ მამაკაცებთან. ეს მოკრძალების გამოხატვადაა მიჩნეული.

ასევე უცხოთა სახელით მიმართვა. განსაკუთრებით რძალი „სახელს უმაღავს“ ქმრის ნათესავ მამაკაცებს და უფროს ქალებს. ასევე ერიდება ქმარს სახელით მიმართოს ან მოიხსენიოს. სხვასთან საუბარში მას „ჩვენ კაცს“ უწოდებს, მიმართვისას კი „ეეო“ მიმართავს ან „კაცო“. დედამთილს და მამამთილს „დედამთილად“ და „მამამთილად“ მოიხსენიებს, მიმართვისას კი ბერდელსა და ძაბოს ეძახის. ქმრის ბიძებს „ბიძოს“

ემახის, ბიცოლებს „ახალდედას“ ან იმათ დედას ან დიაცს, ვისი ოჯახიდანაც არის მაზლს „ბიჭოს“ უხმობს, მული კი მას „ქალა“-ს უწოდებს.

ქორწილის შემდეგ პირველსავე საღვთო დღეს ხდება პატარძლის ხატის კარზე გაყვანა, რომელზეც აქ აღარ შევჩერდებით.

ქალის მოტაცებას თუშები ერიდებოდნენ, რადგან ეს დიდ დავიდარაბასთან იყო დაკავშირებული. მოტაცებაში ჩვეულებრივი, ტრადიციული „ქორწილისგან განსხვავებით სასიძოც მონაწილეობდა. ის ხანგრძლივი პროცესი იყო. ვაჟი შეარჩევდა „მოენეს“, რომელიც ქალს ნელ-ნელა იმ აზრს შეაჩვევდა, რომ ოჯახის შეხედულების წინააღმდეგ წასულიყო. „მოენები“ ძირითადად ქალის სოფელში გათხოვილი ვაჟის თანასოფლელი ან ნათესავი ქალები იყვნენ.

გატაცებისთვის ისეთ დროს არჩევდნენ, რომ ქალი მარტო ყოფილიყო - სისხლის დაღვრას ერიდებოდნენ. საერთოდ კი, ქალის გატაცების გამო ატეხილ დავიდარაბაში თუშეთში კაცის სისხლი თითქმის არასოდეს იღვრება. თუშთა საერთო სათემო ყრილობას გადაწყვეტილებაც კი მიუღია ამასთან დაკავშირებით: ქალის მეპატრონისათვის უფლება მიუცია გამტაცებლებისათვის პირუტყვი დაეხოცათ.

ქვრივი მამაკაცისაგან დაქორწინება არავის უკვირდა. დაქვრივებული ქალი კი სამუდამოდ ქვრივად უნდა დარჩენილიყო. თუ შვილები არ ჰყავდა მაშინ შეეძლო გათხოვება. ასეთ შემთხვევაში ქორწილს არ იხდიდნენ. პატარა სუფრას შლიდნენ უახლოესი ნათესავების წრეში.

მეორე ცოლის მოყვანიდან ცოტა ხანი რომ გაივლის, ყოფილი სიძე პირველი ცოლის ოჯახში კაცს გაგზავნის და მისვლის ნებართვას ითხოვს. თუ დათანხმდებიან, წაიყვანს საკლავს, წაიღებს პურ-ღვინოს. მოსულ - დამხვდურები ტირილით ხვდებიან ერთმანეთს, თუმცა შემდეგ ახალშეუღლებულებსაც ლოცავენ.

მეორედ დაქორწინებული კაცი აგრეთვე კარგი ურთიერთობის დამყარებას ცდილობს თავისი მეორე ცოლის პირველი ქმრის ოჯახთან. თუმცა აქ მეტი წინააღმდეგობაა. ისინი ერთხანს არ პატიობენ რძალს, რომ მათთვის ძვირფასი ადამიანი დაივიწყა. ბოლოს მაინც რიგდებიან და კარგი ურთიერთობა მყარდება.

თანამედროვეობაში ქორწინების წეს - ჩვეულებანი რამდენადმე შეიცვალა. ჩვენ ამის ნათელყოფას ისევ თუშ - ფშავ - ხევსურთა ყოფის მაგალითზე შევეცდებით, მაგრამ

ძირითადად მთიდან ბარად ჩამოსახლებული მოსახლეობის მაგალითზე. დღეს „საქორწინო ურთიერთობა დასაშვებია არა მხოლოდ სოფელში, არამედ ერთ უბანშიც, მაგრამ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს მექორწილეთა წარმომავლობა. ძველი წესისამებრ, ერთი სოფლის წარმომადგენლები (ე. ი. გადმოსახლებამდე ერთ სოფელში მცხოვრებნი) ვერ იქორწინებდნენ ერთმანეთზე. დღესაც, როგორც წინათ, დაცულია ეგზოგამია, არა მარტო შიგნით, ე. ი. სისხლით ნათესავეებში, არამედ მოყვრობითა და ხელოვნურად დანათესავებულებშიც (ნათელ - მირონით, დაძმობილებით და სხვა). ის კი არა, ჩვენ მიერ შესწავლილ კუთხეში დღესაც მოქმედებს წინანდელი წესი იმისა, რომ ერთი ხატის „ყმანი“ ერთიურთს ვერ შეირთავდნენ და ეს გრძელდებოდა იმდენ თაობაზე, სანამ ამას ადამიანის მახსოვრობა შემოინახავდა“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, 65).

ქორწინებისას მნიშვნელობა ეძლევა, თუ რომელი მხრისაა სარძლო ან სასიძო: „ძირითადად, როგორც ძველად, დღესაც ხევსური ხევსურს მიჰყვება, ფშაველი ფშაველსა და თუში თუშს. რა თქმა უნდა, არის შერეული ქორწინებაც, მაგრამ შედარებით ნაკლები“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, 65).

როცა საქმეში მაჭანკალი ჩაერეოდა აფასებდნენ ისევ იმ თვისებებს, რასაც ძველად. ოღონდ ახლა განათლებასაც აძლევდნენ მნიშვნელობას: „საქორწინო პარტნიორის არჩევისას მნიშვნელობას ანიჭებდნენ პატიოსნებას, ხასიათს, შრომისმოყვარეობას, გარეგნობას, განათლებას, ჩამომავლობას და ჯანმრთელობას. ეს იმ შემთხვევაში, ქალ - ვაჟის ურთიერთობაში თუ სხვა პიროვნებაა ჩართული, ე. ი. ქორწინება გარიგებითაა. ძირითადად კი ქალ-ვაჟის შეუღლება სიყვარულით ხდება“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, 65).

დღეს ქლ - ვაჟი თვითონ ირჩევს ერთმანეთს და სიყვარულით უღლდება. ხშირად ხდება ქალის შერთვა გარიგებით, რომლის მოთავენი მშობლები არიან, მაგრამ გადამწყვეტი ხმა თვით ახალგაზრდებს ეკუთვნით.

რა ხდება გარიგებით დანიშვნისას? „გარიგებით დანიშვნისას (იქნება ეს უცნობი პიროვნება ამ მიზნით გაცნობაში ან უკვე ნაცნობი პიროვნება ამ მიზნით დაახლოებაში), ვაჟის ოჯახის მიერ ხდება შუამავლის გაგზავნა. ეს უკანასკნელი ვაჟის ოჯახის ნათესავია, პატივცემული, სერიოზული და ენაწყლიანი პიროვნება. იგი არავითარ

გასამრჯელოს არ იღებს. უნდა აღინიშნოს, რომ გარიგებისას გადამწყვეტი ხმა ახალგაზრდებს ეკუთვნის (თუმცა არც ძველ წესებში ყოფილა ამ მხრივ დიდი შეზღუდვა). თუშებში, ძველი აღწერილობის სააწინააღმდეგოდ, როდესაც ცხვრიდან მობრუნებულ ვაჟს საცოლე უკვე სახლში ხვდებოდა, დღეს სასიძო თავის საკუთარ ნიშნობას აუცილებლად ესწრება. მთხრობელების გადმოცემით კი, სიძის დაუსწრებლად ნიშნობა თითქმის არც კი ჩატარებულა” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, 65-66).

მივიწყებას მიეცა აკვანში დანიშვნის წესი და ჯვრისწერაც. დღევანდელ ნიშნობა - ქორწილს ასეთი სახე აქვს: „ყველა წინა - საქორწილო ცერემონიალის მოგვარების შემდეგ იწყება ნიშნობა, რომელიც მხოლოდ ქალის სახლში ტარდება. ნიშნობისათვის ქალის მშობლებიც ემზადებიან და ვაჟისაც. ვაჟის მხრიდან ქალთან მიდიან მისი ნათესავები დაახლოებით 20 – 30 კაცის შემადგენლობით, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი კაცის მოყვანის უფლებას მისცემენ ქალის მშობლები” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, 66).

ავტორი აგრძელებს: „ნიშნობაში არ მიდიან ვაჟის დედ-მამა. თვით ვაჟი კი აუცილებლად წავა. ვაჟის მაყარს თან მიაქვს სანოვაგე (მოხარშული ქათმები, შემწვარი წიწილები, თევზეული, ფხალი რამდენიმენაირი, ყველი, ხაჭაპურები, მწვანილი, კიტრი, პამიდორი, ხილი და სხვა), ხოლო სასმელიდან ღვინო 50 ლიტრამდე, ლიქიორი და კონიაკი” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, 66).

აუცილებლად მიაქვთ ცოცხალი საკლავი (ძირითადად ცხვარი). ეს არის ახალი წყვილის შესაწირი ხატისთვის. საკლავს ახლა უკვე ნიშნობაშივე კლავს რომელიმე უფროსი კაცი და არა დეკანოზი, ადარც სანთლებს ანთებენ.

თავის მხრივ, ქალის მხარეც ახვედრებს სანოვაგეს ვაჟის მხარეს. პირველად ქალს პურ - მარილს გააწყობინებენ. ერთი საათის შემდეგ ვაჟის მხარე თავის მოტანილ პურ - მარილს შლის ცალკე ოთახში (ჭურჭელიც თავიანთი აქვთ). ამ სუფრაზე ვაჟის მრიდან თამადად არჩეული პირი მოიპატიჟებს უფროსებს.

პატარძალი ისევ დამალულია. სუფრაზე პატარძალს იწვევენ მანამ, ვიდრე „ბიჭის სუფრა“ გაიშლებოდეს როცა უფროსები ვაჟის სუფრაზე გადადიან, დანიშნულები და ახალგაზრდები პირველ სუფრაზე რჩებიან. სუფრებს სხვადასხვა თამაღები ჰყავს.

ვაჟს მიაქვს ნიშანი ანუ „ბელგა“: „„ბელგაში“ შედის ოქროს ნივთები: მრგვალი; ბეჭედი, თვლიანი ბეჭედი, ძეწკვი, საყურეები. ამ ნივთების მიტანა აუცილებელია. მოხუცები ამ ნიშანს „ოქროულობას“ უწოდებენ, ხოლო ახალგაზრდები კი „ბელგას“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, 66-67).

ნიშნობა ეწყობა შაბათს ან კვირას და ის ერთ დღეს გრძელდება. ნიშნობიდან ერთ ან სამ თვეში ეწყობა ქორწილი. ამ დროის განმავლობაში მძახლებს ერთმანეთში მიმოსვლა აქვთ. სიძის სტუმრობა შეიძლება, პატარძლის არა.

რაც შეეხება ქორწილი შემოდგომაზე ან გაზაფხულზე ეწყობა. ხოგჯერ ზაფხულშიც. ზამთარში იშვიათად. ქორწილში 200-300 კაცს იწვევენ (ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს, თანამშრომლებს).

ქორწილში აღარ კეთდება „დაჭრელებული პურები და „მასანთო ქაღები“. იცინა ქათმები, ინდაურის საცივი და თევზეული, აგრეთვე კიტრი, პამიდორი, მწვანილი, ხაჭაპური. სუფრის გაწყობაში ეხმარებიან მეზობლები, ნათესავები და ამხანაგები.

ავტორი წერს: „თანამედროვე ხევსურულ ქორწილში გვხვდებიან ახალი პერსონაჟები პატარძლის მხრიდან: მდადე (ირჩევს ქალი თავის ამხანაგს ან ნათესავს), რომელსაც აუცილებლად ევალება ოქროს ბეჭედი საჩუქრად (შემდეგ იგი ქალის მხრიდან ბავშვის ნათლიად ითვლება), „ქალის ძმა“ - ასევე ქალის ახლობელია (მას არ ევალება საჩუქარი). სიძის მხრიდან: „ნათლია“ - ახლო ამხანაგი, ევალება პატარძლისათვის ოქროს ბეჭდის ან საყურეების ყიდვა; შემდგომში ესეც ბავშვის ნათლიაა. „ნეფის და“ - სიძის ამხანაგი ან ნათესავი, რომელსაც საჩუქარი არ ევალება. მდადის და „ქალის ძმის“ მოვალეობაა მთელი ქორწილის მანძილზე პატარძლის ახლოს ყოფნა, სხვა არავითარ რიტუალს არ ასრულებენ. „ნეფის და“ - ასევე ნეფის გვერდით უნდა იმყოფებოდეს; ხოლო რაც შეეხება ნათლიას, იგი მოვალეა უპატრონოს პატარძალს: დაადლოს საჭმლის ჭამა, აცეკვოს და სხვა“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, 67).

ვაჟის მხრიდან მაყარში დაახლოებით 50 კაცი მიდის. ხანში შესულები არ მიჰყავთ. მიაქვთ პატარძლის საქორწილო კაბა და ყველაფერი, რაც პატარძალმა უნდა ჩაიცვას ქორწილის დღეს, ასევე მიაქვთ სანოვაგე.

ქალის სახლს რომ მიუახლოვდებიან, „მყარს გამოეგებებიან ქალის ნათესავები და მიიპატიჟებენ ოჯახში. ამ დროს პატარძალი სხვა ოთახში იმყოფება. სტუმრებს სუფრასთან მიიწვევენ. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ პატარძლის გამოსაყვანად მიდის ნეფის ნათლია და „ნეფის და“. ნათესავებიდან ექვსი შვიდი კაცი შეჰყვება. პატარძალს მანამ არ გაატანდნენ, სანამ არ მიიღებდნენ „გამოსასყიდს“ (ხუთიდან ორმოცდაათ მანეთამდე). ამ თანხას „ნათლია“ იხდის და იგი „მდადის საკუთრებაა, რაც ახალი მოვლენაა. ქალის სახლში თამადა ქალის მხრიდან ირჩევა. ქორწილი სამ-ოთხ საათს გრძელდება; იმართება ცეკვა-თამაში; ისმება ტრადიციული სადღეგრძელოები. ბოლოს, წამოსვლის წინ, ვაჟის მყარი შლის თავის მიტანილ პურმარილს სხვა ოთახში, სადაც მიიპატიჟებენ ხნიერებს. ირჩევენ „მყეფარს“, რომლის მოვალეობაა საჯაროდ, ოხუნჯობით გამოაცხადოს მორთმეული საჩუქრები და ფული. საჩუქრები მრავალფეროვანია: ოქროს სამკაულები, საკაბეები, ჭურჭელი და სხვა საოჯახო ნივთები. ფული ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე უნდა ეჩუქებინათ. ძალიან ახლობლები, მაგალითად ბიძები, ორას მანეთსაც აჩუქებდნენ“ (გამომცემლობა „განათლება“, 1986, 68).

ქალის ოჯახში ქორწილი მალე თავდება. „აქედან მყარში ქალს ორმოცი-სამოცი კაცი გაჰყვება. ნეფე-პატარძალს და მყარებს ვაჟის ნათესავები შემოეგებებიან ვაჟის სახლთან და მიიპატიჟებენ ოჯახში. აქ ქორწილი ისევე მიმდინარეობს, როგორც ქალის სახლში, იმ განსხვავებით, რომ ხალხი მეტია, საჭმელიც უფრო უხვადაა და ქორწილი ორ დღეს მიმდინარეობს. თანამედრო ქორწილში თითქმის აღარ სრულდება ძველი წესები. ხევსურები აღარ აკეთებენ „ხატს“ და არც „ნეფის ტაბლას“ დგამენ; ხოლო თუშეთში „ჯვარი“ წორწილის ერთ-ერთ ატრიბუტად არის შემორჩენილი; იგი ტრანსფორმირებული სახით არის წარმოდგენილი. „ჯვრის მოტანა ქორწილში დღეს დედას ძმას ევალება. „ჯვრის“ შემადგენლობაში შედის ერთი ლამაზად მორთული ჯვრიანი ხონჩა, რომელზედაც სხვადასხვა სანოვაგა მოთავსებული და ამის გარდა კიდევ შეძლებისდაგვარა რამდენიმე ლანგარი, რომელიც სავსეა ტკბილეულით და ხილით. ქორწილში „ჯვარი“ დედის ძმას შემოაქვს, მას უკან მოსდევენ მისი ოჯახის წევრები დატვირთული ხონჩებით. დიდ ქორწილში ზოგჯერ ხონჩების რაოდენობა ოცსაც აღწევს. უნდა აღინიშნოს, რომ უცხო თვალისათვის ეს ფრიად ესთეტიური

სანახავია. მორთმეული სანოვაგე ნაწილდება თეფშებზე და მიართმევენ სტუმრებს” (გამომცემლობა „განათლება”, 1986, 68-69).

ვაჟის ქორწილში თამადად მის ნათესავს ირჩევდნენ. „აქ სადღეგრძელოები ტრადიული რიგით ისმება. ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ გაისმის მუსიკა და იმართება ცეკვა ან სიმღერა. დაახლოებით შუა ქორწილში იწყება „გადასალოცი”, ანუ საჩუქრების მირთმევა. „მყეფარი” ტრადიციულად ოხუნჯობს და აცხადებს, თუ ვინ რამდენი მანეთი და რა საჩუქარი შემოიტანა. აქვე დგება „გადასალოცი” საჩუქრებისა და ფულის სია. ქალის ოჯახში სიას აწარმოებს ქალის ბიძაშვილი, ვაჟის ოჯახში კი ვაჟის ბიძაშვილი. ორივე სია ნეფე-პატარძალთან ინახება. მთხრობელთა გადმოცემით, სია იმისათვის დგება, რომ შემდგომში მათ მიერ ისეთივე თანხა იქნეს გადახდილი. „გადასალოცში” შემოსული თანხა ნეფე-პატარძალს ეკუთვნის. მათ შეუძლიათ თავისი სურვილისამებრ გამოიყენონ იგი. მით უმეტეს, თუ ინდივიდუალური ოჯახი ცალკე გადის საცხოვრებლად. ძალიან იშვიათად ამ თანხით ვაჟის ოჯახი ინაზღაურებს საქორწილო ხარჯებს (ფშავები, თუშები, ხოლო ხევსურებისათვის კი გამორიცხულია)” (გამომცემლობა „განათლება”, 1986, 69).

ქორწილებში ხშირად ჰყავთ მოწვეული დაქირავებული მუსიკოსები. დღევანდელ ქორწილში ერთმანეთთან შერწყმულია ძველი, ქალაქური და მაგნიტოფონზე ჩაწერილი ძველი ქართული სიმღერები. ხშირია იაფფასიანი და დაბალი დონის სიმღერები. ძველი გასართობებიდან თითქმის აღარაფერია შემორჩენილი.

დღეობებს და ხატობას უფრო როგორც გასართობს ისე უყურებენ და შეგნებულად არ სწამთ. პატარძლის ხატში გაყვანის წესიც შეცვლილია.

ასევე დავიწყებას მიეცა კერის გარსშემოვლის ტრადიცია. დაიკარგა ისეთი ელემენტები ქორწინების და ინსტიტუტისა, რომლებიც გამოხატავენ პიროვნების უფლებასა და პრესტიჟს (ნეფის დამალვა, სიძის ცემა, აკვანში დანიშვნა), ასევე გართობა - თამაშობანი და სპორტული შეჯიბრება.

აქ დიდ როლს თამაშობს თანამედროვეობასთან ერთად გეოგრაფიული გარემოც. ძველ გარემოში დარჩენილი ჯგუფი შედარებით მძიმედ ივიწყებს წინაპართა ტრადიციებს და ასევე მძიმედ ითვისებს ახალს.

სამცხე _ ჯავახეთი - როდესაც ქორწინებისთვის სავალდებულო წინაპირობა შესრულდებოდა (რომელზეც აქ აღარ შევჩერდებით), სამცხე - ჯავახეთში ჯერი დაწინდვა - ნიშნობაზე მიდგებოდა.

დაწინდვა ხდებოდა როგორც მცირეწლოვანთა ისე მოზრდილთა შორის. დაწინდვა სრულდებოდა ქალის ოჯახში. ეს იყო ხანმოკლე პროცესი და ამისათვის საგანგებოდ არ ემზადებოდნენ (მოციქული „სიტყვას გაიტანდა” თუ არა, ვაჟის ოჯახი იმავე ან მეორე დღეს დაწინდავდა სარძლოდ შერჩეულ ქალს). დასაწინდი ნივთები იყო თავსაფარი, ბეჭედი და ერთი-ორი ლიტრი არაყი. სუფრასთან ქალები განცალკევებით ისხდნენ. მოგვიანებით დაწინდვის ცერემონიაში ქალ-ვაჟის მონაწილეობა აუცილებელი გახდა და ვაჟი თავიდან გადასცემდა წინდს საცოლეს. ქალ - ვაჟი სასმისებს სამჯერ გაცვლიდნენ. ვაჟი მოწოდებულ სასმისს სვამდა, ქალი კი ვაჟის მოწოდებულ სასმისს სამამამთილოს ან ვაჟის მხრიდან მოსულთა შორის უხუცესს მიართმევდა. დაწინდვის დღეს ინიშნებოდა ქორწილის დღეც. ზოგჯერ ხეებოდა ისეც, რომ ნიშნობის შემდეგ (რაიმე უარყოფითი მემკვიდრეობითი თვისების აღმოჩენის შემდეგ) რომელიმე მხარე უარს იტყოდა ნიშნობის გაგრძელებაზე. თუ ქალის მხარე გადაიფიქრებდა, საჩუქრებს უკან აგზავნიდნენ, ხოლო, თუ ვაჟის მხარე იდგა უარზე, წინდად მიტანილი ნივთების დაბრუნებას არ თვლიდნენ საჭიროდ. ნივთებით ქალის დაწინდვა უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნიდან უნდა არსებულებოდა საქართველოში. ამის დამადასტურებელ ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ იაკობ ხუცესის „წამება წვინდირა შუშანიკისა”. ჰონებთან საბრძოლველად წასვლის წინ ვარსქენმა შუშანიკს მოსთხოვა ის ნივთები, რაც მას სამკაულად მიუტანა.

იველაშვილი ნიშნობის შესახებ წერს: „ნიშნობის აუცილებელ პირობად ითვლებოდა დანიშნულ დროს ვაჟის მხრიდან ქალის ოჯახში ეამდენიმე პირის (სასიძოს მამა, ბიძა, ძმა, ნათლია, მოციქული, მოგვიანებით სასიძო და ერთი - ორი ქალი) მისვლა და ნიშნობის რიტუალში მონაწილეობის მიღება” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1987, 38).

ამ დროს „ვაჟის ოჯახი სასძლოს უგზავნიდა ტანსაცმლისათვის ქსოვილს, ფეხსაცმელს და სამკაულებს. ნიშნობაში წამსვლელებს მათი რაოდენობის შესაბამისად თან ატანდა ცოტაოდენ ძღვენს საჭმელ - სასმელის სახით (ყოველ კაცზე თითო თუნგი არაყი, ქადა - ნაზუქი, გამომცხვარი პური და ერთი - ორი ცხვარი). კათოლიკურ

მოსახლეობაში ამ ძღვენს შეადგენდა მოხარშული ერთი ქათამი, ქადა, ბოთლი არაყი და ხილი” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1987, 88).

ნიშნობისთვის არჩევდნენ დროს და დღეებს. ძირითადად გაზაფხულზე ეწყობოდა ნიშნობები. კარგი იქნებოდა, თუ ნიშნობა რომელიმე რელიგიურ დღესასწაულს დაემთხვეოდა. ნიშნობის გადახდა შეიძლებოდა კვირის ყოველ დღეს გარდა ორშაბათისა, ოთხშაბათისა და პარასკევისა. ძირითადად კი საქორწილოდ შაბათ-კვირას ირჩევდნენ. ორშაბათი ნავსიანად ითვლებოდა, ოთხშაბათი და პარასკევი კი მარხვის დღეები იყო. სამცხე - ჯავახეთში ნიშნობა - ქორწილისთვის არა მხოლოდ დღეებს ითვალისწინებდნენ, არამედ მთვარის ფაზებსაც. სასურველი იყო ნიშნობა-ქორწილი სავსე მთვარის პერიოდს დამთხვეოდა.

როგორც იველაშვილი გადმოგვცემს „მონიშნეები” სარძლოს ოჯახში შუადღის შემდეგ საღამოს პირს მოვიდოდნენ. ნადიმი იმავე საღამოს იმართებოდა და მთელი ღამე გრძელდებოდა. ნადიმის მთელი ხარჯი ქალის ოჯახისა იყო. ნიშნობის სუფრა დამსწრეთა რაოდენობის, საჭმელ - სასმელის სიუხვით და ხანგრძლივობით ქორწილის სუფრას არ ჩამოუვარდებოდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით ამბობდნენ: „ქალის ნიშანი უნდა ჭამო და ვაჟისა ქორწილიო”. სუფრის სიდიდე დამოკიდებული იყო ნათესავ - მოკეთეების რაოდენობაზე.

ნიშნობაზე კი ქალის ოჯახი იწვევდა ყველა იმას, ვინც ქორწილში უნდა დაეპატიჟა” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1987, 38-39).

მოწვეული ხალხის რაოდენობის შესაბამისად სუფრას შლიდნენ ოდაში, დარბაზში ან ბოსელში. სუფრასთან გარკვეული რიგით სხდებოდნენ: „სუფრის თავში ოჯახის უფროსი იჯდა, მას მარჯვნივ მონიშნეები, შემდეგ წვეულები (სხვა სოფლიდან მოსული ნათესაობა) უფროს - უმცროსობის მიხედვით. ოჯახის უფროსის მარცხენა მხარეს სოფლის ნათესავ - ახლობლები იკავებდნენ ადგილს. სუფრის ბოლო ახალგაზრდებისთვის იყო განკუთვნილი. სუფრასთან ქალები იზოლირებულად იყვნენ. ზოგჯერ მათთვის სუფრა ცალკე სახლში იშლებოდა” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1987, 39).

ირჩევდნენ თამადას, რომელიც კარგი სიტყვა - პასუხისა და სუფრის წესრიგის მცოდნე უნდა ყოფილიყო. ასეთი ხშირად იყო სოფლის მღვდელი. იგი

სადღეგრძელოებს გარკვეული რიგის მიხედვით ამბობდა: „პირველი სადღეგრძელო ოჯახს ეკუთვნოდა, მეორე - სასიძო - სარძლოს, მესამე - მოყვრებს, მეოთხე - მძახლებს, მეხუთე - მონიშნეებს, მეექვსე - მოციქულს და ა. შ. საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, სამცხე - ჯავახეთშიც ყოველგვარი ნადიმის დამამთავრებელი იყო „ყველა წმინდა ღვთისმშობლის“ სადღეგრძელო (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 39).

რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ სასიძოს მამა სარძლოს მოიკითხავდა. ამის შემდეგ პირბადე ჩამოფარებული სარძლო მონიშნეების წინაშე შემოჰყავდათ, ხშირად მისი თანმხლები იყო მამიდა და ბიძაშვილი ვაჟი, რომელიც ქალებს წინ სიმღერით მიუძღოდა.

ამის შემდეგ „სარძლო მონიშნეებს „ხელზე მოიკითხავდა“. ისინი კი მისულ და მის თანმხლებ ქალ-ვაჟსაც ცოტაოდენი ფულით (ათ შაურამდე) ასაჩუქრებდნენ. ამ ცერემონიალის შემდეგ სარძლო სამამამთილოს (მოყვარეს) „თავზე დაადგებოდა“ - მის ზურგს უკან დადგებოდა და მას ემსახურებოდა. სამამამთილო თუ ნებას დართავდა, მაშინ ცოტა ხნის „თავზედგომის“ შემდეგ ის ქალებში წავიდოდა. საერთოდ სანადიმო სუფრასთან სარძლოს დაჯდომა მიუღებლად ითვლებოდა. შემდეგში სასიძოს წასვლაც ნიშნობაში, მართალია, თანდათანობით სავალდებულო წესად იქცა, მაგრამ ქალ-ვაჟი სანადიმო სუფრასთან მაინც ცალ-ცალკე იჯდა: სასიძო - მამაკაცებში, სარძლო - ქალებში. მთხრობელთა გადმოცემით, ქვრისწერამდე მათი სუფრასთან ერთად დაჯდომა არ შეიძლებოდა. მხოლოდ ჩვენი საუკუნის პირველი ათეული წლებიდან თანდათანობით ყოფაში დამკვიდრდა დანიშნული ქალ-ვაჟის ნიშნობის სანადიმო სუფრასთან ერთად დაჯდომის სავალდებულო წესი“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 40).

ქალის ოჯახში ნიშნობის ნადიმი ძირითადად ერთი ღამე იყო. „მეორე დღეს ოჯახის ახლობელ - წვეულები ემშვიდობებოდნენ მასპინძლებს, მონიშნეებს და მიემგზავრებოდნენ. მონიშნეები კი რამდენიმე დღეს კიდევ რჩებოდნენ. მათ ამ დღეებში ოჯახის ახლო ნათესავები გადაიპატიჟებდნენ და სუფრას გაუმლიდნენ. ეს ოჯახი თავის რამდენიმე ახლობელსაც მიიწვევდა. სარძლოს ოჯახიდან მონიშნეებს გაყვებოდა ოჯახის უფროსი (მამაკაცი) და თვით სარძლო. სწორედ ამგვარი დაპატიჟება - პატივისცემის გამო, მონიშნეები შეიძლებოდა მთელ კვირასაც კი დარჩენილიყვნენ სარძლოს ოჯახში“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 40).

მონიშნების დაპატიჟება მხოლოდ მართლმადიდებელ მოსახლეობაში იყო წესად და მას მართავდნენ პატარძლის მამის ძმები, ბიძაშვილები, მამიდები, დეიდები, დედის ძმები, ნათლია, თუ ამ სოფელში ცხოვრობდნენ.

მონიშნების დაპატიჟება სავალდებულო არ იყო, მაგრამ ამ წესის შეუსრულებლობა ხშირად სალექსოც კი ხდებოდა: „განაყრები და ახლობლები თავს ვალდებულად თვლიდნენ ამ ოჯახისთვის პატივი ეცათ მისი მონიშნების დაპატიჟებით. მონიშნების დამპატიჟებელი რამდენადაც ბევრი აღმოჩნდებოდა, იმდენად დიდი სახელი იყო სარძლოს ოჯახისათვის. მათ თუ არავინ დაპატიჟებდა და პატივს არ სცემდა, შეიძლებოდა სოფელში ეს ოჯახი სალექსოდაც კი გაეხადათ, როგორც „გვარ-ნათესავ ამოწყვეტილები“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 41).

იველაშვილი წერს: „მონიშნები ვიდრე სარძლოს სახლში იმყოფებოდნენ, საპატარძლო მათ ყოველ ღამე თბილი წყლით თავსა და ფეხებს ბანდა, საწოლებს უმზადებდა დასაძინებლად. ამისათვის კი ისნი მცირეოდენი ფულით (30-50 კაპ) ასაჩუქრებდნენ. საპატარძლო განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა სამამამთილოს. ის ყველგან თან ახლდა მას და ემსახურებოდა, ყოველ საღამოს მის გვერდით იძინებდა“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 41).

იველაშვილს დავუბრუნდეთ: „ნიშნობებში, როდესაც სასიძოს წასვლა წესად დამკვიდრდა, მონიშნებს წასვლის შემდეგ, იგი 2-3 დღე რჩებოდა სასიძამროს სახლში“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 42).

ეს ჩვეულება საქორწინო ურთიერთობაში გვიანდელ წარმონაქმნს უნდა წარმოადგენდეს: „მას შემდეგ, რაც ქალ - ვაჟის დაქორწინების საქმეში გადამწყვეტი გახდა თვით მათი სურვილი, ამდენად, შესუსტდა ნიშნობის და განსაკუთრებით ქორწილ - ჯვრისწერის ადრეული გაგების მნიშვნელობა. ამის გამო, ხალხის გააზრებით, ნიშნობის შემდეგ უკვე დასაშვები იყო ქალ - ვაჟის ერთად ცხოვრება. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად ეკლესიის სასტიკი წინააღმდეგობისა, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ხალხი ნორმალურად და დასაშვებად თვლიდა ნიშნობას შემდეგ ჯვრისწერამდე დანიშნული ქალ - ვაჟის ერთად თანაცხოვრებას, თუნდაც ამას ქალის ფეხმძიმობა მოჰყოლოდა. ნიშნობის შემდეგ კი ქალ-ვაჟის ერთად

ცხოვრება შესაძლებელი იყო მას შემდეგ, რაც სასიძო აღნიშნულ რიტუალში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებდა” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 42-43).

იველაშვილის ვარაუდით, „არც ისაა გამორიცხული, რომ თავდაპირველად ნორმალურად ითვლებოდა ნიშნობის შემდეგ ქალ - ვაჟის თანაცხოვრება. შემდეგ კი თანდათანობით აიკრძალა და ქორწილამდე მათი ასეთი ურთიერთობა მიუღებელი გახდა, რის განმტკიცებაშიც, ხალხის შეხედულებასთან ერთად გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ეკლესიასაც. შესუსტდა თუ არა ეკლესიის გავლენა ხალხზე, მათ კვლავ მიზანშეწონილად მიიჩნიეს დანიშნული ქალ-ვაჟის ქორწილამდე თანაცხოვრება” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 43).

ნიშნობის შემდეგ ქალი 5 – 6 თვე, ზოგჯერ კი წელიწადიც რჩებოდა მამის სახლში. ამ ხნის განმავლობაში ვაჟს, თუ ნიშნობაში არ მონაწილეობდა, ქალის ნახვის უფლება არ ჰქონდა. რელიგიურ დღესასწაულებზე მისი ნათესავები ძღვენით მიდიოდნენ ქალის ოჯახში. დანიშნულ ქალს ასევე მორიდება მართებდა. სახლიდან სოფელში იშვიათად გადიოდა. ამის გამო მას „სახლის ტყვესაც“ უწოდებდნენ. იგი მორიდებას იჩენდა არა მხოლოდ საქმროს მხრის ხალხის მიმართ, არამედ თავის ნათესავ-ახლობელთა და სოფლის უხუცესთა წინაშეც.

დანიშნულის მიტოვება არ დასტურდება. ჯვარდაწერილ ცოლს უფრო ხშირად გაეყრებოდნენ, ვიდრე დანიშნულს ტოვებდნენ. „ჯვრისწერამდე ერთ-ერთის გარდაცვალების შემთხვევაში მეორე მას გლოვობდა, როგორც კანონიერ მეუღლეს. მათი ოჯახები ერთმანეთთან ურთიერთობას აგრძელებდნენ და ჭირსა თუ ლხინში ერთმანეთს მხარში ედგნენ. ცალად დარჩენილის ხელმეორედ დაქორწინებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა გარდაცვლილის ოჯახი და ოჯახის უფროსი მოციქულობასაც კი არ ერიდებოდა. აქედან გამომდინარე, მათ შორის ნიშნობის დროს მინატან ძღვენ-საჩუქრის დაბრუნებაზე საუბარი არ ხდებოდა. რამდენადაც აღნიშნული მინატანის მოთხოვნა - დაბრუნების ფაქტი ხალხში ვერ დავადგინეთ, ამიტომ მხოლოდ ლიტერატურულ მონაცემებს ვყვრდნობით” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 43 - 44).

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან სამცხე - ჯავახეთის მოსახლეობაში ნიშნობის რიტუალის სავალდებულო ჩატარება საგრძნობლად შესუსტდა. 60-იან წლებიდან მისი

„გადახდა“ ყოფიდან გადავარდა. ახლა დაწინდვას უშუალოდ მოსდევს ქორწილი. შემცირდა დრო დაწინდვიდან ქორწილამდე.

ნიშნობას გარკვეული რიტუალების შესრულება მოსდევდა. ასეტი იყო, მაგალითად „ტანსაცმლის დაჭრა“: „ნიშნობის დამთავრებიდან მეორე ან მესამე დღეს საპატარძლოს ოჯახი სოფლის ნათესაობას (ქალებს) დაპატიჟებდა. ამ მიწვევაზე, უმთავრესად, ახალგაზრდა ქალ-რძალი მიდიოდა. როცა ქალები შეიყრებოდნენ, მათ წინაშე გამოიტანდნენ ნიშნობის დროს სასიძოს მხრიდან მოტანილ საპატარძლოსათვის განკუთვნილ საჩუქარს, რომელიც ბოხჩაში იყო გამოკრული“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 46).

ბოხჩას ყველა ვერ გახსნიდა. იგი „„ბედნიერ“ - დედამიან, ქმარშვილიან ქალს უნდა გაეხსნა. სავალდებულო არ იყო იმ დღეს ყველა ქსოვილის გამოჭრა და შესაკერად მომზადება. თუ ვინმემ ქალებს შორის იცოდა ჭრა-კერვა, საპატარძლოს სურვილისამებრ, ერთ საკაბეს გამოჭრიდა, იმ შემთხვევაში თუ არავის ეხერხებოდა ეს საქმე, მაშინ მხოლოდ პერანგისათვის განკუთვნილ ქსოვილს საყელოს ჩაუჭრიდნენ და „საპატარძლოს ტანსაცმლის დაჭრის“ ცერემონიალი შესრულებულად ითვლებოდა“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 46).

დარჩენილ წვრილ ნაკუწებს საპატარძლო გასათხოვარ ქალებს ურიგებდა, რომლებიც ამ გზით შეგროვებული ნაჭრის ნაკუწებისგან იმზადებდნენ სამზითო ბოხჩას.

ქსოვილების გამოჭრის შემდეგ სუფრას აწყობდნენ: „სუფრაზე სხვა საქმელ - სასმელთან ერთად იყო სასიძოს ოჯახიდან გამოგზავნილი „ბოხჩის ქადა“, „ჰალვა“ და სხვა ტკბილეულობა, რომელსაც ამ დღისთვის ინახავდნენ. ამ ქადას და ჰალვას იმდენად ნაწილად დაჭრიდნენ, რამდენი ქალიც იყო. იქ მყოფთ აუცილებლად უნდა რგებოდათ ამ ქადისა და ჰალვის თითო ნაჭერი. თუ მას იქ არ შექამდნენ, სახლში წაიღებდნენ წასვლისას. ცოტა ხნის მხიარულებისა და გართობის შემდეგ ქალები დაიშლებოდნენ“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 46-47).

ქორწილამდე ერთი - ორი კვირით ადრე სამამთილო მოციქულის თანხლებით მიდიოდა ქალის ოჯახში ქორწილის დეტალებზე შესათანხმებლად. ასეთი შემთხვევისათვის ქალის ოჯახი იწვევდა ოჯახის განაყრებს. ეს აუცილებელიც იყო, თუ არ მიიწვევდნენ, ოჯახის ახლო ნათესავები ნაწყენებიც კი რჩებოდნენ.

სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ მოსახლეობაში სასიძოსა და საპატარძლოს ერთგვარი „გაცვლაც“ იცოდნენ: „ქორწილამდე ერთი-ორი კვირით ადრე სარძლოს საქმროს ოჯახი გადაიპატიჟებდა, სადაც მთელ კვირას რჩებოდა. ამ დროს სასიძო საცოლის ოჯახში მიდიოდა და მის დაბრუნებამდე იქ რჩებოდა. შესაძლებელი იყო სახლში დარჩენილიყო, მაგრამ ღამე ბიძაშვილების სახლში იძინებდა. ამ პერიოდში სასტიკად აკრძალული იყო ქალ - ვაჟის შეხვედრა. საპატარძლო სადედამთილოს ახლდა მუდამ და ღამეც მის გვერდით იძინებდა“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 50).

საქორწილო ასაკს მიტანებული ქალისთვის ოჯახი მზითვის მზადებას იწყებდა, თუმცა მზითევს დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ ვაჟის ოჯახის წევრები და მასზე ლაპარაკი სირცხვილად ითვლებოდა „მზითევი ქალისათვის მშობლების ქონებიდან მიღებულ მემკვიდრეობად ან მის გარკვეულ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 52).

თუმცა კათოლიკურ მოსახლეობაში ყველაფერი პირიქით იყო: „სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ნაწილში (კათოლიკები) წესად ყოფილა მზითევის შესახებ წინასწარი მოლაპარაკება და ამასთან მზითვის წიგნის, ე. წ. „თამასუქის“ შედგენაც. მზითვის წიგნში ჩამოთვლილი იყო ყოველივე ის, რასაც ქმრის ოჯახში ატანდა მამის სახლი ქალს. იგი ორპირად იწერებოდა. მისი ერთი ცალი ქალს მიყვებოდა ქმრის ოჯახში, მეორე კი - მის მშობლებთან რჩებოდა. გათხოვილი ქალის ნაადრევად, უშვილოდ გარდაცვალების შემთხვევაში მის მშობლებს ამ მზითვის წიგნის მეშვეობით შეეძლოთ კანონიერად შედავებოდნენ სიძეს და მზითევი უკან დაებრუნებინათ. ყოველივე ეს მხოლოდ მშობლების სურვილზე იყო დამოკიდებული (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 52).

სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ მოსახლეობაში ასევე მიღებული იყო გათხოვილი ქალისთვის მიეცათ სათაფნო - თავნი ანუ ცოცხალი საქონელი და ფული.

ღღესდღეობით „ქორწილამდე საცოლის სახლში სასიძოს თავისუფლად შეუძლია სტუმრად მისვლა, საცოლის ნახვა და მასთან საუბარი. ყოველივე ეს ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება და ამისათვის მათ არავინ ძრახავს“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 55).

დღეს ასევე „სრულიად გაქრა ყვიდან სარძლოსა და მისი ოჯახისათვის საახალწლო, ყველურის, აღდგომისა თუ სამარიობო ძღვენის მირთმევა. ყოველივე ამას ხალხი ზედმეტად მიიჩნევს როგორც ხარჯების, ისე დროის ეკონომირად გამოყენების თვალსაზრისით. მათ მოსპობას ხელი შეუწყო, ასევე, რელიგიური დღეობების უმრავლესობის ყოფიდან გასვლამ. აღარ ხდება ვაჟის ოჯახის ხარჯზე სარძლოს ოჯახის საქორწილო ხარჯების ერთგვარი შემსუბუქება „გადასაწყვეტის“ სახელწოდებით. თავისთავად მოისპო მასზედ მექორწილე ოჯახებს შორის მოლაპარაკებაც“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 55).

საქორწილო სამზადისში პატარძლის ოჯახს ნათესავები და მოკეთეები ეხმარებოდნენ. ნიშნობის და ქორწილის პურის ცომს დედმამიანი, ბედნიერი ქალი ზელდა და ცხელ ფურნეში პირველი პურიც მას უნდა შეესვა. ასევე ტრადიცია იყო ვაჟის ოჯახში დასაკლავად შერჩეული საქონლის დაფა-ზურნის დაკვრით ეზოში გამოყვანა. მას სანეფო სამჯერ შემოუვლიდა, რის შემდეგაც საქონელს კლავდნენ.

ნეფესა და პატარძალს შემადლებულ ადგილზე სვამდნენ. ნეფე-დედოფალი და ნათლია მთელი ქორწილის განმავლობაში იქ ისხდნენ სახით აღმოსავლეთისკენ. ამ ამადლებულ ადგილს - „აჯილა“-ს სხვა დანიშნულებაც ჰქონდა: „პატარძლის ჩაბარების“ წესს მხოლოდ მის წინ ასრულებდნენ. იგი ითვლებოდა ახლადდაქორწინებულთა პირველ სამინებელ ადგილადაც.

ნათესავ - მეზობლებს ორჯერ პატიჟებდნენ ქორწილში. მიწვეული ოჯახიდან ქორწილში ერთი ან ორი მიდიოდნენ. პირველ რიგში ოჯახის უფროსები, ხოლო თუ მათ არ შეეძლოთ წასვლა, მაშინ მათი მომდევნოები. 40 – 60 კაციანი სუფრა საშუალო ქორწილად ითვლებოდა, ხოლო თუ ქორწილში 70 – 80 კაცი იყო, ეს დიდ ქორწილად ითვლებოდა.

თანამედროვეობაში ცოტა განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს: „ჯერ ერთი, ის რომ მექორწილე ოჯახი ქორწილში პატიჟებს არა მარტო ახლო ნათესავებს, არამედ საკმაოდ შორეულსაც და ნაცნობ - მეგობრებსაც; ხშირად ქორწილში მოწვეულ ოჯახთა რაოდენობა 100-ზე მეტია. ზოგჯერ მოწვეული ოჯახიდან ქორწილში ხშირად მიდის სამი-ოთხი კაცი ბავშვების თანხლებით; ამავე დროს დარღვეულია უფროს-უმცროსობის პრინციპიც - სუფრასთან დაჯდომის დროს ბავშვებსაც მოისვამენ, ადგილს იკავებენ და

ზოგჯერ ასაკოვანი ხალხისთვის სუფრის ბოლოშიდა რჩება ადგილი, რაც, რა თქმა უნდა, არამართებულია” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 62).

მაყრად ირჩევდნენ ისეთებს, რომლებსაც სმაც შეეძლოთ და სიმღერა-თამაშიც. მაყრად იმდენ კაცს ირჩევდნენ, რამდენსაც ქალის ოჯახთან იყვნენ შეთანხმებული. მაყრებს შორის ირჩევდნენ „მაყარბაშს“, რომელიც იყო ამ ჯგუფის ხელმძღვანელი: „მაყარბაშის ცოდნას - გამოცდილებაზე დიდად იყო დამოკიდებული ცეკვა - თამაშსა თუ სიმღერებში მოპირდაპირე მხარეთა შორის შეჯიბრის დროს მაყრების გამარჯვება” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 62-63).

ნათლია ვალდებული იყო ეპატრონა „ჯვრისთვის“: „„ჯვარი” მთელი ქორწილის განმავლობაში ნათლიას ებარა. საპატარძლოს სახლში მოსვლისას ის ჯვარს ნეფის წინ დგამდა სუფრაძე. ჯვრისწერის დროს ნათლია მას ერთ-ერთ მაყარს ჩააბარებდა. ეს მაყარი ჯვრისწერას არ ესწრებოდა, რადგან ჯვრის ყარაულობდა (სამცხის კათოლიკურ მოსახლეობაში კი ეს ჯვარი ჯვრისწერის დროს ეკლესიაში თან მიჰქონდათ). მას ნეფის მთელი მაყრიონი იცავდა, რადგან საპატარძლოს სახლიდან გასტუმრებისას პატარძლის ახლობლები ცდილობდნენ ამ ჯვრის მოტაცებას. ნეფის სახლში მიტანილ ჯვარს ნათლია ისევ ნეფე-დედოფლის წინ დგამდა სუფრაზე და მისი აღება იქიდან ქორწილის დამთავრებამდე არ შეიძლებოდა” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 63 - 64).

ქორწილში აუცილებელი იყო ასევე მუსიკოსების მოწვევა. ისინი ოთხნი იყვნენ: დოლი, დუდუკი, ორი „ჭიჭილა”, უფრო მოგვიანებით კი დოლი, ორი დუდუკი და კლარნეტი. მოგვიანებით, როცა გარმონი შემოვიდა ყოფაში მუსიკოსთა რიცხვი ორამდე შემცირდა (მედოლე და მეგარმონე).

ვაჟის მხარე ქალთან ქორწილის დღეს მიდიოდა ცხენებით, თუ საპატარძლო შორს ცხოვრობდა და ფეხით, თუ ახლოს ცხოვრობდა. მზითევის წამოსაღებად მიჰქონდატ ურემი, ხოლო თოვლიანობის დროს მარხილი. სოფელს რომ მიუახლოვდებოდნენ შეისვენებდნენ და ერთ-ერთ მაყარს მახარობლად გაგზავნიდნენ. მას თან ქადას ატანდნენ. მახარობელი არც თუ ისე კარგ დღეში იყო: „მახარობელი სოფელში ჩუმად შედიოდა, ხოლო მას თუ შეამჩნევდნენ, თოვლის გუნდასა და წივის ნატებს ესროდნენ. ხალხის წარმოდგენით, მახარობელს თითუ არ ცემდნენ, იმ წელიწადს კარგი მოსავალი არ მოვიდოდა. (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 66).

მახარობელი როცა დანიშნულების ადგილს მიაღწევდა, იქ მყოფთ მიესალმებოდა და გამოაცხადებდა, რომ მახარობელი იყო, მაგრამ ხალხი მას არ ენდობოდა და „საბუთს“ ითხოვდა. სწორედ ამ დროს ადგებოდა მახარობელს მოყვრის გამოტანებული ქადა. ამის შემდეგ მას თასით სასმელს მიაწვდიდნენ. იგი დაილოცებოდა, ჯამს კი კედელზე მიაძახვრევდა - ვითომ ასე დაიძახვრეს თქვენი მტერიო. მახარობელს წინდით ასაჩუქრებდნენ და მწვადს ატანდნენ უკან გაბრუნებულს.

ოჯახის ახლობელი მამაკაცები ნეფიონს სოფლის შესასვლელთან ხვდებოდნენ და მისალმების და სასმელის შეთავაზების შემდეგ სახლისკენ გაემართებოდნენ ცეკვა-თამაშით. ეზოში ცოტას იცეკვებდნენ და სუფრისკენ გაემართებოდნენ, მაგრამ სახლის კარს ახალგაზრდები არ გააღებდნენ, ვიდრე ფულად გასამრჯელოს არ მიიღებდნენ. კარის გაღების შემდეგ კიდევ ერთი დაბრკოლება იყო გადასალახი. აჯილაკზე ბავშვები იწვნენ და არ დგებოდნენ სანამ ფულს არ მიიღებდნენ. ასევე ფულით გამოისყიდნენ მეზობლის ოჯახში გადამალულ პატარძალს. პატარძალიც მაშინ წამოდგებოდა, როცა სამამამთილოსგან ფულად საჩუქარს მიიღებდა. შემდეგი წესი იყო პატარძლის დახსნა, პატარძლის ჩაბარება და ჯვრისწერა. პატარძლის მამა საქმროს ჩააბარებდა ქალს და ლოცავდა. დაღვეის შემდეგ ნეფეს ნეფეს საცოლისათვის აუცილებლად ფეხი ფეხზე უნდა დაედგა, რომ ქალი ნისი ნება-სურვილის შემსრულებელი ყოფილიყო. ეს ქალის ქმრის მფლობელობაში გადასვლის მაჩვენებელია.

ჯვრისწერა მნათესავის 3 მანეთის გადახდის შემდეგ იწყებოდა. ჯვრისწერის დროს კედელს არავინ უნდა მიყრდნობოდა, რომ პატარძალს მძიმე ორსულობა არ ჰქონოდა. არც ნეფე-დედოფალს შორის გავლა შეიძლებოდა ქორწილის დასრულებამდე. ეკლესიიდან გამოსულებს ბედნიერ ქალს ახვედრებდნენ. ჯვრისწერის ღირსშესანიშნავი ატრიბუტი იყო საქორწინო გვირგვინები. „იგი წარმოადგენდა მორკალული ხის წვრილ ტოტს ან ვაზის ლერწმს, რომელზედაც სირმის ოქროსფერი ძაფი მჭიდროს იყო დახვეული. რკალს შუაზე სირმისძაფდახვეული ხის პატარა ჯვარი ჰქონდა გაკეთებული, ხოლო ოთხ ადგილს თანაბარი მანძილის დაშორებით ოთხი გრძელი ტოტი, რომლებიც სირმის ძაფის ფოჩებით მთავრდებოდა“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 74).

საქორწილო ღვინის დასრულების შემდეგ იმართებოდა „მზითვის დამახეზა“. საგანგებოდ არჩეული პირი ადგებოდა და ხმამაღლა ჩამოთვლიდა მზითვს და საჩუქრებსაც. მზითვის გამოხსნა პატარძლის ძმისგან ფულით ხდებოდა.

სხვა სოფელზე გავლისას მექორწილებს გზაზე მოჭიდავეებს ახვედრებდნენ. მას მაყრებიდან ვინმე დაეჭიდებოდა, თუ გაიმარჯვებდა, გაივლიდნენ, თუ დამარცხდებოდა, გამარჯვებულს და მის ხალს უმასპინძლებდნენ, ზოგჯერ მაყრიონს გზაზე ხარი ხვდებოდა ან ცხვრის ფარა. მაყრები მის პატრონს ლოცავდნენ. სოფელში შესულებს ახლობლები გზაზე სუფრას ახვედრებდნენ. ილოცებოდნენ და ცოტა ფულს ტოვებდნენ. სახლთან მისულ ნეფიონს ფერხულის ცეკვით ხვდებოდნენ რომლის თავშიც ნეფის დედ-მამა იდგნენ. პატარძალს ცხენის ფეხებთან საარაყე ქვაბს პირქვე უდგამდნენ. პატარძალი ჯერ ამ ქვაბზე ჩამოქვეითდებოდა და მერე დადგამდა მიწაზე ფეხს, რის შემდეგაც მას ააბრუნებდა. ამით ალბათ ახალი წვერის კერასთან და სახლის საქმიანობასთან ზიარება ხდებოდა. გარდა ამისა ქვაბი როგორც ლითონი ბოროტი სულებისაგან დაცვის საშუალება იყო, რომელსაც განსაკუთრებით ახლადდაქორწინებულთ ატანდნენ. ვიდრე პატარძალი ქვაბიდან ჩამოვიდოდა, ცხვარს ან ძროხას შემოატარებდნენ გარშემო, ყურს უჭრიდნენ (უფრო ადრე, როგორც ჩანს, იქვე კლავდნენ) და ის პატარძლის სახელზე რჩებოდა. სახლში შესულებს ნეფის დედა ზღურბლთან ხვდებოდა, ერ ნათლიას, მერე ნეფე-დედოფალს გვირგვინებს დაულოცავდა, სამივეს პირში ნატეხ შაქარს ჩაუდებდა და სახლში შეუძღვებოდა. ასევე ტრადიცია იყო თიხის ჯამის გატეხვა. ამის შემდეგ გარს სამჯერ უვლიდნენ ერბოიან და თაფლით სავსე ქოთნებს პატარძალიც და მაყრებიც. ყოველ შემოვლაზე დედოფალს თითი უნდა ჩაედო ერბოს ან თაფლის ქოთანში, ხოლო უკან მომავალი მაყარი ხანჯლით მოურევდა „სიყალბე არ იყოს“.

ნეფე-დედოფლის ადგილი აქაც ბავშვებს ეკავათ, რომლებიც ნათლიისგან საჩუქრის მიღების შემდეგ ათავისუფლებდნენ ადგილს. როცა კუთვნილ ადგილს დაიკავებდნენ, დედოფალს კალთაში პატარა ბავშვს უსვამდნენ. შეიძლება რამდენიმესაც. პირველს ყოველთვის ვაჟს ჩაუსვამდნენ. დედოფალი ყველა ბავშვს ასაჩუქრებდა.

ქორწილის პრველი დღის ნადიმი შუადღემდე გრძელდებოდა. მაყრები აქაც მეზობლებთან ათევდნენ ღამეს. მეორე დღეს ისევ შეიკრიბებოდნენ და ნადიმი განახლდებოდა. მაყრები ნეფის მაყრებს დაგვიანების საბაბით თოკით ბომზე მიაბამდნენ ან ჭერში ჩამოკიდებდნენ, სანამ „დაჭერილს“ ოჯახის წევრი ან სხვა ახლობელი ტკბილეულით არ „გამოისყიდდა“. ნადიმი მესამე დღესაც გრძელდებოდა. ნადიმის ბოლოს სუფრაზე მოჰქონდათ „ბიში“ (გაფუებული ცომისგან ცხიმში გამომცხვარი თხელი მრგვალი კვერი). ამის შემდეგ დედოფლის მაყრების წასვლის დრო დგებოდა. მაყრებს პატარძალი ან დედამთილი წინდებით ასაჩუქრებდა, მაყრები კი პატარძალს - მცირეოდენი ფულით. მაყრებს საგზაღს ატანდნენ.

დღეისთვის კი ქორწილი რამდენიმე საათში სრულდება. მაყრებიც მაშინვე მიემგზავრებიან, გაქრა პატარძლის მიერ და პირუკუ დასაჩუქრების წესი. საქორწილო სუფრაზე „სუფრულისა“ და „მრავალჯამიერის“ ნაცვლად ისმის ახალი, ქალაქური ვულგარული სიმღერები.

ქორწილის ნაწილი იყო „პატარძლის ენის მოჭრა“: „ენის მოჭრის ცერემონიალი სიმბოლური გამოხატულება უნდა იყოს როგორც ქმრის, ასევე ოჯახის უფროსების წინაშე პატარძლის უსიტყვო მორჩილებისა. ცნობილია, რომ გარკვეული ხნის მანძილზე პატარძალი ოჯახში ხმას არ სცემდა არა მარტო დედამთილ-მამამთილს, არამედ უფროს მაზლებსაც და გვერდით ხაზის დედამთილ-მამამთილსაც“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 92).

ნეფე-დედოფალს გვირგვინებს გვიან საღამოს ხდიდნენ. ამ ცერემონიას ასრულებდა სასულიერო პირი, ბედნიერი მოხუცი ან ნათლია. ხანჯლების წვერით სამჯერ ასწევდა გვირგვინებს. ამის შემდეგ ნეფე გარეთ გარბოდა, რადგან ცემას ვერ გადაურჩებოდა. ამის შემდეგ იმართებოდა ცეკვა-თამაში.

სამდღიანი ქორწილის შემდეგ ნეფე-დედოფალს ლოგინს დედმამიანი ქალი უშლიდა. მათ საწოლამდე ნათლია მიაცილებდა, პირჯვარს გადაწერდა, დალოცავდა და მარტო დატოვებდა. სწორედ ახლა უნდა შეეჭამათ ნეფე-დედოფალს ქალის მშობლების სახლიდან წამოღებული ქადა და ჰალვა. ნეფე დედოფალს ფულს ან სხვა რაიმე საჩუქარს ჩუქნიდა და მხოლოდ ამის შემდეგ გასცემდა ქალი მას ხმას. ამას „ხმის გასაცემი“ ანუ „პირის სანახავი“ ეწოდებოდა. აღსანიშნავია, რომ მას დედოფალი

მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებდა, თუ მხოლოდ იმ ღამეს ნახეს პირველად ერთმანეთი. დილით რომ ადგებოდნენ, ნეფე ლოგინში ცოტაოდენ ფულს ტოვებდა იმ ადამიანისთვის, ვინც ლოგინი გაშალა.

ქორწილის შემდეგ ნათესავ-მოკეთეები მექორწილენი ოჯახს შეეწეოდნენ. ამას „სანიჭარი“ ეწოდებოდა. იცოდნენ მზა საჭმელ-სასმელის მირთმევაც „სუფრის“ სახელწოდებით. ყველაზე მეტად ნათლია იხარჯებოდა.

არსებული წესის თანახმად, „ქალის ოჯახში მოგროვილი სანიჭარი სახალხოდ სიძეს გადაეცემოდა, მისი კუთვნილება იყო. თუ ამ დროს საჩუქრად რაიმე ნივთები შეგროვდებოდა, მათ მზითევთან ერთად შეკრავდნენ. ვაჟის ქორწილში შეგროვილი სანიჭარი კი ოჯახის კუთვნილებას წარმოადგენდა, რომელიც იმავე წესით გადაეცემოდა ვაჟის მშობლებს ქორწილის ხარჯის დასაფარავად“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 97).

გაყრის შემთხვევაში ქალს მზითევთან ერთად თავის ქორწილში შეგროვილი სანიჭარი თან მიჰქონდა. მთხრობელთა უმრავლესობის გადმოცემით კი ქალს ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მზითევი უბრუნდებოდა. თუ ქალს შვილი დარჩებოდა, მაშინ მის მშობლებს არაფერი უბრუნდებოდა, რადგან დედის მზითევიც და სანიჭარც ბავშვის კუთვნილებას წარმოადგენდა.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში სრულდებოდა ცერემონიალი „ნეფის განადირება“. ეს ნიშნავდა ნეფე-დედოფლის ცეკვას ეზოში. ამ დროს ნეფის დედა ქათამს გადააფრენდა მოცეკვავეებში. მაყრები მის ცოცხლად დაჭერას ცდილობდნენ. თუ ნეფის მაყრები დაიჭერდნენ, პატივისცემის ნიშნად დედოფლის მაყრებს უთმობდნენ. ეს ქათამი მათი საკუთრება ხდებოდა და ქალის ოჯახში წასვლისას თან მიჰქონდათ. ასევე ტრადიცია იყო მეზობლების ჩამოვლა, იქ სადღეგრძელოს შესმა და იქიდან ქათმის წამოყვანა. ზოგჯერ რამდენიმე გოდორი ქათამიც კი გროვდებოდა. ამის შემდეგ ნეფის ეზოში ან სახლის ბანზე ფერხულს მართავდნენ.

რძალს ერთ წლამდე პატარძალს უწოდებდნენ. სრულდებოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი წესი: „მათგან ჩვენ შევჩერდებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა „მოყვრის ფეხის ბრუნება“, „პატარძლის გამინდვრება“, ქალის „ნაწვევად

წასვლა” მშობლის სახლში და განსაკუთრებით ქალის მორიდება – „უმძრახობა” ქმრის ოჯახის წევრების მიმართ” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1987, 106).

ქორწილიდან ერთი კვირის შემდეგ ვაჟის მამა ან უფროსი ძმა ძღვენით მიდიოდა მოყვრებში, სადაც მას დიდი პატივით იღებდნენ და რამდენიმე დღეს რჩებოდა. წამოსვლისას ქალის მშობლებს დაჰპატიჟებდა. ამ რიტუალს მოყვრის „ფეხის ბრუნება” ეწოდებოდა.

დათქმულ დროს ქალის მშობლები ახლობლებთან ერთად დიდი ძღვენ-საჩუქრით მიდიოდნენ მოყვრებში, რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ლხინი და ქეიფი არამარტო სიძის ოჯახში, არამედ მის ახლობელთა ოჯახებშიც.

ახალი პატარძალი მხოლოდ სახლში საქმიანობდა. ვინმეს ზღურბლს გადაბიჯებული რომ დაენახა, დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ნათლია არ გადაიპატიჟებდა და „ფეხს არ აუხსნიდა”. ეს კი ხდებოდა რომელიმე რელიგიურ დღესასწაულზე. პატარძალი ნათლიასთან მთელი კვირა რჩებოდა. შემდეგ კი მამამთილი მივიდოდა და ნათლიის ოჯახი მათ დიდი პატივით ისტუმრებდა. ამ ცერემონიალს წინ უსწრებდა „გამინდვრების ცერემონიალი”: „ნათლიის ცოლი (ან დედა) ძღვენით მიდიოდა ნათლიდედის ოჯახში. ოჯახი დაჰპატიჟებდა ნათესავთა ქალ-რძალს და პურმარილით მინდორში ან წყლისპირას გადიოდნენ” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1987, 106-107).

დროთა განმავლობაში „გამინდვრების” ჩვეულება დავიწყებას მიეცა და შემორჩა მხოლოდ ნათლიის მიერ პატარძლის გადაპატიჟება, რომელიც დღეისათვის გაქრობის პირასაა მისული.

ქორწილის წლისთავზე ქალი მშობლებს მიჰყავდათ სახლში „ნაწვევად”. „მას ქმრის ოჯახი პურ-მარილით ისტუმრებდა. მიტანილ ქადა-ნაზუქს მისი მშობლები სოფლის ყველა ახლო ნათესავს მიართმევდნენ. „ნაწვევის ქადის” გაგზავნით ოჯახი ნათესავებს ოფიციალურად ატყობინებდა შვილის სტუმრობას. ისინი კი თავს ვალდებულად თვლიდნენ მოსული ქალი დაეპატიჟათ და პატივი ეცათ. ვისაც არ გაუგზავნიდნენ „ნაწვევის ქადას”, ის ოჯახი ამ ქალს არ დაჰპატიჟებდა და მისი მშობლებიც მას ვერ დაემდურებოდნენ” (გამომცემლობა „მეცნიერება”, 1987, 107).

მიწვევად მისული ქალი ერთ თვეს მაინც რჩებოდა სახლში. მშობიარობის დროსაც დიდ პატივში ჰყავდათ. ის მთავარ სახლში იწვა, საიდანაც ყველა კაცი დათხოვილი იყო. ორმოცი დღის განმავლობაში ის არც ბავშვს უვლიდა (ბავშვზე ზრუნავდა ბებია ქალი) და არც საჭმელს აკეთებდა. ორმოცი დღის შემდეგ კი თვითონ უვლიდა ბავშვს. მშობიარობიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ ნათესავ-განაყოფები 9მხოლოდ ქალები) მშობიარეს ძღვენით მოინახულებდნენ.

რაც შეეხება „უნძრახობას“: „პატარძალს თავაზიანობა და მორიდება მართებდა. საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, სამცხე-ჯავახეთშიც ის ოჯახისა და გვარის, ასევე სოფლის უხუცესებს (განსაკუთრებით მამაკაცებს) წლების მანძილზე „ეუნძრახებოდა“. ხშირად მამამთილი და გვარის უფროსი თაობის მამაკაცი ისე გარდაიცვლებოდა, რომ პატარძლის ხმას ვერ გაიგონებდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს „პატარძალი“ 15-20 წლის წინათ იყო მოსული ოჯახში“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 109).

რძალი ვალდებული იყო არა მხოლოდ უფროსებს შეხვედროდა ფეხზე ადგომით, არამედ თუნდაც გზად მიმავალ ქმრის პატარა ბიძაშვილ ვაჟს. გზად მიმავალს შორს მდგომი ვინმე დროული ქალი ან კაცი რომ შეენიშნა, გაუსწორდებოდა თუ არა, გულზე ხელს დაიდებდა და უხმოდ, თავის დაკვრით მიესალმებოდა.

სახლში „ახალ რძალს ევალებოდა პურის ჭამის დროს სუფრასთან მომსახურებოდა უფროსებს. მას მათთან ერთად არ შეეძლო სუფრასთან დაჯდომა და პურის ჭამა. ერთი წლის მანძილზე ის შლიდა საღამოთი ოჯახის წევრების, ლოგინს და დილით ალაგებდა. დეაწოლის წინ დედამთილ-მამამთილს ფეხსაცმელს და წინდებს გახდიდა, ფეხებს დაბანდა და ისე დაამინებდა“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 109).

ახლადდააქორწინებულები ოჯახისაგან განცალკევებით იძინებდნენ. დარბაზი თუ აჯილაკიანი იყო, მასზე ეძინათ, თუ არა და ბოსელში ან საბძელში გამართულ ტახტზე. ქალს უმანდილოდ გამოჩენა არ შეეძლო არც ოჯახის წევრების და არც სოფლის მოსახლეობის წინაშე. მანდილის ტარება სავალდებულოდ ითვლებოდა მოზრდილ გოგოსთვისაც.

მაზლს სახელით ვერ მიმართავდა. მას „ჩემო მაზლოს“ ან „ვარდოს“ უწოდებდა. დედამთილს „დედას“ ეძახდა, უფროს რძალს და მულს კი „ქალოს“. სხვების თანდასწრებით ცოლ-ქმარი ერთმანეთს „ქალოთი“ და „კაცოთი“ მიმართავდა.

სადღეისოდ ქალი კვლავ იჩენს თავაზიანობას და მორიდებას უფროსი თაობის წარმომადგენლების წინაშე, „მაგრამ არა ისეთი მკაცრი შეზღუდვებით, როგორც ეს წარსულში იყო. დედამთილ-მამამთილს და სოფლის უფროსი თაობის ხალხს (განურჩევლად სქესისა) ახალი რძალი დღესაც ეუმძრახება, მაგრამ ასე გრძელდება არა წლობით, არამედ მხოლოდ ერთი-ორი თვე. დღეისათვის უმძრახობის და, საერთოდ, მორიდების ინსტიტუტს დაკარგული აქვს ადრინდელი შინაარსი და მნიშვნელობა. იგი მხოლოდ და მხოლოდ უფროსი თაობის, ქალისა და მამაკაცის მიმართ თავაზიანი მოქცევის, პატივისცემის გამოხატულებას წარმოადგენს“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 116).

ასევე „შეიცვალა ქალის დამოკიდებულება ქმრის ნათესავებთან და, საერთოდ, ქმრის სოფლის ხალხთან ურთიერთობასა და მიმართვაშიც. ის დედამთილ-მამამთილს და სოფლის უხუცეს ქალ-კაცს „დედას“ და „მამას“ ან „დედამთილს“ და „მამამთილს“ უწოდებს, ხოლო ახალგაზრდობას კი სახელით მიმართავს. დღეს სამცხე-ჯავახეთში ქალი ოჯახის სრულუფლებიანი წევრია. ოჯახის ყოველგვარი საქმე მასთან შეთანხმებით წყდება. იგი საოჯახო საზოგადოებრივ საქმიანობაში მამაკაცის მხარდამხარ იღწვის“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 117).

რაც შეეხება „ნაწვევად“ წასვლას: „კვლავ ხდება ქორწილის წლისთავზე ქალის მშობლების სახლში „ნაწვევად“ წასვლა, მაგრამ რამდენადმე შეცვლილი სახით. მას დაკარგული აქვს ადრინდელი შინაარსი და ეს სრულდება მხოლოდ და მხოლოდ გათხოვილი ქალის პატივისცემის მიზნით. მართალია, ეს რიტუალი ნაწილობრივ ფორმითა და სახელწოდებით იგივე დარჩა, მაგრამ სხვა მნიშვნელობა შეიძინა. ორსული ქალი ქმრის ოჯახიდან რაიონულ საავადმყოფოში მიყავთ. ახალშობილი და დედა ცხრა დღე ექიმების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. საავადმყოფოდან დედა და შვილი უკვე ქალის მშობლებს გადაჰყავთ, სადაც რჩებიან ერთი თვე“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 117).

დღეს „ქალიშვილის პირველ შვილს აკვანს მისი მშობლები მთავრად, „ეს მათ მოვალეობას შეადგენს“. ნაწვევად წასულს ნათესავ-მოკეთეები იშვიათად დაპატიჟებენ. იგი გამონაკლისის სახით შეიძლება შეგვხვდეს. თავისთავად გაქრა ნაწვევად წარსულისათვის ქმრის ოჯახიდან ქადა-ნაზუქის გატანება და შემდეგ მათი მეზობელ-ნათესავებში დარიგების წესი. შეიძლება ითქვას, რომ „ლოგინას ძღვენას“ მიტანის ჩვეულებაც უკვე გაქრობის პირზეა მისული. თუ სრულდება იმავე წესითაა, როგორც თავის ადგილზე გვაქვს აღწერილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დედა-შვილისთვის განკუთვნილი საჩუქარი უფრო მრავალფეროვანი და ძვირადღირებულია” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 117).

ლაზები - ლაზებიც ერთგულები იყვნენ დანიშვნა - ქორწილის ტრადიციებისა. ლაზებში „შეუსრულდებოდა თუ არა ბავშვს 12 – 13 წელი, მშობლებს ამოუდგებოდა გვერდში - ეხმარებოდა ხვნა-თესვაში, შეუძლია იმუშაოს მეთევზედაც, წავიდეს ტოლ-ამხანაგებთან ნადში სხვადასხვა სამუშაოზე. ასე გრძელდება 17-18 წლამდე, შემდეგ დგება მისი დანიშვნის ჯერი. თუ ოჯახში დედისერთა შვილია, მისი დანიშვნა - დაქორწინება შესაძლებელია 13 წლიდანაც. დაქორწინება დამოკიდებულია ეკონომიკურ პირობებზე. ამასთან ვაჟს ჰყავს ორი-სამი წლით უფროსი და, მაშინ უპირატესობა დას ეძლევა. ჯერ ის უნდა გათხოვდეს და მერე თვითონ დაქორწინდეს” (გამომცემლობა „საქართველო“, 1964, 112).

ქალსა და ვაჟს 13 წლიდან უფლება აქვთ ერთმანეთს ელაპარაკონ. გოგონამ ამ ასაკიდან ჩადრი უნდა ატაროს და ერიდოს ვაჟს, თუნდაც იგი მეზობელი იყოს. არ ერიდებიან მხოლოდ ძმას, ბიძაშვილს და დეიდაშვილს. ლაზები, ძირითადად, მეზობლის ქალიშვილებზე ქორწინდებიან. უკანასკნელ დრომდე მიღებული იყო აკვანში დანიშვნა. არ შეიძლებოდა ერთი ძუძუთი დაზრდილების ქორწინება. ლაზები მკაცრად იცავდნენ სისხლით ნათესაობას, მაგრამ მუსულმანური სარწმუნოების გავლენით ეს წესი ნელ-ნელა ირღვევა. ადგილი აქვს მრავალცოლიანობასაც.

ვაჟისა და ქალის შეუღლება შუამავლობით ხდება. ვაჟი ცდილობს ქალს, რომელიც მოსწონს, თავისი ბიძაშვილი ან დეიდაშვილი დაუახლოოს. ქალი ვაჟს ბევრს უქებს არჩეულ ქალს და ბოლოს გამოუტყდება, რომ ვაჟს იგი მოსწონს. ქალი თუ თანახმაა, ტკბილად დაუწყებს ვაჟს ლაპარაკს, თუ არა და ქალს დააბარებს, რომ

მეორედ არ გააგონოს ასეთი სიტყვები. დანიშვნა - ქორწინებაში გადამწყვეტი ხმა მშობლებს ეძლევათ. თუ ისინი ქორწინებაზე თანახმა არ არიან, ქორწინება ჩაიშლება. საცოლისა და საქმროს შერჩევის დროს უპირატესობა გვარსა და წოდებას აქვს. თუ ვაჟის მშობლებს გოგონა მოეწონათ, „ელჩს“ უგზავნიან ანუ შუამავალს. „ელჩად“ უფრო ხშირად ხნიერი პირი მიდის. ელჩი ყოველთვის მზის ჩასვლის შემდეგ მიდის. ოჯახში პირველად მარჯვენა ფეხს შედგამს, ერთხანს სხვადასხვა თემაზე ისაუბრებენ, ბოლოს კი საქმეზე გადავლენ, თუ მასპინძლებს წინადადება ჭკუაში უჯდებათ, ეტყვიან, რომ ნათესავებს უნდა მოელაპარაკონ, თუ არა და პირდაპირ უარს ეტყვიან ან რამეს მოიმიზეზებენ. როცა ვაჟიც და ქალიც თანახმანი არიან, მაგრამ ქალის მშობლები უარზე არიან, მაშინ ვაჟი იტაცებს ქალს. ასე ხდება მაშინაც, როცა ქალს არ უყვარს ვაჟი.

როცა ორივე მხარე თანახმაა, მოჰყავთ ხოჯა ერთ ხუთშაბათ საღამოს და 20-30 ნათესავი. ასახელებენ ორ პიროვნებას ვაჟის და ქალის მხრიდან, რომლებიც არიან ვაჟის და ქალის მამობილები. ხოჯა წერს აქტს - პირველი სიტყვა ქალის მხარეს ეძლევა, თუ რამდენი სურთ მათ, რამდენი გადაუხადოს ვაჟის მხარემ. ეს ყველაფერი შევა აქტში. დანიშვნის შემდეგ „დედოფალი ვაჟის ნათესავებს და თვითონ ვაჟსაც ერიდება, არც ერთ მათგანს არ სცემს ხმას. ვაჟი ემალება დედოფლის ნათესავებს, ხოლო დედოფალს აღარა. დანიშნიდან 2 – 3 თვის შემდეგ სიმამრი სიძეს დაჰკატიჟებს: სიძე თან წაიყვანს თავის ტოლ-ამხანაგებს. სტუმრები სამ დღეს რჩებიან დედოფლის ოჯახში: მესამე დღეს სადილის შემდეგ სტუმრებს თეფშით მოუტანენ შაქარლამას; სტუმრები დედოფალს მოითხოვენ. ამ ოჯახის რძალი, ანდა ბიცოლა დედოფალს შემოიყვანს, რომელიც სტუმრებს შუბლზე ხელის მიდებით მიესალმება (ამ საღამოს „თემენა“ ჰქვია) და გაჩერდება. ყველანი ამბობენ: „მაშალლა“, „მაშალლა“; ცოტა ხნის შემდეგ დედოფალს გაიყვანენ, სტუმრები თეფშზე საჩუქრად დაყრიან ფულს. იმ ღამეს სიძესა და დედოფალს ერთად ტოვებენ. დილით სტუმრები სიძესთან ერთად გაუდგებიან გზას. ამ დღის შემდეგ სიძეს დედოფალთან მისვლა შეუძლია. სიდედრი სიძეს ყოველთვის ტკბილეულით უმასპინძლდება” (გამომცემლობა „საქართველო“, 1964, 115).

ნიშნობის შემდეგ ორივე მხარე ემზადება ქორწილისთვის. საქორწინოდ ერიდებიან რიცხვებს: 3, 5, 7, 16 და 21. აგრეთვე თვის ბოლო ოთხშაბათს. ეს დღეები უკუღმართად ითვლება. ქორწილში პატიჟებენ ნათესავ-მეზობლებს. მაყრად პატარა

ქორწილში მიდის 15 კაცი, დიდ ქორწილში 40-50. „დედოფლის მხარე სტუმრებს ბაქლავით უმასპინძლდება; ამის შემდეგ დედოფალი გამოჰყავთ (დედოფალს ჩადრი მისმა ძმამ ან ბიძაშვილმა უნდა დაახუროს) – გამოსვლის დროს კარებში გაჩერდება მისი ახლო ნათესავი, კედელზე დანებს მიაკრავს და არ უშვებს დედოფალს. მასთან მიდის ნეფის ბიძა და ეკითხება, რა უნდა მას. კარის დამჭერი „კაფიხარჯს“ (კარის ხარჯს) მოითხოვს. ნეფის ბიძა ფულს ამოიღებს და ჯიბეში ჩაუდებს მეკარეს. კარის დამჭერს შეუძლია ამ დროს მოსთხოვოს მას, რაც სურს: საათი, რევოლვერი და სხვა და ეს უნდა შეუსრულდეს“ (გამომცემლობა „საქართველო“, 1964, 116).

დედოფალი ეთხოვება მშობლებს. დედა-შვილი ტირილით ემშვიდობებიან ერთმანეთს, თუმცა ეს დიდ ცოდვად ითვლება. დედოფალს თან ახლავს და, რძალი და ბიძაშვილი. ერთი მათგანი მდადეა. მათთან ერთად მიდიან მაყრები რომელთა რაოდენობა სამჯერ მეტია ნეფის მხრიდან მოსულებზე. თუ შორეულ სოფელში მიდიან, მიდიან ნავებით, თუ არა და ცხენებით. თუ ნავებით მიდიან, მენავეები წრისებურად ტრიალებენ, სანამ ნეფის მაყარი ფულით არ დაასაჩუქრებს. ჩადრიან ქალებს შორის პატარძლის გამოცნობა სხვა ფერის ქოლგით შეიძლება. ის ქალების შუაშია.

მაყრები გზაზე ცეკვავენ, მღერიან მაყრულს. სახლს 200 მეტრით, რომ მიუახლოვდებიან, გაჩერდებიან. დედოფალი მარჯვენა კარით უნდა შევიდეს სახლში და ვაჟის მშობლები იმის შიშით, რომ ვინმემ მათი რძალი და შვილი არ დაკოჭოს (ტყვია შუაზე არ გაჭრას და გზის ორივე მხარეს დადოს, მერე არ დაადნოს და არ შეაერთოს - ეს ცუდის ნიშანია), ცდილობენ სხვა გზა გამონახონ და ისე შეიყვებნონ პატარძალი მარჯვენა კარით. მაყრები წყალს მოითხოვენ. წყლის მაგივრად მიაქვთ შარბათი. დალევის შემდეგ რამდენიმე ჭიქას ტეხენ. თუ ეზოში ღობე ან რაიმე შენობაა დაანგრევენ. მაყრები ითხოვენ ძროხას ან ხარს, ორ ტყვეს - პატარა ბავშვებს და უკანვე აბრუნებენ. ბოლოს მოითხოვენ სიძეს, რომელმაც სახლში უნდა შეიპატიჟოს ისინი. მაყრები ასევე ითხოვენ ხალიჩას ან ჭილოფს. მასზე დადგება დედოფალი, დადე და მათი თანმხლები ქალები. დედამთილი ღომის მარცვალში გარეულ ხურდას ფულს დააყრის მათ. ასევე იქცევა ვაჟის მამაც, შემდეგ კი სიძეც. ამ ფულს მექორწილები სწრაფად აიტაცებენ, რადგან მათი წარმოდგენით ეს თავის ტკივილის წამალია. გარდა ამისა, ღომის მარცვლის დაყრას ის აზრიც აქვს, რომ დედოფალი ასე გამრავლდეს. ამის

შემდეგ მამამთილი ხელს მოჰკიდებს პატარძალს და შინ შეიყვანს. ატყდება თოფების სროლა. კართან ეგებებიან და ლოცავენ დედოფალს. დედოფალს კერასთან მიიყვანენ და იქ დასვამენ. ერთ-ერთი დედამიანი ბიჭი ფეხსაცმელს გახდის. დედოფალი ფულს აძლევს მას. ამის შემდეგ სიძეს პატარძალი ქალების ოთახში მიჰყავს. სიძეს დანასაც აძლევენ. ოთახში შესვლისთანავე იგი დანის წვერით ახდის მანდილს პატარძალს და დანითვე მიაკრავს კედელზე. მდადე პატარძალს გამოაწყობს. თავზე „კაზს“ დაჰხურავს. ეს არის აბრეშუმის ნაქსოვი გამჭვირვალე ქსოვილი და გამოიყვანს გარეთ. პატარძალი დილამდე ფეხზე უნდა იდგეს. მაყრების მოსვლამდე ახლო მეზობლებს უმასპინძლებიან. მაყრები ბოლოს მოუსხდებიან სუფრას. მაყრები სხვადასხვა საჭმელს ითხოვენ. შემდეგ შემოდის სიძე, რომელმაც მაგიდა უნდა ასწიოს. მაყრების შემდეგ სუფრასთან სხდებიან მათი მოსამსახურე პირები და ახლა ისინი ითხოვენ პატარძლის მოტანილ ტკბილეულს და ხილს. აქედან ნახევარს ისევ დედოფალს უბრუნებენ. მათ შემდეგ სუფრასთან სხდებიან მაყრად წამოსული ქალები, მერე მათი მოსამსახურე ქალები და ა. შ. მაყრები მეორე დღეს ბრუნდებიან უკან. ამავე დღეს, თუ დედოფალს მამამთილი ჰყავს, ცეცხლთან დასვამენ და რძალს მოუყვანენ. იგი ფულით ასაჩუქრებს პატარძალს. საღამოს მეზობლები, ნათესავები იყრიან თავს და ბაასობენ, თამაშობენ. ვაჟებს თეფშით მოუტანენ ხილეულობას. ოთახში შემოჰყავთ დედოფალი. ვაჟები ხილს მიირთმევენ და იმავე თეფშზე დებენ ფულს შეძლებისდაგვარად. დედოფალი თითოეულ მათგანს შუბლზე ხელის მიდებით უხდის მადლობას. საპატარძლოც ასაჩუქრებს სტუმრებს ხელსახოცით, ჩურჩხელით და შაქარლამით, ხოლო ხნიერი კაცია პირსახოცით და ტკბილეულით. ქორწილი რომ დასრულდეს, საკმაოდ კომიკური სცენა თამაშდება. საძინებელში ჯერ ნეფე შედის, შემდეგ მდადეს შეჰყავს პატარძალი. პატარძალი უნდა ეცადოს გაპარვას და არ უნდა დაელაპარაკოს ნეფეს. ნეფე უნდა ეცადოს რომელიმე თითი მოუღუნოს პატარძალს, რომ გაშვება სთხოვოს. თუ ქალი დიდხანს არ ამოიღებს ხმას, ეს საქებაია. მთელ ამ სცენას წინასწარ გამობუღული ნაჭვრეტიდან უყურებენ მეზობლის ქალები და ამგვარი რამ ხშირად 2 – 3 საათს გრძელდება.

პატარძლის მოვალეობაა ოჯახს მოუაროს, ყველაზე ადრე გაიღვიძოს და ყველაზე გვიან დაიძინოს. ერთი წლის განმავლობაში დედამთილსაც კი არ სცემს ხმას,

მამამთილს კი 5 წლის მანძილზე არ ელაპარაკება. ერთ წლამდე ყოველთვის ფეხზე დგას, ვიდრე არ ეტყვიან დაჯექიო. პატარძალი ქორწილის მეორე დღეს მშობლებთან ბრუნდება. თუ იმავე სოფელში ცხოვრობს, იმ დღესვე ბრუნდება ქმრის ოჯახში, თუ არა და იმ ღამეს თავის სახლში რჩება. ასევე წესია ერთ წლამდე რძლის ოთახში შუქი აანთონ მზე ჩავა თუ არა.

პატარძალი და ნეფე სხვების თანდასწრებით ვერ დაელაპარაკებიან ერთმანეთს. ოჯახის წევრები არც სახელით მიმართავენ ერთმანეთს. პატარძლის ყოფა დამოკიდებულია დედამთილის ნება-სურვილზე. აქედან ერთადერთი ამოსავალი გამოყოფაა: „გამოყოფას იწვევს აგრეთვე ოჯახში ორი რძლის ყოფნა. ესენი ერთმანეთს ხშირ შემთხვევაში ვერ ეგუებიან; დედამთილისთვის ხშირად უმცროსი რძალია კარგი. თუ პატარძლის ქმარი სუსტი ნებისყოფისაა და ცოლიც ნაკლებად უყვარს, მაშინ გამოყოფაზე უარს იტყვის და ამით ტანჯავს მეუღლეს. ლაზი ქალი ვალდებულია გააკეთოს საოჯახო საქმე, იმუშაოს ბოსტანში და მამაკაცებთან ერთად წავიდეს ყანაში. შემის ზიდვაც ევალება. მამაკაცი დედაკაცს არ უწევს ანგარიშს, ამასთან ქალს არა აქვს უფლება ჩაერიოს მამაკაცის საქმეში. ქალს ოჯახში წილი არ აქვს. გაყრის შემთხვევაში ეკუთვნის მხოლოდ მოტანილი მზითევი“ (გამომცემლობა „საქართველო“, 1964, 122).

სამეგრელო - საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მეგრელეთა საქორწინო ჩვეულებებთან დაკავშირებით არქანჯელო ლამბერდი, რომელიც მეგრული და ევროპული საქორწინო ტრადიციების შედარებისას ახასიათებს ამ უკანასკნელს: „ჩვენს ევროპაში, როცა ცოლს ირთავენ, უმთავრეს საგნად აქვთ მზითვის მიღება. ამიტომ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ყურადღებას არ აქცევენ არც ტანის უუშნობას, არც ხნიერებას და არც დაბალ შთამომავლობას, როცა მეორეს მხრით არის კარგი და მდიდრული მზითევი. საზოგადოდ ჰფიქრობენ, რომ ყოველსავე ნაკლულოვანებას დაჰფარავს ოქრო და ვერცხლიო. ამიტომაც ხშირია, რომ დიდებულები თავს იღაბლებენ, ყმაწვილები უშნო და უკბილო ბებრებს ირთავენ. კოლხიდაში ასე როდია, იქ ქალს არავითარი მზითევი ქმრისთვის არ მოაქვს. მეგრელები ცოლში ეძებენ ფიზიკურ სიმშვენიერეს, კარგ შთამომავლობას და საუკეთესო ზრდილობას. სამაგიეროდ სასიძომ უნდა მიუტანოს ქალის მშობლებს დიდი საჩუქარი და მდიდრული ძღვენი. ამიტომაც ქორწინებას ამ ქვეყანაში თუ აბრკოლებს, ისევ ეს ვალდებულება სასიძოსი,

რომ მშობლებს უნდა მოუტანოს იმდენი საჩუქარი, თითქოს სარძლო მონა არისო და მის ფასს იხდისო. ჩვეულებრივ საჩუქრად მიჰყავთ ხოლმე ძროხები და ხარები, ან ცხენები, ან ყმები, ანდა სხვა ამისთანები” (გამომცემლობა „მთაწმინდა”, 2011, 106).

აი რას ამბობს ცნობილი იტალიელი მოგზაური მეგრული ნიშნობის შესახებ: „როცა საჩუქრების რაოდენობა გადაწყვეტილია, ნიშნობას გამართავენ. რადგან გადაწყვეტილი არ არის, თუ ხნის უნდა იყვნენ ნიშნობის დროს სასიძო - სარძლო, სულ პატარებსა, სამი-ოთხი წლისას დანიშნავენ ხოლმე, როცა ზოგჯერ მონათლულებიც არ არიან. ნიშნობისათვის ამორჩეულ დღეს ჩვეულებად აქვთ, რომ სარძლოს მამა ან დედა მოიწვევს სასიძოს ყველა მისი ახლობელ ნათესავებით და ამ წვეულებაში სასიძომ უნდა მიართვას ნიშნად თავის საცოლეს ან ვერცხლის თასი, ან ბეჭედი, ან და ოქროს ფული. ამით ნიშნობა სრულდება. ვიდრე სარძლო მშობლების სახლში იმყოფება, სასიძომ ყოველ მოსვლაზე უნდა მოიყვანოს თან რამდენიმე ხარი და მოიტანოს ბლომად ღვინო და საჭმელები. ყოველსავე ამას იმავე დღეს გაათავებენ, რადგან დიდ წვეულებას გამართავენ, რომელზედაც მოიწვევენ ახლობელ ნათესავებს და მეგობრებს. ამ შემთხვევაში, კარგად აღზრდილი ქალები სასიძოს კიდევ რომ შეხვდნენ პირისპირ, მაინც თვალებს არ ასწევენ და არ შეხედავენ, რათა ამით თავის მორცხვობა დაამტკიცონ. ხოლო თუ სასიძო არ მოეშვა და მოინდომა მაინც და მაინც ქალებთან მუსაიფი, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ტკბილი სიტყვის მაგიერ მკვახე პასუხს მიიღებს” (გამომცემლობა „მთაწმინდა”, 2011, 106-107).

როცა საპატარძლოსა და სასიძოს საქორწინო ასაკი შეუსრულდებათ, აცნობებენ ყველა მეგობარს და ნათესავს და დანიშნავენ ქორწილის დღეს. იმართება დიდი ნადიმი. ყველა ცდილობს დიდი ამბით, ბევრი ახლობლით გამოცხადდეს ქორწილში. მთელი ხარჯი სიძისაა. სუფრაზე დასხდომამდე მოჰყავთ მღვდელი ან ეპისკოპოსი გვირგვინების საკურთხებლად. მთელი შეკრებილობა ეკლესიაში მიემართება ან თუ ახლო ეკლესია არ არის, მაშინ მარანში, რომელსაც ეკლესიასავით პატივს სცემენ. იქ ხდება მათი ცოლ-ქმრად გამოცხადება. ირჩევენ ერთ ნათესავს, რომელსაც შეჰყავს ისინი მარანში. ნეფე-დედოფალს ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ. ამ ნათესავის მოვალეობაა ასევე ნეფე-დედოფლის თავზე გვირგვინების დაჭერა. ნეფე-დედოფალი შესვამს ღვინოს. ხსენებული ნათესავი მათ ტანსაცმელს ერთმანეთს მიაკერებს, როცა

ჯვრისწერა მორჩება, ეს ნათესავი დანით გააცალკევებს ტანისამოსს. ამის შემდეგ ყველა სუფრასთან სხდება, კაცები ერთ მხარეს, ქალები მეორე მხარეს, ნეფე-დედოფალი გამოჩენილ და საპატიო ადგილას სხდებიან. მეჰფე - კაცების მხარეს, დედოფალი - ქალების მხარეს. მთელი დღე გადის ჭამაში, სმაში და სიმღერაში.

წასვლისას მშობლები ლოგინს, ტანსაცმელს და სხვა რამეებს ატანენ პატარძალს. ბარგს დიდი ადგილი უნდა ეჭიროს, რომ ყველამ დაინახოს. მთელი გზა სიმღერით მიდიან, როცა საქმროს სახლში მივლენ, იქაც იმართება ნადიმი და სტუმრებს საჩუქრებს ურიგებენ.

ჰერეთი - ჰერეთში ქალს ან ვაჟს ვერ დააქორწინებდნენ, თუ მაჭანკალი არ ჰყავდათ. მაჭანკლის გასამრჯელოა ერთი მანეთი, ერთი ყოჩი და სამი ჩაფი ღვინო. მაჭანკალი და ქალის მშობლები წყვეტენ ნიშნობის დღეს. ჯერ პატარა ნიშნობა იმართება, რომლის დროსაც ვაჟის მამა მაჭანკალს ატანს ქალის მხარესთან საკმაოდ დიდ ძღვენს. პატარა ნიშნობის დროს მოილაპარაკებენ დიდი ნიშნობის შესახებ. დიდი ნიშნობის დროსაც უგზავნის ვაჟის ოჯახი ქალის ოჯახს მოსაკითხს, რომელშიც პირუტყვიც შედის. ასევე საჩუქარს უგზავნიან ქალის დიდ დედას, პაპას და ოჯახის სხვა წევრებს. დიდი ნიშნობის დროს ვაჟის ოჯახის წევრების გარდა, ნათესავებიც მიდიან ქალის ოჯახში. დიდი ნიშნობის დღეს წყდება ქორწილის გამართვის დღე. დიდი ნიშნობისათვის ვაჟის მამიდები, დები, ძმები და რძლები მიდიან ქალის ოჯახში და ამზადებენ განსაკუთრებულ საჩუქრებს ანუ „ხურჯინს“ და „შახს“. შახი არის ხის ჯოხების კონსტრუქცია, რომელზეც ვაშლებია წამოცმული. ყველა ჯოხს ერთი ვაშლი აერთიანებს წვერზე. ვაშლებს შემოვლებული აქვს ძაფი, რომელზეც კანფეტები ჰკიდია. წვერზე დამაგრებულია თუმნიანი, ხოლო ლანგარზე, რომელზეც შახი დევს, აწყვია ტკბილეული პატარძლისათვის. დიდი ნიშნობის დღეს ნათესავები ხურჯინებით მიდიან ქალის ოჯახში, ხოლო მაჭანკალი ხმამაღლა აცხადებს, ვინ რა საჩუქარი მიუტანა საპატარძლოს. ქორწილამდე საქმროს ოჯახი საპატარძლოს უგზავნის ფარჩის ნიშანს: პირუტყვს, ვერცხლის ქამარს, წინდების მოსაქსოვ ბაწარს. მოცემული პროდუქტებით საპატარძლოს მამა პატარა ქორწილს უხდის თავის ქალიშვილს. ქორწილის დანიშვნის დღიდან შეიძლება გავიდეს წლები. 9-10 წელიც კი გასულა. ამ დროის მანძილზე გოგო მზითვს იმზადებს: წეწავს მატყლს, ამზადებს წინდებს. ქორწილისთვის შემოდგომას

ირჩევენ. ქორწილის წინ ნეფის ოჯახი ფულს უხდიდა პატარძლის ოჯახს. თანხა მით უფრო დიდი იყო, რაც უფრო ლამაზი იყო პატარძალი და შეძლებული ოჯახის წარმომადგენელი. სტუმრებს ერთი კვირით ადრე ეპატიჟებოდნენ. სიძის ქორწილი 4 დღეს გრძელდებოდა. პატიჟებდნენ უშუალოდ ოჯახის უფროსს, რადგან ამის გარეშე ოჯახიდან ქორწილში არავინ წავიდოდა. ოჯახის უფროსი მოპატიჟეებს სახლში შეიწვევდა და სამ სადღეგრძელოს დააღვეინებდა: მეფე-დედოფლის, ქორწილის მომწყობის და თვითონ მოპატიჟეებისას. მოპატიჟეებს დაღვევას არავინ აძლებდა. სიძის ოჯახი წინასწარ ამარაგებდა სარძლოს ოჯახს. ქორწილი იწყებოდა მაშინ, როცა პატარძლის მაყრები სიძის ოჯახს მიადგებოდნენ. მათ მეორე დღეს მიჰყავდათ სიძე და მაყრები პატარძლის ოჯახში. პატარძლისათვის განკუთვნილი იყო ცხენი და მისი და პატარძლის პატრონობა სიძის მეგობარს ან ნათესავს ევალებოდა. საპატარძლოს ეზოს ჭიშკარი საგულდაგულოდ იყო დაკეტილი. ერთი ახალგაზრდა ჭოკზე წამოაცვამდა ვაშლს ან ხახვს და ჰაერში ატრიალებს, სიძის მაყრებიდან კი ვინმეს უნდა თოფის გასროლით ჩამოეგდო იგი. ზოგჯერ საჭირო ხდებოდა საპატარძლოს ცხენის „გამოსყიდვაც“, როცა მას ვინმე მოახტებოდა ზურგზე. პატარძალი შუადლით გამოჰყავდათ და ქალების სუფრასთან სვამდნენ. მის გამოჩენას თოფის გასროლით ხვდებოდნენ. წასვლისას გზას აუცილებლად ჩაკეტავდნენ ურმებით ქალის ხალხი და აქაც ფულის გადახდა იყო საჭირო მის გასათავისუფლებლად. მთელი გზა უკრავდა მუსიკა. ახლა ვაჟის სახლის ჭიშკარი იყო დაკეტილი. ჭოკზე კი ამჯერად ცეცხლმოკიდებული მაშხალა იყო დამაგრებული, რომელიც ქალის მაყრებიდან ვინმეს უნდა ჩამოეგდო. პატარძალს მამამთილი ჩამოსვამდა ცხენიდან და დედამთილს გადააბარებდა, რომელიც მას სანთლით ხელში ხვდებოდა და ტუჩებზე ცვილს და ტკბილ სიროფს უსვამდა. შემდეგ სახლის ყველა კუთხე-კუნჭულს შემოატარებდა. იმ დამით პატარძალი თავისი ამაღის ქალებთან რჩებოდა, დილით კი უთენია მიჰყავდათ ჯვრის დასაწერად. ჯვრისწერიდან მახარობელი მიდიოდა ვაჟის ოჯახში, რომელსაც უხვად ასაჩუქრებდნენ. ამის შემდეგ იმართებოდა ლხინი. უკრავდნენ ფანდურზე, გარმონზე, სალამურსა და დოლზე. პატარძალს პატარძლის მაყრები ნეფის რომელიმე ნათესავს ხეზე აბამდნენ და მისი გათავისუფლების სანაცვლოდ მამალს ან სხვადასხვა საჩუქარს ითხოვდნენ. შებინდებისას ნეფის ირგვლივ რამდენიმე ნათესავი ხორუმის

მსგავს ცეკვას ასრულებდა და სამჯერ ისროდა მას ჰაერში. ქორწილის შემდეგ კი ნეფე-პატარძლის ნათესა-მეგობრები რიგრიგობით იწვევდნენ სახლში.

ფერეიდან - ფერეიდნელი გოგონები 16-18 წლის ასაკში თხოვდებოდნენ, ვაჟები კი 20-20 წლის უნდა ყოფილიყვნენ. მას შემდეგ რაც მარჯაკალი საქმეს გაარიგებს, ვაჟის ოჯახს ქალის ოჯახში მიაქვს ბალგი: ფული, კაბა და ა. შ. ბალგი მიაქვს 5-7 კაცს. მოქმედებდა ბავშვების აკვანში დანიშვნის წესიც. იცოდნენ დაუბადებელი ბავშვის დანიშვნაც. დაწინდვის შემდეგ (ზოგჯერ ერთი წელიც გადიოდა) მექორწინე ოჯახებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება საქორწინო ხარჯზე. ვაჟის ოჯახი ქორწილის წინა დღეს უგზავნიდა ნატურალურ პროდუქტებს ქალის ოჯახს. მყარში სასიძო არ მიდიოდა. იგი ეჯიბის სახლში რჩებოდა და პატარძალს მხოლოდ მისი მოყვანის შემდეგ სანათობო ოთახში ხვდებოდა. ფერეიდნელთა მყარიონში აუცილებლად იყვნენ: ნეჯიფი (ეჯიბი), ხელისმომკიდე, „ლალას კაცი“ (მეჩირადნე) და მყარი - ქალი, რომელსაც მყარიონის სხვა წევრებისგან განსხვავებული ტანსაცმელი ეცვა. ლალას კაცი წინ მიუძღოდა მყარიონს და მახარობლის როლს ასრულებდა. იგი ცხენით შეიჭრებოდა მექორწილე ოჯახში, თოფს გაისროდა და ხმამაღლა იტყობინებოდა მყარიონის მოსვლას, ქალის მამის ან ძმისგან მიწოდებულ შარბათს შესვამდა და ჯამს დედაბოძზე მიამსხვრევდა. თან ცდილობდა მალე გასხლტომოდა დამხვდურთ, რადგან ისინი უყვიროდნენ, კაკალს, ხმელ ხილსა და ბროწეულის მარცვლებს ესროდნენ. ამასობაში კი მას ქალის ძმა ხელზე წითელ ან ჭრელ ნაჭერს გაუკეთებდა და წყვილ წინდას ან სხვა რაიმე ნივთს ჩუქნიდა.

მთხრობელთა გადმოცემით, პატარძლის მოსაყვანად წასულები გზაში სხვადასხვა თამაშს თამაშობდნენ, მაგალითად: ხელსახოცებით თამაშს, რიკტაფელას, დაჭერობანას და სხვა. მისულებს ისევ ხილის და ბროწეულის მარცვლების წვიმაში უწევდა გავლა. სახლში პირველი მყარი ქალი შედიოდა, მას მიჰყვებოდნენ ეჯიბი და ხელისმომკიდე. მამაკაცებს გარეთ აჯენდნენ, ქალებს კი სახლში, სადაც მათ ხილით და ტკბილეულით უმასპინძლდებოდნენ. „პატარძალი მისთვის საგანგებოდ განკუთვნილ ადგილზე მაღალ ბალიშზე იჯდა, მის წინ კი იატაკი ხალიჩებითა და ყვავილებით იყო მოფენილი. აქვე პატარა მაგიდაზე სარკე და ჭიქით წყალი იდგა, ასევე ტკბილეულითა და ხილით სავსე თასი. პატარძლის სამყოფს წინ ჭრელ-ჭრელი ყვავილებით მოჩითული „ფარდე“ ჰქონდა

ჩამოფარებული, ისე რომ მის მიღმა ქალი არ ჩანდა. ახანძლის წაყვანის შემდეგ ამ „ფარდეს“ დადე ჩამოხსნიდა და სიძის სახლში, სანთიობო ოთახში ჩამოკიდებდა” (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1987, 100-101).

პატარძალს ჩაცმის უფლებას მამა აძლევდა. ამის შემდეგ მას „შაჰკაზმავედნენ“. აცმევდა ახლობელი, დედმამიანი, გათხოვილი და ქმარშვილიანი ქალი. მას ეხმარებოდნენ ქალიშვილებიც. ჩაცმულ პატარძალს ძმა შემოარტყამდა ქმარს, რომელზეც შიდა მხრიდან პურის ნატეხი და შაქარი ეკიდა. ფეხსაცმლის ჩაცმისას პატარძალი გაჯიუტდებოდა და მას მაყარი ტკბილეულით ან რაიმე სხვა ნივთით ასაჩუქრებდა. პატარძლის ოჯახიდან გამოყვანა მხოლოდ ხელისმომკიდისა და პატარძლის ძმის უფლება იყო. სახლის ბანზე პატარძალი დედ-მამას დაემშვიდობებოდა, ისინი ქალს დალოცავდნენ და თავზე შაქარს გადააყრიდნენ, ახალგაზრდები კი მღეროდნენ. გზაში ისევ მხიარულებით და ცეკვა-თამაშით მიდიოდნენ. ვაჟები ერთმანეთს უჩვენებდნენ ქალის სახლში მოპარულ ნივთებს, რაზეც ბევრს იცინოდნენ და მხიარულობდნენ. სოფელთან მიახლოებულებს ისევ გამოეყოფოდათ ლალას კაცი, რომელიც სიძის სახლში მისული წითელ ხელსახვევს აფრიალებდა. მას ტკბილეულით და შარბათით უმასპინძლებოდნენ და რაიმეს ჩუქნიდნენ. ახალძალს სადედამთილო ეგებებოდა. ნეფე ნეჯიფის სახლის ბანიდან ფარულად უთვალთვალებდა მაყრიონის მოსვლას. სახლში შესვლის წინ პატარძალს ფეხებში ცხვარს დაუწვენდნენ (წინათ უკლავდნენ). ხელმომკიდე ფულს აძლევდა ცხვრის პატრონს, რომელსაც მას ნეჯიფი გადასცემდა. შესასვლელში მექორწილეებს თავზე აყრიდნენ მოხალული მცენარეულის ნაყოფს, ბროწეულის მარცვლებს და ქიშმიშს.

აქვე განვმარტავთ ქორწილის მონაწილე სამი უმნიშვნელოვანესი პირის: ლალას კაცის, ეჯიბის და ხელმომკიდის მნიშვნელობა - ფუნქციას: „მახარობელი მეჩირადენა - ლალას კაცია (იგი გზას უნათებს მაყრიონს), მაყრიონების მიერ გამართული მხიარული წარმოდგენების უშუალო მონაწილეა, ამასთან იგი ოჯახის ბედნიერების, სიუხვე-ბარაქიანობის და სიცოცხლე - დღეგრძელობის დამლოცველი, ავი სულებისაგან დაცვისა და ყოველივე სიკეთის მაუწყებელია” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 110).

რაც შეეხება ნეჯიფისა და ხელისმომკიდეს: „ნეჯიფი სიძის უახლოესი ნათესავია (ძმა ან ბიძაშვილი), რომლის მოვალეობას ძირითადად საქორწილო ღზინის

მომზადებისა და მაყრიონის სვლის პროცესის მოწესრიგება წარმოადგენს, ამასთან იგი სიძის მხარში მდგომი და მისი ნება-სურვილების აღმსრულებელია. ხელისმომკიდე კი ვაჟის ნათესავი (ზიდაშვილი) ან მეგობარია, რომელსაც ევალება პატარძლის ხელის მოკიდება და მისი სიძისათვის ჩაბარება, ამ უკანასკნელის ფუნქცია „ხელში ჩათვლის“ რიტუალში გამოიხატება, რაც განმტკიცებელია, როგორც ხელის მაგიური მოქმედების ძალით, ისე მისი ადათობრივი დანიშნულებით” (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, 119).

ახლად დაქორწინებულებისათვის საძინებელ ოთახს ვაჟის დედა აწყობდა: ლოგინს გააწყობდა, სანთლებს აანთებდა, პატარა მაგიდაზე სარკეს, ტკბილეულს, ხილს, წყალს დადგამდა, იატაკზე ხალიჩებს დააფენდა, კედლებზე ფერადი ქსოვილების ნაჭრებს ჩამოკიდებდა. ოთახში პირველად პატარძალს შეიყვანდნენ ხელისმომკიდე და მდადე, შემდეგ შევიდოდნენ სიძე და ნეჯიფი რამდენიმე მაყრით და მექორწილეებით. ხელისმომკიდე ნეფე-დედოფალს ერთად დააყენებდა და მათ ხელებს შეართებდა, ვაჟის დედა კი წყლის წვეთებს შეასხურებდა. მექორწილეები მღეროდნენ, ნეფე-დედოფალს თავზე მოხალულ მცენარეულ მარცვლებს, ტკბილეულს, სურდა ფულს, შაქრის ფქვილს აყრიდნენ. დედამთილი პატარძალს ბალიშებით ამალღებულ ადგილას დასვამდა, მდადე კალთაში ბიჭს ჩაუსვამდა. ცოტა ხნის შემდეგ მექორწილეები ოთახიდან გამოვიდოდნენ, ნეფე-პატარძალთან მხოლოდ მდადე და დედამთილი რჩებოდნენ. ლხინის დასასრულს ლოგინს მდადე და დედამთილი შლიდნენ. მდადე საწოლის წინ ქალის ოჯახიდან წამოღებულ „ფარდეს“ ჩამოჰკიდებდა, სასთუმალქვეშ ხელისმომკიდის ხანჯალს და ნატეხს შექარს ამოდებდა. საქმრო პატარძალს ნატეხს შექარს ჩაუდებდა პირში. ავი სულებისაგან დასაცავად მდადე და იარაღასხმული ნეჯიფი კართან ყარაულობდნენ მეფე-პატარძალს დილამდე. მდადე საერთოდ ქალთან რამდენიმე დღე ჩებოდა, ვიდრე პატარძალს წყალზე არ გაიყვანდნენ და ის ოჯახის საქმიანობაში აქტიურად არ ჩაებმებოდა.

3.3 ინდოეთი

ინდური ქორწილი მსოფლიოში ულამაზეს და უძველეს ტრადიციად ყოფილა აღიარებული. რელიგიური მრავალფეროვნების მიუხედავად (ინდოეთში ცხოვრობენ

ბუდისტები, ქრისტიანები, მუსლიმანები და სხვა რელიგიების წარმომადგენლები), ამ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს საერთო საქორწინო რიტუალები აქვთ. ძველად „ბიჭის მშობლები ვაჟისთვის საცოლეს თავად ეძებდნენ და შვილი ვალდებული იყო დედ-მამის ნებას დაჰყოლოდა - მათ მიერ არჩეულ გოგონაზე დაქორწინებულიყო” (გზა, #8, 25,02,2010).

ინდურ ოჯახში უფროსი დედამთილია. თუ გოგონა უმცროს ვაჟს მიჰყვება ცოლად, ვალდებულია ქმრის უფროსი ძმების რძლებსაც დაექვემდებაროს. თუმცა ახლა ახალგაზრდები არჩევენ თავად აკეთებენ, ეს ჩვეულება რამდენადმე უცვლელი დარჩა. უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ვაჟისა და ქალის ჰოროსკოპის ნიშნებს: „ქორწილამდე რამდენიმე თვით ადრე ვაჟის მშობლები წყვილის ჰოროსკოპს ადგენენ (ასტროლოგია ინდოეთში სერიოზულ მეცნიერებად მიიჩნევა, მას უნივერსიტეტში სწავლობენ) და თუ შეყვარებულებს ვარსკვლავები ბედნიერებას უწინასწარმეტყველებენ, მათ ქორწინების ნებას რთავენ” (გზა, #8, 25,02,2010).

ასე ხდება ძირითადად სამხრეთ ინდოეთში. ჩრდილოეთში კი ამჯობინებენ უპირატესობა კასტას მიანიჭონ. მთავარია შეყვარებულები ერთი კასტის წარმომადგენლები იყვნენ.

საქორწილო სამზადისას ასეთი ხასიათი აქვს ინდოეთში: „თუ ქორწილი დაინიშნა, გოგოს მშობლები 2-3 თვის განმავლობაში მზითევენ ამზადებენ: უამრავი სარი, ყველა საოჯახო ნივთი და ათეულობით კილოგრამი ოქრო. ქორწილში 700-800 ადამიანს ეპატიჟებიან, ზოგჯერ კი 3000-ზე მეტი სტუმარიც იყრის თავს. კერძების მომზადებაზე მეტი თანხა ბინის მორთვაში იხარჯება. აქტუალურია ხალიჩები, ყვავილები, დეკორაცია და განათება” (გზა, #8, 25,02,2010).

ქორწილამდე 4 დღე რომ დარჩება, ბიჭის ყველა ნათესავი მის ოჯახში გადადის საცხოვრებლად. მასპინძელი ვალდებულია, რომ მათ მდიდრულად გაუმასპინძლდეს და არაფერი მოაკლოს. თუ სიძეს დიდი სახლი არა აქვს, სასტუმროს ქირაობს. ყველა, მიუხედავად მათი ეროვნებისა, ატარებს ინდურ ნაციონალურ ტანსაცმელს. ქორწილის დღეს, ვიდრე პატარძლის ოჯახში მივლენ, „სიძის ნათესავები საქორწინო ცეკვებს ასრულებენ, შემდეგ კი ყვითელ ფერს - მზისა და ერთგულების სიმბოლოს ადიდებენ; შუბლს ყველა ყვითლად იღებავს და ერთმანეთს ამავე ფერის ფხვნილს აყრიან;

სამამამთილო ხმამალა წინაპრების სახელს ახსენებს, რათა მათაც გაიგონ, რომ შთამომავალი უბედნიერდებათ. პატარძალთან სადამოს მიდიან. თეთრ რაშზე (ზოგჯერ სპილოზე, თანამედროვე სიძეები კი ლიმუზინსაც ქირაობენ) ამხედრებულ სიძეს ოქროს სირმებით გაწყობილი, ტრადიციული სამოსი უნდა ეცვას. ნათესავები ცეკვა-სიმღერით მიჰყვებიან” (გზა, #8, 25,02,2010).

საინტერესოა, რომ საქორწილო ცერემონიამდე ნეფე-პატარძალს ამომშობილებენ. მათ არაფრის ჭამის უფლება არ აქვთ. პატარძლის ოჯახშიც დიდი სამზადისია: აგებენ სამლოცველოს და პალმის ფოთლებითა და სხვადასხვა სურნელოვანი, ძირითადად, ყვითელი ფერის ყვავილებით რთავენ. სასიძო ელის პატარძლის გამოჩენას. ისიც წითელ, მდიდრულ სარიაში გამოწყობილი, რამდენიმე ადამიანს ტახტრევნით შემოჰყავს. ამის შემდეგ „პატარძალი და სიძე სარიტუალო ცეცხლს შვიდჯერ შემოუვლიან და მხოლოდ ამის შემდეგ აქვთ ერთმანეთისათვის შეხედვის უფლება. ბრამინი - ინდოელი მღვდელი ლოცვების წაკითხვის შემდგომ სიძე-პატარძალს შუბლზე წითელ საღებავს - ბინდის უსვამს, რაც იმას ნიშნავს, რომ წყვილი დაქორწინდა. ყვავილების გირლიანდების გაცვლის შემდეგ საქორწინო ცეკვა-სიმღერის დრო დგება” (გზა, #8, 25,02,2010).

ინდურ ქორწილში არ მიირთმევენ ალკოჰოლურ სასმელს. ხალხი მხიარულობს, დილამდე გრძელდება საქორწილო ცეკვები და სიმღერები. ქორწილის დანახარჯმა შესაძლოა 5 მილიონ დოლარსაც კი გადააჭარბოს. ტრადიციული ქორწილი 7 დღეს გრძელდება. პატარძალს ყოველდღე სხვადასხვა ფერის სამოსი აცვია: „პირველ დღეს ღია ვარდისფერი, ბოლო დღეს - მუქი წითელი. ქორწილის დღეს მას იმდენ ოქროს სამკაულს ჰკიდებენ, რომ დამოუკიდებლად, სხვის დაუხმარებლად გადაადგილება უჭირს; პატარძალს ხელებსა და ფეხებზე ინიტ სარიტუალო ნახატებს - მეჰენდის უკეთებენ. ტრადიციის მიხედვით, ნახატის ორნამენტებში საქმროს სახელი უნდა იყოს ჩახატული. ნახატისა და სამკაულის გამო პატარძალს ქორწილის დღეს ფეხსაცმელი არ აცვია” (გზა, #8, 25,02,2010).

3.4 იაპონური ქორწილი

იაპონელები ქორწილს ყოველთვის ზაფხულში გეგმავენ, რადგან ამ დროს ყველაფერი ყვავის. მზეა და ამინდიც საზეიმოა. ძველად იაპონელ მამაკაცს შეეძლო

მრავალი ცოლი ჰყოლოდა, რომლებიც მასთან განრიგის მიხედვით რჩებოდნენ. სამურაების ეპოქაშიც შეედლო მამაკაცს ჰყოლოდა ცოლი და კიდევ საყვარელი ქალი. ქალი კი ვალდებული იყო ეს აეტანა. არსებობდა გვარების დაახლოების მიზნით ქორწინების ტრადიციაც. ქორწინების რიტუალი ტარდებოდა მამაკაცის სახლში. თანამედროვე იაპონიაში საქორწინო რიტუალი სპეციალურ კომპლექსში ტარდება. აქ განთავსებულია ქრისტიანული, შინტოისტური და ბუდისტური ტაძრები. აქვეა მოსასვენებელი ოთახი, საბანკეტო დარბაზი და ფოტოს გადასახები ოთახი. შინტოისტური ტრადიციის მიმდევარ პატარძლებს აცვიათ თეთრი კიმონო. ამ დღისთვის ემზადებიან ერთი წლით ადრე, მოსაწვევები კი 2 – 3 თვით ადრე რიგდება. საქორწინო კიმონოს იცვამენ ნიშნობის დროსაც. აუცილებელია ხელჩანთა და საქორწინო თავსაბურავი. მამაკაცს აცვია ნაცრისფერი კიმონო, წელზე არტყია ხანჯალი და უკავია მარაო, რომელიც ბედნიერების სიმბოლოა. სტუმრები ქორწილში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მიდიან. კიდევ ერთი თავისებურებაა: ახლადდაქორწინებულები არ ცეკვავენ, დაშვებულია მუსიკის მოსმენა და კარაოკეს შესრულება. ქორწილში დაახლოებით 80 სტუმარია დაპატიჟებული. საქორწინო საჩუქარი ძირითადად არის ფული. ახლადდაქორწინებულები სვამენ 9 ყლუპ საკეს (ბრინჯის არაყი). პირველივე ყლუპის შემდეგ ისინი ოფიციალურ ცოლ-ქმრად ცხადდებიან.

ჩინური ქორწილი - თუ ორივე მხარე თანახმაა, მაშინ მომავალი წყვილი ჰოროსკოპს ადგენს, რათა დარწმუნდნენ შესაფერისობაში. მომავალ მეუღლეებს ქორწილამდე შეხვედრა არ შეუძლიათ. მომავალი მეუღლეები ქორწილზე წითელ ფერის ტანსაცმელში ეწყობიან, რადგან წითელი - სიხარულის და ბარაქის ფერია. სახლში მისვლისას წყვილი საკურთხევლის წინ მუხლს იყრის და ზეცის, მიწის და წინაპრებისაგან კურთხევას ითხოვს, ამის შემდეგ ახლად დაქორწინებულები ცალკე ოთახში მიყავთ.

ებრაული ქორწილი -საქორწინო ტრადიციებზე თვალის გადავლევითაც ჩანს, რომ წინასწარ მოლაპარაკებით ქორწინება ძალიან გავრცელებული იყო. ქორწინება მშობლების სურვილითა და ტრადიციების გათვალისწინებით ხდებოდა. ქორწინების მიზანი ახალი ოჯახის შექმნა კი არა, არამედ ოჯახური კავშირების ერთიანობა და შენარჩუნება იყო. ახლა კი გავიგოთ როგორ ქორწინდებიან ებრაელები. ებრაული

ქორწილის დროს ქორწილის წინ საპატარძლო განიწმინდებოდა. ზოგიერთ თემში მეუღლეები ცერემონიის ბოლომდე შიმშილობდნენ, რათა ახალ ცხოვრების წინ ცოდვათა მიტევება მიეღოთ. ცერემონიის წინ ნეფე სტუმრებს ხვდებოდა, შემდეგ საცოლისკენ მიემართებოდა, მას ვუალს ახვევდა, რაც მისი სულის სიბრძნისა და სიკეთის სიმბოლო იყო. თავად ცერემონია ჰუპას ქვეშ ტარდებოდა, რომელიც ოჯახურ კერას განასახიერებს, რომლის შექმნა და განაწილება წყვილს მოუწევს. ახალგაზრდები ღვინოს თასიდან სვამენ და სიხარულს გამოხატავენ. ბეჭდების გაცვლის შემდეგ ქორწინების აქტი ორიგინალურ არამეულ ენაზე იკითხება. მას ხელს მოწმეები აწერენ და პატარძალს რჩება. რაბინი მეუღლეებს შვიდჯერ ლოცავს, წყვილი ისევ სვამს ღვინოს თასიდან, რის შემდეგაც თასს იერუსალიმის ტაძრის დანგრევის სახსოვრად გატეხავენ. ამით ცერემონია მთავრდება. შემდეგ იწყება წვეულება ცეკვებით. ახლადდაქორწინებულები სტუმრებს შვიდი დღის განმავლობაში იღებენ. საკვების ყოველი მიღება ლოცვით მთავრდება. მეუღლეები ებრაელები უნდა იყვნენ.

მუსულმანური ქორწილი - მამაკაცი აუცილებლად მუსულმანი უნდა იყოს. ქორწინება ქალისა და მამაკაცის თანხმობით ხდება, მხოლოდ ქალს მამა წარმოადგენს. ქორწილის დროს პატარძალზე მისი ორი ახალგათხოვილი ნათესავი ზრუნავს. საპატარძლოს წინასწარ ამზადებენ. სამკაულებით რთავენ, ზოგჯერ კი ხნით სხეულს უხატავენ. ეს ნახატები ერთგვარი ამულეტებია და წარმოადგენს ნაყოფიერების სიმბოლოს. წვეულების დროს საპატარძლო ტანსაცმელს შვიდჯერ იცვლის. თითოეული ტანსაცმელი მდიდრული უნდა იყოს. ჩვეულების პირველ ნახევარში ქალები და მამაკაცები სხვადასხვა შენობაში არიან. მოგვიანებით სასიძო საპატარძლოს მოსაყვანად მიემართება, იმამი წყვილს მოწმეების თანდასწრებით აქორწინებს.

ასეთია ქართული და აღმოსავლური ტრადიციები. თანამედროვეობამ, რა თქმა უნდა, ცვლილებები შეიტანა მათში და სხვადასხვა კუთხისა და ხალხის საქორწინო ჩვეულება ერთმანეთს დაუახლოვა, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში განსხვავება უფრო გვანტერესებდა, ვიდრე ერთსახოვნება. თანამედროვე ეპოქაში საქორწინო პრინციპებს კანონმდებლობა არეგულირებს. ქართულ საერთაშორისო სამართალში შეხვდებით ქორწინების ფორმასთან დაკავშირებულ სპეციალურ ნორმებს. ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი განცალკევებით არ დგას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამართლისაგან.

სხვადასხვა სამართალი თავისი მოქალაქეებისათვის სხვადასხვა საქორწინო ასაკს აწესებს: „მაგალითად, საფრანგეთში საქორწინო ასაკად მამაკაცისათვის მიჩნეულია 18 წელი, ხოლო ქალებისთვის - 15 წელი; იტალიაში - მამაკაცებისათვის - 16 წელი, ხოლო ქალებისათვის - 14 წელი; ესპანეთში - მამაკაცებისთვის 14 წელი, ხოლო ქალებისთვის 12 წელი, შვედეთში ორივე დასაქორწინებელი პირისათვის - 18 წელი, იაპონიაში - მამაკაცისათვის - 18 წელი, ქალებისათვის - 16 წელი და ა. შ. ამასთან, გამონაკლის შემთხვევებში სპეციალური ორგანოების თანხმობით დაიშვება უფრო მცირე ასაკში დაქორწინებაც” (გამომცემლობა „მერიდიანი”, 2011, 322).

დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში მინიმალურ საქორწინო ასაკად მიჩნეულია 18 წელი, საქართველოშიც საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. გამონაკლის შემთხვევებში დაიშვება ქორწინება 16 წლის ასაკში მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარ წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ქორწინების მეორე პირობაა დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. ამ პრინციპს მხარს უჭერს ევროპული ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა და საქართველოც. განსხვავებულია მდგომარეობა ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში - მაგალითად აქ ქორწინებისთვის საერთოდ არ არის საჭირო პირთა თანხმობა: „იემენის საოჯახო სამართლის მიხედვით, დასაქორწინებელ პირთა თანხმობა არა მხოლოდ სავალდებულო არ არის, არამედ ამგვარი რამ საერთოდ არ მოითხოვება. ამიტომ, არასრულწლოვანი პირის მეურვეს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გაათხოვოს ან ცოლი მოაყვანოს პირს, რომელმაც მიაღწია 15 წლის ასაკს. მეურვესვე შეუძლია გააფორმოს საქორწინო ხელშეკრულება” (გამომცემლობა „მერიდიანი”, 2011, 323).

ქორწინების ფორმასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს ქვეყნები იყოფა ოთხ ჯგუფად: ა) ქვეყნები, რომლებშიც ოფიციალურად მიიჩნევა მხოლოდ ისეტი ქორწინება, რომელიც რეგისტრირებულია სპეციალური სახელმწიფო ორგანოების მიერ, ანუ ე. წ. სამოქალაქო ქორწინება (საქართველო, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, ბელგია და ა. შ.); ბ) ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ როგორც სამოქალაქო, ისე რელიგიურ (საეკლესიო) ქორწინებას და მათ შორის არჩევანის გაკეთების უფლება აქვთ დასაქორწინებელ პირებს (დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ავსტრია და ა. შ.); გ) ქვეყნები, რომლებშიც ოფიციალურად მიიჩნევა მხოლოდ რელიგიური (ეკლესიური) წესით განხორციელებული ქორწინება (ანდოსა, ლიხტენშტაინი, საბერძნეთი,

კვიპროსი და ა. შ); დ) ქვეყნები, რომლებშიც ქორწინება დაიშვება ე. წ. საერო სამართლის (common Law) პრინციპების მიხედვით. ამგვარ ქვეყნებში არ არის აუცილებელი ქორწინებისთვის შსაბამისი ფორმალობების დაცვა (აშშ)” (გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, 323).

ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძვლის - განქორწინების საკითხიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად წყდება. ზოგი ქვეყანა საერთოდ კრძალავს განქორწინებას (კოლუმბია, ირლანდია, არგენტინა და სხვები); მაგალითად იტალია განქორწინებას უშვებს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და ამგვარ ჩამონათვალში არ შედის მეუღლეთა ურთიერთთანხმობა განქორწინების თაობაზე. ქვეყანათა მესამე ჯგუფი განქორწინებას უშვებენ კანონიერი კანონიერი პრინციპების არსებობისას და ამგვარად ითვლება მეუღლეთა თანხმობაც (გერმანია, საქართველო, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, დანია, ნორვეგია, რუსეთი და ა. შ)

განსხვავებულია მიდგომები განქორწინებასთან აზიურ და აფრიკულ სახელმწიფოებში. ეს ძირითადად ხდება იმ ქვეყნებში, სადაც წარმმართველი როლი ისლამურ სამართალს უკავია. ასეთ ქვეყნებში განქორწინებისას ძირითადი როლი მამაკაცს ეკუთვნის.

საქართველოს, კავკასიისა და აზიის საქორწინო ტრადიციების შემდეგ თვალი გადავავლოთ ევროპულ საქორწინო რიტუალებს. დავიწყოთ წარსულით. შუა საუკუნეებში „ქორწინება საეკლესიო საიდუმლოებად იქცა და ეკლესია აკურთხებდა ხოლმე მის ყოველ საფეხურს: გარიგებასაც, ნიშნობასაც და საკუთრივ ჯვრისწერის ცერემონიასაც. მღვდელი ესწრებოდა გარიგებას და საზეიმო სიტყვით ამტკიცებდა ნიშნობას, ჯვრისწერისას ეკლესიის კარიბჭესთან ეგებებოდა ნეფე-პატარძალს და საკურთხევისაკენ მიუძღოდა მათ, სადაც საზეიმო სიტყვით და რიტუალით ამთავრებდა ცერემონიას და ნეფე-პატარძლის წინაშე ცხოვრების ახალ ფურცელს შლიდა. ეკლესიამ დაადგინა, როდის შეიძლებოდა და როდის არ შეიძლებოდა ჯვრისწერა; განსაზღვრა და დააკანონა პიროვნებისა თუ მთელი ოჯახის ცხოვრების წესი, ინტიმურიც კი, და თავის მოვალეობად ჩათვალა, მეთვალყურეობა გაეწია ოჯახური ცხოვრების ზნეობრივი სიწმინდისათვის” (გამომცემლობა „ნაკადული“, 1981, 86-87).

ეკლესია უარყოფდა ვნებასაც და არ სცნობდა განქორწინებას, თუმცა განქორწინების ფაქტები მაინც დასტურდება. ქორწინება საერო ცერემონიაც იყო. ეს ცერემონია და საქორწინო სუფრა გამოხატავდა ნეფე-პატარძლისა და მათი ნათესაობის საზოგადოებრივ მდგომარეობას. ალა იასტრებიცკაია წერს: „ბევრი გერმანული ქალაქის კანონმდებლობა მტკიცედ განსაზღვრავდა საქორწინო სუფრის სიმდიდრესაც, ხანგრძლივობასაც და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოზეიმეთა სოციალურ შემადგენლობასაც. ვიხმარში, მაგალითად, მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევდნენ მექორწილებს დილიდან საღამომდე ქეიფის ნებას, თანაც ცეკვითა და სიმღერით, თუკი პატარძლის მზითვი ას ლუბეკურ მარკაზე ნაკლები არ იქნებოდა; თუ არა და, სადღესასწაულო ვახშმით უნდა გასულიყვნენ იოლას” (გამომცემლობა „ნაკადული”, 1981, 86-87-88).

შუა საუკუნეების ევროპაში „ოჯახს ადრე ეკიდებოდნენ. საეკლესიო წესების თანახმად, სასიძო თოთხმეტისა მაინც უნდა ყოფილიყო, საპატარძლო - თორმეტისა. ქალებში კიდევ უფრო პატარებსაც ნიშნავდნენ, ასე რომ, არჩევანი, ძირითადად, ეკონომიკურ ან პატივმოყვარული თვალსაზრისით განპირობებული, უფრო მშობლების საქმე იყო, ვიდრე ქალ-ვაჟისა. ქალი ოჯახში ნაკლები უფლებებით სარგებლობდა; ამის ნათელი დადასტურებაა კანონიკური სამართალიც” (გამომცემლობა „ნაკადული”, 1981, 90).

ამ ეპოქის ევროპაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო ცოლის ცემა გამოსწორების მიზნით ან სხვა რაიმე მიზეზით. ჰუმანური იურისტები იმასაც ამბობდნენ, ცოლის ცემა შეიძლება, მაგრამ ზომიერად.

ქალის პატივისცემა კურტუაზიული სიყვარულის დაბადებასთან ერთად დაიწყო მეთორმეტე ასწლეულში, მაგრამ იგი კვლავ პოეზიის სფეროში რჩებოდა და ცხოვრების წესად ვერ გადაიქცა.

უფრო მოგვიანო ხანის ევროპელებსაც შემორჩათ უცნაური ტრადიციები. ვნახოთ, როგორ აღიქმებოდა ქორწინება ევროპაში:

ესპანეთი: „XIX ს. დასასრულამდე ლეონის ორ რაიონში (ვალენსია დე დონ ხუანსა და სააგუნში) დისლოკალური ქორწინების წეს-ჩვეულება შემოინახა. ცოლი და ქმარი ერთად, ერთი სახურავის ქვეშ იწვნენ მხოლოდ ქორწილის შემდეგ ღამეს. შემდეგ ისინი კვლავ მშობლების სახლში მიდიოდნენ, რომლებთან ერთად აწარმოებდნენ საერთო მეურნეობას. ერთმანეთს კი ეწვეოდნენ მხოლოდ ცოლქმრული მოვალეობის შესასრულებლად. თავიანთ

ოჯახს (კერას) ისინი ქმნიდნენ მხოლოდ მშობლების სიკვდილის შემდეგ, როდესაც უკვე ჰყავდათ სამი-ოთხი ბავშვი, რომლებიც დედის ოჯახში იზრდებოდნენ” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 65).

საფრანგეთი: „ქორწინებიან ყოველმხრივი განსჯის შემდეგ, შეიძლება ითქვას, სარგებლიანობით. ფრანგებს ტრადიციად აქვთ ერთობლივი საოჯახო ტრაპეზების მოწყობა. სექსუალური საკითხების შესახებ, გულახდილი საუბარი და ფრანგულ ლიტერატურაში ინტიმური სცენების აღწერა ყოველთვის შოკირებულ მოქმედებას ახდენდა უცხოელებზე (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 92).

იტალია: „იტალიაში საქორწინო ასაკი ქალებისათვის 14 წლით განისაზღვრებოდა, მამაკაცებისათვის - 16 წლით, მაგრამ სინამდვილეში აქ საქორწინო ასაკი ქალებისათვის 20-დან 25 წლამდე მერყეობს, მამაკაცებისათვის 25-დან 30 წლამდე. დღეისათვის კანონი ცნობს ქორწინების სამ ფორმას: სამოქალაქოს, რელიგიურ - კათოლიკურს და რელიგიურ - არაკათოლიკურს. 1929 წელს რომის პაპსა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონტრაქტით საეკლესიო ქორწინებას იურიდიული ძალა აქვს. ჩვეულებრივ, ცოლი ქმრის გვარს იღებს. ქორწინებისას, ტრადიციიტ, აუცილებელია მშობლების თანხმობა. გლეხები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალდაბადებულთათვის სახელის შერჩევას, რადგან მიიჩნევენ, რომ კარგი სახელი კარგი ბედის მომასწავებელია. ბევრ ადგილას არსებობს ტრადიცია ოჯახში დაბადებულ პირველ ბიჭს დაარქვან პაპის სახელი (მამის მხრიდან), გოგონას - ბების სახელი (მამის მხრიდან). მესამე და მეოთხე ბავშვს არქმევენ პაპისა და ბების სახელს დედის მხრიდან, მეხუთეს - მამის მძის სახელს და ა. შ. ამ ტრადიციის გამო ოჯახში ხშირად გვხვდებიან ერთი და იმავე სახელის მატარებლები” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 106).

იტალიელმა სასიძომ ბედნიერების დასაბუდეებლად, ქორწილის დილას სახლში მწვანე პერანგი უნდა ჩაიცვას. იტალიელ ახლადდაქორწინებულებს ვარდის ფურცლებს, ბრინჯსა და შაქარში ამოვლებულ ნუშს აყრიან. ამ უკანასკნელს ისინი იჭერენ და ერთმანეთს აჭმევენ.

ინგლისი: საქორწინო რიტუალის დროს პატარძალს გვერდს უმშვენებს პატარა გოგონა. იგი ეკლესიას სურნელოვანი ყვავილებით რთავს, მიმოფანტავს ირგვლივ ეკლესიის შესასვლელიდან სამლოცველოს კარამდე. ეს ყვავილებით დაფარული გზა სიმბოლური

ცხოვრების გზაა, რომელიც უნდა იყოს ლამაზი, ბედნიერებით და სიყვარულით აღსავსე. მეორე, ვინც პატარძალს ახლავს, არის მეჯვარე. მას პატარძლის კაზის მსგავსი კაზა აცვია. ამას ის ცრურწმენა უსაფუძვლეს, რომ თვალმა ვერ გაარჩიოს ნამდვილი პატარძალი და არ გახდეს წყევლის ობიექტი. ინგლისელები პატარძალს კაზაზე აკერებენ ბედის თილისმას. მას ნალის ფორმა აქვს და ვერცხლისფერია. ბაფთა გამობმული ნალი კარგი მომავლის სიმბოლო იყო ძველ ინგლისში. კიდევ ერთი აუცილებელი ატრიბუტი ინგლისიური ქორწილისა არის „ქორწინების ნამცხვარი“. იგი ხილისგან მზადდება, მის ზედა ფენას „ნათლობის ნამცხვარი“ უწოდეს და წყვილი მას პირველი შვილის ნათლობამდე ინახავს. ქორწილში ასევე არის საპატარძლოს თეთრი ნამცხვარი და სასიძოს შავი, შოკოლადიანი ნამცხვარი. სანამ ნეფე-პატარძალი ტორტის პირველი ნაჭრით იტკბარუნებენ პირს, მეჯვარეები ლენტას ითრევენ აქეთ-იქით. ესეც წესია. ძველად ჯვრისწერიდან გამოსული ნეფე-პატარძლის ეტლს სტუმრები ფეხსაცმელებს სროდნენ. ეს ქორწინების წარმატების ნიშანი იყო. თანამედროვეობაში ფეხსაცმლის სროლა მასზე ზონარის შეკვრამ შეცვალა. კიდევ ერთი ცრურწმენა ის არის, რომ ქორწილის დღეს წვიმა კარგის ნიშნად ითვლება. ეს მიანიშნებს, რომ წყვილს ფორტუნა გაუღიმებს და მათი ქორწინება დიდხანს გასტანს. ინგლისელმა პატარძალმა კი ცალი ხელით უნდა ასწიოს სკივრის თავსახური – ასე ამოწმებენ მის ამტანობას.

ირლანდია: „ირლანდიელებისათვის დამახასიათებელია გვიანდელი ქორწინება. მამაკაცების 62% 30-35 წლის ასაკში ჯერ კიდევ დასაოხახებელია. ქალების 42% ამავე ასაკში მარტოხელაა. ევროპის უმეტესი ქვეყნებისათვის გვიანდელი ქორწინება ქალაქების მკვიდრთათვისაა დამახასიათებელი, ირლანდიაში კი პირიქითაა – სოფლის მცხოვრებნი ქალაქის მკვიდრებზე გვიან ქორწინდებიან. ეს მოვლენა ეკონომიკური მიზეზებითაა გამოწვეული. მიუხედავად ამისა, ირლანდიელებში მოსახლეობის მატება ნორმალურია, რადგან მათი ოჯახები, ჩვეულებრივ, მრავალშვილიანია“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 200).

სოფლად „ჯერ კიდევ შემორჩენილია პატრიარქალური ურთიერთობანი. ყველა უცოლო მამაკაცს, მისი ასაკის მიუხედავად, უწოდებენ „ხიყ“ – ბიჭი და გასათხოვარ ქალს

„girl” – გოგონა. ხშირად ასეთი „ბიჭი” 50 წელზე მეტისაა და ქალაქში გასამგზავრებელი ფული მამას უნდა სთხოვოს” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 200).

ირლანდიაში „ბევრი საქორწინო წეს-ჩვეულება ახლაცაა შენარჩუნებული, ოღონდ შეცვლილი სახით. ადრე ქორწინების წინ მაჰანკლობა (გარიგება) უსწრებდა. ბრიტანეთის ყველა კულტებში ქორწილის დღეს ნეფე-დედოფლის ნათესავები ასპარეზობდნენ – პატარძლის სახლს რომელი მხარე მიაღწევდა პირველი” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 200).

უელსის საქორწინო ტრადიციების შესახებ მხოლოდ იმის გაგება შევძელით, რომ უელში ბევრი სექტაა და ქორწინების შემდეგ ცოლი ქმრის სექტაში გადადის.

შოტლანდიური ტრადიციით, ნეფე პატარძალს ფიცის წარმოთქმის შემდეგ მხრებზე ჭრელ მანდილს ახვევს, რომელზეც მისი ოჯახური კლანის ყვავილებია ამოქარგული, და ვერცხლის სარჭით უმაგრებს.

რუსეთი: „რუსების საოჯახო ყოფისთვის დამახასიათებელი იყო დიდი ოჯახი, პატრიარქალური ტრადიციების დაცვა. დიდი ანუ განუყოფელი ოჯახი აერთიანებდა რამდენიმე საოჯახო წყვილს. ოჯახის ეს ტრადიცია XX საუკუნემდე იყო შემორჩენილი. დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელი იყო ქონების ერთობლივი ფლობა, საერთო მეურნეობა, საერთო საცხოვრებელი და მაგიდა. მართლმადიდებელ რუსთა საქორწინო ურთიერთობებში ჯვრისწერა აუცილებელი იყო. საქორწინო ასაკი 18-დან 25 წლამდე მერყეობდა. ჩრდილოეთში უფრო გვიანდელი ქორწინებები შეინიშნებოდა, სამხრეთში – ადრეული. მართლმადიდებლური ტრადიციებიდან გამომდინარეობდა შვიდი თაობის განმავლობაში საქორწინო ურთიერთობების აკრძალვა. იკრძალებოდა ქორწინება ნათელ-მრონებს შორის” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 258).

რუსეთში პატარძალი სასიძოსთან ერთად მისმა მეგობრებმაც უნდა გამოსყიდონ. ქალის ნათესავები და მეგობრები კი ცდილობენ, მათ რაც შეიძლება მეტი ფული გამოსძალონ. კუპიურებს მაგიდის ოთხივე კუთხესა და შუაგულში აწყობენ. როგორც კი საქმრო და მისი მეგობრები პატარძალს ხელით შეეხებიან, ის გამოსყიდულად მიიჩნევა.

თურქეთი: „ბევრი არათურქული და მუსლიმანური წეს-ჩვეულებაა შემორჩენილი თურქთა რიგ ეთნოგრაფიულ ჯგუფში, მაგალითად, ტახტაჯებთან ქორწილში ნეფე და დედოფალი ღვინოს სვამენ. დაკრძალვის დროს მიცვალებულის კუბოს ყვავილებით

რთავენ. ჯელისას რაიონის თურქმენებში საქორწილო დროშაზე ხშირად ჯვარს გამოსახავდნენ. ჯვრის ჯვრის გამოსახულება გვხვდება ნაქარგობაში, ხალიჩებზე” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 302).

ძირითადად, თურქეთში „შემორჩენილია პატრიარქალური და ისლამური წეს-ჩვეულებები. ძლიერია ოჯახში მამის გავლენა. ქორწინება პატრილოკალურია. ქორწინებანი ხშირად ადრეულ ასაკში ხდება ახალგაზრდების თანხმობის გარეშე. შემონახულია დიდი ოჯახები. ზოგიერთ ადგილას შემორჩენილია მუსულმანობამდელი რწმენა-წარმოდგენები” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 303).

თურქეთში „ქორწინება მხოლოდ სამოქალაქო საქმედ ითვლებოდა; საკრალური წეს-ჩვეულებებიდან ის თავისუფალი იყო. ქორწინებისათვის სასურველი დღეები პარასკევი და ორშაბათი იყო. ქორწილი მუსიკისა და ცეკვების თანხლებით მიმდინარეობდა. მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ თურქული მუსიკა და ცეკვები საკმაოდ განსხვავდება სხვა თურქულენოვანი ხალხების მუსიკისა და ცეკვებისაგან. ამის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ ის ძირითადად არაბული და ბერძნული ხალხური შემოქმედების სინთეზის შედეგადაა ჩამოყალიბებული. თურქეთში ცოლს, ფაქტობრივად, გაყრის უფლება არ ჰქონდა, მაშინ, როდესაც მამაკაცს უბრალო ფორმულის წარმოთქმის შემდეგაც შეეძლო ცოლს გაყროდა” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 303).

თურქული ოჯახი „ყოველთვის ცალკე სახლდებოდა. სახლში ავეჯი ცოტა ჰქონდათ, ხალიჩები კი დიდი რაოდენობით. ხალიჩები ეკიდათ კედლებზე, იყენებდნენ საწოლად, ლოცვისას იდებდნენ მუხლებქვეშ” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 303).

საბერძნეთი _ ელადა: „მთელი ელადისათვის დამახასიათებელი იყო მონოგამია (ერთქორწინება და პატრიარქატი. ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ მრავალცოლიანობა ბარბაროსი ხალხებისთვის იყო დამახასიათებელი და ელინებისთვის ის არასაკადრისი იყო. ყველა პოლისში მცხოვრებ ბერძენს ერთნაირი წარმოდგენა ჰქონდა ქორწინებაზე. მარტოხელა, უცოლშვილო ადამიანები ისეთი პატივისცემით არ სარგებლობდნენ, როგორც ცოლშვილიანები. სპარტა ამ თვალსაზრისითაც გამოირჩეოდა. კანონით, რომელიც სპარტელ რეფორმატორ ლიგურკს მიეწერება, ახალგაზრდები ვალდებული იყვნენ ცოლი ღარიბი ოჯახიდან მოეყვანათ. კანონის ამ მოთხოვნას ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რათა ერთი ოჯახის ხელში არ მოეყარა თავი სიმდიდრეს. VIII_VI

საუკუნეებში გოგონას მამა თავისი ქალიშვილისათვის საქმროს რამდენიმე პრეტენდენტს შორის ირჩევდა. ის ერთსა და იმავე დროს ყველა პრეტენდენტს თავისთან სახლში იწვევდა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მასპინძლობდა, მათი ქცევის მანერებს, ხასიათს, ფიზიკურ წრთობას, ამტანობა - გამძლეობას. ამ მიზნით საქმრო - პრეტენდენტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 344-345).

ძველ ბერძენთა შორის „სისხლით ნათესაობა ცოლქმრობის დამაბრკოლებელ ფაქტორად არ ითვლებოდა. ზოგჯერ ქორწინება ერთი მამის შვილებს შორისაც ხდებოდა. კანონი მხოლოდ იმ პიროვნებებს შორის კრძალავდა ქორწინებას, რომლებიც დედით ერთნი იყვნენ. ათენში გოგონას საკმაოდ ადრე, 15 და 12 წლის ასაკშიც ატხოვებდნენ. ამ მხრივ განსხვავებული ვითარება არსებობდა ბიზანტიულ ბერძენებში. მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ ძველ ბერძენებში არსებული საქორწინო წეს-ჩვეულებები შეცვალა. კანონი გამორიცხავდა ქორწინებას ნათესაებს შორის მეექვსე მუხლამდე. X-XII საუკუნეებიდან საქორწინო შეზღუდვა შვიდი თაობის ფარგლებში აიკრძალა. გადაულახავ წინააღმდეგობას ქმნიდა. აგრეთვე სულიერი ნათესაობაც - ნათელმირონობა. ბიზანტიულ ბერძენებში (და საერთოდ ბიზანტიელებში) ქორწინება აკრძალული იყო აგრეთვე წარმართებთან, ერეტიკოსებთან, მუსლიმებთან, იუდეველებთან” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 345).

ბიზანტიაში „როგორც უმაღლეს, ისე უმდაბლეს სოციალურ წრეში, ინდივიდუალურ პატარა ოჯახებს დიდი ოჯახები სჭარბობდა. ცოლიანი ვაჟები იშვიათად ეყოფოდნენ თავიანთ მშობლებს. მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ვაჟებისათვის საქორწინო ასაკი 15 წლიდან განისაზღვრებოდა, გოგონებისთვის - 14 წლიდან. სცოდნიათ მცირეწლოვანთა დანიშვნაც. ისევე როგორც ჯვრისწერა, მცირეწლოვანთა დაწინდვაც საეკლესიო ცერემონიით მთავრდებოდა. ამავე დროს ხელშეკრულებებიც ფორმდებოდა, რომელშიც დათრქმული იყო მზითვის რაოდენობა, საქმროს მიერ ქორწინების წინა ძღვენის ოდენობა, პირის ქონების მემკვიდრეობის შესახებ: მითითებული იყო ქორწინებამდე საქმროს და საცოლის საცხოვრებელი ადგილები და სხვა. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოების შესახებაც. VIII ს აუკუნეიდან, დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით, ბიზანტიაში როგორც ვაჟებს, ისე ქალიშვილებს, მშობლების მემკვიდრეობაზე თანაბარი უფლებები ჰქონდათ” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 345).

თანამედროვე ბერძნულ ქორწილში ძალიან ბევრს ცეკვავენ. არსებობს საგანგებო „ფულის ცეკვაც“, რომლის დროსაც სტუმრები ნეფე-პატარძალს ტანსაცმელზე ფულს ამაგრებენ. საბერძნეთის ზოგიერთ სოფელში კი საქორწინო სარეცელზე პატარა ბავშვებმა უნდა გადაირბინონ, რათა მომავალ ოჯახს კეთილდღეობა არ მოაკლდეს.

მაკედონია: მაკედონიაში პირველ დამეს ახლადდაქორწინებულები მთავარი განძის, ქუდისა და ჩექმის დასაუფლებლად იბრძვიან. ვინც ორივე ნივთს მოიპოვებს ოჯახის უფროსიც ისაა.

გერმანია - გერმანულ ქალაქ ბრიმენში საქმრომ ქალაქის კიბეები უნდა დაგავოს, საპატარძლომ კი ყურადღებით შეამოწმოს მის მიერ დაგვილი მიდამო _ მომავალიქმარი სისუფთავის მოყვარული უნდა იყოს.

ამერიკა: „ოჯახს ამერიკაში ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ის ნუკლიარული ტიპისაა, მაგრამ ზოგიერთი იმიჰგრანტული ეთნიკური ჯგუფი მჭიდრო ნათესაური ურთიერთობებით გამოირჩევა. მაგალითად შეიძლება იტალიელები დავასახელოთ, თუმცა სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის ხშირია შერეული ქორწინებები. ა. შ. შ-ში ბევრია მატრიფოკალური ოჯახები, რომლებიც დედისა და შვილებისაგან შედგება. ასეთი ოჯახები, ჩვეულებრივ, მატერიალურად ნაკლებ უზრუნველყოფილნი არიან; ბევრი მათგანი სახელმწიფო შემწეობას იღებს. მატრიფოკალური ოჯახის ბავშვები ძირითადად ქორწინებისგარეშე ფეხმძიმობის შედეგად არიან გაჩენილნი. ამერიკაში ლეგალურად არსებობს ჰომოსექსუალური კავშირები, მათ შორის, ერთსქესიანი ქორწინებები. წამოზრდილი შვილების უმეტესობა, რომლებიც ჯერ კიდევ დაქორწინებულები არ არიან, მშობლებს ტოვებენ და ცალკე სახლდებიან. უმეტეს შემთხვევაში ცალკე ცხოვრობენ მოხუცებიც” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 61).

ოდესღაც ა.შ.შ-ში წაყვანილმა აფრიკელმა მონებმა, რამდენადაც შეძლეს შემოინახეს თავიანთი საქორწილო ტრადიციები და რიტუალები. ასე მაგალითად, აფრო ამერიკელებმა ა.შ.შ-ში ჩაიტანეს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც საქორწილო ცერემონიის დროს სიძე და პატარძალი უნდა გადამხტარიყვნენ რაიმე ბარიერზე, რითაც ხაზს უსვამდნენ თავიანთ კავშირს.

ინდიელთა ტომის, ნავახოს პატარძალმა ჩაცმულობაში ოთხი ფერი უნდა გამოიყენოს.

აფრიკა: არანაირი მენდელსონი და ორკესტრი! ტრადიციული აფრიკული ქორწილები დოლისა და ნაციონალური (გიტარის მაგვარი) ინსტრუმენტების თანხლებით ტარდება. აფრიკაში მცხოვრებთათვის დამახასიათებელი ტრადიციული საცეკვაო მოძრაობები ცოლ-ქმრია და მათი ახალი ოჯახის სიმბოლოს წარმოადგენს. არსებობს ასეტი საქორწილო ცერემონიაც, როცა სახლის პატრონები ლოცულობენ წინაპართა მიმართ, მათ შესთხოვენ მფარველობასა და დოვლათს, ხოლო სტუმრები ერთხმად პასუხობენ „აიე“, რაც ნიშნავს „დაე იყოს ასე“. ამის შემდეგ მთელს იატაკზე ასხამენ ნაკურთხ წყალს, ხოლო იმისატვის რომ ბოროტი სულები არ მივიდნენ ამ ცერემონიაზე, სპეციალური მცენარის ნამწვავ ბოლს ახრჩოლებენ იქაურობას.

აფრიკულ ქვეყნებში საქორწინო ტრადიციები განსხვავდება რეგიონების მიხედვით და მეტად მრავალფეროვანია. წყვილს შორის პრობლემას მთელი ოჯახი აგვარებს. მეუღლეები უნდა დაემორჩილონ ოჯახურ გადაწყვეტილებას. პირველ ეტაპზე ოჯახები მოილაპარაკებენ გამოსასყიდზე, თუმცა ის აუცილებელი არ არის. საპატარძლოს ოჯახის გამოსასყიდს „ნსუა“ ეწოდება. ქორწინების მთავარი მიზანი შთამომავლობის გაჩენაა, ამიტომ უშვილო წყვილის ქორწინება შეიძლება გაუქმდეს. ცერემონიის დღეს საპატარძლოს ოჯახს და მეგობრებს წარუდგენენ. მას მამამთილისათვის ძღვენი მიაქვს, რითაც ახალი ოჯახისადმი თავის კუთვნილებას გამოხატავს. აფრიკელები ახალ სამყაროში მოხვედრის მიუხედავად ყველანაირად ცდილობენ ნაციონალური საქორწინო რიტუალების შენარჩუნებას. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მათ შეიტანეს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ნეფე-პატარძალი ცერემონიის დროს ცოცხს უნდა გადაახტეს. მრავალი აფრიკული ტომისათვის ცოცხი ახალი ოჯახური კერის სიმბოლოა.

კვატლას ტომში (სამხრეთ აფრიკა) არსებობდა ტრადიცია, რის მიხედვითაც პატარძალი ქორწილის მეორე დღეს აუცილებლად უნდა მიხმარებოდა სხვა ქალებს სახლის დასუფთავებაში. ამით იგი თავისი მზადყოფნის დემონსტრირებას ახდენდა, გაძლოდა საოჯახო საქმეებს სანამ თავის ადგილს მყარად დაიმკვიდრებდა თავის ახალ ოჯახში.

კენიელმა ახლადგათხოვილმა ქალმა მთელი წლის განმავლობაში ხელები მწითელი ორნამენტებით უნდა მოიხატოს. მტელი ტომის მამაკაცებმა უნდა იცოდნენ, რომ ქალი პატარძალია და პატივი უნდა სცენ. გარდა ამისა, არსებობს ტრადიცია, რომლის თანახმადაც, ქალის მძიმე ტვირთის გასაზიარებლად ახლადდაქორწინებულმა მამაკაცმა მთელი თვე ცოლის კაბაში უნდა გაატაროს.

აფრიკის ზოგიერთი ტომის ჩვეულების თანახმად, პირველ ღამეს ქმარმა ცოლს წინა ორი კბილი უნდა ჩაუმტვიროს. ტომში ასეთი ანდაზაც კი აქვთ: „გათხოვილი, კბილჩამტვირეული ქალი ამაყად იცინის, გასათხოვარი კბილებიანი ქალი კი მორცხვად იღიმის”.

ბახუტის ტომის (ცენტრალური აფრიკა) ახლადდაქორწინებულებმა პირველი კვირის განმავლობაში ყოველი დილა ერთმანეთის ცემით უნდა დაიწყონ. წყვილი საღამოს დასაძინებლად მშობლებთან მიდის, დილით ისევ სახლში ბრუნდება და ერთიმეორეს ურტყამს. კვირის ბოლოს წყვილი ხვდება, რომ ერთმანეთზე წყენა აღარ აქვს და მშვიდობიან ცხოვრებას იწყებს.

სუდანში სასიძომ საპატარძლოს ოჯახს ერთგვარი გამოსასყიდი უნდა გადაუხადოს, რადგან ქალიშვილის სახით, ოჯახი „მუშახელს” კარგავს. საფასური შესაძლოა, იყოს ფულადი, ცხვარი ან ძროხა.

სომალში მშობლები ბავშვებს ჩვილობაში ნიშნავენ. მამაკაცს შეუძლია ოთხი ცოლი ჰყავდეს, თუ მათი შენახვა შეუძლია.

ნიგერიაში სასიძომ რჩეულთან მისვლამდე მისი ნათესავების ალყა უნდა გაარღვიოს ნათესავები ჯოხებით არიან შეიარაღებულები და სასიძოს ურტყამენ – ამით მის ამტანობას და სირთულეებთან გამკლავების უნარს ამოწმებენ.

თანამედროვე ეპოქაში ევროპული, დასავლური ტიპის საზოგადოებაში არსებობს ტენდენცია მკაცრი მონოგამიიდან (როცა განმეორებითი ქორწინება გამწვანებულია) სერიულ მონოგამიაზე გადასვლისა (განმეორებითი ქორწინება ითვლება ჩვეულებრივ ამბად). მნიშვნელობა ენიჭება ენდოგამიისა და ეგზოგამიის წესს. პირველი გულისზნობს პარტნიორის არჩევას საკუთარი ეთნიკური ჯგუფიდან, უკანასკნელი კი კრძალავს ქორწინებას ახლო ნათესავებს შორის. ენდოგამიის წესი მძლავრი და უხეშია, როცა საქმე

რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას ეხება. ეგზოგამიის წესი ხასიათდება უნივერსალური და მკაცრი ქმედებებით და განმტკიცებულია საკანონმდებლო ნორმებით.

ქორწინებას ასევე აქვს ჰომოგამიური ან ჰეტეროგამიური ხასიათი. პირველ შემთხვევაში ქორწინდებიან გარკვეული სოციალური, ფსიქოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური ჯგუფის ან ერთობის შიგნით. საპირისპირო ხასიათისაა ჰეტეროგამიური ქორწინება, რომელიც თანამედროვეობაში ფართოდ გავრცელებულია.

სოციოლოგიური თეორიების მიხედვით პარტნიორის არჩევისას მნიშვნელოვანი მახასიათებლებია: ასაკი, ეთნიკური კუთვნილება, სოციალური სტატუსი, განათლება, ინტელექტის დონე, გარეგნობა და ბიოლოგიური რიტმის შესაბამისობა.

სოციალიზაციური მიდგომის კიდევ ერთი ასპექტია ვარაუდი, რომ ადამიანები პარტნიორს ირჩევენ საპირისპირო სქესის მშობლებზე ორიენტირებით ანუ ქორწინდებიან ვაჟები ქალებზე, რომლებიც მათ დედებს ჰგვანან, ქალები კი ვაჟებზე, რომლებიც მათ მამებს ჰგვანან. ამას ფროიდის თეორიასთანაც მივყავართ და ამას ხსნის ასევე სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალთახედვა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საპირისპირო სქესის მშობლის მსგავსი პარტნიორის არჩევა ნიშნავს კარგად ნაცნობი ღირებულების არჩევას.

უინჩის სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორია იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი მეუღლედ ირჩევს იმას, ვისი ფსიქოლოგიური თვისებებიც საპირისპირო და კომპლიმენტარულია მისი საკუთარი თვისებებისა.

კიდევ ერთი თეორიაა ჯ. ჰომანსის გაცვლის თეორია. მისი მიხედვით საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს ფასეულობათა სკალა და ადამიანების ქცევა მისი შესაბამისია. ისინი „ცვლიან“ ზოგიერთ თავის თვისებას ან ღირსებას სხვა ადამიანების თვისებებსა და ღირსებებზე: ფიზიკურ მომხიზვლელობას კეთილდღეობაზე, სიმდიდრეს ტიტულზე და ა.შ.

ჩვენს თემასთან კავშირშია სტერეოტიპებიც. მათი განსაზღვრის სიმრავლისა და ამ განსაზღვრაზე აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მაინც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტერეოტიპი ეს არის გარკვეული სოციალური ჯგუფის შესახებ ინდივიდის ცოდნა, რწმენები და მოლოდინები. ამ რწმენის აღსანიშნავად ტერმინი „სტერეოტიპი“ პირველად გამოიყენა ჟურნალისტმა უოლტერ ლიპმანმა 1922 წელს დაწერილ თავის წიგნში „საზოგადოებრივი აზრი“. ეს ტერმინი აღებული იყო საგამომცემლო ტერმინოლოგიიდან და აღნიშნავდა ერთი

და იმავე ტექსტის მრავალჯერ დასაბეჭდად ერთხელ აწყობილი ლითონის ასოების ყალიბებს. მან ასევე ივარაუდა, რომ სტერეოტიპირების პროცესი კოგნიტურ-პერცეპტული და მოტივაციური ფაქტორებიდან მომდინარეობდა. ამით საფუძველი ჩაეყარა ფსიქოლოგიურ კვლევას, რომელიც შემდგომი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე განხორციელდა.

სტერეოტიპების გაგებისა და ახსნის შესახებ სოციალურ მეცნიერებაში სამი მიდგომა არსებობს: 1) ფსიქოდინამიკური, 2) სოციოკულტურული და 3) კოგნიტური. პირველის თანახმად (იგი ფროიდის მაშრომებში იღებს სათავეს) სტერეოტიპები არის მიუღებელი ადამიანური იმპულსების მანიფესტაცია და ადამიანი ჯგუფების შესახებ რწმენებს იყენებს შინაგან კონფლიქტთან გასამკლავებლად ან მოტივაციური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (მაგ.: საკუთარ თავზე უარყოფითი წარმოდგენების დაკნინებულ ჯგუფზე პროექტირებით; მეორე მიდგომის თანახმად, სტერეოტიპები ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი ფართო სოციოლოგიური ძალების მოქმედების შედეგია ანუ შეთანხმების საფუძველზე საზიარო რწმენები; მესამე მოდელი კოგნიტურ პროცესებზე ფოკუსირდება, რომელიც საფუძველად უდევს სტერეოტიპების შექმნას.

სტერეოტიპების შესაქმნელად ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი სოციალური კატეგორიები: რასა, გენდერი და ასაკი. ეს მათი ადვილად იდენტიფიცირებადობით აიხსნება. კიდევ ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ამ ნიშნების მიხედვით, როგორც ადამიანებს სჯერათ, ადვილია ქცევის დიაგნოსტიკა და კიდევ ამ მიდგომას იყენებს საზოგადოების უმრავლესობა.

სტერეოტიპების გადაცემაც შეიძლება. მას შემდეგ რაც ადამიანებს გარკვეული სოციალური ჯგუფის შესახებ გარკვეული სტერეოტიპული რწმენები უყალიბდებათ, ისინი მათ გადასცემენ სხვა ადამიანებს კომენტარებითა და ქცევით, მაგალითად, ანეგდოტების მოყოლით ანდა ტელეგადაცემებში მიკერძოებული საუბრით მოცემული ეთნიკური უმცირესობის შესახებ.

სტერეოტიპები საკმაოდ გამძლეა დროის მსვლელობის მიმართ, მაგრამ ისინი ზოგ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს. პირველის მაგალითია ამერიკელების დამოკიდებულება შავკანიანთა მიმართ, მეორის კი შეხედულება იაპონელებზე, რომელიც შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულში.

ინტერნეტში შეხვდებით 10 ყველაზე გავრცელებული სტერეოტიპის ჩამონათვალს, რომლებიც ბედნიერებას „გვპარავს“.

1. უნდა ვიცხოვროთ გარკვეული წესებით-მოვიქცეთ ისე, როგორც გვეუბნებიან, ვიმუშაოთ იქ, სადაც სხვებს სურთ ანუ არ ვიცხოვროთ საკუთარი ცხოვრებით.
2. ოცნებებისადმი სწრაფვა ღრუბლებში ფრენას ნიშნავს-სტატის ავტორის მტკიცებით, უნდა მივყვეთ საკუთარ ოცნებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრებას თვითგვემაში გავატარებთ.
3. არ გყავს წყვილი - ესე იგი ხარ უბედური - მიაჩნიათ, რომ პარტნიორის გარეშე ადამიანი მარტო ან უბედურია. სინამდვილეში კი მთავარია საკუთარი თავის პოვნა.
4. ბედნიერებაა, როცა გაქვს ყველაფერი, რასაც მოისურვებ-ადამიანები ხშირად მომავალზე ფიქრით აწმყოში თავს უბედურად გრძნობენ. საჭიროა ვიყოთ ბედნიერები ყოველთვის და არა ზოგჯერ.
5. ზოგს ყველაფერი ადვილად მოსდის. სხვისი წარმატების შური საზიანოა. შეიზღებამ ამ ადამიანმა ბევრი ტკივილი გადაიტანა, სანამ ამ ყველაფერს მიაღწევდა.
6. რას იტყვის ხალხი-მთელი ცხოვრება იმაზე ფიქრი, თუ რას იტყვის ხალხი, თქვენს ნამდვილ სახეს და მეს დაგაკარგვინებთ.
7. მუდმივად ბედნიერი მხოლოდ სულელი ადამიანები არიან-ეს ადამიანები უბრალოდ მუდმივად ესწრაფვიან ბედნიერებას.
8. მუდმივად ბედნიერ ადამიანებს ყველაფერი წესრიგში აქვთ-ეს ადამიანები უბრალოდ მიხვდნენ, თუ რამდენად ფასეულია ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ სინამდვილეში უმნიშვნელოვანესი ფაქტორები.
9. ბედნიერი ადამიანები არ გრძნობენ ტკივილს-ბედნიერი ადამიანები ყველაფრისთვის მადლიერნი არიან, ტანჯვისთვისაც კი, რადგან მათში ეს ძალას და სიბრძნეს ზრდის.
10. სიკეთისთვის ნათქვამი ტყუილი ტანჯვისგან ათავისუფლებს-სინამდვილეში გამოაშკარავებული ტყუილი კლავს. ეს ღალატის ტოლფასია. ჯობია მაშინვე გავიგოთ სიმართლე, ვიდრე ცხოვრება ფუჭ იმედებში გავატაროთ.

სტერეოტიპები აისახება ანდაზებში, რადგან ანდაზები იმ სამყაროს ყოფისა და აზროვნების მიკრომოდელია, რომელშიც შეიქმნა და ფუნქციონირებს. ამდენად ანდაზების შესწავლა მისი შემქმნელი ხალხის ეთნიკური თავისებურებების, მოცემულ მენტალურ სივრცეში დადგენილი აზროვნების კანონების ანუ ეთნოფსიქოლოგიის შესწავლას გულისხმობს.

ანდაზის სტრუქტურა ასეთია: ლოგიკური - იგი სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა შორის ლოგიკურ მიმართებებს ასახავს; ვერბალური - ის კომუნიკაციური ერთეულია და არსებითად დაკავშირებულია მეტყველებასთან და ცნებითი-მასში მოცემული მსჯელობა და დასკვნა ცნებით ოპერირებას ეფუძნება.

ანდაზის აზრობრივი ფაზულის შესწავლისას მიდგომა უნდა განისაზღვროს როგორც საკუთრივ სემანტიკისა და პრაგმატიკის, ისე აზროვნებისა და მეტყველების ფსიქოლოგიის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ანეკდოტიც სტერეოტიპებიდან მომდინარეობს. მისი ერთ-ერთ მთავარი სოციალური ფუნქციაა ტაბუს დარღვევა, მაგრამ არა ქცევით, არამედ სიტყვით. ანუ ანეკდოტს „ორთქლგამომშვები“ ფუნქცია აქვს.

სტერეოტიპებს სხვაგვარად კლიშეებსაც უწოდებენ. სტერეოტიპული შეხედულება შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე, არამედ გაცილებით დიდ ერთეულებზეც, როგორცაა, მაგალითად ევროპა. მიიჩნეოდა, რომ გერმანია იყო ყველაზე მოწესრიგებული და შრომისმოყვარე ხალხის ქვეყანა. დღეს გერმანიას 5 მილიონი უმუშევარი, ყველაზე ახალგაზრდა პენსიონერები ჰყავს და ყველაზე გრძელი შვებულებები აქვს. შეიცვალა სტერეოტიპებიც ბრიტანელებზე. თუ ადრე ისინი წარმოედგინათ როგორც შუადღით შესვენების, ჩაის სმის ან ამბოხის ერი, დღეს ისინი ბევრად უფრო შრომისმოყვარე და პროგრესული ხალხია, ვიდრე გერმანელები. ადრე ჩრდილოეთ ევროპა ზემოდან უყურებდა სამხრეთს. სამხრეთელებს ზარმაც, არაორგანიზებულ და ქაოტურ ხალხად აღიქვამდა, დღევანდელი იტალია და ესპანეთი კი სწრაფი ტემპით ვითარდება და თავს მშვენივრად გრძნობენ. ასე რომ სტერეოტიპები და კლიშეები შეიძლება შეიცვალოს და ეს განსაკუთრებით განვითარებად ერებს აძლევს ხელს.

რა მდგომარეობაა საქართველოში ოჯახურ სტერეოტიპებთან დაკავშირებით? ქართული სტერეოტიპის მიხედვით, ქართველი ქალი კდემამოსილია, ტრადიციების

მიმდევარი, ქმარ-შვილს გადაყოლილი, ოჯახის ერთგული, კარგი დიასახლისი, მორჩილი, დამყოლი, მომთმენი, გამძლე, ყურადღებიანი.

ინტერვიუებმა საქართველოს მასშტაბით 810 ქალი და 950 კაცი გამოკითხეს. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 88% ფიქრობს, რომ „მარჩენალი“ კაცი უნდა იყოს. 63%-ის აზრით ცოლი ქმარს უნდა ემორჩილებოდეს, 44%-ის აზრით კი აუცილებელია ქმარმა ცოლს აჩვენოს, ვინ არის ოჯახში უფროსი.

შვილებიდან უპირატესობა ბიჭებს ენიჭებათ. უპირატესობა ენიჭება ბიჭების განათლებასაც გოგონების განათლებასთან შედარებით, თუმცა გამოკითხულთა 72% მზადაა შვილების განათლების დაფინანსებაზე სქესის განურჩევლად იზრუნოს.

გამოკითხული ქალების უმეტესობას არ აქვს შემოსავალი და 1/5-ს თავის მეუღლესთან შედარებით დაბალი შემოსავალი აქვს. გამოკითხულთა 52% ოჯახის მთელ შემოსავალს აერთიანებს და ანაწილებენ პრიორიტეტების მიხედვით. გამოკითხულთა დიდი ნაწილი ასევე წინააღმდეგია პოლიტიკაში ქალების ჩარევისა. 54%-ის აზრით, ქალი სუსტია, უჭირს თავის თავზე პასუხისმგებლობის აღება და იმიტომ. 44%-ს კი მიაჩნია, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა და ქალი ამ სფეროში თავს ვერ გაიტანს.

აღსანიშნავია, რომ გენდერული სტერეოტიპები ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის თითქმის ერთნაირად დამახასიათებელია და ამ მხრივ არაფერი იცვლება.

დიურკემს მიაჩნია, რომ კაცსა და ქალს შორის განსხვავება ბიოლოგიურ განსხვავებას ემყარება. ქალის ქალობა განისაზღვრება ბავშვთა შობით და ქღზრდით. ამ თვალსაზრისს თუ გავიზიარებთ, მაშინ გენდერული განსხვავება ნებისმიერი საზოგადოების ატრიბუტია. საწინააღმდეგოა მარქსის თვალსაზრისი. მისი აზრით, განსხვავება ქალისა და მამაკაცის ძალაუფლებასა და სტატუსში კლასობრივ განსხვავებას ასახავს. პრიმიტიულ საზოგადოებაში არ იყო ეს განსხვავებები, ამიტომ მამაკაცის ქალზე ბატონობა მხოლოდ კლასების გაჩენასთან ერთად წარმოიშვა და მისი დაძლევა მარქსს შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ მაშინ, როდესაც დაძლეული იქნება საზოგადოების კლასებად დაყოფა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს სოციოლოგიაში მომრავლდა ქალებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, დღემდე რჩება ისეთი სფეროები, რომლებშიც ქალთა სპეციფიკური საქმიანობა და ინტერესები ჯერ კიდევ სუსტადაა

შესწავლილი. ქალური პრობლემატიკის შეტანა სოციოლოგიაში ჯერ კიდევ არ ნიშნავს გენდერული პრობლემის გადჭრას.

კულტურის განვითარებაზე თუ ვიტყვით ორიოდ სიტყვას, უნდა ითქვას, რომ კულტურული რელატივიზმის თეორიის ფუძემდებელი ამერიკელი ანთროპოლოგი მელვილ ჰერსკოვიცი თავის ნაშრომში “კულტურული ანთროპოლოგია“ ავითარებს აზრს, რომ არ უნდა განვიხილოთ თვითმყოფადი კულტურები ერთიანი მსოფლიო ისტორიული პროცესის ნაწილად. მისი აზრით, არ არსებობს მსოფლიოს კულტურათა განვითარების ერთიანი კანონზომიერება, რომლის ნიმუშად მიჩნეულია დასავლეთევროპული მოდელი. მსოფლიო ისტორიული პროცესი შედგება განვითარების სხვადასხვა მიმართულების მქონე კულტურებისგან და კულტურათა სხვადასხვა ტიპის შესაბამისად არსებობს პროგრესის ახვადასხვა კრიტერიუმი. პროგრესის ცნება ფარდობითია, უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში ტრადიციული კულტურის განვითარებას ტექნიკური (დასავლური) გზით ამ კულტურის სიკვდილი, განადგურება მოსდევს.

ჰერსკოვიცი კულტურის წარმოშობისა და მისი განვითარების ადრეული საფეხურების კვლევისას კულტურას განსაზღვრავდა როგორც ადამიანის მიერ შექმნილ გარემოს, თანამედროვე კულტურის ანალიზის დროს კი იგი კულტურის ფსიქოლოგიურ განსაზღვრებას მიმართავდა და განსაზღვრავდა მას როგორც იმ ადამიანთა ქცევისა და აზროვნების წესს, რომლებიც მოცემულ საზოგადოებას შეადგენენ.

ჰერსკოვიცი თვლიდა, რომ ყველა კულტურას აქვს ძირეული, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი მახასიათებელი-„კულტურული ფოკუსი“. თანამედროვე ევროპულ-ამერიკული კულტურისათვის ეს არის ტექნოლოგიის განვითარება, შუა საუკუნეების ევროპისათვის-რელიგიური იდეოლოგიის ბატონობა და სხვა.

სტრუქტურული თვალსაზრისით იგი ორ ასპექტს გამოყოფდა: ტექნიკურ საშუალებებს-რომელთა მეშვეობით ადამიანი მოიპოვებს ბუნებრივი გარემოდან იმას, რაც სჭირდება ეკონომიკურ სისტემას მათი განაწილებისთვის-ეს არის სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაცია, ცხოვრების ფილოსოფია, რელიგია, ხელოვნება, ენა სანქციების სისტემა.

ჰერსკოვიცის თვალსაზრისით, კულტურა ერთსა და იმავე დროს სტაბილურიცაა და ცვალებადიც. ცვლილებათა არარსებობა კულტურის სიკვდილს ნიშნავს, ხოლო კულტურის

მდგრადი სტრუქტურის რღვევა სწრაფი ცვლილებების (ტექნოლოგიური ზრდის) ინტერესებიდან გამომდინარე მის დეგრადაციას, თვითმყოფადობის დაკარგვას ნიშნავს.

ეს ავტორი ერთმანეთისგან მიჯნავდა კულტურას და საზოგადოებას. კულტურას განსაზღვრავდა როგორც ადამიანთა ცხოვრების წესს, ხოლო საზოგადოებას როგორც იმ ინდივიდთა ორგანიზებულ ურთიერთმოქმედ მექანიზმს, რომლებიც ამ ცხოვრების წესს მისდევენ. ანუ საზოგადოება შედგება ადამიანებისგან, მათ მიერ არჩეული ცხოვრების წესი კი არის კულტურა.

კულტურული გამოცდილების ათვისებას იგი ინკულტურაციას უწოდებს. ეს მდგომარეობს კულტურისათვის დამახასიათებელი აზროვნებისა და მოქმედების წესის, ქცევის მოდელის შეთვისებაში. იგი ინკულტურაციას განასხვავებს სოციალიზაციისაგან, რაც, მისი აზრით, წარმოადგენს ბავშვის მიერ საქმიანობის საერთო-საკაცობრიო წესის ათვისების პროცესს.

ინკულტურაციაში ორ დონეს გამოჰყოფდა: ბავშვობას და სიმწიფეს. პირველ დონეზე ადამიანის მთავარი ამოცანაა კულტურული ნორმების, ეტიკეტის, ტრადიციის, რელიგიის ათვისება. ამ დროს იგი მოკლებულია არჩევანის და შეფასების შესაძლებლობას. ბავშვობაში იგი უფრო ინსტრუმენტია, ვიდრე მოთამაშე. ეს დონე კულტურის სტაბილურობას უზრუნველყოფს.

მეორე დონის უმთავრესი ნიშანი ის არის, რომ ადამიანს უჩნდება არჩევანისა და უარყოფის შესაძლებლობა. ამას შეიძლება მოჰყვეს ცვლილებები კულტურაში. იგი მიიჩნევდა, რომ საბოლოო განსაზღვრა იმისა, რა არის ნორმალური და რა-არანორმალური, დამოკიდებულია კულტურაში ურთიერთობათა ორგანიზაციაზე. ქცევის სტერეოტიპები, ქორწინების ფორმები, ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც არ ჯდება ევრო-ამერიკულ სტანდარტში, სრულიად ნორმალურია ამა თუ იმ კულტურისათვის, მაგალითად, პოლიგამია, პოლიანდრია, ნარკოტიკების გამოყენება რიტუალური მიზნით და ა. შ.

კულტურული რელატივიზმის მთავარი იდეაა სხვადასხვა ხალხთა მიერ შექმნილ კულტურულ ფასეულობათა თანასწორობის აღიარება. ეს ნიშნავს ეთნოცენტრიზმისა და ევროპოცენტრიზმის პრინციპულ უარყოფას და ამის აღიარება, აღიარება იმისა რომ სამართალს, სილამაზეს შეიძლება იმდენივე გამოვლინება ჰქონდეს, რამდენი კულტურაც არსებობს, შემწყნარებლობის გამოვლინებად მიაჩნია ამ ავტორს.

იგი მიუთითებდა ასევე უნივერსალიების არსებობაზეც. ისინი შეიძლება სხვადასხვა ხალხში სხვადასხვაგვარად გამოვლინდნენ, მაგრამ არსებითად უნივერსალურები არიან

უნივერსალიები ასე განიმარტება: ყველა კულტურისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების ერთობლიობას კულტურული უნივერსალიები ეწოდება.

ჯორჯ მერდოკმა 1965 წელს 60-ზე მეტი კულტურული უნივერსალია გამოჰყო. ასეთებია, მაგალითად, სპორტი, სხეულის შეკაზმვა, თანამშრომლობა, ცეკვები, განათლება, სამგლოვიარო რიტუალები, ჩუქება, სტუმართმოყვარეობა, სისხლის აღრევის აკრძალვა, ხუმრობა, ენა, რელიგიური წესები, სექსუალური შეზღუდვები, შრომის იარაღის კეთება, ამინდზე გავლენის მცდელობა.

კულტურული უნივერსალიების არსებობის მიზეზად ზოგიერთი ანთროპოლოგი ბიოლოგიურ ფაქტორებს მიიჩნევს.

3.5. „ქორწინების“ კონცეპტი და მისი ნომინაციური ველი თანამედროვე ინგლისურ ენაში

კონცეპტის, როგორც მენტალური ერთეულის, არსის წვდომა შესაძლებელია ენაში მისი ობიექტივიზაციის საშუალებათა ანალიზის გზით. კონცეპტის ნომინაციური ველი წარმოადგენს იმ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის იბექტივიზაცია (ვერბალიზაცია, რეპრეზენტაცია).

კონცეპტის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მისი ნომინაციური „სიმკვრივე“. ნომინაციურ სიმკვრივეში იგულისხმება კონკრეტული კონცეპტუალური სივრცის ენობრივი დეტალიზაციის ხარისხი, რეალობის კონკრეტული ფრაგმენტის დეტალიზაცია, აღნიშვნის ვარიანტთა მრავალფეროვნება და აღსანიშნის აზრობრივ ნიუანსთა სირთულე. კოგნიტური ნომინაციების რაოდენობის გათვალისწინებით, კონცეპტის ნომინაციურ ველს, შესაძლოა, ახასიათებდეს ნომინაციური სიმკვრივის მაღალი ან დაბალი ხარისხი. კონცეპტის მაღალი ნომინაციური სიმკვრივე მეტყველებს კონკრეტული საზოგადოებისათვის სინამდვილის ამა თუ იმ სფერო სგააზრების აქტუალურობის მაღალ ხარისხზე, კონცეპტის სიძველესა და გამორჩეულ ღირებულებით მნიშვნელოვნებაზე კონკრეტული ხალხის ცხოვრებაში, კონცეპტის კომუნიკაციურ რელევანტურობაზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს სოციუმის მიერ კონკრეტულ კონცეპტზე მსჯელობისა და

კონკრეტული კონცეპტუალური ინფორმაციის გაზიარების აუცილებლობას მოცემულ სოციუმში.

იკვეთება კონცეპტის ნომინაციური ველის კიდევ ერთი მახასიათებელი - კომუნიკაციური რელევანტურობის ხარისხი. კომუნიკაციური თვალსაზრისით მაქსიმალურად რელევანტურ კონცეპტს გააჩნია ფართო ნომინაციური ველი; კომუნიკაციური თვალსაზრისით ნაკლებ რელევანტური კონცეპტი ხასიათდება ვიწრო სპეციალიზაციისათვის ტიპური ერთეულებით წარმოდგენილი ნომინაციური ველით; კომუნიკაციური თვალსაზრისით ნაწილობრივ რელევანტური კონცეპტის აღწერისათვის გამოიყენება ოკაზიონალური ერთეულები და სიტუაციური ნომინაციები (ახალ დაქორწინებულები-სტაჟიანი ცოლ-ქმარი). აღნიშნული ტიპის კონცეპტი მოკლებულია მდგრად ნომინაციურ ველს. არამდგრადი ნომინაციური ველი კი შედგება სუბიექტური, ოკაზიონალური ნომინაციებისაგან, კონცეპტის კონკრეტულ ნიშანთა აღწერილობისაგან, ინდივიდუალურ-ავტორისეული ნომინაციებისაგან, მაგრამ არა მთლიანი კონცეპტის სახელწოდებისაგან.

განვიხილოთ „ქორწინების“ კონცეპტის ნომინაციური ველები, რომელთა შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება:

“MARRIAGE”

Strike an average between what a woman thinks of her husband a month before she marries him and what she thinks of him a year afterward, and you will have the truth about him. H.L. Mencken

I love being married. It's so great to find that one special person you want to annoy for the rest of your life. Rita Rudner

To keep the fire burning brightly there's one easy rule: Keep the two logs together, near enough to keep each other warm and far enough apart — about a finger's breadth — for breathing room. Good fire, good marriage, same rule. Marnie Reed Crowell

Chains do not hold a marriage together. It is threads, hundreds of tiny threads which sew people together through the years. Simone Signoret

Success in marriage does not come merely through finding the right mate, but through being the right mate. Barnett R. Brickner

A long marriage is two people trying to dance a duet and two solos at the same time. Anne Taylor Fleming

One advantage of marriage is that, when you fall out of love with him or he falls out of love with you, it keeps you together until you fall in again. Judith Viorst

Never get married in the morning, because you never know who you'll meet that night. Paul Hornung

Divorce: The past tense of marriage. Author Unknown

A successful marriage requires falling in love many times, always with the same person. Mignon McLaughlin

In every marriage more than a week old, there are grounds for divorce. The trick is to find, and continue to find, grounds for marriage. Robert Anderson

It destroys one's nerves to be amiable every day to the same human being. Benjamin Disraeli

A wedding anniversary is the celebration of love, trust, partnership, tolerance and tenacity. The order varies for any given year. Paul Sweeney

Marriage is a book of which the first chapter is written in poetry and the remaining chapters in prose. Beverley Nichols

Never feel remorse for what you have thought about your wife; she has thought much worse things about you. Jean Rostand

Any intelligent woman who reads the marriage contract, and then goes into it, deserves all the consequences. Isadora Duncan

Three rings of marriage are the engagement ring, the wedding ring, and the suffering. Author Unknown

Marriage ceremony: an incredible metaphysical sham of watching God and the law being dragged into the affairs of your family. O.C. Ogilvie

A man in love is incomplete until he has married. Then he's finished. ZsaZsa Gabor

I never knew what real happiness was until I got married. And by then it was too late. Max Kauffman

The most dangerous food is wedding cake. American Proverb

The big difference between sex for money and sex for free is that sex for money usually costs a lot less. Brendan Behan

Marriage is three parts love and seven parts forgiveness of sins. Langdon Mitchell

You can never be happily married to another until you get a divorce from yourself. Successful marriage demands a certain death to self. Jerry McCant

Never marry for money. You'll borrow it cheaper. Scottish Proverb

Do you know what it means to come home at night to a woman who'll give you a little love, a little affection, a little tenderness? It means you're in the wrong house, that's what it means. Henny Youngman

The problem with marriage is that it ends every night after making love, and it must be rebuilt every morning before breakfast. Gabriel García Márquez

She cried, and the judge wiped her tears with my checkbook. Tommy Manville

By all means marry; if you get a good wife, you'll be happy; if you get a bad one, you'll become a philosopher. Socrates

A happy marriage is the union of two good forgivers. Ruth Bell Graham

